

57



მედიკალი

6

036060



1957



ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
 და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
 წელიწადი 34-ე № 6 ივნისი, 1957 წ.

საბარტველოს საბჭოთა მწიკლეების კავშირის ორგანო.

შ ი ნ ა ა რ ს ი

კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი რომანი, წიგნი მეოთხე	33
ლადო ავალიანი — სულთაგას შლიაპა, ნოველა	25
ოთარ ჭელიძე — ჩარი მარაბდელი. პოემა	41
იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება. რომანი, წიგნი მეორე	52
როსტომ ბეჟანიშვილი — სამამულე რქა. რომანი	85
ვალერი ბიუსოსვი — ოვანეს თუმანიანს, ლექსი, თარგმანი ნ. ნადირაძისა	110
ივანე არამილიყვი — მოთხრობები, თარგმანი ვლადიმერ ბურჯანაძისა	111
ბრუნო ფრაი — რამდენიმე დღე საქართველოში, თარგმანი ილენე ფეერშტაინისა და ბორის მიტცხუღავასი	118

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გვი ვარდოსანიძე — პროპორციები და პოზიციები?	125
მედვა კვარაცხელია — გიორგი შატერვაშვილი	136
ანატ აირაპეტაიანი — წერტნ თორგომიანი	141

ფოლკლორის საკითხები

დოქ. შიხ. ჩხაიძე — „ხოშატაინი“	145
--------------------------------	-----

ლიტერატურული მემკვიდრეობა

დ. რამიშვილი — „სალაყბოს ფურცლებს“ ავტორობის საკითხისათვის	
დოქ. ილია შაიხურაძე — უავტორო წიგნები	

პუბლიკაცია

აკაკი წერეთელი — წერილები საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ. (მუბლიკაცია და შენიშვნები ალ. კოკლავაშვილისა)	159
ვანო შადური — გრაგოლ ორბელიანის „პეტერბურტი“	169
იხ. მე-2 გვ.	





საქართველოს
წიგნების კავშირი

ფ. პერესტიანი — თვედორე შალიაბისის შესახებ 178

წიგნების მიმოხილვა

შალვა რაღიანი — მხატვრული ლიტერატურა და ხალხური შემოქმედება 183

შალვა აღმაშენებელი — ლერმონტოვი საქართველოში 184

ბეჟან ლორთქიფანიძე — სამცხის ხუროთმოძღვრება 187

გურამ კანკავა — „შვიდი ამერიკელი“ 190

რედაქტორი ს. ზიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველა-
შვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 3-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 9/VI-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 303
უე 00083. ანაწილების ზომა 7 1/4 × 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შიდაგარეკავშირების
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



დავით აღმაშენებელი

ტეტრალოგია

წიგნი მეოთხე

„როს ნაქარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საშლდარსა გარედ გამესხნეს, თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალში ჩამესხნეს აჲე ამათსა მოქმედსა გულზედან ზელნი დამესხნეს“.

არსენ ივალთოელი

1. ზეონიძის უკილო დამე

„ზეონიძის მამა მეფისა“

კარის გარეგება.

ხორნაბუჯის ციხეზე უკვე აღარ ფრიალებდა შავი დროშა, სელჯუკიანთა სახელმწიფო ემბლემა. კახეთ-ჰერეთში მათი დამარცხების შემდეგ თურქმანურ ბრბოებისაგან შემდგარი მარბიელი ჯარი, „აკინჯი“ უკვე ვეღარ ძარცვავდა მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებს.

დავით მეფემ იღროვა ამ შესვენებით, აძლიერებდა წყობად განმავალ ლაშქარს, შირვანსა და კავკასიონის მთიანეთში იძენდა ცხენებს, აგებდა სააღყო ლოდსატყორცნებს — კატაპულტებს, აშენებდა ახალსა და ახალ ციხეებს, აკეთებდა ხიდებს და გზებს.

თვეში თექვსმეტ დღეს ციხეზე იჯდა შეუსვენებლად, უკაცრიელ გოდოლებსა და გლეხის სახლებში ათევედა დაჰეებს...

კახეთ-ჰერეთის ციხეებს ქართულმა ლაშქარმა თავით მიაცუნა ზიანი სელჯუკიანთა ციხიონების შემუსვრისას, ახლა ამ ბასტიონებისა და გოდოლების შეკეთებას შეუდგა, თავით ხელმძღვანელობდა ამ საქმეს.

აღმაშენებლის ხელი მისწვდა ნაქარმაგვეის სასახლესაც, ნაქარმაგვეს ოღითგანვე სალბინო, „სათამაშო“ სასახლეს უწოდებდნენ, როგორც დავითის დიდი პაპა, გიორგი I, ისე პაპა ბაგრატ IV, ეს საქმოდ შფოთიანი და მამაცი მეომრები.

დავითის მამა-პაპათ არც კი უფიქრიათ ისეთ საბრძოლო ბასტიონად ექციათ ნაქარმაგვეი როგორც იყო: უფლისციხე, თმოგვის ციხე, ზერთვისისი, თუხარისისი, ციხე არტანუჯისა, რომლის გამო კონსტანტინე პორფიროგენიტური თავის „დე აღმინისტრანდო იმპერიოში“ სწერდა: არტანუჯის ციხე შეუვალია და ისეთი ვრცელი გალავნები — „რაპატი“ ერტყა გარს, როგორც საოლქო ქალაქს. იგი იყო გასაღები იბერიისა, აბაზგიისა და მესხეთისა“.

თურქომანების ბრბოებს ჯერ არტანუჯი უნდა გადმოეღახათ და საქართველოს ყელს, რა გამოჰყვებოდნენ,

1 ს ა ქ ა რ თ ე ჲ ო ს ყ ე ჲ ი — ეწოდებოდა დიდ გზას ახალციხესა და არტანუჯს შორის, ე. ი. აწინდელ გაურჯი მოღაზს“.

მათ ჯერ უნდა დაედლიათ მთელი სისტემა ციხეებისა ტასის კარამდის. ტასის კარიდან ვაკე იწყება, მაგრამ აქ ისევ ახალი ციხე-სიმაგრეები დაუხედებოდნენ წინ, ხოლო აღმოსავლეთიდან წამოსულ მტერს, თავათ მცხეთისა და ქსნის ხეობის ციხეები.

მიუხედავად ამისა, დავითმა გადასწყვიტა ეს საღიზინო და „სათამაშო“ სასახლე მიუვალ ბასტიონად ექცია.

ციხე-სასახლის ჩრდილო გალავნები დაანგრევიანა და მთელი უტყევანით გააგრძელა. ისრის სასროლზე საბრძოლო გოდოლები ააგო, ამ გოდოლებში დიდდიდი ქვაბები ჩადგეს, ფისის სადღუღებლად, მომკრო ლოდსატყორცნები, ამ კატაპულტებს დრუნჩები ციხის გარედ ჰქონდათ გაშვებული.

გალავნებში ააგებინა მარნები, ბოსლები, სახაბაზოები, ასწლოვან მუხებინა და ცაცხვების ქვეშ ისეთი დიდი ქვევრები ჩასდგეს, ათი კაცი ჩადიოდა მის ამოსარეცხად კიბით.

გალავნებს გალმა ჩრდილოეთით სამკედღურები გაამართვინა, თორ-აბჯრისა და საკურველის საკეთებელი სახელოსნოები. თუმცა ესენი დიდ მანძილზე იყვნენ სასახლიდან დამორებულინი, ნიაეს მაინც მოჰქონდა ეამიდან ეამზე უროებისა და ჩაქუჩების გაუძლისი რახუნნი და კაკუნნი. გიორგი მეფე ბრახს იკლავდა გულში ამის გამო.

თითქმის ყოველ საღამოს ხედავდნენ სასახლის კარის-კაცები და ხელშინაურნი თუ როგორ მიადგებოდნენ იმ სამკედღურებს ცხენოსნები მწყრივ-მწყრივად, ქუჩაში ახლადნაწრთობ ჯერაც მოელვარე ხმლებს ართმევდნენ ხელიდან მკედღებს, დანდობილად, გააქენებდნენ ცხენებს და აგრე აწრთობდნენ ჰაერში.

გიორგის „უბაუტა ყმაწვილობად“ მიაჩნდა ამგვარი საქმიანობა. აგრე ეტყოდა ხოლმე ჰყონდიდელს:

„რათა შვრებით ამოდ ვეყო შენ და დავითი, მაინც რამდენი ხმალი უნდა გამოაწრთობინოთ თქვენ საწყალობელ

სამკედღურებში, ამ ბოცოქალასავით მომრავლებულ სელჯუქიანებს, თევჯისერს რომ ეყოს“.

ბაგრატოვანთა ძველ პალატებს ახალი დარბაზები შეემატა. ციხის თთხივე გალავნების გასწვრივ გამართეს იარაღისა და საკურველთა სათავსონი — „ზარდახანა“¹, საჯინბონი, მეფეს პირადი სპისა და ქონდაქართა, მსახურთა სამყოფლონი.

მახარას დაეინებული თხოვნისაგებრ განავრცეს და გაამდიდრეს უცხო ნადირთა და ფრინველთა საჩიხენი. მონადირეთა უხუცესის მიერ ირანს წარგზავნილმა სარწმუნო კაცებმა გულისტანიდან ჩამოიყვანეს ოცი წყვილი ავაზა, ამდენივე ჯიქი, ერთიც ბოკვერი ლომისა, ნაკრტენმშვენიერი თუთიყუშები, ფარშავანგები, ქორები და შავარდნები.

მახარა გახარებული იყო ამ ამბიანაგან, მაგრამ ხიფათმა არ დაიგვიანა, ქათმის კირი დაერია ფარშავანგებს, მხოლოდ ერთადერთი მამალი ფარშავანგი გადაურჩა ებიღემიას.

დარბაზონებისა და პალატების მშენებლობა მოთავდა თუ არა, კარის მხატვარმა, თევდორემ ქუთაისიდან ჩამოიყვანა ხეზე ამოტვიფრისა, ემალით ხატვისა და მოზაიკის ოსტატნი. მოხატეს და მოქიქეს ბაგრატიული პალატები, ახალი აზღებურად შეამკეს ფერწერის ოსტატებმა.

დიდის ხელოვანებით მოხატა კარის-მხატვარმა, სანადირო დარბაზის კედლები, თორმეტი თვის ემზღემებითა.

მარტს ფოლადისფერი ჯავშანი აცვია ტანზე, თავზე მუზარადი ახურავს. ცალ ხელში ამოწვდილი ხმალი უკირავს, ცალშიაც ეტრავი ასეთი წარწერით:

„არავის ვანებებ პირველობას, რადგან ეს მე ვარ პირველი მეომარი ყინულუთის მიმართ, მუდამ გვახსოვდეს: ყოველდღე უნდა შეუტოოთ მტერს.

¹ ზარდახანა — არსენალი.

აპრილი მწყემსია, იგი წინ მიუძღვის ცხენების რემას, თხების არვეს, ცხვრის ფარას, კამეჩების ჯოგს, ხარ-ძროხათა მროწლეს, ღორების კოლტსა და ამბობს:

„ეს მე ვკვებავ ქვეყანას ხორციით, რძითა და ყველით. მატყლსაც მე გაძლევთ და რქის მასალას, მშვილდ-ის-რისათვის. არა მარტო ამას, კამეჩის ტყავებსაც ფარების საკეთებელს“.

ვარდობის თვეს, მაისს ფერადფერადი ყვავილებისაგან გვირგვინი დაუდგამს თავზე, ცალ ხელში ერთადერთი წითელი ვარდი უჭირავს. აგრე ამბობს მაისი: „შენ თუ მართლა ბრძენი ხარ, შესდგემ ყოველი აყვავებული ხის ძირას, იისა და კონივარდას ყოველ ბუჩქთან და დასტკბი ამ სამყაროს ფერთასიუხვით.“

თიბათვე მკლავებწაქარწყებულნი, მზვარეში გარუჯული ვაეკაცია. მინდორს მისდგომია, თიბავს და ამბობს: მე რომ არ მოესულიყავ, განა მარტო თქვენ, თქვენი ცხენთა რემანი, ძროხათა მროწლენი, თხათა არვენი და ღორის კოლტნი დაიმშვეოდნენ“?..

მკათათვეს პურის თაველებისაგან შეთხზული გვირგვინით დაუმშვენებია შუბლი. ცალ ხელში ნამგალი უჭირავს, ცალშიაც თავთუხის თაველების ძნა. აგრე ამბობს:

„თქვენ რა იქნებოდით უჩემოდ? მე რომ თქვენი ბედლები არ ამეცსო, თავვის ღვლიებზევით ამოგზდებოდით სული“.

მარიამობის თვეც მზედაკრული ვაეკაცია, მას გოდრების, კალათების დაწენისაგან ქანცი გამოლევია. წყაროს-თავს მისდგომია, სალამურის ღერიდან მოწანწკარეს და ხარბად სვამს.

ენკენისთვეს მტევნების გვირგვინით დაუმშვენებია თავი, ყურძნით დახუნწული გოდრები და გიდელები გადაუკიდნია მხრებზე... წამომდგარან კროკოდილებზევით ხახადამჩენილი ქოცობები და ქვევრები, გარსშემოსევთან უფალს ენკენისთვეს და ევედრებიან: ვიდრჩობითო წყურვილისაგან.

ოქტომბერიც მშვენიერი ქაბუკია. მას

კავკასიური ჯიხვის ტყავის ქათიზი ჩაუცვამს, ფეხზე მთიულფერე მტრელი ჩითები, შვილდისარი მუშუმაჩრავს და დასდევს ძერასფერ ქარაფების კიდებში ხოხბებს, გნოლებსა და კაკებებს.

ნოემბერი მდუმარე და ბრძენი გუთნისდედაა. გუთანს მოჰკიდებია წელში მოღრეკილი, შავი ორნატებით სერავს დედამიწას. თავდაბლურად, გლებურად დუღუნებს:

„თუ თქვენ იმის ნაყოფი არ მიიღეთ ჩემგან, რომელსაც მე ვაბარებ დედამიწას, თქვენი ციხე-სასახლები, ქალაქები დაბნები და სოფლები უცილოდ დაიმშვეიან, ამიტომაც თქვენ ისევე ქედმოდრეკილნი უნდა იდგეთ ჩემს წინაშე, როგორც მე ვემსახურები ჩემს გუთანს.“

მცითმოსილ ქრისტეშობისთვეს საფქვავით გავსილი ტომრები აუკიდნია, წისქვილის კარზე დგას და ჩიფჩიფებს:

„მე თუ არაფერი დაგიფქვით აბა რა უნდა სკამოთ?“

იანვარი მამაცი მონადირეა, ფეხზე მთიულური ბანდულები აცვია, შვილდისრით გამოსდგომია ჯიხვებს, არჩევებსა და ირმებს.

თებერვალს, ძეწნის ალისფერი შტოებიდან დაუწნავს გვირგვინი, იგი იქადნის:

„ვერც უჩემოდ ივარგებდით თქვენ. ეს მე ვლენწავ ყინვის ბექთარებს კავკასიონის მყინვარების მკერდზე, ვერცხლის ბორკილებისაგან ვანთავისუფლებ ნაკადულებს, წყარობებსა და ბინულებს, ეს მე გახლავართ გაზაფხულის პირველი მაცნე“.

დავითი თავათ აღიოდა ხარაჩოებზე, დღენიადაგ ამოწმებდა მათ ნახელოვნებს ისეთივე დაქინებული გულმოდგინეობით, როგორც მხედრულ საქმეებში ეგ სჩეოდა მას. უკვე გავუთის, წალვისთავის და ბოჰორმის სასახლეთა განახლება უბრძანა მან ხუროთ-მოძღვართა უხუცესს.

ლის ხასიათთა შორის წარმოშობილმა სხვაობამ.

უკვე სამეფო ტახტზე ასული ვაჟი იგავური ენით ამხელდა მუდამ მოლხენილი და სტუმართმოყვარე გიორგის ხასიათისმიერ ზალს.

მამის გასაგონად ასეთ რამეებს იტყოდა ხოლმე დავითი:

...გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა ისევე სააუგოა, როგორც წრესგადასული სიძუნწე. ვინც სულიერ სიცალიერეს განიცდის, აგი სტუმრიანობას ნატრობსო ნიადაგ.

...ლბინი მოგებულ ომებს შეენისო და არა მოსალოდნელ ომიანობას.

...ზოგჯერ ისიც მომხდარა ხოლმე, რომ უმეცარ მეფეებს ოქრო დაერიგებინოთ მოედანზე შეკრებილთათვის, მაგრამ იგივე ხალხი სხვა დროს ქვებს მოაქუჩებდა, და ესროდაო უჭუო მეფეებს.

...ვაჟაკი იგი როდია ვინც პირველ ომს მოიგებს, არამედ თავის სიცოცხლეში უკანასკნელსაც... და ამგვარი რამ ესმოდა თავის ვაჟის პირიდან მამას.

ყოველივე ამან გული გაუგრილეს გიორგის.

დედისიმედის გადაკარგვის შემდეგ მან შენიშნა: რარიგ უსიტყვოდ იტანჯებოდა დავითი, გიორგი ერთხანს შეეცადა მოზშირებული ნადიმებით გაემხნეებინა იგი, მაგრამ მის დაღერემილ სახეზე ასეთი რამ ამოიკითხა: ეს ყოველივე ეპიანობის დროს გამართულ ნადიმებსა ჰგავსო.

სწორედ ამიტომაც გიორგი მეფემ შეამცირა სტუმრიანობა ნაჭარმაგების სასახლეში. აიყოლებდა თავის მესათხვევებსა და მონადირეებს, სვიანი ნადირობის შემდეგ სადმე ტყეში განმართავდებოდნენ გამარჯვებული მონადირენი, თავის სიყრმის მეგობარს, ჟღარუნას გვერდით მოისვამდა და ბუნების წიაღში განაგრძობდა თრობის ღმერთის, ბახუსისადმი სამსახურს.

უფრო დიდი ამბების გამოც ჰქონდათ უთანხმოება მამასა და შვილს:

მახარა მთელი წლის მანძილზე ამხნედა თუ როგორ იტანჯებოდა საერთოდ სიტყვაძვირი დავითი, თუმცა თავათვე იტყოდა ხოლმე იგივე: სატანჯველს ამსუბუქებსო თქმა და ისიც მონიშნებული ჰქონდა: თქმა ქნაზე უფრო ძნელი რომ არის, ხანდახან.

დედისიმედის გაუჩინარების შემდეგ დავითმა უცნაურად იცვალა ზნე... არც პოლოს თამაშს ეტანებოდა, არც ნიანისა, მახარასა და ჯონდისთან შექცევას. ღვინის სმას განერიდა, ხორციულის ქამას უკლო, განმარტობას ეძებდა ნიადაგ, თუმცა სცდილობდა კიდევაც, მახლობლებს არ შეენიშნათ ეგ.

გიორგი მეფე თავათაც მტყივნეულად განიცდიდა თავისი ერთადერთი ვაჟის ეგზომ დამწუხრებას, თუმცა ლამეები არ ეძინა, მაგრამ ომებში ნაწრთობი ვაჟაკი საღიაციო საქმედ სთვლიდა მწუხარების თუნდაც უბრალოდ გამეღაცნებას.

მთლად უცნაური მამაშვილობა ჰქონდათ გიორგისა და დავითს. მამა შეფარვულად ატარებდა, შვილისადმი სიყვარულს და ეს მოდიოდა იმის შიშით, ქალაჩუნა არ გამოვიდესო ვაჟი.

იგიც იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ვერ შეიჩინებდა სისასტიკეს ხასიათისას, რაც ეგზომ ესაჭიროება მეფესა და სარდალს.

ომებიდან, ან ნადირობიდან შინშიბრუნებული გიორგი თორის გაუხდელად დაიჩოქებდა ბავშვის სასთაულთან და კოცნიდა მძინარეს. მეორე დღეს „მრისხანე მამის“ საფარველით შეინიღებოდა ერთ ალერსიან სიტყვასაც არ მიუგდებდა ყმაწვილს.

სახელმწიფური უღლის ნადრევად დადგამ, ადრე დაავაჟაკა დავითი, ამიტომაც ადრე იძინა თავი მამა შვი-

გიორგი მეფე ომის ძველებური საომარი ხერხების მომხრე იყო. მას მტკიცედ სწამდა რომ ბრძოლაში გადაწყვეტი იყო მძიმედშეკუთრებული აზნაურებისაგან შემდგარი რაზმეულების შეტევა.

ქვეით ჯარს ქვეს მსროლელებად და მთებიდან საგორავების დასაშენად იყენებდა იგი.

დავითმა მდამბორების, უბრალო მონასტების ცხენზე შესმა მოინდომა, ამ საქმეს კი დიდი რაოდენობის ცხენთა რემანი ესაჭიროებოდა.

როგორც ბიზანტიური, ისე არაბულ-თურქული წყობის მცოდნე დავითი სხვაგვარადა აწყობდა თავის ლაშქარს. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი როლი ჰქონდა ცხენს როცა ლაშქარი ლაშქარს შეხვდებოდა გაშლილ ველებზე. ამ შემთხვევაში ქვეითი მოისარები და შუბოსნები ვერ უძლებდნენ ცხენოსანთა შემოტევას.

თავისდროზე ჯონდი ერისთავმა უბატაკა მას: ჯვაროსნების ცალკეულ დამარცხებათა მიზეზი ის იყო, რომ თურქებმა პირველ ბრძოლებშივე დაუხოცეს მათ ცხენები, ასე რომ გოტფრიდ დე ბუაონს, ბალდვინსა და ბოჰემუნდს, სულ ასიოდე ცხენი შერჩათ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების შემდეგ.

ახლები მათ ვერ შეიძინეს სირიაში, ევროპიდან ცხენების ჩამოყვანა არ იყო ადვილი, ხოლო თვით თურქებს გამოუღვევლად მიჰყავდათ ცხენები კასპიის გადაღმეთიდან და ირანიდან.

გიორგი მეფე აგრე ამტკიცებდა: კარგი მეომარი ქვეითადაც ისევე მამაცი უნდა იყოსო, როგორც ცხენზე გადამჯდარი, მაგრამ დავითი და ჰყონდიდელი მაინც თავისას არ იშლიდნენ: ცხენების შესაძენად აგზავნიდნენ დალალებს კავკასიონის მთიანეთსა და შირვანში...

ცხენები!
ცხენები!
ცხენები!

პირზე ეკერათ დავით მეფესა და მის სპასალარებს.

გიორგი მეფე ამისთვისაც ჰქირდავ-

და მათ: ჩემი სახელმწიფოს საკუთრებულნი ცხენებს შეაჯამესო.

გარდა ამისა, გიორგი მეფე უსაზნაო ამბავად სთვლიდა ხანდაზმულ ეპისკოპოზთა და ერისთავთა გადაცილებას, თავის დროზე იგი პურმარაილის, ნადირობის და დასახურების მეშვეობით ახერხებდა თავაწყვეტილი ფეოდალების მომლორვას.

მას შემდეგ რაც დავით მეფემ ლიპარიტს, რატის და აღსართან კახთა მეფეს განპატრება მოუწყო, უკმაყოფილო ეპისკოპოზებმა და ერისთავებმა ხმა ჩაიკმიდეს, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ გესლის ნთხევას...

გიორგი მეფის ყურამდის მიდიოდა მათი ღვრტვინვა, ამიტომაც შიშობდა იგი: ვა თუ ამ პირებმა დრო მოახლოონ და სამაგიერო მიუზღონო დავით მეფეს, ისე როგორც ეს მოუწყვეს სომეხთა მეფეს, გაგიკს, პეტრე სომეხთა კათალიკოსმა და ეპისკოპოზებმა თავის დროს.



როცა სახელმწიფოური საქმეები მოზღვავდებოდნენ, დავითი ვაზირთა უპირველესთან ერთად ჩაიკეტებოდა საგამგეოს დარბაზში და მხოლოდ ნაშუაღამევს მიაცილებდნენ მას მემამხალეთუხუცესი და სამი მემამხალე თავის საწოლის დარბაზის კარებამდის...

დილით ადგებოდა თუ არა, ნადირთა და უცხო ფრინველთა საჩიხში მიდიოდა, სიამოვნებდა ავაზებისა და ორბების თვალბში მოგიზგიზე შრისხანების ქვრება.

უსიტყვოდ ისაღილებდა, ინახით მწოლარე წინ დაიდებდა საკითხავებს და უსმენდა თავის „მიცვალბულ მრჩეველებს“, როგორც თავათ უწოდებდა ხოლმე წიგნებს.

სალამობით, როცა მარიამ დედოფალი, ნინია, ან მახარა მოინახულებდნენ, ისე შეკრთებოდა იგი, როგორც კაცი, რომელსაც უცხო სტუმრების წვევა არ იაზა.

ბოლო ხანს ნადირობაზედაც აიყარა გული, ხანდახან ხათრს ველარ გაუტეხდა ნიანიასა და მახარას, ჯერგას დასრულებამდის ერთბაშად გაეპარებოდა ქარიმან სეტიელს, თანაწარიტანდა თავის ერთგულ მეაბჯრეს, ქუჯი ალანიას და მეხმლე გიორგას, უჩინარად აღიოდა ჩრდილის კოშკში და კვლავ მიმართავდა თავის „მიცვალებულ მრჩეველებს“.

ასეთ დროს დერეფნებში ფიზილობდა საბია, დიდსა და მცირეს ტუჩზე აფარებდა ხელს, ყველას არწმუნებდა: სძინავსო პატრონს...



ერთ საღამოს ნაქარმაგვეის ციხე-სახსლის პირველ გოდოლს ორი ჯოროსანი მოადგა, დაქვეითდა სომეხი ვართაპეტი, ჯორი თავის მეჯორეს მიუგდო, ციხისთავს ეახლა, თავაზიანად შეეკითხა სად ბრძანდებო, ქარიმან სეტიელი?

უპასუხეს:

უფლისციხეს არისო წასული.

ვართაპეტი წასვლას დაადგა... სწორედ ამ დროს მახარა და მისი მესათხველენი ციხეში მობრუნდნენ ყვითელ კალმახზე ნადირობიდან.

მახარამ შორიდან გაიგონა თუ რა უპასუხეს მას. უცხო სტუმრის ჩაქმულობა თვალში მოხვდა საკურისს. კაშვირის შავი, ბერული ჩოხა ეცვა, მსხვილ-ძეწვეკიანი ოქროს ჯვარი ცისერზე ეკიდა. თავი ამაყად და დარბაისილურად ეჭირა ახოვანსა და თეთრწვეროსანს.

მახარა წამოეწია და შეესიტყვა: ვინა გნებავსო, მამაო?

ვართაპეტმა ჯერ ახედდახედა საკურისს, ვინაობა გამოკითხა, ბოლოს მდბალი საღამი მისცა, განზე გაიხმო და ამცნო მას ასეთი ამბავი:

იერუსალიმიდან ჩამოსული დამასკში ვეწვიე ჩემს ნათლიმამას, ღვინის დიდვაქარს.

და მამცნო ამ კაცმა ასეთი რამე: გასულ შაბათს მონათა ბაზარზე უკიყვიე, მსახურის შესასყიდლად, შირაშეყნერი ქალი ვნახე ერთი, ტყუბის ცალივით პგავდაო ლიპარიტის ქალს.

შევეკითხეო კიდევაც მაგ დიდვაქარს, შენ საიდან იცნობო ან ლიპარიტს, ან მის ქალს?

აგრე მომიგო: შეიდ წელს მეღვინე-უხუცესად ვყავდიო ლიპარიტ ამირას თავის სასახლეში მანგლისში, ჩემს თვალწინ გაიზარდაო მისი ქალი, დედისიმელი.

მახარამ მესტუმრეთუხუცესს მოპგვარა ვართაპეტი. უბრძანა: ფეხი დაბანეთ, ასადილეთო.

ნამგზავრმა სტუმარმა ხელპირის დამბანელს მადლი მიუძღვნა, სადილზე უარი სთქვა: მე და ჩემმა მეჯორემ ვისადილეთო გზაში.

მახარამ ეს ამბავი დაუყოვნებლივ ამცნო გიორგი მეფეს და ორივე დედოფალსა და ნიანია ბაქურიანს.

როცა მესტუმრეთუხუცესმა ვართაპეტი შემოიყვანა, გიორგი მეფემ თავათ შეიცნო იგი. ვაპარშაპატში წარუდგენია იგი სომეხთა კათალიკოსს იოანეს მისთვის, სწორედ იმ წელს, როცა მალიქ-შასულტანს ისპაჰანში ესტუმრა გიორგი.

სტუმარი ხელზე ამბორით დაემშვიდობა მეფეს, გიორგიმ წამუყო მახარას: დაასაჩუქრეთო ვართაპეტი. მან თავაზიანი უარი მოახსენა მოლარეთუხუცესს, ოქროს დუკატები უკან დაუბრუნა, აგრე სთქვა: მე ჩემი ქრისტიანული მოვალეობა შევასრულო მხოლოდ და ამისათვის გეახელითო.

ეს ამბავი სულ მალე მოედო მთელს სასახლეს, მაგრამ ვერაეინ ბედავდა დავით მეფისათვის ემცნო იგი, რადგან ერთი წლის მანძილზე ბარე სამგზის ხმა დააგდეს ვილაციებმა: საკულთარი თვალით ვნახეთო ლიპარიტის ქალი.

ქარიმან სეტიელი მიაკვლევდა მოამბეს, მოამბე ახლა სხვა მოამბეს მიაწერდა ნათხრობს, სხვა კიდევ სხვას და უშედეგოდ თავდებოდა ამღვინი ძიება.

ბოლოს ეს ყოველივე მათხოვრობისა და ფულის გამოძალვის საგნად იქცა.

სწორედ ამიტომაც სასახლეში გადაწყვეტილი ჰქონდათ: არც არაფერი ემცნოთ დავითისათვის ამგვარი, რადგან საჭიროდ არა სთვლიდნენ მისი, ასე თუ ისე მოშუშებული ქრილობების კვლავ განახლებას.

განსაკუთრებით ნიანია ბაკურიანი ადგა ასეთ აზრს. იგი მით უფრო გონივრულად იყო მიჩნეული, რამდენადაც როგორც თავათ დავითი, ისე მთელი სასახლე დღედღეზე მოელოდნენ სტეფანოზ წილკნელს, რომელმაც გასულ ზამთარს მოიწერა შარალანიდან: აქ ყოველივე მზად არის, გაზაფხულზე ჩამოვალთო.

სტეფანოზს ერთადერთი საკითხი აწუხებდა: რა გზით ჩამოეყვანათ შარალან-შარალანიძის ასული და ყიფჩაღთა ერთი ტომი?

ქაშაგებს და ჯიქებს ველარ ვენდობით, საეჭვოა უომრად გამოგვატარონო მათ.

დარიალის ზევით წამოვიდეთ? ყიფჩაღნი და ოვსნი ჯერაც შუღლობენო.

დავით მეფეს ვედრებოდა წილკნელი სტეფანოზ: ოვსეთს წარეგზავნა სარწმუნო კაცნი, ოვსებსა და ყიფჩაღებს შორის მშვიდობის საყოფად.

ვართაპეტის მიერ მოტანილმა ამბავმა ძლიერ დააფიქრა თვით უღარდელი გიორგი მეფე. მთელი ღამე არ ეძინა.

დიოფალს ელუნეს ეთათბირებოდა:

რა ვქნათ, რა ქვა ვიცეთო თავში?

მეორე დღეს მოიხბო გიორგიმ ნიანია, მარიამ დედოფალი და მახარა, შესჩივლა მათ: ვინ ამცნობსო ამ ამბავს დავით მეფეს?

სდუმდა ნიანია ბაკურიანი, თვით როყოი მახარამაც შორს დაიჭირა ასეთი რამ. დამასკიდან მოსულ ამბავს დამაჯერებლობას ჰმატებდა ის გარემოება, რომ სომხის ვართაპეტი ასეთი უანგარო გრძნობისაგან შეძრული აღმოჩნდა. უკან დააბრუნა მან ოქროს დუკატები და პურმარილის მიღებაც არ ისურვა.

ორი დღეც გავიდა, არავის ეყო გამბედაობა ეს ყოველივე დაეფიქრებინათ. მისთვის მოეხსენებინა.

მესამე დღეს, დილის ექვს საათზე დავითმა მესტუმრეთუხუცესის პირით მოიხბო: ნიანია, და ქარიზან სეტყელა.

ჯერ სამივეს მოავლო თავისი დიდრონი, თაფლისფერი თვალები და უთხრა:

„ნუთუ არაფერი გაქვთ ჩემთვის საუწყებელი?“

დუმილი ჩამოვარდა დარბაზში. ბოლოს ისე მახარამ მოიკრიფა მხნეობა და წაიდუღუნა:

„საუწყებელი დიხაც გქონდა, მაგრამ გამბედაობამ გვიმტყუნა, ჩვენო პატრონო“.

„... ეს ყოველივე გასაგებია. ამ შემთხვევაში ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. შესაძლოა უბრალო მზგავსების ამბავიც იყოს, ვინ იცის... არც ისე იშვიათია ერთი ადამიანი გარეგნულად წააგავდეს მეორეს. თქვენ კარგად იცით, მეცა მყავს ორეული, ჩემს სპასალარს, შტორა მორკნეველს მამგვანებენ ხოლმე.“

მახარას გაეცინა და მეფემ განაგრძო:

მამიჩემისგან მაქვს განაგონი: სულკურთხეულ პაპაჩემს ბაგრატს, დიღმელ ერთ მეწისქვილს ამზგავსებდნენ თურმე ზედმიწევნით.

ასე რომ თავი გააბეზრეს ცალკერძ პაპაჩემს, ცალკერძ მაგ მეწისქვილს.

ცნობილია: ბაგრატოვანთა გვარის მეფეებს, ჩვეულება ჰქონიათ თურმე აგეთი: მდაბიორად და გადართვამდნენ და ისე დადიოდნენ ხალხში. ამიტომაც დიღმეში ჩასულ ბაგრატ მეფე ჰგონებიათ ხოლმე ის მეწისქვილე.

ლბინის დროს ეზუმრებოდნენ კიდევაც ბაგრატს თავისი ერისთავები:

ტახტი და გვირგვინი არ წაგართვა-სო იმ დიღმელმა მეწისქვილემ.

სწორედ იმ წელს, როცა ბაგრატმა პირველად აიღო ტფილისი და ამირა გააქცია, ისნის სასახლეში იხმო დიღმელი იგი მეწისქვილე და ჰკითხა:

გვირგვინში ხომ არ მეცილებით ძიაცო?

მეწისქვილე ენამწარე აღმოჩნდა:

რა ქირად გეინდაო შენი გვირგვინი მეფეც, ბატონო?

რათაო? უკითხავს ბაგრატი.

რიპთენინაო და შესაძლოა შენ შენს გვირგვინს თავი გადააყოლო, ზოლო მე, ჩემი დამტყრეული ჩაჩი და ეს გაოხრებული თავი სიკვდილამდის შემარჩებიანო...

ეს იგავი უთხრა სამივეს დავითმა და მერმე ანაზხად მიადგა საუწყებელს:

„მეორეს მხრით აქ შეუძლებელიც არაფერია, განა ცოტა მაგალითი ვიცით იმისა, თურქ მეკობრეებს დიდაზნაურთა ქალებიც გაეტაცნოთ? თუნდაც არტანუჯისა და შავშეთის ერისთავთა ქალ-რძალნი?“

ისიც მომხდარა, რომ ოქროთი გამოუსყიდნოთ გატაცებულნი, რადგან ოქრო ხანდახან ხმაღზე უკეთა სჭრის.

თქვენ რას იტყობით? ხომ წარგზავნოთ მსტორეები დამასკს?

თუ გნებავთ სხვაგანაც, თუ დამასკში ვერ მიაკვლიეს, პალები, მოსული და ბაღდადი მოიარონ, თუ ჯვაროსნებსა და სელჯუკებს დროებითი ზავი ექნეთ ჩამოგდებული, იერუსალიმსაც უწიონ, ყველგან მოჩხრიკონ მონათა ბაზრები.

ეგეც არ იყოს ჩვენ დიხაც გვესაქიროება გავიგოთ, თუ რას იქმნან ჩვენი მტერ-მოყვარენი ჩვენს საზღვრებს გადალმა.

მერწმუნეთ, ის მეფე უცილოდ შლეგია, ვისაც მართლა ეოცნებება თითქოს მისი ქვეყნის ბედი მარტოდენ მისივე სახელმწიფოს საზღვრებში წყდებოდეს.

ხომ საქებარია მეგობართა ზედმიწევნით შეცნობა. რამდენადაც ზოგჯერ შესაძლოა, ვითომდაც მეგობარში აღმოაჩინო მტერი, მაგრამ მტრის გაცნობა უფრო მეტად საშუროა, არა მარტო ეგ, მოუცილებლიცა.

რეგვენია განა მარტო იგი, ვინც თა-

ვის მტრის ძალების გაცნობას არ მიესწრავდის, არამედ — იგიცა, ვინც მტრისაგან არ სწავლობს ნიადაგს.

ჩემი მტრები ჩემი მასწავლებლებიც ყოფილან ხანდახან, რადგან მე მათთან ბრძოლაში ჩემს სისუსტესა და ზადს მოგჩხრეკდი ზოლმე, ღონეს მოვიკრეფდი, კვლავ ვეკვეთებოდი და ვებრძოდი მანამდის, სანამ მათ სისუსტეს არ დამანახებდა მათთანვე ბრძოლა“.

სამივენი გაოცდნენ, მათ ჯერაც არ ენახათ აგრე ხანგრძლივად მოუბარი მეფე. რაკი დავითმა შეატყო, არავინ აპირებდა რაიმეს თქმას, თავათ განაგრძო.

„უკვე მესამე თვეა, რაც უნეტარესი იოანე კათალიკოსი ქართლისა და ღირბელი ეპისკოპოზი მაქსიმე გვთხოვენ ნება დავართო როგორც ღირბის მონასტრის, ისე შიდა ქართლის ზოგიერთ მონასტერთა და მათი მამულების გამოსაღები გადაუგზავნოთ იერუსალიმის ქართულ მონასტერთა წინამდგომებს, ისე როგორც ეს ხდებოდა მამიჩემის პაპის — გიორგის და სულკურთხეული პაპიჩემის, ბაგრატის შეფობის ეამს.“

მე და გიორგი ჭყონდიდელს განსხვავებული აზრი გვაქვს ამ საქმის გამო.

მოგეზუნებათ ეს დიდძალი თანხა მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი, არ დაგვაფიწყდეს, იგი ვერცხლის მონეტების სახით უნდა გადაგვზავნოთ უცილოდ.

გადაგვზავნოთ იგი ხუფთიდან კონსტანტინეპოლს, ზოლო იქიდან იერუსალიმს, ანტიოქიის გზით? შეუძლებელი არაა, იკონიელი სელჯუკიანების აკინჯი საქარავნო გზებზე არ გამარცხავს ჩვენ წარმოგზავნილებს.

გავგზავნოთ კაცნი სარწმუნონი საქართველოს ყელით, არზრუმზე გავლით? იმ მხარეში, როგორც ვიცით, დიდი აღრევაა. სომხებს, ლაზებსა და ბერძნებს განუკითხავად ატყვევებენ და მონათა ბაზრებზე ჰყიდიან.

ჩვენ დავერჩენია მესამე გზა, ვაპარ-შაპატი, ისპაჰანი, ბაღდადი და იერუსალიმი...

ამ გზებზე მისვლა მოსვლა მუდამაა, მაგრამ ქარაენებს ხშირად თავს ესხმიან როგორც აკინჯის, ისე ბედუინთა ბრბოები, როგორც ამბობენ სამწუხაროდ არც ჯვაროსნები თავილობენ მეკობრეობას.

მამასადამე საჭიროა ამ გზის წინასწარ შესწავლა.

ჯოჯიკისა და არამაის არშარუნის სხვა საქმეც ბევრი აქვთ ისპაჰანში.

თუ ჩვენ ისლამურ ენებში გაწვრთნილ, მამაცსა და მოხერხებულ მსტოვარებს გამოვძებნით, ჩვენ დიახაც გვესაჭიროება ვიცოდეთ თუ რა ხდება განა მარტო ირანში, სირიასა და მესოპოტამიაში, ამ ქვეყნების გადაღმაც.

რომელი ამირი ებრძვის ამ ქამად ისპაჰანელ სელჯუკიდებს? რას აკეთებს თუნდაც ამირთა შორის უმდიდრესი და უძლიერესი ამირა მარდინისა, ნეჯმედდინ-ილლახი?

რას აპირებენ ასასინები და ჯვაროსნები, მიმძლავრებული ჩვენი თანამოქმენი სომხები და ბერძნები? ან დანარჩენი მტრები სელჯუკიანი სასულტანოსი?

ხომ გასაგებია, რომ ჩვენი მტრების მტრები — ჩვენი მეგობრებია და მათი ვითარების შეცნობაც საშურია ამქამად, რადგან ამჟამინდელი დუმილი და მშვიდობა ქვეყნების მოლოდინში გატყინული ბუნების გაყუჩებასა უფრო გავს, მე აგრე ვფიქრობ“...

უსიტყვოდ შეატყო მეფემ სამივე გულხშიერად მოეკიდა ამ აზრს.

„გარდა ამისა, დასძინა დავითმა, ჩვენ უნდა შევისწავლოთ თუ რა გვარი ლაშქრისწყობა აქვთ ამქამად სელჯუკიანებსა და ჯვაროსნებს.

ჯონდი ერისთავის იმ ქვეყნებიდან ჩამოსვლის შემდეგ საკმარისი დრო არის გასული. შესაძლოა ამ ხნის მანძილზე სიახლე რამ შეეტანათ სელჯუკიანთ ციხეთა დაცვის, მათი აღების,

ან ლოდსატყორცების, ვერძებთან ან საალყო კოშკების აგების საქმეში.“

ახლა მთავარზე უმთავრესია: „შესაფერი პირობის გამოძებნა, არა?“ სთქვა მეფემ და სამივეს შეავლო მზერა. ნიანია და მახარა სდუმდნენ, ხოლო ქარიმან სეტყელმა ითხოვა აზრის გამოთქმის ნება.

თურქყოფილი ლულუ ბენ ჰაიდარ დასახელა ქარიმანმა. დავითმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად... რაკი ქარიმანი კვლავ დადუმდა, მეფემ იკითხა: კიდევ ვინ გეგულებათო? და ისევ შეავლო სამივეს მზერა.

მახარამ სთქვა:

„ურიგო არ იქნება სიტყვები ქორაც დავასახელო, მან თავი ისახელა ლიპარიტის დროს ციხეებში შეპარვით, თურქულიც ხომ ჩინებულად იცის“. მისი ერთადერთი ზადი ისაა, რომ იგი კუზიანია, რა უშავს მერმე, ჩასასიძებლად ხომ არ ვაგზავნით არა?“

ნიანიამ გაიღიმა და სთქვა:

„ხახუტაც რომ გავაყოლოთ, არც ეხიქნებოდა ურიგო“.

მეფემაც კარგად იცოდა: ხახუტას დაშხამული ისარი მოხვდა ხორნაბუჯის ციხის აღებისას. მერმე ის იყო, ფხოველმა დოსტაქარმა დუშომ მუხლს ქვემოდ მოხერხა მას ფეხი და ძელისა მოარგო.

ეს არ უშლიდა ხახუტას მოგზაურობას, ცხენზე ჯდომასა და ხმლის მოქნევას.

ოხუნჯობდა კიდავაც იგი: ააშენოს ღმერთმა თურქები, მარჯვენა ფეხზე საბარკლული არ დამჭირდებაო.

არც ლულუ ბენ ჰაიდარის გამო გამოუთქვამს ვინმეს იქვი, თუმცა იგი ცალთვალა იყო, კაცმა რომ სთქვას ლულუს სახელის გარდა სხვა არაფერი ჰქონდა თურქული. მისი პაპის, პაპის, პაპა ლულუ ბენ ჰაიდარ, ტყვედ ჩავარდნია ქართულ ლაშქარს 988 წელს, როცა სომხეთში, დავით კუროპალატმა და სომეხთა მეფემ გაგიკმ პირველმა შემუსრეს ამირა მამლუნი.

რადგან თურქებს გვარი არა აქვთ, ეს ორი სახელი ოთხი თაობის მანძილზე მეორდებოდა. გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის დროს, ლულუს წინაპრები ხან თარჯიმანები იყვნენ, ხანაც მეჯინიბენი, ცხენების მცნობნი.

უკანასკნელი ლულუს მამა — ჰაიდარ ბენ ლულუ მეჯინიბეთ ჰყავდა ნაქარმაგევში დავითს, ცხენის ქოთამ მოკვლა იგი.

მახარამ გამოჩნობა საჯინიბოში მისი ერთადერთი ვაჟი ლულუ, რომელსაც ზეპირად დაესწავლა უფრანი. ჯერაც უწვერული ყმაწვილი. ავჭალის ბრძოლაში დასტურეს სარკინოზებმა ლულუ და ტყვედ წაიყვანეს.

როგორც თურქყოფილი სასტიკად დასაჯა იგი ტფილისის ამირამ, მარჯვენა თვალი დაათხრევინა მისთვის, რათა ფარი ვერ მოეხმარა ბრძოლაში.

გაბორტებული ყმაწვილი შურის ციხიდან გამოექცა ამირას, დიდროას დროს მტკვარი გადალახა და ზედაზენის ციხისთავს გამოეცხადა. ციხისთავს ჯერ ამირას მსტოვარი ეგონა, მაგრამ ლულუმ ისე შეაყვარა თავი ციხისთავს, ამ უკანასკნელმა დავითს წარუდგინა იგი.

დავითმა დააჯილდოვა ლულუ, თურქულსა და არაბულში მისი განსწავლულობა შეამოწმა, არსენ იყალთოელს გაუგზავნა გრემში. იყალთოელმა ჯერ მონათლა ლულუ, ბოლოს გამოწერთნა ღვთის მეტყველებასა და რიტორობაში და დავით მეფეს დაუბრუნა ნაქარმაგევში.

ეს იყო ოღონდ, ქაბუჯი ვერ შეეგუა იყალთოელის მიერ შერქმეულ ბერძნულ სახელს, ანტიპოდისტეს, ასე რომ ნაქარმაგევში მას ეძახდნენ ისევე ლულუს.

თავდაპირველად დავითს განზრახული ჰქონდა თავის სარწმუნო კაცად წარგზავნა ხალიფას კარზე ბალდას, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა, რადგან მან კარგად იცოდა რომ არსად იმდენ მნიშვნელობას არ მიუტყვავენ ხოლმე

ადამიანის აღნაგობას, რამდენსაც აღმოცავლეთში.

მეფის დავითის ბრძანებით მუხრანში წარგზავნა ქარიმან სეტიველმა ისპაჰანს, ოქროს ბოტინატები და დირჰემები თან გაატანეს, სამი მეჯორე გააყოლეს, ორიც მეკარვე.

• •

ერთი კვირის შემდეგ გიორგი ჭყონდიდელს დააკისრა დავითმა დიდ-დიდნი საქმენი საქვეყნონი, ხოლო თავათ დარიალის ხეობაში გაემგზავრა მოულოდნელად. თან წაიყვანა კალატონი, მჭედელნი და ხურონი. წინასწარ დიდძალი საშენი მასალა გაატანა ქარიმან სეტიელს და ჩუხჩებს.

• •

ჯვარისმტვირთველი წინ მიუძღოდა მეფესა და ტარეულს, მეჯინიბეთუხუცესს და მისრატულთუხუცესს უკან მოყვებოდნენ მისრატულნი და მეჯინიბენი, მესაწოლეთუხუცესს — მესაწოლენი, ბარგისუხუცესს — დავით მეფის საკითხავეებით დატვირთული სიკისტრონი, ხოლო ამ უკანასკნელთ, სამეფო კარგის მზიდველი ჯორებანი შეიღებულნი.

• •

ამ დღიდან ლოდინი მძიმედ დააწვა ნაქარმაგევის სასახლეს, ელოდნენ დავით მეფეს, ელოდნენ გიორგი ჭყონდიდელს, მოუთმენლად მოელოდნენ ლულუ ბენ ჰაიდარის უსტარს დამასკიდან.

დავით მეფე იენისის დამლევს უნდა ჩამოსულიყო ხევიდან, სადაც დღე დღეზე უნდა დაემთავრებინათ დავითის ციხე, რომელაც დღესაც შეუშუსვრელი დგას დარიალის კარებთან, რაღაც უცნაური გაუგებრობის მეოხებით „თამარის ციხედ“ წოდებული მოაქვამადის.

მარიამ დედოფალი დღენიადაგ ჩრდილის კოშკის აივანზე იყო, მის ფერხთით მუთაქებზე მგდარი კუროპალატისა მელიტა უკითხავდა პლატონს, ხანაც მოაჯირზე გადაყრდნობილი ვასცქეროდა დარიალიდან მომავალ გზას.

„რა გახდა ეს დავითის ციხე? ნაბუქუდონოსორის გოდოლს ხომ არ აგებს დარიალში მეფე?“ ეუბნებოდა მახარა მარიამ დედოფალს.

მტერში ამოთხვრილი მალესმრბოლები მოაგლეგებდნენ გაჭაფულ ცხენებსა ისპაჰანადიდან, ვაჰარშაპატიდან, ნიკოპსიდან, ტაოსკარიდან, უხმოდ აბარებდნენ პირველი გოდოლის მეკარეს დაბეჭდულ გრაგნილებს, მაგრამ მათი ამომკითხველი არავინა სჩანდა.

გიორგი ჭყონდიდელი მანგლისს იყო წასული ექსორაქმნილი ლიპარიტ ამირას სასახლეთა, საჭურჭლეთა, და ზარდახანათა აღსანუსხავად. რადგან იმ დროს ექსორიას — გადასახლებას „მამეულის დამპირვანაც“ თანაც სდევდა კანონის მიხედვით. ჯონდი ერისთავს თრიალეთის ციხეთა დათვალიერება დააკისრა მეფემ.

შერგილ ლიპარტიანი, ბეშქენ ჯაყელი, ბარამისძე და არიშიანი ლაშქართა წვრთნით, ცხენების შესყიდვით და საჭურველთა შექმნით იყვნენ საერისთაოებში გართულნი.

გიორგი მეფე საბოლოოდ ჩამოცილდა სახელმწიფო საჭმეებს. ხანგამომვებით წამოუვლიდა ბრაზი, გაჰქირდავდა „მოუსვენარ“ დავით მეფესა და გიორგი ჭყონდიდელს, კვლავ ნადირობას და მოლხენას მიჰყოფდა ხელს.

ეხლა უფრო ხშირხშირად იმეორებდა იგი თავის შეგონებას: „ეს სოფელი ბაღლის ნიფხავსა ჰგავს ვეო, მასავით დასვრილია და მოკლე“.

იმ წელს სეგებდნებრად გადაურჩა იხვზე, ბატისა და ტყის ქათამზე ნადირობას, მაგრამ ნაქარმაგვეის ფშანებში ყვითელი კალმახის ჭერისას გაცივდა

და ლამის არ იყო გადასახლდა მამიაპათა მარადემულ სამყოფლში.

ბოლოს მაინც თავისი გაიტანა რმებში და ნადირობაში ნაწრთობმა ჯანმა, როგორც კი ცივი ტლევები თავიდან მოცილა, ბუხართან მიჩოჩდა, მწდე თავზე აღგა და ნებიერად წრუპავდა ანადულარ წითელ მუხრანულს, ხანაც საბიას, მემამხალეთუხუცესს დაისვამდა ფერხთით, ფეხებს აფხანინებდა, ან არა და ასოთსამღერალს გადმოაღებინებდა საწიგნედან.

საბია მუხლის თავზე დაიდებდა უზარმაზარ ფოლიანტს. შემდგომ ამისა ასეთი დილოგი გაიმართებოდა ხოლმე მეფესა და მემამხალეთაუხუცესს შორის:

გიორგი: „...თუ ქუთუთოს ზემოდ მარჯვენა წამწამი გემღეროდეს?

აბა ნახე რა სწერია, საბიაე?

საბია: „შეკირვების შემდეგ გამხიარულდეს, დანიელ წინასწარმეტყველს უთქომს“.

გიორგი: „თუ მარცხენა წარბი ქუთუთოიანად?“...

საბია: „სტუმრიანობა იცის“.

გიორგი: აღელვებული ჩაჰკითხავდა: „აბა იგიც ნახე ვის უთქვამს, ბერიკაცო?“

საბია: „დამაიწყდა მეფეე ბატონო მე გამოჩერჩეტებულს, აღექსანდრე მაკედონელს უთქომს“.

გიორგი: „თუ მარცხენა, ცხვირის კილო ემღეროდეს?“

საბია: „იმედიანი ამბავი, ან სტუმარი მოვიდეს. დანიელს უთქომს“.

გიორგი: „თუ ნიკაბი გემღეროდეს?“

საბია: „მტერი მოვიდეს ახალი“.

გიორგი: „ეჰ, ამ უბედურ საქართველოს თუ კიდევ მტერი აკლია!“ გიორგი სდუმდა ცოტა ხანს და მერმე განაგრძო:

„თუ მარცხენა ნესტო გემღეროდეს?“

საბია: „ცოლს შეერთავს, დანიელს უთქომს“.

გიორგი: „ეჰ, ნეტავ ერთხელაც არ შემერთო ცოლი, ჩემო საბიაე. აბა

ნახე, თუ მარცხენა ყვ...რი გემლე-
როდეს?...“

საბია: „ხარკები გემატოს“.

გიორგი: „ძალიანაც მიუქარავს მაგის
მთქმელს, რა დროს ჩემი ხარკე-
ბია საბიავე, ჩემი ახალგაზრდობა
ომებსა და ალყაშემორტყმულ
ციხეებში ბრძოლას მოვანდომე...
აბა ერთი ნახე: თუ მარჯვენა
საჯდომი გემლეროდეს?“

საბია: „მტერი მოუკვდეს. ალექსანდრე
მაკედონელსა უთქომს“.

გიორგი: „ოჰო, ჰო, ეგ კარგია ჩემო სა-
ბია, როგორც გავიგე, სულტან
ბარქიაროკს ჩვენი ჭირი წაუღია,
ვაცხონე მაკედონელის მამა“.



ამ ჯერად არ გამართლდა ასოთა სამ-
ღერალიდან ამოკითხული წინათქმა:
ნაჰარმაგვეის სასახლეში სტუმრიანო-
ბამ იკლო. საბიას გიორგი მეფესავით
როდი სწყინდა ეს ამბავი. მას უკვე
აღარ უხაროდა სასანთლეების ანთება
და ჩაქრობა, სამეფო დარბაზებსა და
პალატებში ბარე სამი ათეული წლის
მანძილზე.

ოფოფებზე ნადირობა დაწყებული
იყო უკვე. საბიას მზად ჰქონდა ორკა-
პიან ჯოხზე—გარაზე მორგებული მარ-
ყუფი ძუისა, შეინიღებოდა ხოლმე
ნოშოთი.

ოჩოპინტესავით დაბობღავდა სასახ-
ლის ბაღში, გულმოდგინეთ დასდევდა
ოფოფებს, ხოლო ღამლაობით ხან
ასოთსამღერალს უკითხავდა გიორგი
მეფეს, ხანაც გრძელი მამით აღჭურვი-
ლი პალატებში დაბორილებდა და
ებრძოდა სიბნელეს...

დავით მეფის დარიალის ხეობაში
წასვლის შემდეგ ჯერ ორი თვეც არ
იყო გასული, მოწყენამ დაივანა ნაჰარ-
მაგვეში. გრძელ დერეფნებში უხალი-
სოდ დაფრატუნებდნენ ყვითელსკარა-
მანგიანი კარისკაცები, გათენებისას უც-

ნაურად ჩხაოდა დაცალბული ფარშა-
ვანგი და ნადირთა საჩიხეში ვაგულ-
სებული დვინავდა გულმსტანურის მთა-
კვერი ღომისა....



ვართაპეტის მიერ ჩამოტანილი ამბა-
ვი მთელ საქართველოს მოედო. წვე-
ვის მიზეზი რაკი მოიძებნა, შაბათობით
გიორგი მეფეს ეახლებოდნენ ხოლმე
მისი ძველი, ლხინისა და ღვინისმიერი
მეინახენი, ზოგნიც ომებში თანამებრ-
ძოლნი, მეტწილად თავქეიფა ბებერი
ერისთავები, რომელთაც მახარა
„გრძელ ხმალიანსა და ჭკუამოკლე
ერისთავებს“ უწოდებდა ხოლმე. მათ
თან მოყვებოდნენ მათი ფაშფაშა, კის-
კისა თანამეცხედრენი.

„მუღამ მოღუშული“ და „პურადქვი-
რი“ დავით მეფის ხევში დაყოვნება რა
გაიგეს, მოუწირეს სასახლეში სია-
რულს რუსი-ურბნისის შემდეგ პატივ-
დაკლებულმა¹ ეპისკოპოსებმაც, არც
ძმანი თავადთაგანი² ჩამორჩენილან
მათ უკან.

ესენი სამწყსოს დაკარგვის შემდეგაც
არ ამირებდნენ ხალისიანი ცხოვრების
დათმობას.

გიორგი მეფეს არც კი ესმოდა თუ
რად გამართა დავითმა რუსი-ურბნისის
საეკლესიო კრება, ან რად მოუწყო მან
პატივისდაკლება და განაპატიებდა ქვაბ-
ავაზაკებს?

არც ამის შედეგად შემოღებულ სა-
ეკლესიო რეფორმას დაფიქრებია იგი
ოდესმე. პირიქით, გიორგისათვის სავ-
სებით გაუგებარი იყო, თუ რად წაარ-
თვა დავით მეფემ მათ ოლითგანვე
„ღვთით მინიჭებული“ სამწყსონი და

¹ პატივისა დაკლებამა—ერისთავთა, დიდ-
ბულთა და ეპისკოპოსთა გადაყენებას, ან დაქ-
ვეითებას ეწოდებოდა ძველ ქართულ იურის-
დიქციაში.

² ძმანი თავადთაგანი — დიდ აზნაურთა
ოჯახებიდან გამოსული მონასტერთა წინამ-
ძღვარნი, ბერთაგანნი.

მონასტერნი, თუნდაც ქუთათელს ანტონის, გოლგოთელს ფილიმონს, ნეკრესელს, გედეონს.

როგორც გიორგი მეფე, ისე მოხუცი ერისთავები პატივდაკლებულნი ძმანი თავადთაგანნი აღშფოთებულნი იყვნენ იმის გამოც, რომ დავით მეფემ უგვარონი, ხშირად დიაკვნაყოფილნი, მეჯადაგეთა შვილები აღაშევა, მონასტრები და საეპისკოპოსო ეპარხიები ჩააბარა მათ და ამით თავის მემკვიდრის საბაბი მისცა დაეწერა:

...„რამეთუ წმინდანი ეკლესიანნი, სახლნი ღმრთისანი ქუაბ-აგაზაკთა ქმნილ იყვნენ და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებითა დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა აგაზაკთა და მათნივე მგზავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმერთოთა, უსჯულეობასა აწურობდნენ მათ ქვეშეთა ყოველთა და თვით სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველივე უსჯულობა და ცოდვა...“

*
* *

ფერისცვლების დღეს ნაჭარბაგვეს უწია იერუსალიმიდან ჩამოსულმა ფეხშიშველა ბერმა იოანე უხამურმა და ორივე დედოფლის თანადასწრებით გიორგი მეფეს გადასცა ქარიზან სეტყელის სახელზე გამოგზავნილი გრაგნილი. თანაც დასძინა: ერთი ცალთვალა, ერთი კოკლი და ერთი კუჩიანი შემოეხიზნენ ქართულ ჯვარის მონასტერს იერუსალიმში.

როგორც კი გაიგეს სამშობლოში ვაპირებდი გაბრუნებას, ისხდნენ ჩემს სენაკში და სწერდნენ ამ გრაგნილს. ბოლოს ფიცი ჩამომართვეს და გამომიტყდნენ: დავით მეფის მიერ ვართო წარმოგზავნილნი ფრად იღუმალ საქმეთა გამო.

სჩანდა ცალთვალა უნდა ყოფილიყო მათი წინამდგომი, იგი უბრწყინვალე-

სად ფლობდა როგორც ბერძნულს, ისე არაბულსა და თურქულს. სწორედ იმ ცალთვალამ გაახლათ ეს გრაგნილი.

„რა ერქვა თუ იცი მაგ ცალთვალას, ბერო?“ შეეკითხა მეფე გიორგი.

იოანემ ჯერ კრება მოიფხანა, მერამე წაიღუდუნა:

„უშჯულო სახელი ჰქონდა მაგ ოჯახქორსა, აღარ მაგონდება...“

„ლულუ ხომ არა?“

„ღიახ, ლულუ, მეფევ ბატონო“

მეფე გიორგი გასახსნელად წაეტანა გრაგნილს, მაგრამ დიოფალმა მარჯვენაზე მოუფათურა თავის მეუღლეს ხელი, ყვრიმალთან ტუჩპირი მიუტანა და წასჩურჩულა:

„ნუ იქმ გიორგი ამას, ხომ დაწესებული გვაქვს, სამსტოვარო წიგნები დავით მეფემ უნდა გახსნას, ან გიორგი ქყონდიდელმა, არა?“

გიორგი აიმრღბა, მას არ იამა იოანე უხამურმაც რომ შეიცნო მისი მეფური უფლებების შეკვეცა, გრაგნილი მუხლის თავზე დაიდო და გულის გარედ უთხრა იოანეს:

„სხვა რას გვეტყვი ახალს ბერო? თურქი მეკობრენი ხომ არ დაგხმია ანტიოქია ნიკომედიის საქარაენო გზაზე?“

ორგზის გაძარცვეს ჩვენი ქარავანი, საცვლებისამარა დასტოვეს იერუსალიმიდან რომს მიმავალი ფრანკების ეპისკოპოსები. მოგესხენება მეფევ ბატონო ყოველ ჩვენთაგანს მხოლოდ მოოქროვილ ომფორებში თუ დაგვინახავს ეპისკოპოსები და... დანარჩენი თავისთავად გასაგებია. ერთ იტალიელ ხუცესს ანაფორაც კი გახადეს. მე რას წამართმევდნენ, რაც არ მეზადა?! ეს გრაგნილი ჩემს ბერულ ჩოხაში მქონდა ჩაკერებული, სულ ამის შიში მქონდა გამხდლიან მეთქი ამ ჯვალოს ჩოხას.

ერთი შემომხედა მეკობრეთა წინამდგომმა, ბერძნულად მითხრა:

„საით მითარევეო შენს ბებერ ძვლებს ფეხშიშველა ბერო? ისე გამხდარი მენვენები, ალბათ სული იერუსალიმში დაგრჩენილიო?“

„არა უფალო, ზორცი დავტოვე იქ, ზოლო ძელები სამშობლოში დასამარხავად მიმავს მეთქი“.

„ზღვა როგორი შეგხვდა მამაო?“ შეეკითხა მარიამ დედოფალი.

„ზუფთამდი ერთი ლამის სავალზე ტაროსი იყო და კეთილი ზურგის ქარი, მაგრამ ანაზღად ისეთი ქარიშხალი ამოვარდა და ქექაქუხილი ატყდა, აგრე შეგონა ცაი ფეხით ჩამოვიდა მეთქი...“

გიორგიმ თვალი შეავლო დროშის ტარივით აწოწილ ბერს, შეეკითხა:

„საჭმელი ხომ გქონდათ იერუსალიმში მამაო?“ ბერმა გაიღიმა.

საჭმელი ბევრი გქონდა სევასტოს ბატონო, დაშაშხული ვირთხები, პილპილითა და ძირით შეკმაზული“...

აქ შეუყოვნა... ეშმაკური გამოხედვის ციმიცმა გაიღვია მის თვალის თეთრონებში...

„ნუ გეშინია სთქვი ბერო...“

„რა მოგახსენო სევასტოს, ბატონო, პილპილიმყრილი ჩონჩორი ჯორისა“.

მეფემ მესტუმრეთუხუცესი ახმობინა უბრძანა ანგაის:

ფეხი დაბანეთ, რიგიანად გამოადლეთო სტუმარი.

როცა იოანე უხამური გაიყვანეს, გიორგიმ ხელახლა აიღო გრაგნილი ზელში, დაკვირვებულად შეათვალიერა იგი და ეუბნება დიოფალს:

„ხედავ რა მალე ამიხდა სიზმარი ვეკო, გუშინწინ ლამ მეზმანა: ვითომც მაიკოს სარკის წინ იჯდა დედისიმედი და კაებებს აპურებდა. კაებები გახარებული კრიახობდნენ, კეკლუცობდნენ სარკეში“.

„შეეც მესიზმრა დედისიმედი, ბიზატონში მიყავდა ვითომდაც“... სთქვა მარიამმა, გიორგის გამოართვა გრაგნილი, სინათლეს მიუშვია, თითქოს დაბეჭდული გრაგნილის ამოკითხვას ლამობსო.

სიტყვამ მოიტანა სელჯუკიანების მიერ გატაცებული ქალწულების ამბავი და სთქვა გიორგიმ:

სულეურთხეული მამიჩემის, ბაგრატის დროს, თურქებმა ოპიზის ტაძრის

გალაენებთან თავის ძუძუმტესთან ერთად დაიმარტოხელეს და გატაცეს შავშეთის ერისთავის ერთადერთი ასული.

მერმე ის იყო, ბაგრატ მეფემ გერმსტოვარები წარგზავნა... მერმე მოციქული გაუგზავნა სელჯუკიანთა ამირას, ბუბტეკინ სეზუბტეკინს, რომელსაც თავისი დიდი კარავი ჰქონდა დედგმული არზრუმის სანახებში... სამი ათასი ოქროს დუკატად გამოაყიდინა ერისთავის ასული“.

„უფრო მეტს გეტყვი, სთქვა მარიამმა, როცა ჯვაროსნები ანტიოქიას მისადგომებთან იბრძოდნენ, ნუჯმ ედდინ ილღაზის მონასპანი თავს დაესხნენ სვიმეონის პორტიდან მომავალ ჯვაროსნებს, მამაკაცები დახოცეს, სამი პერცოგის ქალბაღნი გაიტაცეს, ბოლოს ბოჰემუნდმა ძლივს გამოისყიდა ისინი.“

რალა შორს წავიდეთ, ყიფჩაღმა მეკობრეებს ზედ კონსტანტინეპოლის გალანებთან შეიპყრეს დროშის ლოგოთეტის ერთადერთი ქალი, პირმშვენიერი ანაიდა, ალექსი კომნენმა სტეპებში გაგზავნა მსტოვარები. თავისი წონა ოქრო დაუჯდა ანაიდას გამოხსნა კისარს“.

„ეჰ, მაგ ამბები მე მკითხეთ, განა თუ ცოტა მივლია მათ ქვეყნებში. როგორა გგონიათ ვის ჰყიდიან ისპაჰანის, ბაღდადის და ქაიროს მონათა ბაზრებზე, ქართველთა, სომეხთა და ბერძენთა ქალბაღთ? რა სათქმელია, ჩვენმა სისხლმა გააკეთილშობილა ეს გაოხრებული, ქრუტა და დაწვდაბერილი სელჯუკიანები...“ ცვენსოდა გიორგი.

ყვითელ კალმახზე ნადირობიდან გვიან მობრუნებულა იმ დღეს მახარა. ლულუს მიერ გამოგზავნილი გრაგნილის ამბავი ციხისთავს ეთქვა მისთვის. ქაბუკური სიყისკასით ამოიბრინა სსახლის კიბეები, მონადირულ ძველმანებში მორთული მიეკრა გიორგის. მახარას დანახვაზე კვლავ აროხროხდა გიორგი, ხელახლა წაატანა ხელი გრაგნილს, დაიქადა:

ავსნით ბეჭედს.

მარიამმა ხელი გაიშვირა გრაგნილი-საკენ, თავაზიანად ეუბნება ძმას:

„ერთი ორ დღეს დაეცადოთ გეთაყვანე, ან ჭყონდიდელი ჩამოვა, ან დავითი და ის იქნება გავსნით“.

გიორგიმ შენიშნა: არც მახარა აპირებდა კვერის დაკვრას, ამიტომაც უკან დაიხია და დაიბუხუნა:

„მომამორე ვეყო მაგ უშჯულოს მიერ გამოგზავნილი წიგნი თორემ სული ყელში მომებჯინა ეგ არი...“

„ნუ ლელავთ, უთხრა მახარამ, წავალ ვიძისნებ და ახლავე გეტყვი, თუ რა სწერია მაგ გრაგნილში, რამლის ჩხრეკით¹ განა ასეთი რამეები ამომიკითხავს?!“

მახარა მთლად დარწმუნებული არ იყო ხელშტური არ წამოუვლიდა მის ნახევარ ძმას და გახსნიდა გრაგნილს, ამიტომაც ჭყონდიდელის საწოლის მწიგნობარს ჩააბარა იგი, ხოლო თავათ თავის საძილო პალატაში კუროპალატისა მელიტა ახმობინა და რამლის ჩხრეკას შეუდგნენ...

მარიამ დედოფალი წამოდგა. გიორგის საწიგნედან ბიბლია გადმოიღო, ჩაუთქვამდნენ, ფურცლავდნენ დაბადებას და ამგვარად მისნობდნენ საინი...

ბოლოს როცა მესამედ დაემთხვა ბიბლიის სტრიქონი ჩანაფიქრს, წიგნი დაკეცა მარიამმა, თავისი მშვენიერი ხელი ზედ დაადო და სთქვა:

„აღსრულდეს გეთაყვანე განგების ნება, ლულუ ბენ ჰაიდარ, სულ მოკლე ხანში ჩამოგვიყვანს დედისიმედს“.

ამასობაში მახარა და კუროპალატისა მელიტა შემოვიდნენ თვალგაბრწყინებულნი...

მახარა შუა დარბაზში შესდგა. მარჯვენა ხელი ზეასწია პათეთიურად:

„ჩვენთანაა უფალი, მე განზრახ დავისწარი კუროპალატისა მელიტა რამლის ჩხრეკაზე, ლულუს მიკვლეული

აქვს დედისიმედის ორანისათვის, წყალი არ გაუვა“...

მარიამ დედოფალი წამოდგა და მოუთმენელი მთრთოლვარე ხმით განაცხადა:

„ეპ, სად არის ახლა დავით მეფე, რაც შეიძლება ჩქარა მისწეროს ჯოჯიკის გამოსასყიდი ოქრო მიაწოდოს ლულუ ბენ ჰაიდარს“.

•
•

იმ ღამესვე მთელმა სასახლემ გაიგო იერუსალიმიდან გრაგნილის ჩამოტანის ამბავი. დიდი და მცირე აქებდა ლულუს. ამ ამბავს იგიც დაემატა, რომ წინათქმის ორმა წყარომ: რამლის ჩხრეკამ და ბიბლიით მისნობამ, სხვადასხვა პირების მიერ სხვადასხვა დარბაზებში ჩატარებულმა, ერთი და იგივე უჩვენა...

რადგან მალემრწმენობა სურვილის ფრთებზე დაჰქრის, ყველა დარწმუნებული იყო: ლულუ ბენ ჰაიდარ, სულ მოკლე ხანში ჩამოიყვანსო ლიპარიტის ქალს ნაჰარმაგვეში.

„აბა რას იზამდა ის ჯადო კაცი, რომელიც შურის ციხიდან გამოეჭკა ტფილისის ამირას და დიდროას დროს მტკვარი გადმოლახა!“

აგრე ამბობდნენ ისინიც ვინც პირადად არც კი იცნობდნენ ლულუ ბენ ჰაიდარს.

•
•

გიორგი ჭყონდიდელის საწოლის დარბაზში ხელუხლებლად იღო ლულუს მიერ გამოგზავნილი გრაგნილი, ყველასათვის რაღაც უცნაურ და მიუწვდენელ საიდუმლოს შემეცელი.

სასახლეში აგრე ეგონათ რატომღაც: სადაცა ჩამოვა ჭყონდიდელი, ბეჭედებს

¹ ორანი—კვანთა, ადგილი სადაც ის არსება იმყოფება.

¹ ქვიშაზე მისნობა, მარჩილობა.

2. „მნათობი“, № 6.

4457



ახსნის ამ გრაგნილს და ნაჭარმაგვეის სასახლეში დაიწყება ახალი ერა, ბედნიერებით გაბრწყინდება დავით მეფის ქმუნვისაგან დანისლული შუბლი და ამ უქანასკნელი წლების მწუხარება შეიცვლებაო ახალი უჩვეულო ლხენით.

მარიამ დედოფალმა ძილი დაჰკარგა. იგი ქვეშეცნეულად გრძნობდა: ამ გრაგნილის გახსნის შემდეგ დიდი გარდატეხა მოხდებოდა მის ცხოვრებაშიაც.

შაბათს საღამოს მწუხრის ლოცვა მოისმინა შავი ღვთისმშობლის ბაზილაკში. დიდხანს ლოცულობდა მუხლმოყრილი, მდაბიორთა დედაკაცების გვერდით დაჩოქილი სტიროდა რელიგიურ ექსტაზში შესული.

შუბლს ახლიდა აგურის ნესტიან იატაკს, აეედრებდა შავ ღვთისმშობელს ორბელიანის სვეგამწარებულ ქალსა და თავის სათაყვანებელ მძიმწულს, ბაგრატოვანთა გვარის ერთადერთ ნაშიერს, რომელსაც არ უგემნია სიყრმისა და სიკბატუის ლხენა, ისე დაადგეს ოჯახისა და სამშობლოს მიერ დაეისრებული მარჩბივი უღელი ქედზე.

უფულო ეპისკოპოზებმა, უნამუსო ერისთავებმა იძულებით დააქორწინეს, სიცოცხლე გაუმწარეს იმ სვედავსილ დედოფალყოფილ რუსუდანსაც. ახლა ეს ახალი სიმძიმელი, კვლავ ხელისმოცარვა და მარცხი...

«ეჰა, საწუთროვ პირგამეხებულო, როდისღა იკმარებ ბაგრატოვანთა სისხლის ხერებას?»

ვის სმენია ყოვლად ქრისტიან მეფეთა ტახტზე წარმართი ტომის ნაშიერი ასულიყოს ქართლში ოდესმე?«

ასე მოსთქვამდა გულში მარიამი, მეტანიობდა, შუბლს ახლიდა აგურის იატაკს, ეედრებოდა კარის ეკლესიის შავ ღვთისმშობელს თავისი მაღლივოსილი კალთა გადაფინა ნაჭარმაგვეის სასახლისთვის ამ ჯერად.

მზრუნველი ხელის მოფათურება შეიცნო მლოცველმა, ეს მელიტა ეედრებოდა:

წამოდექიო აგვუსტა!

ნამტირალევი და დამწუხრებული გამოიყვანა კუროპალატისსკემი, ცეცხლის ენოში შევიდნენ და მანამაღამოც ბეებს აპყენენ ჩრდილის კოშკისკენ მიმავალს.

დიდხანს ისდნენ ჩამობნელებულ აივანზე ორნი...

დაბალი, ღრუბლიანი ცა ზედ დამხოზოდა ნაჭარმაგვეის სასახლეს, ეამიდან ეამზე ელაედა კავკასიონის გადაღმა, გაიეღებდა, დაიკრუხუნებდა, ისეე და ისეე გაიეღებდა...

«რამდენი იტირე საყვარელო აგვუსტა, შენს ღვთებრივ სახეს ღიმილი უნდა აცისკროვნებდეს, განა თუ ცრემლების დასასეტყვად მოგანიჭა განგებამ ეს ღვთივმშვენიერი, მარმარის დაწვები?«...

«ეჰ, ჩემო მელიტა, კენესოდა მარიამი, ვერც სილამაზემ, რომელსაც შენ მომაწერ, ვერც ქრიზოტრიკონის სასახლის ბრწყინვალეობამ, ველარც მოოქროვილმა დაღმატიკამ ვერაფერი მიშველა, როგორც მშერი მეჯადაგის ცოლმა ნაცარი ვითარცა პური ექამე ჩემი სიცოცხლის მანძილზე და სასუმელი ჩემი ტირილთა ჩემითა განვზავი.»

ოჯახი დამენგრა და სამშობლოც დამეკარგა, მელიტავ, მექათმე თეთნა უბედური ქალია, მე კი მასზე უფრო სვედავსილი, იცოდე.

რა ვუთხრა მე ეამთასიავეს, ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრება ისევე დაბეჭდულია ტყვიის ბეჭდითა, როგორც ლულუ ბენ ჰაიდარის გრაგნილი...«

ისევე გაიეღა კავკასიონს გადაღმა. მარიამი გარინდებული იჯდა თავის საკარცულზე და სტკებოდა იისფერი, შლვისფერი და მალაქიტისფერი ტონების ოდნავ საჩინო ცვლას ქართლის კავკასიონის კალთებზე.

როგორც ყოველ ადამიანს, რომელსაც ხანგრძლივად უგემნია უკურნებელი დარდი თავის დაკარგულ სამშობლოსადმი, ისე მარიამსაც გაორტყებულნი ჰქონდა ამ ჯერად ფიზიკური სიყვარული თავის ქვეყნისადმი.

„შენთვის გასაგებია ალბათ მელიტა, ძლიერ სიყვარულს ამგვარსავე სიძულვილს, გადაჭარბებისკენ მიდრეკილება მოსდგამს ყოველთვის. ხანდახან აგრე მგონია ეს მომდის მეთქი მეცა.“

რა ვიცი, გეთაყვანე, უტურფესი ქვეყნები მომივლია და მინახავს, მაგრამ აგრე მეოცნებება: ე, ის ადგილი ახლა რომ გამოკვეთა კავკასიონზე ელვამ, აი, ის ორკუზიანი მყინვარი, უტურფესია მთელს მსოფლიოში.

შორიელი და თვალშეუღღამი, ლოცვადამდგარი, მღუმარე მოგვი, რომელიც თავათ ვერც კი გრძნობს თავის დიდებულებას, ზეცის თავანისთვის შეუშვერია თავი, ციური იღუმალეებისათვის ყურის მოკვრას დანატრებულს.

გახსოვს, დავითი იტყოდა: მამა ღმერთის ლოინიაო¹ ჩვენი მყინვარი. კარგად დააკვირდი როცა იელვებს, მართლაც ზედმიწევნით არა ჰგავს იგი საომარ აქლემს!²

მარიამი მცირე ხანს სდუმდა და მერმე ისევ განაგრძობ:

„აი იმ მარჩბივი მწვერვალის მახლობლად აშენებენ ციხეს დავითი და ნიანია გოგისა და მავგოისაგან³ საქრისტიანოს დასაცავად.“

აჰ, ნეტავ მე და შენც იქ ვიყუეთ ამ წუთში. მე მაინც აგრე მგონია გეთაყვანე, კიდეც რამდენიმე კვირა და ამის შემდეგ შე ვეღარ ვნახავ ალბათ მიმწუხრისას ამ მთებს და როცა ჩემი აღსასრულის ეამი დარეკავს, ეს სანახები ისე მოიჭრება ჩემს ცნობიერებაში, როგორც მყინვარი ელვისაგან განათებული“.

ისევ და ისევ გაიელვებდა, მოიჭრებოდა მრუმე ფონზე კავკასიონი და ერთბაშად ისევ ლამის ქვესკნელში იძირებოდნენ მთები....

„რად ნაღვლობ ავგუსტავ, ამბობდა

მელიტა. ჩვენ სულ მალე მშვიდობით გავბრუნდებით კონსტანტინებოლს. შენს სასახლეშიაც ყოველთვის ჩავიგზავნა, ხომ იწერებოდა ამას წინად, ეზოს-მომღვარი ევდოკიმე?“

„რა ვიცი გეთაყვანე, ხვალისათვის რას გვიზადებს განგება? ან რაი ვუწყით თუ რას ჩურჩულებენ დემონები ჩვენი სულის უბნელესს ჯურღმულებში.“

ვამ, ჩვენს შემეცნებას თხუნელასებრ ბრმას, ხოლო ცხადია, რომ ჩვენი გუშინდელი დღე ისევე ბნელია, როგორც ხვალე ჩვენი აქ ყოფნისა.

ქეშმარიტად თხუნელები ვართ გეთაყვანე, მრუმე ჯურღმულებში მოფუსფუსენი, ხოლო ჩვენ ისე გვეოცნებება, თითქოს ეთერში მონავარდე ორბები ვიყვნეთ.

იმ სვედაესილი დედისიმედის გადაკარგვამ მთლად ამირია ცნობიერება, ხომ გახსოვს მელიტა, შარშან ამ დროს, ამ დღეს, ამ წუთში დედისიმედი ეგერ იჯდა იმ სავარძელში შენს გვერდით, ემანდ დავითი, ნიანია და ჯონდი ისხდნენ, იმ საკარცხელელებში.

რამდენს ვიცინოდით, როგორ ვერთობოდით ერთადყოფნით გახარებულნი და რას წარმოიდგენდით თუ რა განსაცდელი მოგველოდა! და როგორც ლანდი ანაზღად გაეცალოს სხვა ლანდებს, ესე დაგვეცილა იგი, უღრტირველად წავიდა ჩვენგან ვითა სიზმარსა და ჩვენებას გადაყოლილი მთვარეული და უფსკრულში გადაიჩეხა, თვალს მიეფარა, აღმასის თვალი ზღვაში დანთქმული...“

გუშლამ ვარდიამ გამიბედა, შიშუნვართა წინამდგომმა: ხალხი შენ გაბრალეზო დედისიმედის დაკარგვას, მე არა მჯერაო, რა თქმა უნდა, მაგრამ აგრე ამბობენო.

არ ვიცი ეს ვარდიამ მოსკორა თუ სხვა ვინმემ, მაგრამ ეს სულ ერთია: თვით უალრესი ცილისწამებისაგან უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანს.

შენ თავათ განსაჯე მელიტა, მე რა

¹ ლოინი—საომარი აქლემი.

² გოგი და მავოგი — უკანასკნელი მტრები ქრისტიანობისა ათასწლიანი სამეუფოს შემდეგ სავრთოდ ივტლისხმება ველური ნომადები. (ივ. ზეციელი)

ბრალი მაქვს ამ საქმეში? ღმერთი მყავს მოწმედ ჩემი ერთადერთი სურვილი იყო: როგორმე ჩამეჭრო ბაგრატიონთა და ბაღუაშ-ორბელიანთა გამუდმებული შუღლი და ეს ორი სახლი დამემოყვრებინა ერთმანეთისათვის.

თავათ განსაჯე, მე რა ბრალი მაქვს აქ გეთაყვანე?

მე სიყვარულის ვარდებს ვრგავდი, მაგრამ ხედავ, რარიგ იძალა ასკილმა! როგორც სჩანს სიაცე ისევე შეუშუსვრელი ყოფილა ამ ქვეყნად, როგორც სიცოცხლე თავათ.

წუხელი მთლად უცნაური სიზმარი მქონდა მელიტა, ვითომ შავი ღეთისმშობლის ბაზილაკში პარაკლისი გადავიხადეთ მისი ჩამოსვლის გამო. დავით მეფეს თავისი საზეიმო თორი ეცვა ბაგრატიული, სწორედ ის ვადაჯვარიანი მახვილი ზედ ერტყა, რომელიც კურთხევის დღეს შეაბა ლიპარიტ ერისთავმა.

ღედისიმედს შეენოდა შინდისფერი ყაბაჩა და აღმასებნიანი ქოშები, რომელიც მე ჩამოვუტანე, მეჭათმე თეონა ფერხითი დავარდნოდა და კოცნიდა მის ქოშებს. ისეთი ბირმშვენიერი იყო, ისეთი საყვარელი, მე ვერ ავიწყრ ამას გეთაყვანე.

კლიროსზე მონაზნები გალობდნენ:

„ღეთისმშობელი მშვენიერი
სროშანი,
მას უგალობს ანგელოზი
ფრთოსანი“....

ღედისიმედი სტიროდა სიხარულისაგან, თვალებიდან მარჯალიტებს აფრქვევდა. ჩვენ ყველანი ისე ბედნიერი ვიყავით, მაგრამ იმ ტიალი ფარშავანგის უხვირო ჩხვილმა გამოიძლიძა. ამიტომაც წავედი ამ საღამოს კარის ეკლესიაში მწუხრზე.

„შესანიშნავი სიზმარია ავგუსტა, ღმერთმა კეთილად ავიხდინოს“, სთქვა მელიტამ. ნუ დარდობ ბასილისავე¹, ორგვარი წამყოფა გეაქვს განგებისა.

მე დარწმუნებული ვარ: მახარას მიერ რამლის ჩხრეკით მომზადებული წინათქმა აღსრულდება. უგეტ² არ იყოს, შენც ხომ დარწმუნდი... სამგზის დავიდასტურა ბიბლიამ... აი ნახე, ბასილისსავე დღეს ხვალ დავით მეფე გრაგნილს გახსნის და უფალი სიხარულს მოჰფენს ბაგრატიონთა სახლს“.

მარიამ დედოფალი სდუმდა, ხოლო მელიტამ ნაღვლიანად დასძინა:

„საოცარია, როგორ გაუჩნდა ამ ისკარიოტელს — ლიპარიტ ამირასა და იმ გველისთავს, კატას ასეთი ანგელოზი?“

„ჰე, გეთაყვანე ვინ ჩასწვდება განგების ზრახვებს, ან ვინ გაიგებს რად ამოდის ნეხვიან მიწიდან ზამბახა, ან რათი ისხამს ასეთ მშვენიერ ყვავილს ასკილი, ეშმაკის მათრახი?“

სთქვა მარიამმა და საკარცხულიდან წამოდგა

ერთი მზგვესიც¹ გავიდა. მახარა მოუთმენლობამ შეიპყრო.

უკვე ხმამალლა ქირდავდა იგი „მაგ ჯანჯალას“ ხუროთმოძღვართა უხუცესს, შარვანისძეს, რომელმაც აქამდის ვერ განასრულა დავითის ციხე.

მახარას რამლის ჩხრეკა მინიშნებული მქონდა როგორც წინათქმის მიუმცდარი სათავე, ამიტომაც საესებით დარწმუნებული იყო: ღულეს მიერ გამოგზავნილი გრაგნილის წაკითხვა ძველებურ ხალისს მოჰგვრიდა ეგზომ დაზაფრულ დავითს.

ამსობაში ნაქარმაგვეს ეწვია ბემქენ ჯაყელის მონადირეთუხუცესი და თან ჩამოიყვანა ერისთავის მიერ დავითისთვის მიძღვნილი ათი თეთრი ქორი, ამდენივე თაენაცარა, ხუთიც კლდისფერი და ერთიც თვალწითელა მინიონა, საესებით იშვიათი ცალი თავის ჯილაგისა. ბემქენის მონადირეთუხუცესმა დასძინა: ამ თვალწითელას ცა-

¹ ბასილისა — ბერძნ. დედოფალი.

² მზგვესი — კვირა, 7 დღე.

მეტვერ გამოცვლილი აქვსო ნაქრტენი.

მაზარა და ბაზიერთუხუცესი კლარუ-
ნა ცას ეწიენ სიხარულისაგან.

სხვა სიხარულსაც უმზადებდა მახარა დარიალიდან მობრუნებულ ძმისწულს. მხეცების მომდორველმა გლო-
ნისძემ, ირანული ავაზები და ჯიქები გაუსია სასინჯად მუხრანის ქვემოლ, ლაქაშებში მშვლებს და ჩინებულნი შე-
დევები მიიღო.

ამდენი საამური ამბები უცდიდა ნა-
ქარმაგვეში მეფეს, მაგრამ თავათ დავი-
თი არსად სჩანდა, ვნებიანი მონადირე.

*
*

შმათ სადამოს პატივდაკლებული
ეპისკოპოზები გოლგოთელი და ნეკრე-
სელი შუალამემდე სტუმრობდნენ გიორ-
გი მეფესთან. გიორგი ოდნავ შეუძ-
ლოდ იყო, ამიტომაც საწოლის დარბაზ-
ში დაადგმევინა ვერცხლის ტაბაკი.

იოანე ბერის მიერ ჩამოტანილი
გრაგნილის მიღება ამცნო მათ გიორ-
გი მეფემ, არც რამლის ჩხრეკისა და
ბიბლიით მისნობის ამბავი დაუმალავს
მათთვის.

ორივენი დარწმუნებულნი იყვნენ
ყოველივე კეთილად წარიმართებოდა.
გოლგოთელი პირადად ნაცნობა სომეხ
ვერთაპეტს ჰაიკს, მიუხედავად იმისა,
რომ გოლგოთელი თავის შებლუღუ-
ლობისა და უგუნურობის მეოხებით
მუდამ სომხების ქირდვით იყო გარ-
თული, ხოლო სომხურ ეკლესიას „მწვა-
ლებელთა სახლს“ უწოდებდა, მოსდგა
ვართაპეტის ჰაიკის ქებას და როცა
ღვინოში შევიდა, ასეთი რამეც სთქვა:

ვართაპეტ ჰაიკი ქეშმარიტი ქრის-
ტიანიო, ისიც არ დამალა მან: ვართა-
პეტმა და მამამისმა, სომეხთა კათალი-
კოსმა იოანემ თავის დროზე რკინის პე-
რანგი ჩაიცივეს და ხმლით შეებრძოლე-
ნო სელჯუქიანების ამირას ნეჯმ ედღონ
ილდაზის, როცა ეს უქანასკნელი ანისს
თავს დაესხა.

ნეკრესელი არ ნაცნობა ჰაიკს, არც
იგი იყო „საძლუველი სომხების“ მოტ-
რფიალე, მაგრამ მისი ღვინისა და მწ-
ხინა მწვადებისაგან დაოსებული უხარ-
მაზარი სხეული ისე ამძიმებდა მას, სა-
ერთოდ გაურბოდა ორ რამეს: სახელ-
დობრ ფიქრსა და ლაპარაკს, რაც ადო-
მიანს ეგზომ ანსხვავებს პირუტყვების-
გან, ამიტომაც სდუმდა და სკამდა...

როცა გიორგი მეფე და გოლგოთელი
საუბრობდნენ, იგი ენერგიულად მუს-
რავდა ყვითელ კალმასს და წარამარა
უთვალთვალებდა მის უკან დამდგარ
მწოდეს, ჩქარჩქარა გაეცო მისი მოქ-
როვილი ფიალა.

გიორგი მეფე გაოცდა იმის გამო რომ
სწორედ იგივე გოლგოთელი, რომელიც
მუდამ ბუზღუნებდა ლიპარიტთან და-
მოყვრების გამო, უცნაურად ლელავდა:

ნეტავ როდის ჩამობრძანდება ჭყონ-
დიდელი და გრაგნილს გახსნისო.

ბოლოს თვით გიორგი მეფემ შენიშ-
ნა: გოლგოთელი არ იყო მოსურნე
„უშჯულთ“ ყიფჩაღთა უმთავრესის
ასულის დედოფლად გახდომისა.

ამის საქმის გამო იმდენი ითქვა ვერ-
ცხლის ტაბაკის გარშემო, უკვე საესე-
ბით გამომთვრალ ნეკრესელს დასძი-
ნებოდა, ასე რომ მესტუმრეთუხუცესმა
და სამმა მეკრემ ძლივს გაათრეს სა-
წოლის დარბაზიდან რუმბივით გაზიზი-
ნებული მისი სხეული.

*
*

ნაშუალამევს თვით ნასმურვეი გიორ-
გი მეფეც გამოადვიდა მგელძალღების
ყვამ, გუშაგების ფრთხილმა სტევნამ,
მემამუხალეთა რბენამ და ქოთქოთმა.

უკანმავი გამოუვარდა იგი დერეფან-
ში მოჩალიჩე მემამუხალეთუხუცესს და
საკმაოდ მკვახედ უთხრა:

„რა ამბავია, რა მოხდაო საბიავ?
საბიამ არ დააყოვნა პასუხი:

გიორგი ჭყონდიდელი და ჯონდი
ერისთავი ჩამობრძანდნენო.

ისევ გაბრუნდა საწოლის დარბაზში გიორგი, გერმის ბალიშებში თავი ჩარგო, თანაც უცდიდა ციხე-სასახლეში ატეხილი გნიახის დაცხრომას.

თუშცა მუხრანული ღვინისაგან სავსე-ბით დაოსებული იყო, მაინც ენერგიულად ებრძოდა თვლემას, აგრე ვარაუდობდა იგი: მონაზონი გიორგი თავის საწოლის დარბაზში შევა, ჯაკევის პერანგს გაიხდის, ფეხს დაიბანს, მერმე საწოლის მწიგნობარი მოახსენებს ლულეს მიერ დამასკიდან გრაგნილის გამოგზავნას.

ღინჯად, აღმღვრეველად, როგორც მას ჩვევია ხოლმე, ხელში აიღებს გრაგნილს, კარგად შეათვალიერებს და ახსნის ტყვიის ბეჭდებს.

ახლოს, სულ ახლოს მიიტანს თვალებთან, ერთ ორჯერ წაიკითხავს, მერმე ისევ ჩაიკვამს თავის გახუნებულ ბერულ ჩოხას და აღჩქარებლად წამოვიო ჩემსკენ.

შეახლება და მომახსენებესო.

მოუსვენრად ბორგავდა ღინღლის ბუმბულში გიორგი, არავინ მოდიოდა. სმენას დაძაბავდა, თვით შემაშხალეთა და მეკარეთა ფრთხილი სიარული და კურდღლის ტყავის ფაჩუჩების ჩქამიც არ ისმოდა.

საერთოდ აღმღვრეველი ბუნებისა იყო გიორგი, ამიტომაც მოთმინებით იტანდა იგი ამ წუთისოფლის სუსხიან ავდარს, მაგრამ ამ ჯერად უცნაურად აღელვდა. გაგულისებამ ღვინო გამოუწულა ლოგინში მბორგავს, რატომღაც ამ წუთში გაბრაზდა:

რად დავეჯერეო დიოფალს, ელენეს და თავათ არ გავხსენიო ლულეს მიერ გამოგზავნილი წიგნი?

გრაგნილი რომ ახლა ხელთ ჰქონოდა, წამოდგებოდა და სამივე ბეჭედს ააგლეჯდა უცილოდ.

იმის გამოც განაწყენებული იყო გიორგი: რას იფიქრებს იოანე უხამური, ქარიშხან სეტეილის სახელზე გამოგზავნილი გრაგნილის გახსნაც რომ ვერ გაბედა აფხაზთა და ქართველთა მეფემ, სევასტოსმა გიორგიმ, ფარცხისის გვირ-

მა, რომელმაც მთელს საქრისტიანოს უჩვენა უჩვეულო მამაცობა და დიდი თურქობის დროს, როცა მტრის მძევალად შეარქვეს თურქებმა „კურდღლები“.

თავის გუნებაში ჰქირდავდა გიორგი თავის ვაჟს დავითს, მისი მოუსვენარი ცხოვრების გამო, სწყევლიდა მის „გადარეულ სპასალარებს“ და განსაკუთრებით იმ „ბუხრეკა გიორგი მონაზონს“, რომელიც ყმაწვილივით აპყუა ამ „უგუნურებს“ და „თავდაყირა დააყენეს საქართველოს სამეფო“.

ლოდინი უკვე მობეზრდა და ახლა ფიქრებმა მოიციეს ძალი. გოლგოთელის ნაუბარი მოაგონდა.

გიორგი მეფე კარგად ამჩნევდა: არა მართო გოლგოთელი, სხვა პატივდაკლებული და განპატივებული ეპისკოპოზები და მოხუცი ერისთავებიც სხვა-რიგად აზროვნებდნენ ლიბარტ ერისთავის კონსტანტინეპოლს გადასახლების შემდეგ.

შიდა ქართლისა და თრიალეთის მღვდელმთავრებმა რა შეიცვინეს ლიბარტ ამირას ექსორიასა და აღსართან კახთა მეფის დაპატიმრების შემდეგ გამუსლიმების საფრთხე უკვე თავიდან იყო აცილებული, ისინი სინანულმა შეიპყრო: რად არ შეუწყვეთო ხელი ბაღდად-მორბელიანის ქალის დედოფლად გახდომას?

ამ სინანულს სხვა საფანელიც ჰქონდა: როგორც სამღვდელონი, ისე მოხუცი ერისთავები ეზლა უკვე ყალბზე შემდგარი ხედებოდნენ შარალან შარალანისძესთან დავითის დამოყვრებას, რაც უმთავრესია, ყიფჩაღთა „უშეულო“ ნათესავის ქართლში ჩამოთესლვას.

სწორედ იმ დღეებში ნაქარმაგვეში დაბრუნდა ოსი მერმე ჰახილისძე, რომელიც შარალანს იყო წარგზავნილი ყიფჩაღური ცხენების სასყიდად...

ჰახილისძეს ქაშაგთა და ჯიქთა ქვეყნებზე გამოუტარებია შენაძენი რემა ცხენებისა. მიუხედავად იმისა, რომ მას ასზე მეტი შეფარველად შეიარაღებუ-

ლი მონასპა თან ახლდა, გზაში თავს დასხმთან და შესყიდული ცხენების თითქმის ნახევარი წაურთმევით ქაშაგ მეკობრეებს.

ჩამოსვლის უმაღლეს მამავე სადღღოფლოს გამო დაუწყეს გამოკითხვა ჭახილისძეს შიმუნვარებმა, მექათმეებმა და მრეცხავემა დიაცებმა.

როგორიაო შარაღანისძის ასული?

ჭახილისძე ჯერ სდუმდა, მაგრამ არ მოეშვა მექათმე-თეონა, სანამ მერემეოსმა არ წასჩურჩულა მას:

„ვერადფერი სვილია სენი წირიმე“.

ეს ჩურჩული სულ მალე მისწვდა მერემეებს, მეჯორეებს, ხაზაზებს, მერაუეებს, მებოსტნეებსა და მეჯამეებს. ბოლოს ამ ჩურჩულს ყური წაატანეს მერემეთუხუცესმა, მსახურთუხუცესმა, მეჯამეთუხუცესმა.

ეს ჩურჩული ხელიკივით აპყვა ნაქარმაგვეის სასახლის კიბის ხარისხებს, მესაწოლე ბერებმა მესაწოლეთუხუცესებს ამცნეს, მემამულეებმა მემამულეთუხუცესებს, ბოლოს ეს ჩურჩული აზვავდა ორი დედოფლის გულში...

როგორც წესია, საყუთარი ყურიით განაოანს თეათვე შენათხი წაუმატეს... ქადაგად დავარდნილი მექათმე თეონა მოურადებლად გამოდგებოდა სახაზაზობის და თონეების წინ, მუშტებს იშვერდა სასახლისაკენ, თავისი ვაკაკური ხმით ილანძლებოდა:

„ჩვენი ანგელოზი გააქციეს და გადაქარგეს, ახლა ყიფჩაღის გონჯი დიაცი უნდა დაგვასვან თავზე?!“

არც ლულუს მიერ გამოგზავნილი წაუკითხავი წიგნისა და ორმაგი მისნობით მიღწეული ამბავი გამოპარვია შავ ეზოში მოქოთქოთე მდაბიორებს. მათ უკვე ამოკითხულად ჩასთვალეს დაბეჭდილი გრაგნილი, დიდი და მცირე მოითხოვდა: ახლავე გაგზავნონ ოქროს ბოტინატები და დიპრემები, ახლავე გამოისყიდონო დედისიმედი.

ხალხი ბალღსა ჰგავს ერთ რამეში: მას ყოველთვის ეჩქარება ის აღსარულონ, რისი ახდენაც სანუკვარია მისთვის.

მესაწოლე ბერებმა ეპისკოპოზებსა და ერისთავებს ამცნეს ეს ყოველივე და სასახლეში დაირღვა მრსვენებულ ცხოვრება.

როგორ?

უშუალო ყიფჩაღთა მეფის ნაშიერი დედოფლად მოვიყვანოთ და იგიც გონჯი?

მარიამ დედოფალი ხომ მთლად აღაშფოთა ამ ამბავმა, მას ჯერაც არ გადაეთქვა თავისი აზრი, მხოლოდ ლამაზ სხეულში თუ დაივანებო ლამაზი სული რომ ამტკიცებდა.

როცა შიმუნვართა წინამდგომმა ვარდიამ მოკრძალებულად შეახსენა მას: დედოფალყოფილი რუსუდანის იგავმიუწვდენელი სულიერი სილამაზე, მარიამმა აგრე მოიბოდიშა:

რუსუდანი სომეხ მეფეთა ძველთაძველი სისხლის გამობრწყინება იყოვო, ნუ გავიწყდებათ, ისინიც ბაგრატილები იყვნენო.

ახლა ის ერისთავნი და ეპისკოპოზნიც, რომელნიც თავის დროზე მოჩამხულ ამბავად სთვლიდნენ იმ „მლეგი“ წილანელი ეპისკოპოზის მიერ ყიფჩაღეთიდან სადედოფლოს მოყვანას, აბუბუნდნენ...

ყველა ესენი დარწმუნებულნი იყვნენ ყიფჩაღთა უმათერესთან დამოყვრებას თან მოყვებოდა ორას ათასზე მეტი „უშუალო“ ყიფჩაღთა ნათესავის შიდა ქართლში ჩამოსახლებაც.

როგორც შამხარში გატვრინული ლომის მოახლოებისას უმცირესი ჩქამი ფაჩუნად იქცევა, ფაჩუნი-ბაკუნად, ბაკუნ-ბრაგუნად, ბრაგუნი-დვრინვად და ცეცხლოვანი თვლები საშინელების განცხადებას არ დააყოვნებენ, ისე ბრმადმორწმუნეთა შეგნებაში ოსი მერემის ჩურჩული ციყვივით ავარდა ნაქარმაგვეის სასახლეში, იჭიდან მთელ საქართველოს მოედო, როგორც სჯულისა და სამშობლოს სამრეკლოზე ბედითი რეკვა, განა მარტო რეკვა, შარების დარისხება.

მხოლოდ გიორგი ჭყონდიდელი, იოანე ქართლის კათალიკოსი, არსენა იყალ-

თოელი და კირონი მანგლელი დაქინებული სდუმდნენ ამ საქმის გამო. ცხადია, მათ გულშიაც ბოძობდა სხვა სჯულისაღმის სიძულვილის გენია, მაგრამ ისინი წონასწორობას არა ჰკარგავდნენ, რადგან ბრძნულად განჭვრეტილი ჰქონდათ, თუ რა ცეცხლი გიზგიზებდა დავით მეფის გულში. მათ თვალწინ დავითმა შეგნებულად ხელი ჰკრა თავის სასურველს მკერდზე და უფსკრულში გადასჩეხა იგი...

განა თუ იმიტომ, რომ დედისიმიედი სჯულისა და მამულის მოლაღატის ნაშეირი იყო, არამედ იმის გამოც, რომ თავად სამშობლომ არ იკმარა დავით მეფისაგან ბრძოლის ველებზე გაწეული თავგამებება, უმძიმესი მსხვერპლის გაღებაც მოსთხოვა მას, უსაყვარლესი არსების განწირვაცა...

ისინი ხედავდნენ რომ დავით მეფე შეჯერებული რომ იყო ამ მხრით, რადგან იგი თავათ იტყოდა ხოლმე:

მიწა და ღმერთი ზედმიწევნით ჰკვანანო ერთ რამეში ურთიერთს, ისინი გულის სისხლს მოითხოვენო ტფილს, თანაც უკანასკნელ სიყვარულსა და ამოსუნთქვასაც...

სწორედ ამიტომაც ნებისით თუ უნებლიედ ეთანხმებოდნენ დავით მეფის ნათქვამს: კაცთაგანი ყოველი უშჯულოდ იბადება და მირონცხებისაგან გაეხდითო ჩვენ ყველანი ქრისტესმხედარნი.

თავდაპირველად განზე იდგა მახარა, იგი თითქმის გულგრილად ექცეოდა სჯულის საქმეს, მას დიახაც მოსწონდა რიტუალური ცერემონიალი ქრისტიანული ეკლესიისა, მოოქროვილი ომფორებით შემოსილ მღვდელმთაფრების დღადისი და კლიროსის გალობა, მაგრამ ოსი შერემის მიერ ჩამოტანილმა ამბავმა იგიც შეაშფოთა.

მახარა აგრე სთვლიდა: დიაცისათვის სილამაზე ისევე მიუცილებელი სიქველეო, როგორც ვაჟკაცისათვის სიმაძაცე.

ამ უკანასკნელ დღეებში იგი მიხვდა

თუ რა ღრმა ფესვები ჰქონია მის გულში დედისიმიედისაღმი სიყვარულს. მთავრად მოუხშირეს მამლებმა უმცირესი ქრთა-ორჯერ დაცალეხულმა ფარშავანგმაც მიაწვდინა ბნელში გაღურსული ციხესასახლეს თავისი ამპარზენი ხმა, მერმე ყოველივე დადუმდა...

მოუსვენრად ტრიალებდა გიორგი მეფე, განგებისად ხუჭავდა თვალებს, მაგრამ აღარსად სჩანდა ძილი. უკვე ნატრობდა გიორგი: ნეტავ შემოვიდოდესო ვინმე. ერთბაშად ფაჩუნი მოისმა კარებს გადაღმიდან.

რომელი ხარო? მიაძახა დაგმანულ კარებს.

ახლადმოსულის ნაბიჯების ჩქამი ეცნაურა. დიოფალისას არა ჰგავდა იგი.

სასანთლენი აანთებინეო მახო.

ვიდრე საბია მოვიდოდა, სასთაულთან შედარამა ეს უთხრა მწოლარეს:

„ქყონდიდელი ხომ არ გეახლა?“

არაო მიუტეს.

„შესაძლოა ავად გახდა გიორგი მონაზონი გზაში და ამიტომაც საწოლს მიაშურა.“

მცირე ხანს სდუმდა მეფე, ბოლოს სთქვა:

„ხო მაგრამ ის ანგალი რად არ მეახლა, ჯონდი?.. ნეტავ გრაგნილი თუ გახსნა ქყონდიდელმა, შენ რას იტყოდი ვეო, ჰა?“

უკვე შულამე გადასულია, ალბათ ვერ შეგკადრესო ხლება, ანუგეშეს გაბოროტებული მეფე. ორივენი განგებისად აოკებდნენ ბაგეზე მომდგარ სიტყვებს, მაგრამ ორთავეს ფიქრი დასტრიალებდა ტყვიის ბეჭდებით დაბეჭდულ გრაგნილს.

კარის გადაღმიდან ხელახლა მოისმა ფათური.

გიორგის გაეხარდა. ეგებ ქყონდიდელი მეახლესო დაგვიანების მობოდიშებით. ორივე დედოფალს საღამური ტუნეკები მოესხათ, ფეხაკრებით შემოვიდნენ, სასთაულთან მიუსხდნენ გიორგის.

დღის აპრილი

★

სულთაგას შიდა

ნოველა

„თუ მე თქვენ მოგიწოდებთ, ჩემთან ერთად იმოგზაუროთ ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედების სამყაროში, იმიტომ რომ, დარწმუნებული ვარ ეს დაატკბობს ჩვენს პლასტიკურ გემოვნებას და შეამცირებს ჩვენს ლათინურ თავმოყვარეობას“.

„ლადო გუდიაშვილის ღირსება ძმაში მდგომარეობს, რომ შეურყენელად შეინარჩუნა თავისი ნაციონალური მგრძობიარობა იმ პლასტიკური „ცდუნების“ მიუხედავად, რომელსაც მას პარიზი სთავაზობდა“.

„ლადო გუდიაშვილი“ — მონოგრაფია.

მორის რენალი.

სურათზე მუშაობა მხატვარს დღეისათვის უკვე დამთავრებული ჰქონდა. ის იყო ატელიეს ალაგებდა, რომ კარზე კაკუნის გაისმა. კარი სწრაფად გაიღო და სახტად დარჩა: სტუმარს არ იცნობდა, მაგრამ უმალ მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. კიბის ბაქანზე, კარიდან სამიოდე ნაბიჯის დაშორებით იდგა წარმოსადგეგი მამაკაცი. ეს იყო ნამდვილი ცოცხალი პორტრეტი — ველასკესის ფუნჯით დაწერილი ოლივარესის გათანამედროვეებული ორეული. მასპინძელს უმალ თვალში ეცა მისი წარმოსადგეგობაც, იერიც და ჩაცმულობაც — ფართო ფარფლიანი შავი შლიაპა, მზით გარუჯული ხორბლისფერი სახე, შავი თვალწარბი, შავი უღვაში. შავი მოსასხამის „კაპ ნუარის“ ერთი კალთა მარჯვნიდან მარცხნივ მხარზე მოხდენილად გადაგდებული, მარჯვენა ხელით შემოყრილი დონჯი და ოდნავ წინ წადგმული მარცხენა ფეხი.

— თუ არ ვცდები, — დაიწყო სტუმარმა, — მე მოვედი იმ მხატვართან, რომლის ნამუშევრებიც ვნახე საშემოდგომო სალონში და საოცრად მომეწონა!.. გუდ... გუდია... — გვარის გამოთქმა გაუჭირდა, ერთბაშად ვერც გაიხსენა.

გუდიაშვილმა თითქმის შეჰყვირა.

— ეს თქვენა ბრძანდებით, მეესტრო იგნასიო სულთაგა?!.. — და თავის დაბლა დაკვრით, ქართულად ხელგაშლილმა მასპინძელმა სახელოვანი სტუმარი შინ შეიწვია.

ეს მოხდა პარიზში, 1920 წლის შემოდგომაზე...

სულთაგამ ქაბუც მხატვარს და მასპინძელს თავის ოდნავ დახრით თავაზიანი მადლობა გადაუხადა და ოთახში შევიდა. ერთი შეხედვით მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ოთახის ოთხივე კედელი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით „გადატვირთული“ იხილა. რომელ კედლისკენაც კი შებრუნდებოდა ამაყად მზირალი სტუმარი, ამ გაოცებისა და კმაყოფილების ნიშნად უმალ აღმოხდებოდა ამოჩემებული — „ო!“..

როცა კედლებზე სურათებს თვალის ერთი გადავლებით წინასწარ გაეცნო, მერე, განზე, თითქმის ზურგს უკან მორიდებით მდგარ გუდიაშვილსაც მიაპყრო მზერა. ამ ქაბუცმა, მართალია, პირველი დანახვისთანავე მოხიბლა სულთაგა თავისი მკვირცხლი თვალებით, განსაკუთრებული ღიმილით, მიუხედავად სიყმაწვილისა, ოდნავ უკვე შექალარა-

ვებული თმითა და უჩვეულოდ შავი, გრძელი და მოხდენილი წარბებით, მაგრამ ახლა შთაგონების კიდევ უფრო მეტი ცეცხლი აღმოაჩინა მის იერში ესპანელმა და თვალის მოცილება, ცოტა არ იყოს, გაუძნელდა...

— არის რალაც საერთო ამ სურათებსა და მის ავტორს შორის! ჩემი აზრით, ეს გახლავთ მეტად თვალსაჩინო, უცნაური თავისებურება! არც თქვენი იერის, არც თქვენი სურათების მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს! — თქვა სტუმარმა.

გუდიაშვილმა თავი უხერხულად იგრძნო და, ალბათ, აპირებდა კიდევაც ესაყვედურა იგნასიოსათვის — ეს მეტიმეტიაო, მაგრამ იგნასიომ აღარ აცალა.

— მე თქვენგან არაფერს გამოველი, რომ პირში ქებით თქვენს თავბრუსხვევას და გულის მოგებას ვლამობდე! მე ესპანელი ვარ, თანაც ორმოცდაათ წელს მიღწეული... მრავალ ჭირვარამ ნახული და... საკმაოდ მდიდარიც! ასე რომ, მერწმუნეთ, რაც ჩემი სულისა და გულისათვის უცხოა, მის საქებრად ერთ სიტყვასაც ვერ გავიმეტებ! გულწრფელობა და კეთილსინდისიერება როგორც ამხანაგობაში, ისე ხელოვნებაში!

სულთაგა, მართალია, გუდიაშვილს ელაპარაკებოდა, მაგრამ სურათებს გასცქეროდა, თვალი ვეღარ მოეშორებინა მათთვის.

— თქვენს ნამუშევრებში ჩანს სწორედ ის გულწრფელობა, გატაცება, თავდადებული შრომის უნარი და თავმოყვარეობის გრძნობა, რასაც მხოლოდ პრინციპული შემოქმედის მუშაობაში ვხვდებით. რაც უფრო ნიჭიერია ხელოვანი, მით უფრო პრინციპულია და რაც უფრო პრინციპულია, მით უფრო ნიჭიერია! მლიქვნელობა და უპრინციპობა ერთიმეორეზე საძაგელი თვისებებია, რომლებიც ადვილად ააშკარავენ ხელოვანის უმწეობას და უნიჭობას!.. გახსოვთ, ბეთოვენის ბიოგრაფიის ერთი დეტალი?.. თურმე, როცა წყალმანკიანს ნემსით მუცელი გაუჩხვლიტეს, ცუდ

დღეში მყოფმა გენიოსმა ასე იხუმრა — უმჯობესია წყალი მუცელიდან გამოვედეს, ვიდრე კალმოდანოს, მაგრამ ცხელ ასეთი სჯაბაასის დრო არ არის... თქვენი სურათების დათვალიერება დღის სინათლეზე უნდა მოვასწრო, დღე კი იწურება. არ გაგიკვირდეთ, სენიორ ლადო, მე გატაცების კაცი ვარ და... აი, ხომ ხედავთ ახლაც ისე გამიტაცა ნიჭიერი უმცროსი კოლეგას ნამუშევრებმა, რომ ქუდის მოხდაც კი დამვიწყებია! — მან ხელის მარჯვე მოძრაობით მოიხანდა შლიაპა, ოთახს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და შემოსასვლელთან შენიშნა თუ არა ტანსაცმელის საკიდი, უშალ მიამურა. მასპინძელს, მართალია, ეწადა ქუდის ჩამორთმევა, მაგრამ ვეღარც ამის თქმა მოასწრო, ვეღარც ხელის გაწოდება. სულთაგამ საკიდე მასპინძლის ქუდის გვერდით ჩამოჰკიდა თითქმის ისეთივე, თავისი ქუდიც და კვლავ ლადოსაკენ გამოემართა, რომელიც შუა ოთახში შეჩერებულიყო და აღარ იცოდა რა ექნა...

სულთაგამ გუდიაშვილთან მიახლოებამდე მოიხსნა შავი მოსასხამიც; მოსასხამმა უცხო ფრინველივით გადაიქროლა ოთახში. იქვე სკამის საზურგეზე ხელოვანისათვის დამახასიათებელი დუღევრობით გადაჰკიდა იგი. ყოველი დიდი ხელოვანი ხომ მართა ხელოვნების ქმნილებას უფროხილდება ამ ქვეყანაზე. ყოველი ხელოსანი კი ნივთის თავყვანისმცემელია...

რაც სულთაგას მოსვლიდან დრო გავიდა, ეს ის წუთები იყო, როცა გუდიაშვილი ყველაზე ბედნიერ მხატვრად თვლიდა თავის თავს... ეს ის წუთები იყო, როცა ახალგაზრდა მხატვრის ხსოვნაში საკვირველი სისწრაფით და თანმიმდევრობით გაცოცხლდა ყველაფერი, რაც ამ ცოტა ხანში წინ უსწრებდა სულთაგას მოსვლას მის ატელიეში.

• • •

გუშინდელ დღესავით ახსოვს გუდიაშვილს ერთი თვის წინანდელი ამბავი, როცა მონპარნასზე დაემშვიდობა ფერ-

ნან ლევესა და მესენეცს. თუმცა იგი კაფე „როტონდ“-ისაკენ ეშურებოდა, მაგრამ ფრანგი ამხანაგები არ მიუპატიუ-ია; იცოდა, შუადღისას პარიზელები კაფეში არ დადიან. საღამოს შეიღ-რვა სა-ათამდე, ვიდრე თავიანთ საქმეს არ მორ-ჩებიან, მათ იქ ვერ ნახავთ. თუმცა შუა-დღე იყო, მაგრამ ბულვარის გასწვრივ გაქიმულ კაფე „როტონდ“-ში არც ისე ადვილად შეგეძლოთ თავისუფლად სკა-მის შოვნა. დედამიწის ყველა კუთხიდან პარიზს შემოხიზნული აუარებელი ხე-ლოვანი, აუარებელი ცნობისმოყვარე, კაფეების მუდმივი სტუმარი იყო.

ბულვარზე სწრაფი ნაბიჯით მიმავა-ლი გუდიაშვილი კაფეში მაგიდებთან შეჯგუფულ ხალხსაც ათვალერებდა, მაგრამ ვისაც ეძებდა, ჯერ მისთვის თვალი ვერ მოეკრა. მან შენიშნა, რომ კაფეში, ბულვარის პირად მსხდომ-თა უმრავლესობა ცნობისმოყვარეობით აყოლებდა თვალს რაღაც სანახაობას, რაც ქუჩის გადაღმა, ბულვარის მეორე მხარეს ხდებოდა. გუდიაშვილმაც გაიხე-და იქით და უმალ მიხვდა ყველაფერს: ბულვარზე ღირსეულად მიაბიჯებდა სა-ქვეყნოდ ცნობილი პაბლო პიკასო. მას ერთი ბოლოთი ხელთ ეპყრა ორი ცერის სიმსხო თოკი, რომლის მეორე ბოლო კი-სერზე ება მინიატურულ, თითქმის მუშ-ტისოდენა ძალს. ძალი ძლივს მიათ-რევდა თოკს და მისი სიმძიმისაგან დრო-დადრო გვერდზე იქცეოდა კიდეც; მაგრამ ეტყობოდა — ამ ამბავს შეჩვეუ-ლი იყო და თავის გასაჭირს არ იმჩნე-და, არც არად აგდებდა.

ახლა გუდიაშვილი სხვებთან ერ-თად გაფაციცებით ადევნებდა თვალს ამ სანახაობას და თუ მასში თოკის სიმ-სხოთი ასე გაწვალებული ფინია უნებ-ლიე ღიმილს და სიბრაღულს იწვევდა, სამაგიეროდ, პიკასოს ხილვა მოწიწების გრძნობით ავსებდა მის გულს. როდესაც პიკასო ბულვარის მეორე მხარეს გადმოვიდა, და საკმაოდ მიუახლოვდა, გუდიაშვილს ეუხერხულა აშკარად, მო-

ურიდებლად მისთვის ცქერა. სწორედ ამ დროს კიდეც დაუძახეს და ულაღვემ გაიხედა თუ არა კაფეს მსახურმისსკენ, დაინახა სულბინინი, რომელიც ხელს უქნევდა. გუდიაშვილიც სწორედ მის სანახავად იყო წამოსული. ახლა ერთ-ხელ კიდეც გახედა მოახლოებულ პი-კასოს და სულბინინთან მივიდა. მაგი-დასთან, თავისუფალ სკამზე უფროსი კოლეგის გვერდით ჩამოჯდა და თავისდა უნებლიეთ კვლავ იქით გაიხე-და, სადაც პიკასოს უკანასკნელად შე-ავლო თვალი. გუდიაშვილს იღუმალ გა-ეხარდა, როცა დაინახა — პიკასო რომ სწორედ მათკენ ეშურებოდა. მთელი კა-ფეს ყურადღებაც ახლა აქეთ იყო მო-პყრობილი. თავისუფალი სკამი სწორედ გუდიაშვილის ზურგს უკან, მეზობელ მაგიდასთან აღმოჩნდა და პიკასოც სწო-რედ ამ სკამზე დაჯდა.

როგორც ახლომახლო მსხდომთა, ისე გუდიაშვილის ყურადღებაც ახლა პიკა-სოს მიეპყრო. გუდიაშვილი იმას წუხ-და, რომ პიკასოსაკენ ნახევრად ზურგ-შექცეული იჯდა და არ შეეძლო უფრო თავისუფლად ეცქერა მისთვის.

ძალი რომ ფერხითი პყოლოდა, პი-კასომ მუხლზე გადაიგდო თოკი და მერე ოდნავ შესამჩნევი გაოცებით იწყო კა-ფეში მოზღვავებული ხალხის თვალე-რება. ბოლოს იკითხა კიდეცაც:

— განა რომელი საათია?!

რახან გუდიაშვილი ახლო იჯდა, პირ-ველმა უპასუხა კითხვაზე.

პიკასომ მოიხედა, გუდიაშვილს თვა-ლი შეავლო და თავის ოდნავი დაქნე-ვით მადლობა გადაუხადა. მცირე დუ-მილის შემდეგ, თითქოს ახლა მარტო გუდიაშვილის გასაგონად ამბობსო, დას-ძინა:

— საკვირველია, რომ ამ საუკეთესო სამუშაო საათებში კაფე სავსეა მხატვ-რებით!

კვლავ მოწიწებით, მაგრამ ახლა უფ-რო თამამად მიუჯო გუდიაშვილმა გა-ოცებულ პიკასოს:

— მაესტრო, ესენი სულ უცხოელები და ისიც ორი-სამი დღის ჩამოსული

გახლავთ. ჯერ საქიროა პარიზის „ჰავას“ შეეჩვიონ და მერე დაიწყონ მუშაობა.

წამით პიკასოს ყურადღება მიიპყრო კაფეში წითელკანიანი ინდოელი მხატვრის — არისის გამოჩენამ. მას ნაციონალური თავსამკაული ამშვენებდა. თუმცა ეს არ იყო იშვიათი სანახაობა. დედამიწის რომელი კუთხიდან ჩამოსულ მხატვარს არ შეხვდებოდი აქ!

— თქვენ სადაური ბრძანდებით? — მოულოდნელად ჰკითხა პიკასომ გუდიაშვილს.

ლალომ მოკლედ აუხსნა. საიდანაც იყო. პიკასომ კვლავ დინჯად, კმაყოფილებით დაუქნია ოდნავ შემობრუნებულ თავი. მეტი აღარაფერი უკითხავს, რადგან ამასობაში შეკვეთილი ყავაც მოართვეს.

გუდიაშვილიც ყავას შეექცა, თან სუდბინინთან და გრანოესკისთან განაგრძო ბაასი. სუდბინინმა „სხვათაშორის“ ჰკითხა, ხომ არაფერი შეგიტყვიო, თუმცა წინასწარ იცოდა როგორ პასუხსაც მიიღებდა. სუდბინინი წინანდებურად დარწმუნებული იყო, რომ გუდიაშვილმა იჩქარა, „ჩამოსვლისთანავე“ სურათები გაგზავნა საშემოდგომო სალონში გამოსაფენად, მისი აზრით, მეტად ნაადრევი და სარისკო იყო. ჯერ ხომ პარიზის სალონებში სრულიად არ იცნობდნენ ამ ახალგაზრდა მხატვარს.

— არა უშავს! თუ გაიმარჯვებ, ხომ კარგი, თუ არა და... გამარჯვებისათვის ისე ვის მიუღწევია, ერთხელ მაინც არ დამარცხებულეიყოს!

„მამხნევებს, მაგრამ კილოზე ეტყობა, მტკიცედ სჯერა ჩემი დამარცხება“, — გაიფიქრა გუდიაშვილმა და სუდბინინის ისე შეხედა, რომ ამ ახალგაზრდა მხატვრის უჩვეულო მხნე იერმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა პარიზის სალონებში კარგად ცნობილი ოსტატი.

კაფეში, უფროს კოლეგებთან გუდიაშვილი დიდხანს არ დარჩენილა. იმ დღის შემდეგ, რაც საშემოდგომო სალონში გამოსაფენად სურათები გაგზავნა, მოუსვენრობამ შეიპყრო. გული ვერაფრისთვის დაედო. მის ეჭვებს, მღე-

ღვარებას, დამარცხების თუ გამარჯვების იდეალ, გამოუცნობ მოლოდინს ისიც აძლიერებდა, რომ მისმა მეგობრებმა პარიზში, ცნობილმა რუსმა მოქანდაკემ, — სუდბინინმა წინასწარვე გააფრთხილა — არამც და არამც არ აჩქარდე, სულ ადვილი შესაძლებელია დამარცხება, დამარცხებულს კი პარიზი შემდეგშიაც აღარ შეივროდომებო. მაგრამ გუდიაშვილმა მაინც არ შეისმინა ასეთი რჩევა და პარიზში სულ რამდენიმე თვის ჩამოსული ახალგაზრდა ქართველი მხატვარი გაბედულად მიენდო თავის ბედსა და... თავის ნიქს. პარიზის სწორედ იმ სალონში სურათების გაგზავნა, სადაც ყველაზე მკაცრი იყო გამოსაფენი ნაწარმოებების შერჩევა, ისიც პირველად, მართლაც დიდი გამბედაობა იყო და ახალგაზრდა ქართველ მხატვარს ეს გამბედაობა აღმოაჩნდა. მის გაბედულ ნაბიჯს „გამოცდილი მეგობრების საყვედურები და მწვავე მოლოდინი მოჰყვა. ზოგჯერ თუ წლებიც ისე გავა, რომ მოლოდინის ეს სიმწვავე გულს წამითაც არ შეაკრობს, ზოგჯერ რამდენიმე დღე და საათი სულის სიღრმემდე ააფორიაქებს ზოლმე ხელოვანის არსებას, ასე სულის სიღრმემდე აფორიაქებული ელოდა გუდიაშვილი სალონის ეიურის განაჩენს.

დღე დღეს მისდევდა. პასუხი იგვიანებდა. ასეთ შემთხვევებში მოლოდინი ისე აუტანელია, ზოგჯერ კიდევ იფიქრებს გაწვალებული კაცი — ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, ოღონდ ამ მოლოდინის დროზე ბოლო მოეღოსო; მაგრამ გუდიაშვილი ახლა სულის საოცარ სიმხნევეს იჩენდა. მისაღები ერთადერთი პირობა მისთვის — გამარჯვება იყო. გამარჯვება თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გამარჯვება. ნუთუ ოთხ სურათში ერთსაც აღარ მიიღებენ — გაკვირვებით, ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა გუნებაში თავისთვის და თვითონვე უპასუხებდა აკვიტებულ კითხვაზე — როგორ შეიძლება, ორი თუ არა ერთი სურათი მაინც არ მიიღონ... და ახლა გა-

მოცნობის წადილი შეიპყრობდა მხატვარს — რომელი უნდა ყოფილიყო ის ერთი — „ქართული იდილია“? თუ „ქეიფი გათენებისას“... ვინ იცის, იქნებ — „ქეიფი თბილისის გარეუბანში“... ან „ქეიფი ქალთან“.

და ამ ფიქრებში ოთხივე სურათის ყოველი დეტალი თვალწინ ცოცხლდებოდა. ზოგჯერ ასეთ აკვიატებულ ფიქრებში წასულს ეჩვენებოდა, რომ მისი სურათების პერსონაჟები გაცოცხლდნენ... გაქრა ჩარჩო... ისმის დუდუკის სევდანარევი, გულჩათხრობილი ღუღუნი... მთელი ღამის ნაჭეიფარი კინტოს მღაშე ქარავმა, თუ გულის მოსაფხანნი წამომღერება — „ბარაშკაჯან, არ შავცოდეს“... კიდევ ერთი საღვებრძელო ტვინგახურებული თამაღისა, ალავერდი, მიკობულ-მიკობული სიტყვები, სურათი და მოკლე ტუში, თითო ლუკმა მწეადო, ბოლოვისა და შუშა კიტრის ჩახრამუნება და კვლავ სევდიანი ღუღუნი ღუღუკისა... ქეიფი გრძელდება... უეცრად მედოლის შუბლზე დანერწყვილი ქალღლის ფულის ტკაცანით აწებება და, ერთი-ორი ჯიგრიანი შეძახილი... თითქო მედოლეც გამოფხიზლდაო... დოლის ბავუნს დილის ნიავი მიარწყვს, დროდადრო ჩართული წკობურტების ტკაცატყუცი ისმის გაუჩნებულ მიდამოში... ვიღაცას ცეკვის საღერღელი აშლია, ერთი ქუდს ისწორებს, მეორე ბეჭს ატოკებს. პრელი ბადღადი ხოზობივით ავარდა პაერში. ხმელი სხეული არც კი ირხევა, მაგრამ კონველსიურად ტოკავენ სახის კუნთები... რალაც უცნაური პაექრობა გაუმართავს ორი მოცეკვის ხელებს. ყოველი ეცსტის შესაბამისად იცვლება მიმიკაც... დიდხანს გრძელდება ამ უსიტყუო კამათის ოინბაზური იმპროვიზაცია...

პარიზში, მონპარნასზე გუღიაშვილს აგონდებოდა ძველი თბილისი, მტკვარი, ორთაქალა, კინტოების განიერი შარვალი, სიარულში უცნაურად ჩაქსოვილი ელასტიური მიხვრა-მოხვრა, ბეჭების და თუქოების თამაში, ნახევარმთვარესავით, თუ ქართულ უნაგირისავით

თავბოლო აპრეხილი ვიწრო ქუდი, ვერცხლის ვიწრო ქამარი და მწვენი ზალზე ყოჩის რქასავით წაგრებილი ბაღმანი... აგონდებოდა და რალაც გამოუცნობ ხალისთან ერთად ხელახლა იზადებოდა რწმენაც გამარჯვებისა... რომ პარიზსაც შეიპყრობს ცთუნება, რომ, გუღიაშვილის ყალმით გაპოეტურებულ თბილისელ კინტოებსაც გაატარებენ ხელოვნების ტრიუმფალურ თაღქვეშ...

კაფედან შინისაკენ მიმავალ გუღიაშვილს ანაზღად მოაგონდა თბილისში გატარებული ბოლო დღეები, ვიღერე პარიზს გაემგზავრებოდა... 1919 წლის ოქტომბერი... კაფე „ქიმერიონი“... მუშაობა ფრესკაზე „ქიმერიონის“ ჩასასვლელში. ჩასასვლელის ერთ მხარეს კედლის მოზატკას ამთავრებს ლადო, მეორე მხარეს — სუღეიკინი. უეცრად კიბის თავში, ბაქანზე გამოჩნდა ტიციანი ტაბიფე. მის ასევე უეცარ ჩამოძახებას კედლებიც იმეორებენ: — ლადო! გადაწყდა შენი და დათიკოს პარიზს გაგზავნა. გაოცებული გუღიაშვილი ახედავს და ტიციანისთვის თვალის მოკვრას ძღვის ასწრებს. მაცნე მოჩვენებასავით ქრება. გუღიაშვილის გულს სიხარულით ავსებს ეს მოულოდნელი ცნობა, მაგრამ აბრაზებს ტიციანის გაქცევა. ხარიხიდან უმალ ძირს ჩამოღის, კიბეზე ფუნჯებს ანარცხებს და საჩქაროდ იზღის ფერებით მოსერილ ხალათს...

სუღეიკინი ერთხანს გაოცებით უცქერის.

— ლადო, რა მოხდა, ვინ გაგაბრაზა?!

— ტიციანს თვითონ რალაც გაუგია, შენ და დათიკოს პარიზს გაგზავნიანო, ჩამომძახა და გაიქცა... არ მაცალა გამომკეთხა, რა და როგორ მოხდა...

— მამ მომილოცავს! — თქვა სუღეიკინმა.

გვიდა დღეები, თვეები... მონპარნასზე იუგენსის ქუჩა გუღიაშვილისათვის ახლა მშობლიური ქალაქის ქუჩასავით ნაცნობი და ახლობელია. ახალგაზრდა მხატვარი გატაცებით მუშაობს,

სულ ახალ ახალი სურათები ჩნდება მისი სახელოსნოს კედლებზე. დგება დრო გაბედული გადაწყვეტილებისა — ოთხი სურათი გაუგზავნოს საშემოდგომო სალონის ეიურის... კარგად ახსოვს, როგორ გაატანა შუახნის მამაკაცს თავისი ოთხი სურათი. ბერეტინი მამაკაცი სხვა მხატვრების სურათებთან ერთად ორთვალზე მარჯვედ ათავსებს გუდიაშვილის ტილოებსაც და რიქშასავით მთარბინებს ასეთი ტვირთით გაპატონებულ ორთვალს. გუდიაშვილმა მასთან გასაუბრებაც მოასწრო. ახალგაზრდა მხატვარი უნებლიეთ გაოცდა, როცა „პორტრე და ტაბლომ“ სხვათაშორის, დასამშვიდებლად უთხრა — ნუ გეშინია, ამ ორთვალთი მიტარებია რენუარის, მონეს, პიკასოს, მატისის და თვით როდენის ნამუშევრებიც...

ამ სანუკვარ ფიქრებში გართული გუდიაშვილი ერთბაშად გონს მოვიდა. ის უკვე იუგენსის ქუჩაზე იყო; თავის სახლს უახლოვდებოდა. თუ აღრე, სალონში სურათების გაგზავნამდე მხიარულად გაიბრუნდა ხოლმე ქუჩას სახლამდე, ეს რამდენიმე დღეა, რაც უფრო უახლოვდება სახლს, მით უფრო უმძიმს ნაბიჯის გადადგმა... ვიდრე ოთახის კარს შეაღებდეს, ციებ-ციხელებიანივით კანკალებს... ყოველ წუთს, ყოველდღე ელის ცნობას... კარს ნელა აღებს, თან იატაკს შიშით დასცქერის... კარის ჭრილში შესვრებული ბარათი ჩვეულებრივ იატაკზე ხედება ხოლმე...

ასე ელოდა, ელოდა გუშინწინ, გუშინ, დღესაც... მართლაც... გაალო კარი და ელდასავით ეცა რაღაც: იატაკზე სალონის ეიურისაგან გამოგზავნილი ფურცელი ედო. გუდიაშვილი ერთ წუთს გაშეშებული იდგა, დახრა და ფურცლის აღება ვერ გაებედა... მაგრამ როცა აიღო, პირველ წაკითხვაზე თვალებს არ დაუჯერა:

„ქართული იდილია“ — admis!

„ქეიფი გათენებისას“ — admis

„ქეიფი ქალთან“ — admis

„კინტოების ქეიფი თბილისის გარეუბანში“ — admis

ვერ გაეგო, რა მოხდა. ეს ამბავი დაუჯერებლად ეჩვენა. რამდენიმე წუთი გაშლილი ქაღალდით ხელში თავბრუდახვეული ბოლთასა სცემდა ოთახში. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გულში სიხარული ვეღარ ეტეოდა, მაგრამ ეშინოდა მისი აშკარად გამოხატვისა... ანაზღად გაახსენდა, ამ ცოტა ხნის წინ კაფეში სუდბინინს რომ ებაასებოდა სწორედ სურათების მიღება-არმიღების თაობაზე. გაახსენდა და არც აცია, არც აცხელა, თავქუდმოგლეჯილი გარეთ გამოვარდა. იუგენსის ქუჩაზე გამვლელები თვალს უნებლიეთ აყოლებდნენ ახალგაზრდა მხატვარს, რომელსაც ცალ ხელში ქუდი ეჭირა, მეორეში ქაღალდის ფურცელი. სუდბინინი ისევ კაფეში დახვდა. სუდბინინის გვერდით მჯდომი გრანოვსკი ისეთი გატაცებით უთვალთვალებდა ცნობილ მოდელს — ზანგ ქალს აიშეს, რომ ლადოს გამოჩენა ერთბაშად არც შეუშინებია.

სუდბინინმა კი თვალი მოჰკრა თუ არა გუდიაშვილს, უმაღლ წამოიწია. ლადო ცდილობდა თავი მშვიდად დაეკვირა, მაგრამ ახლა ვეღარ ახერხებდა ამას.

— ლადო, რა მოხდა?! — ჰკითხა სუდბინინმა, როგორც კი გუდიაშვილი მის მაგიდას მიუახლოვდა.

— მეც არ ვიცი, რა მოხდა და სწორედ მის შესატყობად მოვედი... იქნებ ამისხნათ...

— რის შესატყობად, რა ამბავია?! ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ იყო აშკარა — ის, რომ ლადო უცნაურად აღელვებული გამოიყურებოდა.

— თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი? — ამ სიტყვებზე, ფურცელი, რომელიც სალონის ეიურისაგან მიიღო, სუდბინინს გაუწოდა.

სუდბინინმა სწრაფად გადაიკითხა ფურცელი. ერთი წამით თავი ასწაა, გუდიაშვილს უკიდურესად გაოცებულის თვლით შეხვდა და ისევ ფურცელს დააქერდა. ბოლოს სკამზე ნა-

1 admis — მიღებულია.

ხერად წამოიწია, გუდიაშვილს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ჩემო კარგო, სხვა არაფერი დამჩენია, გარდა იმისა, რომ მხურვალედ მოგილოცო!... ჩემი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. საკვირველი გამარჯვება მოგიპოვებია!

— მაშ, ეს... რაც აქა სწერია, ნამდვილად ნიშნავს...

— დიახ, შენი ოთხივე სურათი მიღებულია, ჩემო ლაღო!.. პარიზში ასეთი გამარჯვება სახუმრო საქმე არ არის! წარმოიდგინე ოთხმოციათასი ბედის მძიებელი ხელოვანი! აქედან — ნახევარი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული!.. ადვილია განა ამოდენა არმიამი თავის გამოჩენა?!

ეს დღე გუდიაშვილმა ძლივს დააღამა. დასაქმებული აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ დღევანდელი ამბავი ჯერ კიდევ სიზმარი ეგონა, საღამო მეგობრებთან გაატარა. შინ რომ დაბრუნდა, მთელ თავის ავლადიდებას თვალი გადაავლო. ყოველი ტილო, ყოველი ნახატი გულდასმით, უცხოს თვალით გასინჯა და ზოგი რამ ახლა, ცოტა არ იყოს, გუნებაში თვითონაც მოეწონა... ბოლოს აგრერივად აფორიაქებულმა და შთაბეჭდილებებით დაქანცულმა აწეწილი ნერვების დასამშვიდებლად დაძინება რომ სცადა, მალე შეატყო — ამ დამეს თეთრად გაათენებინებდა დღევანდელი სიხარული და მღელვარება. სიბნელეში, თავქვემ ხელემაოწყობილმა შეუძინეღვლად გაიჯირითა მოგონებებში...

როცა მოგონებებით გული „იჯერა“, სინათლე კვლავ აანთო და ბალიშს ქვეშ ამოდებული დელაქრუს „დღიურები“ მოიმარჯვა. დიდხანს ფურცლა... თავისი განწყობილების შესაფერის სტრიქონებს ეძებდა დიდი მხატვრის ინტიმური ცხოვრების მატჩანეში.

გათენდა ვერნისაყის დღეც. როცა სხვა მხატვრების ნამუშევრებთან ერთად გუდიაშვილმა თავისი სურათებიც იხილა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე მართლა კარგად იყო... მხატ-

ვრები ფუსფუსებდნენ თავთავიანთ სურათებთან; ერთი ლაქს უხვამდა მეორე მტვერს აცლიდა, მესამე კინოცხალების მაგივრად, გვირს აწერდა მთლიანად და გარკვევით, მეოთხე ყირამალა დაკიდებულ სურათს ასწორებდა, სხვა კიდევ უქმყოფილო იყო, რომ სურათები ახლო-ახლოს ეკიდა, ზოგს კი სულ არ მოსწონდა ის ადგილი, სადაც მისი სურათები დაეკიდათ და ენერგიულად მოითხოვდა მათს სხვაგან, უფრო ხელსაყრელ ადგილზე გადაკიდებას... ამ ფუსფუსში მალე გუდიაშვილიც ჩაება. ის დიდხანს თავს დასტრიალებდა „ქართულ იდილიას“ „ქეიფს გათენებისას“, „ქეიფს ქალთან“ და „კინტოების ქეიფს გარეუბანში“, რომლებიც ხელ უნდა წარმდგარიყვნენ პარიზის რჩეული საზოგადოების წინაშე.

ცოტა იქნებოდა იმის თქმა, რომ გამოფენის გახსნის პირველ დღეს გუდიაშვილს თვალები აუტრელდა და თავბრუ დაესხა. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ თუ გამოფენის გახსნა პარიზში ასეთი უჩვეულო სადღესასწაულო ელფერით იქნებოდა მოსილი, ვერც კი წარმოიდგენდა. მამაკაცები, უთვალავი სმოკინგების და ცილინდრების კორიანტელი... ქალები, ნამდვილი სამემოდგომო მოდების ნიღვარი, რალაც ზღაპრული, თვალისმომჭრელი გამოფენის ნაირნაირი კაბებისა... სწორედ კაბების ფასონის მრავალფეროვნება და ფერთა სიუხვე ჩრდილავდა გამოფენილი სურათების ფერადოვნებას. როგორც გუდიაშვილმა შეატყო და დაასკვნა, აქ ხალხი, განსაკუთრებით ქალები, უფრო იმისათვის მოსულიყვნენ, რომ თავიანთი კაბების ახალი ფასონი ეჩვენებინათ ერთმანეთისათვის, ვიდრე სურათები ეთვალეირებინათ; და მართლაც, მთელი მათი ყურადღება ერთმანეთის ჩაცმულობისაკენ იყო მიპყრობილი, სურათებისაკენ კი მხოლოდ შემთხვევით და ისიც ერთი წამით თუ გაიხედავდნენ ხოლმე...

შეუძლებელი იყო ყურადღება, არ მიგვეცია ამდენი ლამაზმანებისათვის... მხატვრები მაინც ცდილობდნენ ამ

ცდუნებისათვის გაქმლოთ.. თავთავიანთი სურათის შორიახლოს გაჩერებულნი მორიდებით უთვალთვალებდნენ, ვის ყურადღებას მიიპყრობდა რომელიმე მათგანის ნამუშევარი და როგორი გამომეტყველება ექნებოდათ სურათის თვალიერების დროს.

შექმნივლად გავიდა დრო. ამ აუწერელი სანახაობის და დიდი შთაბეჭდილების დღეც მიიწურა. გუდიაშვილი შინ ისე დაქანცული დაბრუნდა, თითქოს ფეხით მთელი პარიზი მოეცლოს..

გამოფენა უკვე რამდენიმე დღის გახსნილი იყო, როდესაც გუდიაშვილს ახალი სასიხარულო ამბავი „დაატყდა“ თავს. სალონის ყიურის მდივნისაგან ბართი მიიღო... ატყობინებდნენ — შენი ერთი სურათის შექმნა სურს სახელგანთქმულ ესპანელ მხატვარს იგნასიო სულაგასს.. გუდიაშვილმა თავში ხელი იტაცა, თვლები დახუჭა და იქვე, სკამზე მოსხლებით ჩამომჯდარი ნიდაყვებით მაგიდას დაეყრდნო. რამდენიმე წუთს თვალი არ გაუხელია. გაოცებული იყო ასეთი წარმატებით... ელვის სისწრაფით გაირბინა მის ხსოვნაში ყველა ნაცნობი თუ უცნობი მხატვრის თოდომარმა სახემ... კაფეში შეხვედრისთანავე რამდენმა უთხრა გუდიაშვილს — შენი სურათი მოგვეწონათ.. მაგრამ რა სასიხარულოც უნდა ყოფილიყო თანატოლებისა თუ ხნიერი კოლეგების თანაგრძნობა, როგორ შეედრებოდა იგი სახელგანთქმული ესპანელი ოსტატის არა მარტო უბრალო ყურადღებას, არამედ... უცნობი ახალგაზრდა მხატვრის ერთი სურათის შექმნის სურვილს...

ამ სიხარულით აფორიაქებული, უფრო მეტად გამხსნელებული და გულის სიღრმეში წარმატებით კმაყოფილი გუდიაშვილი უმაღლესი შლიაპას ეცა, მოხდენილად დაიხურა და გარეთ გაიქრა. გული ველარ უთმენდა, რომ ყველაფერი სასწრაფოდ და დაწვრილებით არ შეეტყო...

სალონში, ყიურის კომიტეტის მდი-

ვანს გუდიაშვილი თავაზიანად მიესალმა და მერე მორიდებით გაუწოდა ბარათი, რომელიც ცოტა ხნის წინ მიიღო. მდივანმა თვალი შეაქლო თუ არა ფურცელს, უმაღლეს გუდიაშვილს ახედა, მრავალმნიშვნელოვნად გაუცინა.

— თქვენ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხართ დაბადებული... უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაში!

— რაკი თქვენ ასე ფიქრობთ, მ-სიე...
— კომპლიმენტი არ გეგონოთ. ყიურის მოწონებას რომ თავი დავანებოთ, ვანა მაესტრო სულაგას ასეთი ყურადღება საკმარისი არ არის?.. თქვენი სურათის გარდა, მას არც ერთი სხვა ნაწარმოების შექმნა აზრადაც არ მოსვლია... გამოფენაზე კი, თქვენ თვითონ ხედავთ, რამდენი ნაწარმოებია თავმოყრილი და ზოგიერთი მაინც, მხატვრულად რაიგი მნიშვნელოვანია!..

გუდიაშვილი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, შეეტყო, რომელი სურათის შექმნის სურვილი გამოთქვა სულაგამ და საერთოდ რა ილაპარაკა მის ნაწარმოებებზე.

თითქო გულისთქმას მიუხედავ, ამ ლაპარაკში მდივანმა გადაშალა კატალოგი, ადვილად მიაგნო ასო განსა და შემდეგ ლალოს გვარსაც. გუდიაშვილის სურათის „ქალთან ქეიფის“ გასწვრივ ხაზი იყო გასმული.

— გამოფენის დათვალიერების შემდეგ მაესტრო სულაგამ გვითხრა, გუდიაშვილის „ქალთან ქეიფი“ მინდა შევიძინო და ჩემ საკუთრებად ჩასთვალეთ იგიო. მე მოვასხენე, ავტორს გადაეცემ თქვენს სურვილს და ფასზედაც საბოლოოდ შევეთანხმდები-მეთქი.

— მ-სიე, რომელ ფასზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ჩემი სურათი მაესტრო სულაგასს მოსწონს?! გადაეცით, რომ დიდად გახარებული ვარ მისი არჩევანით და ჩემს „ქალთან ქეიფს“ უფასოდ ვუთმობ.

— უფასოდ? — უფრო მეტად გაიკვირვა მდივანმა, ვიდრე ამას გუდიაშვილი მოელოდა, — როგორ შეიძლება ასე-

თი რამი სულთაბა, გარდა იმისა, რომ სახელოვანი მხატვარია, მდიდარიცაა...

— რაც უნდა იყოს მ-სიე... მე ერთი სურათის გაყიდვით ვერ გავმდიდრდები, ჩუქებით კი არ გავლარობდები.

— დიდად მიაყებს თქვენი ხელგამლილობა! მართალია, ალექსანდრე დიუმამ ქართველებს ბევრი რამ გიქოთ, ნათ შორის, გულუხვობაც და ხელგამლილობაც, მაგრამ... თქვენ ახლა პარიზში იმყოფებით. უცნაურობა ისე სად უყვართ, როგორც პარიზში, მაგრამ, როცა საქმე ფულს ეხება, ყოველგვარი უცნაურობისაგან თავი უნდა შევიკავოთ პარიზშიაც კი, მ-სიე გუდიაშვილი... თუ ფასს არა სცვლით, დანარჩენი ჩვენი საქმეა. შეგიძლიათ „ქალთან ქეიფი“ გაყიდულად ჩასთვალოთ.

— უკეთესი იქნებოდა გეტყვათ — მესტრო სულთაბას საკუთრებად!

— თუ თქვენთვის არა, ჩვენთვის ახლა ეგ სულ ერთია! — სალონის ეიურის მდივანმა ერთხელ კიდევ გაუღიმა გუდიაშვილს, ხელიც მხნედ გაუწოლა და შენიშნა: პარიზი იშვიათად თუ შეხედება ვისმე ასე, როგორც თქვენ შეგხვდათ... ალბათ თქვენც იშვიათი გამოჩაყლისი ხართ! ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ პარიზი ყველა შემთხვევაში მზად იყო თქვენთვის „თაგზე ხელი გადაეხვია“ თქვენ ის აიძულეთ!...

გუდიაშვილმა თავმდაბლობის ნიშნად ერთი კი სცადა მდივნის მოსაზრების გაქარწყლება, მაგრამ, შეხედა თუ არა, დარწმუნდა რომ — ეს ის კაცი იყო, რომელსაც თქმა არა სჭირდებოდა, მოსაუბრის სახეზე ადვილად შეეძლო გულისნაღების ამოკითხვა...

მდივნის ხელის ენერგიულად ჩამორთმევა ზედმეტად ადისტურებდა მის პატივისცემას და მოწიწებდა აგრერიგად წარმატებული ახალგაზრდა მხატვრისადმი.

ამ პირველმა წარმატებამ, ამ პირველმა აღმაფრენამ, მართალია, გუდიაშვილი გააბრუნა, წონასწორობიდან კი მაინც ვერ გამოიყვანა. „გაბრუნებაც“

სულ რამდენიმე დღეს გაგორდდა როცა ახალგაზრდა მხატვარმა გამოფენაზე სიარულითაც, ქების მისმენითაც გული იჯერა, ისევ მოიცა გონი, ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე და მუშაობასაც მიჰყო ხელი. საღამოობით კაფე „როტონდის“ მუდმივი სტუმარი იყო. იქ ძველ თუ ახალ გაცნობილ მხატვრებთან, მწერლებთან, მუსიკოსებთან, მსახიობებთან ბაასობდა, ხანც კამათობდა ყველაფერზე, რაც კი იმ დღებში აღელვებდა პარიზის ხელოვანთა წრეებს.

ვიდრე სურათების გულმოდგინედ თვალიერებას შეუდგებოდა, სულთაბამ ვერ მოითმინა, გუდიაშვილისათვის რომ არ ეკითხა:

— სადაური ბრძანდებით?

— ქართველი.

— თქვენი სამშობლო შორსაა?

— მესტრო, თუ კავკასიის ქედი გავიგონიათ... ესკილეს მიხედვით სწორედ ამ ქედზე ყოფილა მოჯაქვეული პრომეთე. ალექსანდრე დიუმამ თავის მოგზაურობას კავკასიაში ზომ მთელი წიგნი მიუძღვნა; იქ მწერალი მოხდენილად ამბობს — ქვეყნად უფრო მალალი მწვერვალებიც მოიპოვება, მაგრამ ესკილემ თავისი ტრაგედიის პიედესტალად სწორედ კავკასიის ქედი აირჩია!

— ჩანს, ეგ წიგნი არ წამიკითხავს, თუმცა მოგზაურობაც მიყვარს და მოგზაურობაზე დაწერილი წიგნებიც. უსათუოდ ვიშოვნი და გადავიკითხავ.

— თუ არგონავტების ლეგენდა გსმენიათ, მაშინ კოლხიდის შესახებაც გეცოდინებათ. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე საბერძნეთის გმირი იაზონი მოსდგომია კოლხიდის ნაპირებს შავ ზღვაზე. კოლხიდა კი ჩემი სამშობლოს — საქართველოს დასავლეთი ნაწილია. რომ ბერძნები საქართველოში ყოფილან და შავი ზღვის სანაპიროზე ახალშენებიც ჰქონიათ, ეს ისტორიულად ცნობილი ამბავია. ჩრდილოეთით რუსეთი ჩვენი კავკასიის

ქედს გადაღმედი მეზობელია. სამხრეთით — თურქები და სპარსელები... „სდარჯობენ“ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს; შემოსევა, აწიოკება, დიდი სისხლისღვრები სწორედ ამათგან ახსოვს ჩემს სამშობლოს, მაგრამ საქართველო მაინც მონგოლების მეტმა წელში ვერავინ გატეხა. ნუ ეხუმრებით მარტო თემურლენგის თორმეტ შემოსევას. მისი ერთი ლაშქრობაც კი ნაცარტუტად აქცევდა და მიწის პირისაგან ჰკვიდა უძლიერეს სამეფოებსაც. როგორც ისტორია გვაუწყებს, პირველ შემოსევას და თბილისის აღებას თვითონ თემურ-ლენგი მეთაურობდა. რა გვარის და ჯურის დამპყრობელი არ შემოსევია საქართველოს, ვისი სისხლი არ დაქცეულა მის მიწაზე!

— თქვენ რომ საქართველოზე ლაპარაკობთ, მე ესპანეთი მაგონდება... მართალია, როგორც ხელოვანს, აკვანი პარიზმა დამირწია, მაგრამ ესპანეთს ვერც ერთ სხვა მხარეზე ვერ გავცელი!

— სამშობლო ქართველებსაც ისე გვიყვარს, რომ მის გარეთ დიდხანს ვერა ვძლებთ!

— მაშ ჩვენ ერთნაირი სულისკვეთება გვქონია!

— უფრო მეტიც, მაესტრო! ჩვენ შორეული წარსულით ძმები ვართ.

— როგორ?!!!

— ძველად ოთხიოდე ათასი წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე პირენეის ნახევარკუნძული ხომ იბერიად იწოდებოდა?.. სწორედ იმ ძველი იბერიელების ნაშთია დღევანდელი ბასკები და დღევანდელი ქართველების ერთი ნაწილი.

სულოაგა ერთ წამს გაბრუებულივით იდგა, მის სახეზე ადვილად ამოიკითხავდით გაკვირვებას — ეს რა მესმისო, მერე კი ისე იკითხა, თითქო ამ ბრუმ გაუარაო.

— ზღაპარს მეუბნებით?

— ეს ისტორიაა. შეგიძლიათ წაიკითხოთ.

— თუ ეგ მართალია, მაშ კარგი

აღლო მქონია, რომ ათას კაცში, გამოფენაზე, ჩემი „ძმა“ მიცნობდნენ!

სულოაგა ამას თუმცა ხტმობისკენა ლოთი ამბობდა, მაგრამ სინამდვილეში არა სახუმროდ იყო ჩაფიქრებული და შეეკვიებული — იქნებ მართლა ეს ყველაფერი სინამდვილეაო.

— დიდი ხანია, რაც პარიზში ცხოვრობთ?

— სულ რამდენიმე თვეა, მაესტრო.

— ეს ნამუშევრები თან ჩამოიტანეთ?

— არა. რასაც კედლებზე ხედავთ, სულ აქ, პარიზში დაწერილი და დახატულია.

დავიჯერო? ამდენი და... ასე კარგი! გუდიაშვილმა თავისებური თავაზიანობით და მორიდებით გუდიაშვილმა სტუმარს.

— ერთი ამდენი შენახული მაქვს. განა ეს ბევრია?

— სწორედ! დიდად ნიჭიერი საერთოდ დიდად ნაყოფიერიცაა!

სულოაგას ასეთი შეფასება, ასეთი გოკება არ იყო ხუმრობა საქმე და გუდიაშვილსაც ახლა მეტის კმაყოფილებით ეღიმიებოდა.

სტუმარმა ხელები უკან შემოიწყო და მარცხნივ, კედლის კუთხეში დაკედულ ფერწერულ სურათისაგან გაეშურა. სურათის წინ სამიოდე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა თუ არა, ხელები ახლა მკერდზე შემოიჭლო და უკან ამაყად გადახრილმა, „მწყემსებს“ თვალი გაუშტერა.

„გასაოცარი ტიპაქია. ამ აღამიანების იერში არის რაღაც თავისებური მზალეობა“ ტემპერამენტისა — ფიქრობდა სულოაგა, — არსად არც ერთი თანამედროვე მხატვრის ქმნილებებში არ მინახავს ასეთი კოლორიტი, ასეთი კომპოზიცია, ასეთი პლასტიკა!..“ — ამ სურათს რა უწოდეთ, სენიორ ლადო?

— „მწყემსები“, — მიუგო გუდიაშვილმა.

— მაშ თქვენს ქვეყანაშიაც ყოფილა მორევში ნებივრობას მოყვარული კამეჩები?

— დიახ, როგორ არა.

— ეს რა ხურავთ ამ ქაბუეებს?

— ნაბდის ქუდია. ჩემი სამშობლოს ერთი კუთხის სახელსაც ეძახიან — კახურ ქუდს, რადგან ყველაზე მეტად იქ არის გავრცელებული, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მკვიდრნიც ატარებენ. ამბობენ, ძველად ასეთ ქუდს ჯაქვისებურად ნაქსოვი რკინის ჩაბალახის ქვეშ იფენდნენ თავზე ხმლის დაკერის ძალის შესასუსტებლად. შემდეგ, როდესაც ჩაბალახები ხმარებიდან გადავარდნილა, ეგ ნაბდის საფენი ქუდად ქცეულა.

— საინტერესოა.

სულთაბა ერთხანს კიდევ აკვირდებოდა „მწყემსებს“, სურათისათვის თვალი ველარ მოეცილებინა, მაგრამ უკვე ბნელდებოდა, დასათვალიერებელი კი ჯერ ბევრი ჰქონდა, ძალაუნებურად უნდა აჩქარებულიყო. ახლა მხერა მუზობელ სურათს მიაპყრო.

— ეს გახლავთ „ქეიფი ბუნების წიაღში“, — შენიშნა გუდიაშვილმა, — მოქეიფენი შემოსხდომიან პატარა მაგიდას. ლენო, „ცოცხალი“, მწვადები, მრავალად მოხარშული ღვინო... უკანა პლანზე, როგორც ხედავთ, მავსტრო, ორი კინტო ცეკვავს „კინტორს“. მალა აფრიალებული ბალადისათვის ერთს ერთ ყურში, მეორეს მეორე ყურში ჩაუვლია ორი თითი და ცეკვის რიტმს აყოლებს მკლავების მოძრაობასაც. იქვე, შორიახლოს მეეტლეს ცხენები ეს-ეს არის დაუოთხებია და ეტლში მსხდომი კინტოებიც აქნეული ხელებით და შეძახილებით ამხნეებენ მოცეკვავეთ.

სულთაბა ყურადღებით უსმენდა. თან სურათს სინჯავდა, ხან ახლოდან, ხან შორიდან, ტიპაჟით და კომპოზიციით. მას ეს სურათიც მოსწონდა.

გუდიაშვილმა აღარ აცალა, ვიდრე სულთაბა ბუნების წიაღში მოქეიფეთა თვალიერებით იჯერებდა გულს და წინ წაუსწრო სტუმარს. ახლა შემდეგ სურათზე გადაიტანა მისი ყურადღება.

— ეს კი „ნადირობა“ გახლავთ, მავსტრო. თემა აღებულია საქართველოს წარსულიდან, როცა ჩვენნი უფულისწულებას საუკეთესო გასართობი ნადირობა იყო.

სულთაბამ ეს სურათიც ინტერესით გასინჯა. წინა პლანზე პირტიტველა ქაბუეის გამომეტყველება და მარჯვენა ხელის უცნაური მოძრაობა, უკანა პლანზე კი შველი, უფრო შორს ხეები და მთები ისეთი პოეტური განცდით იყო აღბეჭდილი, რომ არ შეიძლებოდა მღელვარება არ გამოეწვია მნახველში.

ვიდრე სტუმარი „ნადირობას“ გულმოდგინედ გასინჯავდა, მასპინძელს უკვე მეზობელი სურათისაკენ გადაინაცვლებინა და ელოდა, როდის მიაპყრობდა იქით თავის ყურადღებას მავსტრო სულთაბა.

მიუხედავად იმისა, რომ სულთაბა დიდი ინტერესით ათვალიერებდა გუდიაშვილის სურათებს, ცდილობდა უბრალო წვრილმანიც არ გამოჩენოდა მხედველობიდან. მასპინძელი მაინც არ აპირებდა სახელოვანი სტუმრის დიდი ყურადღების ბოროტად გამოყენებას. სულთაბა ადვილად მიხვდა ამას და უფრო მეტი მოწიწებით და სიყვარულით განიმსჯეალა ამ პოეტური ხილვებით აღსაცემ და თანაც ასეთი ფაქიზი ბუნების მქონე მხატვრისადმი.

— მაგას რა უწოდეთ? — მოულოდნელად იკითხა სულთაბამ იმ სურათის შესახებ, რომლის წინაც გუდიაშვილი შეჩერებულიყო.

— „ცოცხალი“ მავსტრო! — სურათის სახელწოდება ქართულად დაუსახელა მხატვარმა.

— „ცოცხალი“? — შედარებით ადვილად, თან გაკვირვებით გაიმეორა სულთაბამ გაუგებარი სიტყვა.

— „ცოცხალს“, მავსტრო, ჩვენში დაქერის უმალ მოხარშულ ერთი ჯიშის თევზს ეძახიან. აღუღებულ მარილწყალში ჰყრიან თევზს, რომელიც ის იყო სულს ლაფავდა... თევზი ხუთ წუთში მზადაა. შემდეგ ჩელტზე აწყობენ, აცივებენ და გემრიელად შეიქცე-

ვიან. აღუღებულ წყალშივე ჰყრიან ცოტა შაბსაც, რომ მოხარშულ თევზს მოლურჯო, სასიამოვნო შესახედავი ფერი გადაკრავდეს. „ცოცხალი“ ყველას სუფრას ამშვენებს, უმაღლესი წოდებისა იქნება იგი თუ უმდაბლესისა.

სულოაგას ყურადღება ყველაზე მეტად სწორედ ამ სურათმა მიიპყრო. სურათის ცენტრალური ნაწილი—სამი ფიგურა — მოძრაობით, მიმიკით, ექსტიკულაციით მართლაც რომ შეუდარებელი იყო!

„ცოცხალისა“, „ნადირობისა“, „ქეიფის ბუნების წილში“, და „მწყემსების“ გარდა, სულოაგამ დაღამებამდე მოასწრო კიდევ ათიოდე ფერწერული სურათის გასინჯვა. სურათებს ის სინჯავდა არა ზერელედ, უბრალო ცნობისმოყვარეობის ან ზრდილობისათვის, არამედ როგორც უკიდურესად დაინტერესებული, განცვიფრებული, აღტაცებული და თანაც აზირებული მუსტარი.. სურათებთან ერთად მოასწრო აგრეთვე უამრავი გრაფიკული ნამუშევრების გადათვალიერება.

როგორც ფერმა, ისე უცნაურად ფიქრმა და ელასტიკურმა ხაზმა განცვიფრებაში მოიყვანა სულოაგა; მისთვის ეს იყო მეტად ორიგინალური და ზოგჯერ კი ნამდვილად პოეტური ქმნილებები: პირველი „აღმოჩენის“, სალონში გამოფენილი სურათების დათვალიერების შემდეგ, შთაბეჭდილება მას კიდევ უფრო გაუძლიერდა.

ბოლოს მაგიდას მოუსხდნენ. სულოაგა ახლა უფრო შთაბეჭდილებებით იყო დაღლილი, ვიდრე ფეხზე დგომით. გუდიაშვილმა სტუმარს წინ დაუდო მუყაოს საქაღალდე, რომელშიაც ჩალაგებული იყო გრაფიკული ნამუშევრები.

სულოაგა დაუფარავი აღტაცებით სინჯავდა ყოველ ფურცელს — გუდიაშვილის გრაფიკული ჩანახატების ერთიმეორეზედ უკეთეს ნიმუშებს.

გრაფიკული ნამუშევრების თვალიერებისას დროდადრო „ცოცხალისავე-

ნაც“ გაიხედავდა ხოლმე. გუდიაშვილმა მოკლედ უამბო ესპანელ მხატვარს კინტოს შესახებ — ვინ ეფუძვინებოდა წარმოადგენდა, რას აკეთებდა, რა ზნისა და ქუისა იყო... უამბო, რომ კინტო მთელი თავისი ავლადიღებით, თბილისში ქალაქური ფოლკლორის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. მათ შორის, ვისაც კი შეიძლებოდა შეხვედროდით ქალაქის ქუჩებსა და ბაზრებში, კინტო იყო ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა თავისი ჩაქმულობით, სიტყვა-პასუხით, მიმიკით და ექსტიკულაციით.

გრაფიკული ნამუშევრების მიხედვითაც სულოაგა ამკარად ხედავდა, რომ ამ ქალაქური ტიპის — კინტოს პლასტიკურად უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი მოძრაობა მართლაც მდიდარ მასალას წარმოადგენდა მხატვრისათვის; გუდიაშვილის შემოქმედებით ალღოს კარგად მიეგნო ამ „მადნისათვის“, პოეტური სული შთაებერა და საოცარი ოსტატობით გამოეწრთო იგი თავისი ფანტაზიის ქურაში.

სულოაგა თან ათვალიერებდა გრაფიკული ნამუშევრების წყებას, თან ზოგიერთს, რომელიც კი თვალს განსაკუთრებით სტაცებდა, განზე აწყობდა. როცა მუყაოს საქაღალდეში თავმოყრილი გრაფიკული ფურცლები გასინჯა, ხელები გამალა და წრფელი ხმათ შენიშნა:

— რა გაეწყობა, სენიორ ლადო დღეს შენი ორიგინალური კინტოების, შენი პოეტური ფანტაზიის, შენი გასაოცარი ნიჭის ტყვე ვარ!

— მეტისმეტია, მეესტრო.. მართალია, ჩვენში მასპინძლის ქება სტუმრის მიერ მიღებულია, მაგრამ... პარიზში თქვენ უფრო ხართ მასპინძელი, თუმცა ჩემს სახელოსნოში იმყოფებით.

— მე ახლა მართო ის მინტერესებს, თუ შეეღოოდით ამათ? — სულოაგამ განზე გადაწყობილ ფურცლებს გამლილი ხელისგული დააფარა.

გულიაშვილმა დაუფარავი კმაყოფილებით გაუღიმა.

სულთაბამ ნამუშევრები ფრთხილად გადათვალა.

— სულ ათი ფურცელია.

— რამდენიც უნდა იყოს, თქვენთვის, სულ ერთია, მე მეტეხა!

სულთაბამ მოხიბლული კაცის თვალით შეხედა ახალგაზრდა მხატვარს და პიჯაკის ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა გულისჯიბიდან ამოიღო ფრანკების ორ-ორი დასტა. ფული ერთიმეორეზე დააწყო, ამორჩეული ნამუშევრების გვერდით.

— ეს რას ნიშნავს, მაესტრო? — გულწრფელი გაცხებით იკითხა გულიაშვილმა. ადვილად შეატყობდით, რომ ფულის დანახვამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო და აღარ იცოდა, რა ექნა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ... თქვენი ნამუშევრები მე შევიძინე და...

— კი მაგრამ... მე ხომ არ მომიყვლია!

სულთაბას გაეცინა. გულწრფელად შეწუხებულ გულიაშვილს მან მხარზე შეგობრულად დაჰკრა ხელი და მამაშვილურად შენიშნა:

— თქვენ არა მარტო ძალიან ნიჭიერი და კეთილშობილი, ძალიან... ახალგაზრდაც ყოფილხართ! აჰ პარიზია, ჩემო კარგო! ესეც რომ არ იყოს, ვინ იქცევა ახლა აგრე?... ხომ არ გინდათ ასე ნაადრევად გახდეთ ჩვენი სახელოვანი სერვანტესის საქვეყნოდ ცნობილი — „მწუხარე სახის რაინდის“ მემკვიდრე?...

— მაესტრო, განა მე თქვენგან პატივისცემა და ყურადღება მაკლია, რომ...

— რაღა გვიჭირდა, ჩემო უმცროსო კოლეგა, მარტო წამქვებელი სიტყვებით რომ შეგვეძლოს ცხოვრება! ყველაფერს თავისი კანონები აქვს! მე ბევრი რამ გამომიძლია და ვიცი გაჭირვების სიმწარეც და დახმარების ფასიც!.. აგრე ნუ მიყურებთ! მთელი ესპანეთი მოვლილი მაქვს ჯერ კიდევ ჩემს სიქაბუეში! ხან კანტორის მოხელე ვყო-

ფილვარ, ხან ტორეადორი, მაგრამ ყველა საქმეს ვლალატობდი. გარდა ერთისა — გულით მიყვარდა მწერწერა და ჯერ კიდევ ბავშვობაში თუ ვფიქრობდი, რომ პრადოზე უკეთესი ადგილი ქვეყანაზე არ იყო, მგონია, რომ არა ვცდებოდი. იქ იყვენ ჩემი სათაყვანო ველასკესი, გრეკო, გოია... ბავშვობიდანვე მუდამ ახლოს ვიყავი ხალხთან და კარგად ვიცნობდი თითქმის ყველა წრისა და ხელობის აღამიანს. მათთან თავიდანვე მაკავშირებდა ის უშუალო სიყვარული და სიმპათია, რომელიც არ ცნობს არავითარ ზღუდეებს, არც წოდებრივს, არც ქონებრივს. როცა ფუნჯის მარჯვედ მოსმა ვისწავლე, ვხატავდი მოსეირნე ქალებით საესე ქუჩებს, თეთრ, შავგვრემან და წითურ ანდალუზიელებს, ბოშებს, ამაყად თავაწეულთ, ღიმილით გასხვივსნებულნი სახით, წითელი მანტოებით, შავი შარფებით და სახელგანთქმული მარაოებით... ასეთივე გატაცებით ვხატავდი უსაქმურობის დღით აღბეჭდილ მშვენიერ შიშველ სხეულებს, ერთნაირად მიყვარდა განათებული მოედნებისა თუ ჩაბნელებული საკურთხეველების ხატვა. არ მაინწყდებოდნენ ტორეადორები და ჯამბაზებიც კი... ყველაფერი მაინტერესებდა, სადაც კი ცხოვრების მაჯისცემას ვგრძნობდი... ვინ მოთვლის, რამდენი სურათი დამიწერია მდამიო ხალხის ცხოვრების სიუფეტზე! ჩემი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის კოლორიტი ფიგურების და ტიპების დასაწერად ხომ მუდამ მიმიწევდა გული!

გულიაშვილი მოჯადოებულებით უსმენდა სულთაბას, რომელიც დინჯად, ძუნწად მაგრამ გატაცებით ყვებოდა თავისი ცხოვრების თავგადასავალს...

ჩამობნელდა. სტუმარ-მასპინძელს ეს არ შეუშინებია; შეიძლება იმიტომაც, რომ ეს სიბნელე ხელს უწყობდა მათს საუბარს.

— მაესტრო, ვინ შეგაყვარათ მხატვრობა? ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი? — ფრთხილად ჰკითხა გულიაშვილმა.

— ელ გრეკო! — უმაღლვე მიუგო სულთაგამ, — მაღრიდის სახელგანთქმულ პრადოში პირველად შევასრულე გრეკოს ერთი სურათის ასლი. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვაგროვებდი და ახლაც ვაგროვებ ამ დიდი ოსტატის ნამუშევრებს... არა მგონია მისი სურათების უკეთესი კოლექცია, ვიდრე მე მაქვს, სხვას ვისმეს საკუთრად მოეპოვებოდეს!

— ეს უკვე ვიცი, მანსტრო... თქვენი ნამუშევრების რეპროდუქციებს და თქვენს ბიოგრაფიას მე ჯერ საქართველოში გავეცანი.

— მაშ კარგად მოქცეულხართ, რომ პარიზშიაც ჩამოხვედით... რაზან შორიდან მიცნობდით, ბოლოს და ბოლოს პირადადაც ხომ უნდა გავგეცნო ერთ-მანეთი! — ნახევრად ზუმრობით თქვა სულთაგამ და გუღიაშვილს გაუცინა.

— მანსტრო, მამათქვენიც მხატვარი იყო?

— მამაჩემი პლასიდო სულთაგამ იყო ლითონზე მომინანქრების განმარტებული ესპანეთში. ამ საქმეში დიდი სახელიც მოიხვეჭა. მისი საუკეთესო ნამუშევრები ევროპის ყველა დიდ კოლექციონშია დაცული. აღიარებულია, პლასიდო სულთაგამ ერთ-ერთი დიდი ხელოვანია მომინანქრების საქმეში. საგულისხმოა ისიც რომ ჩემი ერთ-ერთი წინაპარი სახელგანთქმული გოიას მეგობარი და „არმერია რეალის“ კოლექციის მცველი ყოფილა, ბიძაჩემი დანიელი კი მთელს სეგოვიაში თავისი მხატვრული კერამიკით განთქმული.

— მანსტრო, თქვენ ხელოვნებისათვის თავდადებული წინაპრები გყოლიათ!

— სწორედ აგრეა!.. მამაჩემს კი რატომღაც არ უნდოდა, რომ ფერმწერალი გავმხდარიყავი. ჩვეულებრივ, როგორც ხდება, მშობლები სწორედ იმ შვილების მისწრაფებას უყურებენ ეჭვით, რომელთაც თავიანთი მოწოდება „აკვანშივე“ აქვთ გარკვეული... სენიორ ლადო, ჩვენ კიდევ ბევრ რამეს ვუამბობთ ალბათ ერთმანეთს! მაშ ჯერჯერობით ეს ვიკმართ! ჩვენი

შემდეგი შეხვედრა მოვაწყობ ჩემს ატელიეში. ძალიან გამეხარდება თქვენი მოსვლა. რამდენიმე სახელსუფასო მეც გაჩვენებთ.

სულთაგამ წამოიღა.

— მანსტრო... არ შემიძლია დაგეთანხმობთ... არ შემიძლია მოგყიდოთ ჩემი უბრალო ნამუშევრები. რაზან მოგეწონათ, მე უფრო მესიამოვნება, რომ გაჩქოთ...

— მაგის შესახებ სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ. საქმე გათავებულია. ყურადღება — ყურადღებად, ფული — ფულად!..

— აღარ ვიცი, რა ვთქვა... არ მინდოდა მეორედ შეერცხვენილიყავი თქვენს წინაშე. განა ის არ კმაროდა, სალონში გამოფენილი ჩემი ერთი სურათი რომ შეიძინეთ?.. მე ხომ მისი უსასყიდლოდ მორთმევეც მეწადა, მაგრამ... სალონის ეიურის მდივანმა მაშინ ჩემი სიტყვის მოსმენაც კი არ ისურვა...

— სწორადაც მოქცეულა. ასე რომ არაგოთ თქვენი ნამუშევრები, რით-ღა უნდა ირჩინოთ თავი, როგორღა უნდა იმუშაოთ?!

— ეგ მართალია, მაგრამ... ჩემი პატივისცემა რით-ღა გამოეხატო მანსტრო, თუ კი ნამუშევარი მოგყიდეთ...

— რად მინდა ისეთი პატივისცემა, თუ თქვენ ის შიმშილით მოგკლავთ! თქვენ პატივს იმით გეცემთ, რომ ასეთ საუცხოო ტილოებს სწერთ და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებთ! სამაგიეროდ, ჩვენი თქვენდამი პატივისცემა ის იქნება, თუ მხარს დაგიჭერთ მორალურად და მატერიალურად! მაშ ასე, ჩემო ახლო მეგობარო! აიღეთ ეს ფული და დაგვიხატეთ კიდევ უფრო უკეთესი სურათები!

იგნასიომ ამ სიტყვებზე ქალაღში გაახვია არჩეული გრაფიკული ნამუშევრები და ილღიაში ამოიღო. „კამ ნუ-არისაც“ რომ ხელი წაატანა, გუღიაშვილმა შეაჩერა.

— მანსტრო, სულ დავიბენი და ესაა... იქნებ კიდევ შეიცადოთ ცოტა

ხანი. საქართველოში წესად გვაქვს, სტუმარი პატივცემულად არ გაეუშვათ!

— ესპანეთშიც ასე ვიცით, — ღიმილით მიუგო სულთაბამ, — მაგრამ ახლა ამ წესის დარღვევა მაინც მოგვიხდება. ჯერ ერთი, ჩემი წასვლის დროა. მეორეც, უკვე დიდად პატივინაცემი ვარ! ხელოვანისათვის იმაზე მეტი პატივისცემა არ არსებობს, თუ კოლეგა თავისი ახალი სურათების ჩვენებით გაუმასპინძლებდა!

— იქნებ... კაფე „როტონდს“ ვიწვიოთ? სწორედ დროა, მანესტრო! ჩვენ გარდა, ალბათ, ყველა ჩვენი ნაცნობი ხელოვანი იქაა!

სულთაბამ მაგიდაზე დაწყობილი ფრანკების დასტას ხელი დაადო და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— ეს ფული კაფესათვის არაა დანიშნული! — ამ სიტყვებზე იგნასიომ „კამნუარი“ მკლავზე გადაიკიდა და კარისკენ გაეშურა.

— მანესტრო! დიდად ბედნიერი ვარ თქვენი სტუმრობით, მაგრამ მწყინს, რომ ასე უბრალოდ გიშვებო...

— ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს! მაშ მომავალ კვირაში ჩემს ატელიეში გელოდებით!

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ამ პატივისათვის! თქვენი სიკეთე არ დამავიწყდება!

კარებთან შეჩერებულმა სულთაბამ შლიაბა სწრაფად ჩამოიღო საკიდიდან და ისიც ხელში დაიჭირა. როცა კიბის ბაქანზე ვაკიდა, გამოსამშვიდობებლად ხელი ასწია, მაგრამ მასპინძელი სულაც არ ფიქრობდა ასე ადვილად გაემშვა სტუმარი... სულთაბა უარზე იყო, მაგრამ გუდიაშვილმა მაინც ჩააცოლა ორ სართულზე. იქ კი ორივენი ხელისქნევით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გუდიაშვილს ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ოთახში შემობრუნდებოდა, მან სწრაფად ამოიბრინა კიბე. ოთახში დაფეთებულევით შეიჭრა, სინათლე აანთო და თვალებს არ დაუჯერა, როცა მაგიდაზე ფრანკების ოთხი დასტა კვლავ იხილა. წარმოუდგენელი იყო

მისთვის ასეთი წარმატებაც და ასე მოულოდნელად გამდიდრებაც. ყველაზე მეტად გუდიაშვილს ახლდა ეს ეჭვაროდა, რომ ეს ფულის დასტები სულთაბას ხელით იყო შემოთავაზებული. სულთაბას ხელის შეჩება თითქო ამ „ხელის მუჭყასაც“ კი ასპეტაკებდა.

მეტის-მეტი სიხარულისაგან ლაღომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ჰმ წუთში ის სიხარულის კანკალს აეტანა... ხან ფულს დახედავდა, ხან სურათებს შეათვალიერებდა... თუ აქამდე უცხო ქვეყანაში, ხელოვანთა ოკეანეში — პარიზში თავს ობოლ ნაფოტივით გრძნობდა, რომელიც „ზვირთს“ ყოველ წუთში შეეძლო, საითაც მოესურვებოდა, გადაესროლა, სულთაბას სტუმრობის შემდეგ ახალგაზრდა მხატვარმა ფეხქვეშ პირველად იგრძნო „ნიღადავი“ და „გულს იმედი ჩაესახა“. ერთი-ორი წუთი გუდიაშვილი მოუსვენრად სცემდა ოთახში ბოლოს, მერე სწრაფად მოიფიქრა და გადაწყვიტა — კაფე „როტონდს“-ში გაქცეულიყო... იქ თავისი ნაცნობ-მეგობრებისათვის ეამბა ყველაფერი — სახელოვანი სულთაბას სტუმრობის, ნახატების შექმნის და... გამდიდრების შესახებ. ფულის ერთი დასტა ჯიბეში ჩაიდო და ქუდს ეცა, მაგრამ დაიხურა თუ არა, რაღაც ეხამუნა. როცა შლიაბა სინათლეზე გასინჯა, მიხვდა, რომ სულთაბას ქული შეცვლოდა... გუდიაშვილმა უმაღლესი გამოიკეტა და კიბეზე კისრისტებით დაეშვა. გადაწყვეტილი ჰქონდა, სულთაბას დასწროდა და შინაურებთან „შერცხვენისაგან“ ეხსნა.

იუვენსის ქუჩა ჩაიბრინა და მონარნასის ბულვარზე გასული უნებლიეთ შედგა... საგონებელში ჩავარდნილი ამირად აცეცებდა თვალებს. ვინ იცის, საით წვიდა სულთაბა... ბევრი ფიქრის დრო არ იყო. ბოლოს გუდიაშვილმა გადაწყვიტა მარცხნივ ვანგაძო ვზა და ჩქარი ნაბიჯით ბულვარზე მოფუსფუსე ხალხში თვითონაც შეიჭრა... თავისი მკვირიცხლი თვალებით გაფაციცებით

იყურებოდა აქეთ-იქით, თან ბოდიშს იხდოდა, თუ ვინმეს უხერხულად მხარს გაჰკრავდა... ასიოდე ნაბიჯი რომ ვაიარა, უცებ სიხარულისაგან გული უცნაურად შეუტოკდა. მან იცნო შორიასლოს მიმავალი სულოაგა. გუდიაშვილმა ნაბიჯს კიდევ უფრო მოუჩქარა და როცა სულოაგას საკმაოდ დაუახლოვდა, მოწიწებით, მაგრამ აღელვებით უხმო:

— მაცეტრო!..

სულოაგა ამაყად შემობრუნდა. გუდიაშვილის დანახვაზე გაოცდა.

— რა მოხდა?! — იკითხა.

გუდიაშვილმა, გაუღიმა და ქუდზე ანიშნა.

— მაცეტრო! როგორ მოგწონთ ეს პატარა შეცდომა? თქვენ ჩემი ქუდი გხურავთ, მე კი — თქვენს!

სულოაგამ გაკვირვებით აზიდა წარბები და გაიციინა.

— ნუთუ მართლა? — ამ კითხვაში იგრძნობოდა სიხარულიც, გაკვირვებაც და ბავშვური კმაყოფილებაც იმით, რაც მომხდარიყო.

— დიახ, მაცეტრო!

— მერე ამისთვის შეწუხდით? გეტყობათ, გირბენიათ კიდევ!

— დიახ, ცოტა...

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი

საქციელი დიდად მაოცებს! სხვა ასე არ მოიქცეოდა. ცნობილ კლამანტებს ნიეთებზე პირდაპირ ნაღბობენ! სხვა შემე, თქვენ კი შემთხვევამ ხელში ჩაგვდოთ ჩემი ქუდი და...

— მაცეტრო... — ცოტა დარცხვენით, უხერხულად წამოიწყო სიტყვა გუდიაშვილმა. იფიქრა — ჩემს ძვირფას სტუმარს უნებლიეთ ხომ არაფერი ვაწყენინეო, მაგრამ სულოაგამ ეჭვი უმალ გაუფანტა. მისი ქუდი, რომელიც მაცეტროს შეცდომით თვითონ დაეხურა, კვლავ გუდიაშვილს დაახურა. ასევე მოიქცა ლადოც. ეს იყო მეტად უცნაური და მზიარული წუთი ქუდების საზეიმო გაცელისა — დიდების მწვერვალზე ასულ ესპანელ იგნასიო სულოაგასა და ამ მწვერვალისაკენ მიმავალ ქართველ ლადო გუდიაშვილს შორის...

— სენიორ ლადო! ის, რაც მოხდა, კარგის მომასწავებელია! — ამას რომ ამბობდა, სულოაგას ერთბაშად რაღაც აზრმა სახე კიდევ უფრო გაუბრწყინა. მან გაშლილი ხელი გუდიაშვილს მხარზე დაადო და ნათქვამს ბეჯითად დაუმატა: — სხვანაირად არც შეიძლებოდა! როგორც გივლია, კვლავაც ისე აარე — შენი ქუდით, შენი რწმენით და შენი გზით!

მოთა ჭაღიძე

★

ორი მარაბღელი

(მ. ე. შ.)

ერთი დღე ბარათაშვილის ცხოვრებიდან

„...ახლაც, ოღეს ვნახე სადმე
ცრემლთა თვალთა მშვენიერთა,
გულამოსკვნით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!“

ბარათაშვილი

1.

ემიჯნება ბაზარს ხიდი,
ზიდი კურტანმიღეული,
ხიდზე მიდის ვასასყიდი
თონეული, ხილეული.
ხალხის ტალღა გაუვალი,
დახლი გარგლით აესებული,
მუქ-წითელი აღუბალი,
ზედ ფუტკარი დასეული.
თეთრი თუთა, თეთრი ბალი
მალვით, კრძალვით გაგიცილებს.
ვით ბეჭედზე აღმასთვალი
ხილზე ცვარი დაციმციმებს.
გლეხი მუშტარს ევაკრება,
ჭყვივის გოჭი ვაყიდული,
ხალხს ფეხებში ებლანდება
ვირი გზაზე გახიდული.
— აბა, აქეთ შუშა-კიტრი! —
ბოლმიანად ბლავის კინტრო.
— ლამაზოჯან, მუქთად ვყიდი.
ცოდო არის, არ იყიდო!..
უცებ, თითქოს ვაავდრდაო,
შეწყდა ხმები მხიარული,
თითქოს მეტი გავარდაო,
ჩაქრა ბაზრის ყრიაფული.
შემოერთყა ხალხი ირგვლივ
გლეხკაცს მალალს, შავნაბდიანს,
შეჭყურებენ კრძალვით, რიღით,
ვით ლომს, განა ადამიანს.

დახლთან იდგა მსხვილმკლავება,
ბეჭებფართო და წელწვრილი
ბუმბერაზი, მზისთვალება,
ლომის ფაფარაწვრილი.
ხალხს ღიმილით გადახედა,
და არსენამ ამ ღიმილით
ზოგი ასმაგ გაამხნევა,
ზოგს ჩაეცა მახვილივით.

— არ მჩვევია სიტყვა ფუჭი.
აბა ჩითი, ჰა ფართალი!
შინ წაიღოს, ვისაც უჭირს!
იყოს ქვეყნად სამართალი!
მოკუნტული ზის ვაჭარი,
ფიქრობს: „ეს რა მებედება“,
თან მარაბღელს შიშნაჭამი

— ნუ მომკლავო, — ევედრება.

— არ შეგარგებ ქურდს და ლაჩარს
ხალხის ყვლეფას დუნიაზე! —
თქვა არსენამ და თან ვაჭარს
ქისა სტყორცნა ფულით სავესე.

— განა მოგკლავ, ფულსაც მოგცემ! —
თქვა არსენამ მშვიდი სახით. —
დღეის შემდეგ ჩითი ზომე
შვიდმეტკავლიან შინდის სახრით.

გადაადე ეგ არშინი,
რიდი გქონდეს ამ სახრისა,
ხალხთან იყავ ხელგამოლილი,
საქმეს ნუ იქმ საძრახისა.
საპერანგე, სახალათე,
აბა, მებზო, ფართლეული.

მდიდრებს ვართმევ — რაც წაგართვეს.
 დაიბრუნეთ წართმეული.
 მაქვს ათასჯერ ათი ღამე
 თქვენზე ფიქრში გათეული.
 აჰა, ხალხო, მოიხმარეთ
 შალეული, ფართლეული.
 ბერიკაცო, ჰა, საჩოხე!
 სიხარულით მისწვდი ზეცას.
 ყველა კინტოს, ყარაჩოხელს
 შენზე კარგად რისთვის ეცვას!
 ჰა, გოგონავ, აბრეშუმის
 საკაბეა — შენა გქონდეს,
 ყველა მდიდრის დანიშნული
 ჩაცმულობით შეგნატროდეს!
 დო, ღამაზ ქალთა სწორო,
 გაიღიმე, გახსენ ბავე,
 შენს ქმარს ჩემგან სამახსოვროდ
 ჰქონდეს ხამის საპერანგე!
 გუთნისდედებს, მკედლებს, მწყემსებს
 გადასძახებს მარაბდელი:
 — მეც თქვენსავით ლუქმას ვეძებ.
 მეც თქვენსავით ვარ ქართველი.
 არსენ-ბიჭმა ათი თოფი
 სულმთლად, მუქთად გაასალა.
 — რას მოიგებ თაღლითობით! —
 ვაქარს რისხვით გადასძახა.
 — არსენ, ღმერთმა გაგაბაროს,
 ჩვენი ძმა ხარ სანატრელი!
 — ბედნიერად მოგახმაროთ! —
 ხალხს შესძახებს მარაბდელი.
 ყომრალ რაშზე არსენ-ბიჭი
 ელვისუმაღ შეფრინდება.
 — იქ გაეჩნდები, სადაც გიჭიროთ! —
 გლახებს ძმურად შეჰპირდება.
 ვაქართ რისხვა და თავზარი
 რომ გაქრება შავი ცხენით,
 გაცოცხლდება კვლავ ბაზარი
 ძველებური მაჯისცემით.

• •

რად იციან გიშერთმება
 თბილისელმა ქალწულებმა
 კარგი ხილის გულში ქება,
 თვალით მისი დაწუნება.
 სასყიდელით დატვირთული
 დახლთან მიდის სამი გვრიტი.

— გამაიღე ცხრაკლიტული,
 საგულეში ჩამიფრინდი. **არქონის**
 მოდი, არვინ მოგასწროს, **მელეძე**
 კინტო ასულს მიამახებს
 და რომ თავი მოაწონოს
 ისუფთაებს მტვრიან წალებს.
 რა ღიღებას მოსწრებიან
 სოვდაგართა ქარვასლები,
 ფარჩით სადაც ფრთოსნდებიან
 საქართველოს ღამაზები.
 აქ ნაყიდი შეენის ყველას,
 შალსაც ნახავ ყაბარდოსას,
 ყველა ღამაზს, შევლისყველას
 აქ ნაყიდი კაბა მოსავს.
 ენატკბილი დახლიდარი
 ეფიცება ყველას ასე:
 — ამნაირი კაბის დარი
 არსად არი ქვეყანაზე.
 ამ ღუქანში აირჩია,
 გეფიცები დალოცვილო,
 კავჭავაძის ქალიშვილმა
 სამოსელი საქორწილო.
 სავსე ურმებს სიო გრილი
 აუჩჩიავს ჩალის კონებს,
 ყველა უბანს შემოივლის,
 ყველა ქუჩას ჩაიქროლებს.
 დაიბღავლებს ხან ქარიშხლად,
 ხან ჩურჩულებს კოჯრის სიო:
 კავჭავაძემ დაგპატიეთ
 ქალიშვილის ქორწილშიო.

11

მოაჯიროზე ირანული
 ფარდაგები ჭრელ-ჭრელები
 გიცინიან მხიარულნი,
 გინდ ჩქარობდე, შეჩერდები.
 მგზავრი სახენაღვლიანი
 აღმართ-აღმართ შეჰყვავა ქუჩებს,
 უცებ ჭრელი აივანი
 შიგ თვალბში შეაშუქებს.
 კაბუქს სულიც აუტირდა,
 შებარბაცდა დარდიანი,
 კავჭავაძის ასულს ირთავს
 ბედნიერი დადიანი.
 მშემ შუადღე ვერ გატეხა,
 სიცხემ სუნთქვა გააძნელა.



უცებ ვიღაც ზორბა გლეხმა ცხენი ფიცხლად გააგელვა. ვარეთუბნის აღმართს შეჰყვა, ცა მტერის ბულით დააბნელა, მზეს შუადღე გადუტეხა ცხენოსანმა მარაბდელმა.

ტატო შორიდან შეჰყურებს: შოთები მოაქვს მეპურეს, ახალი ხილი თაბახში ციალებს, როგორც ბადახში. ბოლოკი კოხტად აწყვიტა, თითქოს გლდანული მარწყვია. წყნეთიდან ჩამოტანილი ზეინებად მოაქვთ მწვანელი.

უბრალო ღვინო როდია — მექორწილენი მოდიან. აბა დათვალონ სტუმრები, აბა კაი თვლა ვინ იცის. რაჰველი მზარეულები ხაშს ამზადებენ დილისთვის. იმერლის ბიჭმა შესძახა:

— ეტლით გრიგოლი გვეახლა! ტატომ შორიდან ბიძამისს მზერა ესროლა მაღული, კაბუკის სულში სიმწარის ამობრიალდა აღმური. გრიგოლს ლოყები უღვივის თურაშაული ვაშლივით, ხელეზგაშლილი უღიმის მექორწილეებს ბავშვივით.

— გული ვატიკლებული დამშვიდებას არ ეღირსა, თითქოს დაგვიანებული შვილი ვიყო ამ ქვეყნისა. ეგებ მეტი სითამამე შემემატოს, დავლევ ღვინოს. ქორწილში თუ მითხრეს რამე — შევეცდები არ მეწყინოს. სირაჯხანის გზას გაჰყვება, ტატო თრობას განიზრახავს, გული აუცახცახდება, ნაცნობთ როცა დაინახავს. მიდის იგი, ყელი თითქოს სასიმღეროდ შემომართა.

მიდის, არსად ელის სითბო, არც ალერსი მეგობართან. ბნელ დუქანში არყით მთვარე აკანტურებს თავს ჯაფარა, ზის, ღიღინებს ხელში თარით მომღერალი ტანპატარა.

სადაც წავა, დალევს ღვინოს, ჩამშრალ ხახას ჩაისველებს, გაცვეთილი სადღეგრძელო ჯიბით დააქვს ფარისეველს.

— კნიაზ, ერთი გამოსცალე! კიქით ცხარე ჰაერს აწვდის. — ნუ მოიწყენ, დალოცვილი სუფრა გვიცდის კავკავადის!.. თუ დაიწყო, არ მორჩება თარის დაკვრას ხვალდილამდის. სადაც წავა, გამოთვრება ეს თათარი დარდიმანდი. ბრალი მისი, ვისაც ბნელი, უკულმართი ხვედრი სდაგავს. ვინც სიამის ნაცვლად ელის დამწუხრებას ბედისაგან.

— ჯაფარ, მივალ ხვალ განჯაში, საქმე მცირე ძლივს მიშოვეს, — არც აქ რჩები, აღარც ჯარში? სად გაგდებენ იმ სიშორეს? — გაცობით თქვა მეთარემ, ბოლოს შესძლო გაცინება.

— წყეულ კუთხეს გავეპარე, ჯანში განჯის მაქვს ციება. მიდიოდა განჯის მხარეს ხალხი შაბის საძიებლად, სადაც მიწა გაითხარეს — სამუდამო საძინებლად.

ბევრს ყაჩაღთა კლავდა ტყვია, დაანთიეს სისხლი ქვიშას, განჯას მიხვალ, — რომ გეტყვიან, დამერწმუნე — სიკვდილს ნიშნავს. ყარს ყვითელი შორით ველი, ნუგეშს მარტო ოხვრა გაძლევს, ხვატი, კირი, მორიელი ახმობს, მარხავს ჩონჩხად კაცებს

— დანაცროს შაბი მიწამ, რად მჭირდება, ვაზი არ მაქვს: ვინც მე გულის სწორად ვიციან ახლა მასმევს შაბიამანს.


რა ყოფილა ავი სევდა, სევდა მწუხრის დასადარი,

III.



სული სიმწრით აივსება
და საშველი არსად არი.
სიმღერაა შენთვის ჯაფა,
ჩემთვის დიდი საჩუქარი.
დაუკარი, ჰეი ჯაფარ,
რამე დამწერის დაუკარი!..
დაუკარი, განა ხეალაც
დღე მექნება სანუკვარი!
ველარაფრით გამახარა!..
ამ სოფელმა. დაუკარი!..
ჩამიბნელებს ამა სოფელს
საფლავის ქვა და ბელტები,
ვიცი, ვიცი — არასოდეს
არასოდეს დავბერდები.
ააყოლე შენი თარი,
ჩემს სიმღერას უფდე ყური:
ქალი ხდება დედოფალი,
ვაეი რჩება უბედური.
ობლად რჩება, იტანჯება,
წინ შეხედება არჩევანი:
სარჩენელად შინდარჩენას
არჩიეო ნახჩევანი.
დავალ დამენათევი,
არც ჩინი მაქვს, არც სიმდიდრე.
მოვიარე ნახჩევანი,
ვერც ცხოვრება დავიმკვიდრე,
ველარც მშობლებს დავეხმარე,
წყარო ვღვარე ჭირის-ოფლის,
ვყოფილიყავ ან მეთარე,
ან უბრალო ბიჭი სოფლის.
რაა მარტო გიმნაზია,
რაა ჩინით აღმატება...
სიცოცხლეზე ძვირფასია
მხრების გაშლა, განათლება.
ხედარს წავექცე? ჩემი ერი
დამსჯის სვე-ბედ დათარსული...
ჯაფარ, შენ ხარ ბედნიერი,
მე კი — გზა-კვალ დაქსაქსული.
სიმღერაა შენთვის ჯაფა,
ჩემთვის — განძი სანუკვარი.
დაუკარი, ჰეი, ჯაფარ,
რამე დამწერის დაუკარი!
სმა მეყოფა. წავალ ახლა.
ჩემს ლხინს ლხინი როდი ჰქვიაან...
წავალ ახლა და ამაღამ
შენც ქორწილში მოდი გვიან.

ბინდდებოდა, და როდენა
ბარათაშვილს აივანთან
კამათლების ხმა მოესმა,
წამით მხრებში გაიმართა:
ვაუსწორდა მაღალ კიშკარს,
ზღურბლთან შედგა იგი მორცხვად.
„მათთან შევალ, არა მიშავს,
ბედნიერ დღეს მივულოცავ“.
ნაძალადევე, ყალბ ღიმილით
გაინათებს ტატო სახეს.
— მარტო მოხველ, ყარიბივით?! —
აივნიდან გადმოსძახეს.
იცნო ძმებანაფიცები.
— დავგვიანდი? ო, ბოდიში.
რაინდებო, ნარდით ძლებით
დიდი სუფრის მოლოდინში? —
გაეხუმრა ტატო ყველას,
სახე წითლად შეეღება,
როცა ობოლს, მარტოხელას
ძმურად არეინ შეეგება.
გუგულივით ზის ასული,
თითქოს ფრენას ცაში ნატრობს..
ეშმაკურად დიაცური
ეკითხება ხალხში ტატოს:
— კარგახანი ვადის, აღარ
გავიღია ეს კარები!
არ მოგწყურდა ჩვენი ნახვა?
ახლოს რად არ გვეკარები?..
ტატო უკრის: არ მაქვს ბედი,
თავი ვერვის შევაცვარე .
ვინც ვიწამე, ვისაც შევხვდი,
ყველგან ეშმაკს შევეყარე.
შეეცვლება ლამაზს სახე,
გადახედავს გვერდით სტუმრებს.
— შენ ეშმაკი ცხადად ნახე?
— აი, როგორც შენ გიყურებ! —
უპასუხებს ასულს ტატო,
სხარტი სიტყვის ყადრი იცის.
— შე, ქილიყო და კვიმატო! —
წამოიწყებს ხალხი სიცილს.
ჭაბუკები ზვიადები,
ქალწულები ტანმაღალი,
ხელმეორედ იბადები
კაცი მათი დამნახავი.
შედგა ტატო დარცხვენილი,
ნალენიარი, ნალვლიანი.



ცივად დახვდა მას ცხენივით
 გრძელკბილება დადიანი.
 უბედობას, უიღბლობას
 თითქოს სულში ტირის ლექსი,
 უღიმღამოდ უღიმოდა
 სახე ეკატირინესი.
 ჩაფიქრდება ტატო წუთით,
 სწორმეგობრებს გაეცლება.
 გულმა უგრძნო რალაც ცუდი,
 სულმა უწყო გაეცეცლება.
 ფიქრობს ტატო: „საყვედურით
 ჩამიარა გუშინ მტკვარმა.
 რა წავართვი, რად შემდურის?
 გავიფიქრე გულში მგზავრმა.
 ვითარც კატომ გამიღიმა
 თეთრკბილება აკაცია,
 ლამის სისხლი გამიყინა,
 ლამის ჯანში გამაცია.
 მთაწმინდამაც რალაც ზიზღით
 თავზე მზერა დამარისხა,
 თითქოს მითხრა: არ ხარ ღირსი
 ჩემს კალთაზე დამარხვისა.
 იყო ჩემთვის ყველა კარი
 ჩარახული, მოკეტილი,
 დუღუნებდა დედამტკვარი:
 ხარ ყველასგან მოკვეთილი.
 ძმებიც ცივად და დაცივნივით
 მარიდებდნენ შეცვლილ სახეს,
 თითქოს ვიყავ გარდაცვლილი
 და საფლავი ვერ მინახეს.
 ვაგლახ, ჩემი ერთგულება
 ვისთან უნდა დამეფიცა,
 ვიგრძენ სულის შეგუბება
 და ანაზღად გამელევიძა.
 გამელევიძა... აქ მოვედი,
 მახლას... მოხდეს, რაც მოხდება.
 მე თუ მართლა ვარ პოეტი,
 მათ წილ მმართებს ამბოხება,
 ვისაც ჩემი ლექსის არ სწამს
 და არც ჩემი კაცობისა,
 ვისაც არ სწამს, რომ ამა წამს
 სტუმარია ამ სოფლისა.



ღვინო მოჩქეტს სურბიდან,
 როგორც ჭავლი წყაროს წყალის,
 დარბაზებში სურნელია
 ცხელი წვადის და ცოცხალის.

დროსტარება, სიამტკბილე
 ქორწილს როგორ დასცილდება
 გავიწყდება სინამდვილე,
 გულიც თითქოს ყმაწვილდება.
 ქართლის მთვარე მექორწილეთ
 საკმლებიდან გადმოხვდაეს:
 ერთხელ მაინც შემომწირეთ
 სადღეგრძელო, რა მოხდება...
 ვაზა ხილით ვაქექილა,
 შუქში ბზინავს სველი სურა,
 სიმძიმისგან გაზნექილა
 სტუმარუბვი, გრძელი სუფრა.
 ზმირ წამწამებს ახამამებს,
 ნეფის გვერდზე ზის ქალწული.
 დედოფალი ახალ ღამეს
 ხვდება მიღლილ-მიქანცული.
 ერთანტელი ტანს ედება,
 ტატოს სიტყვა ახსენდება:
 „შენზე ვფიქრობ, და უშენოდ
 ვიცნებობდღე შენზე მინდა,
 ეგებ მხარი დაუშვეწო —
 ცოლად გაჰყვე ჩემზე მდიდარს.
 საქორწილოდ გამოხადებენ
 ახლობლები და მშობლები.
 მარქვი, მართლა თავს მანებებ?
 მარქვი, მართლა დამშორდები?
 განა შეგთხოვ შემობრალო,
 რად დამაგდე კაცი ობლად?
 რად აღმითქვი — შენი ვარო,
 რად მომიკალ ყმაწვილობა?..“

ტატო რიღით მიეახლა
 ბიძას — გრიგოლ ორბელიანს.
 როგორ ხარო, ჰკითხა ცალყბად
 პოეტს ჯინჯილ-ორდენიანს.
 ჭავჭავაძის დარბაზები
 მოუხატავს სპარსულ ფარდებს,
 საქართველოს ღამაზები
 უღიმღამო მაცდურ ფრანტებს.
 — „ერთის გულში დამრჩა გული,
 შევეჩვიე ღამით წრიალს. —
 ტატო ფიქრში თავიარგული
 ჩუმად უსმენს თარის წკრიალს.
 — შინ შევდივარ, გულს მიწამლავს
 ოხვრა მამის — ავადმყოფის.
 თბილისიდან წავალ, წავალ
 განა ძალა აღარ მყოფნის.
 სად მოვსულვარ? აქ დადიანს

თუ მე უნდა მექორწილა.
 ხვედრდაწყველილ ადამიანს
 უბედობა მერგო წილად.
 მატყვევებენ ხატოვანი
 ხატეულის შარიშურით,
 ზოგი, ალბათ, სატრფო არის,
 ზოგიც, ალბათ — დანიშნული.
 ბედს საკუთარს ბევრი ყვედრის,
 რად გაეჩნდით კაცი ქვეყნად.
 კარგმა მოყმემ ქვეყნის ხვედრი
 უნდა იცნოს თავის ხვედრად.
 მიტირია, მყვარებია,
 მილხენია, მიწვალთა,
 ბოლოს მაინც ჩემი ბინა
 ვიცი — სამი ფიცარია.
 ვიცი — მიცდის თბილი მიწა.
 მამულს აღარ ვეყოლები.
 ჩემს მთებს, ჩემს მზეს დასაფიცარს
 ველარ გადავეკონები.
 არ მიეღოს მიწას, ვისაც
 უღარდელი ვეგონები.
 ვიცი ბედის განაჩენი,
 ქვეყნის მგოსნად მომაქვს თავი,
 ქართლი, როგორც მამაჩემი,
 წევს და ოხრავს მომაკვდავრ.
 დათვლილია დღენი ჩემი,
 და უბედურ დღეს გაჩენილს
 ველარც ლექსის ღმერთი მშველის,
 ველარც ლოცვა დედაჩემის.

მინელდა ცეკვა-თამაში,
 მიწყდა გოდება თარისა,
 ადგა გრიგოლი და მაშინ
 ხმა რიხიანი გაისმა.
 თავადი განა ჩქარობდა,
 სუფრას გახედა არწივმა,
 ისურვა ღმერთის წყალობა,
 გრეხილა ჯიხვი ასწია.
 ყანწი ასწია და როცა
 მიყუჩდა ჩურჩულ-გნიასი,
 ძამ მონაგარი დალოცა
 ლეიძლი დის ეფემიასი.
 ამ დროს გულში იტყვის ტატო:
 „მარგალიტებრ სიტყვამჩენო,
 ლექსის ღმერთო და ოსტატო,
 საქმეც ჰქმენი, ბიძაჩემო.

დაი გიყვარს? დაეხმარე!
 ავადმყოფი მამა კვდება. **მარგალიტებრ სიტყვამჩენო**
 თუ ხარ ბიძა და მოყვარე **მარგალიტებრ სიტყვამჩენო**
 ეხლა გმართებს თავდადება.
 ო, ვაჰ, სენო, ო, ვაჰ, სენო,
 როსლა უნდა მომასვენო.
 ჯანი კენესის მამაჩემის,
 ჩაქრა რწმენა გადარჩენის.
 ძია გრიგოლ, ავადმთენილს
 სადღეგრძელო განა შველის?..
 აღარ შველის სიტყვა ამ დროს,
 ჩავარდნილა კაცი დამბლად“.
 ტატო გულში ცივად ამბობს,
 ბიძას უმზერს დამციხვად.

უკიდია ცეცხლი შანდლებს,
 ნათელს აფრქვევს ცვილის ალი.
 უცებ ქორწილს გაანათებს
 ბერ-არწივის წყვილი თვალი.
 ცხრა დღის მთვრალი წამოდგება
 მეომარი ხანდაზმული,
 აღარ ახლავს ძალადგება,
 არც სიმკვირცხლე გარდასული.
 მოიღრუბლავს დაღლილ სახეს,
 ძველ დამბაჩას ფიცხლად იძრობს:
 — სროლა მინდა! — დიძახებს —
 დე გამიცნოს, ვინც არ მიცნობს.
 ათსანთლიან შანდალს ესერის,
 ტყვიით აჭრობს ათვე სანთელს,
 თავმომწონედ და ალერსით
 თვალს შეაღლებს ნათესაებს.
 — ბარაქალა მავ მარჯვენას! —
 მოხუცს აქებს მასხინძელი.
 იქ ისროლე, სადაც ჯერ არს.
 თუკი შეგრჩა ყადრი ძველი!
 ვიცი, ძია გულბაათო,
 ხარ საომრად შემართული,
 გადსძახებს მოხუცს ტატო,
 მიყვარს შენი ძველქართული,
 მაგრამ ტყვიას ცუდად ხარჯავ,
 რისთვის გნებავს უქმად გარჯა,
 დოდაშვილი ვინც დასტანჯა,
 მას ისროლე ეგ დამბაჩა.
 კვლავ გიყვარდეს, ვისაც ცეცხლად
 ტრფობა გულში გაუვლია,
 დოდაშვილის დღეში ეხლა



ჩვენი დედულ-მამულა.
ჩაილიმებს გულბაათი,
— კარგად იცავ მასწავლებელს,
ვეყო, ეგებ გულისდარდი
მეც შენსავით მაწამებდეს,
მაგრამ არას არ ვამბობდე,
მიგუბია წყალი პირში,
ეხლა ვწიშობ, არასოდეს
არ მქონია ხალხის შიში.
ტატო ეტყვის მშვიდად, დინჯად:
— შეუტრცხვენელს ვფიცავ სინდისს,
დოდაშვილი ვინც გაყიდა,
სამშობლოსაც ის გაყიდის.
ბოლოს დასძენს ბერკაცო:
— რა ვქნა, ვეყო, ქორწილია,
მას უხდება ხელში ყანწი,
ვინც ჩემსავით მოცილილია.
ამ სიტყვებზე წამოიწყებს
მოხორბოცე ხალხი ხარხარს.
გულბაათი წამოიწევს,
ყანწს შეუშვერს ხარის ხახას.
სადღეგრძელო შესვეს ბევრი,
ბევრს ითქვა ბევრის გამო,
გამოსცალეს ექვსი ქვევრი,
თითქოს არაფერიყო.
დგას ქართველი ოფიცერი,
სიტყვით ამკობს, ქარავანს სტუმრებს.
და ჯაფარა ოფლით სველი
თავს თარივით აკანტურებს.
თათარს თვალნი გაუბრწყინდა,
მოხვდა ცქერა ჯეირანთა,
წამს კისერი გაუწვრილდა.
სასიმღეროდ შეიძარბათ:
— ათასერთი ღამის ზღაპარს,
ღამაზ ზღაპარს უგდეთ ყური:
ცოლად გაჰყვა ქალი მთავარს,
ვაჟი დარჩა უბედური...
.....
უცებ ჩაწყდა თარის ხმები,
— ხედავთ, როგორ გათავხედდა! —
დადიანმა ვანრისხებით
მთვრალ მეთარეს გადახვდა.
აჩოქქოლდა მთელი სუფრა,
— დათვრა, ქორწილს აგვიმყარალებს.
ხელად სტაცეს ხელი სტუმარს
და ბარბაცით გაიყვანეს.

მოუყრიათ ერთად თავი
თარხანიანთ, მუხრანიანთ,
ბედი ნეფე-დედოფალის,
თუ ქორწილი უხარიათ!
ერთი ფიქრი ათინათებს
ჩოლოყანთ, ამილახვართ:
ვინც ყველაზე ადრე დათვრეს —
ალოინზე დავინახავთ.
ერისთავნი, ჯანდიერნი,
ციციანთ სახლიკაცნი,
ბაგრატოვანთ ნაშიერნი
ერთად სხედან სახემკაცრნი.
სხედან ანდრონიკაანი,
დადიანნი, მაჩაბელნი,
როგორც ქარვის შადრევანი,
მოჩქეფს ღვინო შარშანდელი.
ყანწში არყის წყარო დგება,
ინისლება ორთქლით კერი.
უცებ ზეზე წამოდგება
რუსის კოხტა ოფიცერი.
მითქმა-მოთქმა ატყდა ხალხში:
— რა ღამაში ვაჟაკია.
— ვერ უძლებენ მაგას ხმალში.
— ასი ლეკი გააქცია.
ზეზე აღვა ოფიცერი,
რალაც შწარე გაახსენდა,
ფრთადაჭრილი ორბის ცქერით
სუფრას ცივად გადახვდა.
— სიკვდილს ვეძებ, მაგრამ ბედმა
შუბლში ტყვია არ მავირსა,
გული ომში დამიბერდა,
სმა ვერ მათრობს არაყისა.
მეც მიყვარდა ერთი ქალი,
ვინც სიცოცხლე შემომფიცა,
ცოლად ვიცან მკერდფიქალი
სეფექალი დედოფლისა.
მაგრამ ნაშთი სიყვარულის
ნაცარივით რჩება გულში.
იმპერატორს სიარული
შეუყვარდა ჩემს მამულში.
ახლოს ვიყავ მეფისკართან,
ამის გარდა არას გეტყვით.
არას ვეძებ ტყვიის გარდა,
დავალ დარღით დანასტყვი.
რაც გადამხდა, კარგად მახსოვს,
ცნობა შემჩნა უტყუარი.
ვიგრძენ, მეფემ რად შეაღო
ჩემი ცოლის ბუღუარი.

მეფე ვიცან, გამაერკოლა,
 გული ჩაკვდა საგულეში.
 შევავონე... გამოყოლა
 არ იკადრა მან დუელში.
 ამის შემდეგ სიკვდილს ვეძებ,
 ლამის სისხლი ჩაშრეს ჯანში.
 ხუთჯერ ვეგდე ბრძოლის ველზე,
 ხუთჯერ დამპრეს დაღესტანში.
 როგორც ხედავთ, აღარ ვკვდები,
 ჩამოვყვივი აქ კახელებს.
 ჩემი ნათქვამ-ნალაყები
 ვიცი, ყველას ააღელვებს.
 მაგრამ ერთი დაგახსოვდეთ:
 ამისთვის შემრჩა გული საღი.
 რუსის მეფეს არასოდეს
 შეადართო რუსი ხალხი.
 თვენმა მიწამ გამიწიოს
 ყადრი ღვიძლი დედობისა...
 ერთხელ კიდევ სადღეგრძელო
 შევსვათ ნეფე-დედოფლისა.
 თქვა და შესვა ოფიცერმა
 გრძელი ყანწი არყით საცეც,
 გულდათუთქულს წყვილი ცრემლი
 ჩამოსცურდა ნახმლევ ლაწვზე.
 ერთხანს ყველას გული მოსწყდა
 ბედმუხთალი კაცის ცრემლით,
 მაგრამ მალე გამოცოცხლდა
 სუფრა ჩვეულ მაჯისცემით.
 ქალთა კიქებს ტყბილი აწვიმს,
 ყანწებს — ღვინო მადლიანი.
 ზის ასული ჭავჭავაძის,
 გვერდით — დავით დადიანი.

ვილაც სოფლის ამბავს ყვება:
 — უძღვეველმა, უშიშარმა
 მარაბდაში აჯანყება
 ძლივს ჩააქრო რუსის ჯარმა.
 — ვიცნობ, არსენ ყაჩაღია
 ხალხში ცეცხლის გამღვივები.
 ბატონს ჩოხა დაახია —
 იტყვის ტატო გაღიმებით.
 — მერე, შენ რამ გავახარა?
 ხარ ყაჩაღის მადლიერი?
 ტატოს კიცხავს თმაქალარა
 ანდუყაფარ ჯანდიერი.
 თავადს სიტყვას უჭრის ტატო:
 — დამიჯერეთ, თუ მენდობით,

მარაბდელი უყისმათო
 მე ჩამომგავს უბედობით. *გარკუნულნი*
 გზაზე ნაბადს სადაც გაშრის *ნიქონიქა*
 მასთან ფიქრით იქ გაეჩნდები,
 ის დატანჯეს მარაბდაში,
 მე თბილისში ვიტანჯები.
 ვართ ორივე უყისმათო,
 კარგად ვიცნობთ მტერ-მოყვარეს,
 ვით სიცოცხლე — გულის სატრფო
 მას წაართვეს, მე — მომპარეს. —
 იტყვის ტატო და იხსენებს
 უქალამო გლეხის ბაღლებს,
 ცისკენ ლურჯად აწვდილ სერებს,
 ატმის, ჭერმის, ლელვის ბაღებს.
 წინ დაუდგა მას არსენა,
 საჭიდაო გაღავანი,
 უბედობამ გაახსენა
 მარაბდელი ფაღავანი.
 უცებ გარეთ ხმამ იქექა,
 ელდამ წუთით შეძრა ლხინი.
 ქუჩა ხალხით გაიქექა,
 ატყდა ყვირილ-შეძახილი.
 ტატო სარკმელს გამოაღებს,
 ყურს დაუგდებს აყალ-მყალს,
 ხალხში გლეხკაცს გამოარჩევს,
 ბეჭებფართოს, მალალ-მალალს.
 — დაასკუდა ბატონს თავზე,
 არც საცოლე ახეირა.
 ახი არის მაგ ყაჩაღზე! —
 თქვა თამადამ არხენიად.
 ვაჭრის ბიჭი ყვირის ბრბოში:
 — საიქიოს მოგვემ არშინს?!.
 დღეკვე ვირის აბანოში
 დააღობენ ოძელაშვილს.
 კინტოებმა და ბაყლებმა
 კისრის ძარღვი დაიქიმეს,
 ყველა ერთად აყაყანდა:
 — მარაბდელი დაიჭირეს.
 ვილაც ბლავის სამ ენაზე:
 — სულა, მოდის! არი, ეკავ!
 ოსი ამბობს არსენაზე:
 — ხორზულაუ არის ეგა.
 გარს ეხვია კაზაკთ გუნდი,
 იდგა გლეხი ქედუხრელი,
 მსხვილ მკლავებზე რკინის ხუნდი
 ეღო, როგორც დევს უღელი.
 მიჰყვებოდა გზას არსენა,
 სიმწრის ღიმილს არ მალავდა.



ტატოს ისევ გაახსენდა
 ყრმობის წლები და მარაბდა.
 გაახსენდა მამის ბაღში
 წყარო ჩრდილით დაბინდული,
 დიდი ბაღი — ეაქრის ვახშში
 ჩალისფასად გაყიდული.
 მიჰყვებოდა გზას არსენა
 ბრაზით თვალებანთებული,
 ტატოს მხარე გაახსენდა
 ქედზე ბორკილდადებული.
 ბრბოს ყვირილი, ღრიანცელი
 გვიან მიწყდა და მიუყრდა.
 მოწყვეტილი წმინდა ცრემლი
 დაეწყვეთა სარკმლით ქუჩას.
 „დამყოლოდა შენი ღონე,
 შემძლებოდა შურისგება...
 სული, როგორც ცხელი თონე,
 ამ ხალხს ველარ ურიგდება.
 ეს ფრანტები, ეს უსულო
 ჭორიკანა გვამთა კრება,
 არსენ, შენებრ შევიძულე
 და ეს ზიზღი აღარ ქრება“.
 ამ ფიქრებში გართულ ტატოს
 გულში ჩასწვდა ხმა საამო:
 — ვიცი, თვალწინ გიდგას, კარგო,
 სხვა წუთები, სხვა საღამო...
 ლექსებს როცა გვიკითხავდი,
 არ იქნება, არ მასსოვდეს,
 ვიცი, შენი დიდი დარდი
 არ ჩაქრება არასოდეს.
 ვიცი, როგორ გდაგავს ცეცხლი,
 სული სიმწრით შეგებურა.
 შემომხედე, ხმა გამეცი,
 გამეხუმრე, შენებურად.
 სთხოვდა ქალი უნახესი,
 უმუქებდა თვალებს სევდა.
 — ტატო, შენზე უარესი
 დამატება თავზე ბედმა.
 ჩვენ ორივეს გეტყვია გული,
 ჩვენ სიცოცხლე შეგვიმოკლეს.
 შენ წაგართვეს სიყვარული,
 შენ მოგტაცეს, ჩემი — მოკლეს.
 ტატო, მოდი, სადღეგრძელო
 შესვი ნიფე-დედოფლისა, —
 ჩურჩულებდა თვალებსველი
 ქვრივი ვრიბოედოვისა.
 უცებ, ისევ ღრიანცელი
 და გუგუნე ატყდა ხალხის,
 4. მარაბდა... 186

ათისთავი გივი ცხენით
 ხალხს მიაწყდა, როგორც ნაბიჯი
 — სად წავიდა? საით გაქრა? —
 ყვეს კახაკი ხმაღშიშველი.
 მარაბდელი დაიკარგა,
 საით გაქრა ძაღლიშვილი!..
 — არ გვინახავს! — გაქუხს ხალხი,
 ახლოს არც კი გაგვეყარა.
 წუხს კახაკი: — ყურუმსალი,
 რა ტუსალი გაგვეპარა!..
 — ყური უგდეთ ახალ ამბებს,
 განა ძველი ზღაპარია.
 მარაბდელი ამ კახაკებს
 აბანოდან გაჰპარვია! —
 ტატომ სუფრას გადასძახა,
 თან გაალო კარ-ფანჯრები,
 — ჰეი, არსენ, სადაც წახვალ,
 ყველგან გველოს გამარჯვებით.
 — ფუი, ღმერთმა შეაჩვენა,
 კაცია თუ საოცრება?
 ვიდაც იტყვის: — ეგ არსენა
 ჩვენს ჭორწილშიც გამოჩნდება.
 ტატომ თავადს გადახედა —
 მარაბდელი ვინც ასენა:
 — თუ დასქირდა, ყველას ერთად
 აგვიკიდებს ის არსენა!
 — გეყოს, ერთხელ გაგიცინეთ,
 არ ვიცეკვებთ შენს ზურნაზე! —
 თქვა თამადამ და სიცივე
 გაამეფა მთელ სუფრაზე.
 ტატომ ღობილს თანაგრძნობით,
 დაყვავებით გადახედა.
 სახე სათნო და ნაცნობი
 ქალთა შუქზე ცახცახებდა.
 გრძელ წამწამებს წყვილი ცრემლი
 დასცდა სანთლის ნაღვენითივით,
 იდგა ნინო თბილისელი
 ლამაზების ქალღმერთივით.
 შავი ფრთებით საოცარით
 მოფრინდაო თითქოს ციდან,
 იდგა ნინო შავოსანი,
 ვით მისანი ნინოწმინდა.
 — ამ ჭორწილში არ დავრჩები,
 ველარც ოხერა, ვაი მშველის.
 წმინდა-ნინოვ, გამარჯვებით,
 გილდეგრძელოს დაი შენი.
 ნინო, მესმის მოღალატის
 დის წუხილი და ნუგეში,

მეც ქართველი მოქალაქის
გული მიცემს საგულეში...
დე, ცხოვრებას შევრჩე კენტი,
დე, გავება ცალუღელში,
დე, დადიანს ჩემზე მეტი
ფული ჰქონდეს საფულეში! —
თქვა და წინოს ხელზე კოცნით
გაეცალა სწრაფად ტატო.
გაეთიშა ლხინს და ქორწილს,
მტვრიან ქუჩას გაჰყვა მარტო.



— ნუ მემღურით, დებო, დედავ,
შამაჩემო, ნუ მემღური.
გული დარდით მიღონდება,
რად დავდივარ უბედური.
ამბობს ტატო დაქანცული
საფლავებთან ხეტიალით,
ბევრი გზაა დაქსაქსული,
დასასრული ერთი არი...

დღე მოთავდა ნათლიღების,
გზაზე დაწვა ბინდი ოღნავ,
განჯისაკენ ქართლის ბედის
მომღერალი მიდიოდა.
მხედარს ცხენმა გაურჩება
გაუბედა გარდაბანთან,
უცებ გზაზე გამოჩნდება
ცხენოსანი შავნაბადა.
რაშს მკერდიდან ორთქლი ასდის,
ორთქლი ღრუბლად აქრის ცაში,
გახეითქულა გოლიათის
სიმძიმისგან შავი რაში.
ცხენი ლაბტით გადარია,
მოქრის, გზიდან ბული ადის.
— ალბათ, ვინმე თათარია,
მაგრამ თათარს ქუდი ნაბდის?
ჩრდილი ხევთან ითალხება,
აღვირს სტაცებს პატრონს რაში,
მხედარს მკერდზე ცისარტყელად
შემოურტყამს პატრონტაში.
ნაბადს ქარი ისე არხვეს,
თითქოს ტყდება შავი ტალღა,
მალღით ცა და ძირს ბალახი
ფლოქეთა მტვერში ჩაითალხა,

შრილებენ შორს ბალები —
ედემის ბაღს რომ სწუნობენ
ჩაყანგული ქოხმახები ზიზღით
მთვარის შუქზე ლოცულობენ.
ო, ეს ჯვრები, ეს ლოდები
ასე სღუმან მუღამ ასე,
ღამე განა შეღონდება
ქირისუფლის მუღარაზე.
დავალ, ვგავარ ალბათ შეშლილს,
ჯვარი, ჯვარი, ლოდი, ლოდი...
რა მინდოდა, ამ ღამეში
აქეთ რისთვის მოვდიოდი.
შავი ბედი მიგავს ცდომილს,
ვღგავარ გზათა დასასრულთან.
რაც ვინატრე, მისაწვდომიც
ნატვრად დამრჩა, არ ასრულდა.
ხვალ განჯისკენ გავიპრები,
დე, მახსენონ კაცი ავად,
დე, მომჩერდნენ შავი ჯვრები
სიბნელეში დამცინავად.

დასასრული

ლურჯი ნისლი იალღის
შიშნაკრავი ადის მალღა,
— დაყარეო იარაღი! —
ცხენოსანმა დაიძახა.
დგება შავი რაში ყალღზე,
ლაგმიანი ტანჯავს ყბები.
— არ ვიცოდი, განჯის გზაზეც
გაჩენილან ყაჩაღები.
თოფი მქონდეს, რად გავეტურვდი,
გავცემდიო პასუხს თოფით.
— განზე გადქე, რაღას უცდი! —
გადმოჰყივლებს კვლავ უცნობი.
ჩამოთვალე შენის ხელით,
ღარიბს დამქირდება ფული.
ეგ ხანჯალიც შეისხენი,
ყივის სირიმშემართული.
— ფული? — ჩაიცინებს გულში,
ტატოს შიში განეფანტა.
ვღღის გარდა საფულეში
ერთი გროზიც არ ებადა.
ვერცხლის ხანჯლის ჩამოსხნისას
ჩაეღიმა ბარათაშვილს,
ყაჩაღს იცნობს, ბაღღობისას
შეხვედრია მარაბღაში.



უცხოც შეხვდა მას ღიმილით,
 შეყოყმანდა წამით ასე.
 და ნაბადი მან ჩრდილივით
 გადააგდო მწვანეიანზე.
 ბოლოს, თავქვე ჩამოსვლისას,
 მოაბრუნა მარდად რაში.
 ტატოს ჰკითხა: — ბაღლობისას
 თუ ყოფილხარ მარაბდამი?
 ჩვენსოფლელი ველარ გიცან,
 რა კაცი ვარ, რა ქართველი.
 ნუ წახვალ, ჯერ დიკა, —
 სთხოვს მარაბდელს მარაბდელი.
 უარის თქმა იყო ფუჭი,
 შეტრიალდა წაღმა ჩარხი.
 უნაგირზე შთვლემარ ხურჯინს
 გადაუხსნის თავს ყაჩაღი.
 გზის ნაპირას ნაბადს გაშლის,
 გაგორდება ყანწი გრძელი.
 თავპირველად ბარათაშვილს
 აწვდის, როგორც მასპინძელი.
 დაცალეო ერთი ყანწიც,
 თვალეზი რომ დაგვეცრემლოს,
 ეს იყოსო გლეხი კაცის,
 დარიზ კაცის სადღეგრძელო.
 ვეხეტები გზიდან გზაზე,
 რაც შებადა, წამართვესა,
 მდიდარს ვართმევ, დარიზს ვაძლევ,
 ღმერთი როგორ წამახდენსა.
 გზის ნაპირას ისხდნენ ასე,
 დასდგომოდით თავს ნათელი,
 ხვედრის უსამართლობაზე
 ბჭობდა ორი მარაბდელი.
 როგორც დედინაცვლის გულქვას
 ვაჭქევეია ორივე ყოფას,

გზა ორივეს არაგვს უგავს,
 ქედით ორად რომ იყოფა. *ქართული ენციკლოპედია*
 ერთი ლატაკთ ესარჩლებს,
 მდიდარს გზაზე დაუხვდება,
 გადმოხტომა ემარჯვება,
 რიხიანად დაქუხება.
 მეორისთვის ეს საწუთრო
 უფსკრულია მარად ბნელი,
 თუ ამხედრდა, ვერ გაუსწრებს
 ვერც არსენა მარაბდელი,
 ვერც სიკვდილი დაეწევა,
 ვერც ძახილი მუსთალ დღეთა,
 ხვედრს მეხივით დაეცემა
 თუ აჯანყდა, თუ ამხედრდა.
 გზის ნაპირას დიდხანს ისხდნენ,
 ჯანში არყის ჩადგა ეშხი,
 წუთიერმა სიხალისემ
 გაიღევა მათ თვალეზში.
 ადგა არსენ მარაბდელი,
 სადღეგრძელო რალა დარჩა...
 ვერცხლისფერად დანაფერი
 ფიცხლად იძრო მან დამბაჩა.
 ცივი ლულა გადუყოცნა,
 კაცი ღმერთკაცს ჰგავდა მაშინ.
 ყანწისდარად გადულოცა
 იარაღი ბარათაშვილს.
 — გქონდეს. ამით დაგახსომდეს
 ჩვენი კარგი პურმარილი,
 სადაც შემხვდე, არასოდეს
 არ დამიხვდე სტუმარივით.
 განდევნილი დავალთ სოფლად
 მე — ყაჩაღი, შენ — მგოსანი! —
 თქვა არსენამ და გაშორდა
 ერთუროს ორი ცხენოსანი.

ილიასის ლექსები



მეტყულება

რომანი

წიგნი მეორე

თავი პირველი

I

აეტომობილი გასცდა ორთაქალის ამწვანებულ ბაღებს და ახლა ლომციხისკენ მიქროდა. გატრუნული იჯდა თამაზი, ერთხელაც არ გამოლაპარაკებია მეგობარს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირველად აეღებდა თვალს ამ წარმტაც ველ-მინდვრებს.

მტკერის გასწვრივ მინდვრის ყვავილთა გამაბრუნებელი სურნელება იდგა, მანქანაშიაც კი იჭრებოდა იგი.

სმირნოვმა ხელი მოისვა სახეზე, თამაზს გადახედა. თამაზი კვლავ გარინდებული იჯდა და თვალსაწიერზე გაწოლილ მთებს გასცქეროდა.

„ვინ იცის, რის მოწმე არ გამხდარან ეს მთა-გორაკები, — ფიქრობდა იგი, — ახლა კი ამწვანებულა, ყვავის ყველაფერი...“

მანქანა არწევდა მგზავრებს. სმირნოვმა ახლა მწვანე გორაკებზე გადაიტანა მზერა და ისევ თამაზს მიუბრუნდა:

— ამბობენ, ლომციხე ძველი ციხე-ქალაქიაო, მართლა?

თამაზმა თავი დაუქნია.

— წინათ აქ ტყეებიც ყოფილა, — განაგრძო სმირნოვმა.

— იყო, გაჩეხეს.

— ლომციხე ნამდვილი ოაზისია ამ ტრამალებში.

თამაზი გაჩუმდა. მას არასოდეს არ ენახა ლომციხე და ახლა არ უნდოდა ერთბაშად გამაემყდარებინა ეს.

— თქვენ ძლიერ შიშს წახვედით, — უბასუხა თამაზმა.

მანქანამ ველი განვლო. ახლა აღმართს მიეძალა. როცა ზევით ავიდა, სუნთქვა შეანელა.

— აი, ლომციხე! — წამოიძახა სმირნოვმა და ხელი იმ ტაფობისაკენ გაიშვირა, სადაც რამდენიმე ერთსართულიანი შენობა მიწას გაკეროდა.

— სერგეი ივანეს-ძევ, სულ ესაა მთელი ლომციხე? — მოულოდნელად გასცა თავი თამაზმა, რომელსაც სულ სხენაირად ჰქონდა წარმოდგენილი ეს ხელახლა დაზადებული პატარა ქალაქი, — რა ხრიკი რამე ყოფილა!

— ენახოთ, ის მგზავრი რას იტყვის, სამიოდე წლის შემდეგ რომ პირველად გადმოადგება ამ ბეჭობს! — თქვა სმირნოვმა.

მანქანა ერთსართულიანი ფიცრული სახლის წინ გაჩერდა. შოფერმა ძრავი ჩააჩუმა და ხელი ტყავის სათეთუნეზე გაივლო. თამაზი და სმირნოვი თეთრად შეფეთქილ ფიცრულში შევიდნენ. კარის მახლობლად უბრალო საწერი მაგიდა იდგა. მაგიდას ქერათმზიანი, ტანმორჩილა გოგონა მოსჯდომოდა და წიგნის კითხვაში იყო გართული. მან მაშინვე ასწია თავი, როგორც კი კარი გაიღო და შემოსულებს შეხედა.

— გამარჯობა, ირინე! — შინაურულად მიმართა მას სმირნოვმა და თვალი მეორე ოთახში გამაველ კარზე უყო, — აქ არის?

ქალიშვილმა თავი დაუქნია, წიგნი დახურა და წამოდგა.

— მოვახსენო?

— მარტო არ არის-თქო, უთხარია.

— ახლავე, — მიუგო ქალიშვილმა და კარი შეაღო. წამიც და — ისევ გამოჩნდა ზღურბლზე.

— მობრძანდით! — შეიპატივთა მოსულნი.

მოზრდილ ოთახში თმაშეჭადარავებული, ენერგიული გამომეტყველების მქონე, შეუახნის კაცი დაუხვდათ, მშენებლობის უფროსი. მარცხენა ხელში ტელეფონის მილი ეჭირა, მარჯვენაში ფანქარი და მაგიდაზე გადაშლილ ბლოკნოტში რაღაცას იწერდა. დანახა თუ არა ოთახში შემოსული ინჟინრები, ტელეფონის მილი და ფანქარი დაღო და სწრაფად წამოდგა:

— ავარიები! აი, რას ნიშნავს გამოცდილება! ყველაფერს ახლა ჩვევიან, სწავლობენ! — წარმოთქვა მან.

თამაზმა ვერაფერი გაიგო.

— სადაც არაფერი კეთდება, იქ გასაფუტებელიც არაფერია, — ჩაილაპარაკა სმირნოვმა, როცა დამხვდურს ხელი ჩამოართვა, თამაზი წარუდგინა და სკამზე მოეწყო.

— მართალი ხართ! — უმაღლე ჩამოართვა სიტყვა მშენებლობის უფროსმა და თვალი თამაზზე შეაჩერა, — დაბრძანდით, რატომ არ დაბრძანდებით!..

თამაზმა მიიხედ-მოიხედა. ახლა-ღა დანახა, რომ სკამი სწორედ ზურგს უკან იდგა, წინ წამოსწია და დაჯდა.

მაშინვე შენიშნა; მშენებლობის უფროსი ცერემონიების კაცი არ იყო. სიტყვა მაშინვე საქმეზე ჩამოაგდო. კედელზე გაკრულ ევება გეგმას მიუახლოვდა და მოკლედ გააცნო თამაზს ის, რაც აქ უნდა გაკეთებულიყო. ზოგჯერ თავის მახვილ თვალს სახეში ჩაანათებდა, მერე ისევ მომავალ ლომციხის სურათს უშლიდა თვალწინ.

თამაზი უსმენდა, მაგრამ კარგად ვერ გაეგო ნათქვამის აზრი. იქნებ იმიტომაც, რომ ყოველივე ეს რაღაც ძალიან

მოთლოდნელი იყო მისთვის. „მაშ, ეს არის გურამი!“ — ფიქრობდა, ეგვი... და დროდადრო მალულად კუმბურდამსვენებლობის უფროსს.

შეჭადარავებული თმა ლომის ფაფარით ადგა თავზე გურამს. თვალები ჰაბტუკური სიმკვირცხლით უბრწყინავდა. საშუალო ტანისა იყო, მაგრამ ჩასკვნილი, ჩაყრული. ხმაც საოცრად ძლიერი ჰქონდა, კილო ოდნავ შეკახე, მაგრამ დამარწყმუნებელი. სანამ ის კედელთან იდგა და გეგმაზე აჩვენებდა თამაზს, როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ლომციხე, ორ მაგიდაზე დადგმული ტელეფონები ზედინედ რუკდნენ, მაგრამ გურამი ორი-სამი სიტყვით იგერიებდა ამ შემოტევას, მერე ისევ თამაზს მიუბრუნდებოდა. ბოლოს დაჯდა. თამაზმა შეატყო, რომ მას გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა რაღაც, მაგრამ თითქოს ამის დაფარვას ლამობსო, სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდა. მერე ერთბაშად შეცვალა საუბრის საგანი, თვალი თვალში გაუყარა თამაზს.

— მაშ, მექანიკოსი ხართ, მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაში მივიღიათ მონაწილეობა. — თქვა მოთლოდნელად, ცარიელ საფერფლეს მისწვდა, წინ დაიდგა, მერე ისევ გამოსწია და ძველი ადგილი მოუნახა, — საინტერესოა.

თამაზმა თავი ჩაღუნა.

— მარტენის საალმშენებლო უბნის ხელმძღვანელობა უნდა იყოსო. — თქვა უცებ გურამმა.

— მე რიგითი ინჟინრის თანამდებობას ვამჯობინებდიო ჯერჯერობით მაინც, შემდეგ კი ვნახოთ; საქმეში თვითონ გამოვარკვევ, რა შემიძლია, — მთელი აქ ყოფნის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა თამაზმა.

— საქმეში ბევრი რამ შეიძლება გამოვარკვიოთ, მაგრამ დრო აღარ ითმენს, უნდა დაგვეთანხმოთ! რაც შეეხება დახმარებას, ეს ჩვენზე იყოს, — მოუქრა გურამმა.

თამაზმა აღარ იცოდა, როგორ გამოეთქვა, რით დაესაბუთებინა თავისი ახ-

რი ამ კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ.

ამ დროს ირინემ შემოყო თავი გამოღებულ კარში. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისაღებში კიდევ იცდიდა ხალხი. გურამი წამოდგა.

— მე თავისუფალი ვარ. თუ ვინმეა, შემოვიდეს, — უთხრა მან ქალს და უჯრის გასაღები, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, საფერფლეზე დადო.

კარი გაიღო და ათიოდე კაცი ერთად შემოვიდა ოთახში.

გურამმა იცოდა, ვინ რაზე იქნებოდა მოსული. ამიტომ ათიოდე წუთში ყველას ყველაფერი გამოჰკითხა, ზოგს რაღაც უსაყვედურა, ზოგი გაამხნევა, ზოგს დახმარება აღუთქვა და ისე გაუშვა.

„თქვენთან ყველაფერი რიგზე ვერაა, იცოდეთ, მოგთხოვთ!“ „იქნება აუცილებლად დაგეხმარებით“, „მასალები გზავნი, ჩქარა მოგაწვდით“, — ეუბნებოდა ხან ერთს, ხან მეორეს. მერე ისევ თამაშს მიუბრუნდა.

— მგონი ყველაფერში შევთანხმდით. ახლა რაიკომში უნდა შეხვიდეთ, მაშ, ასე! წარმატებას გისურვებთ!



რაიკომის ახლად დამთავრებულ, ერთსართულიანი შენობის ყველა ოთახსა და დერეფანში საღებავების სუნი იდგა.

ამ შენობის ეჭთ მოზრდილ ოთახში, საწერ მაგიდასთან, გამხდარი, ფერმიხდილი ქაბუკი იჯდა. მისი შავი, გონიერი თვალები მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს დასჩერებოდნენ. ახლა ეს ნახაზები მოკცა, გვერდზე გადადო, მერე მაგიდაზე მიმაგრებული ელექტროლილს თითი დააჭირა, თითქოს დასრულებულ ნახაზს წერტილი დაუსვაო.

მაღალი, შეთვალწარბა გოგონა შემოვიდა. შავი ტყავით შემოსილი კარის ჩარჩოში გოგონას ნათელი, მშვიდი სახე სურათივით მოჩანდა.

— შემოუშვით! — უთხრა ქალს რაიკომის მდივანმა.

— ახლავე, ამხანაგო გაიოზ! ლიად დატოვებულ კარში სოფლოურ ყაიდაზე ჩაიძული ქალი გამოჩნდა. გაიოზი წამოდგა, ქალს მიეგება.

— კარგია, პატარაც მოგიყვანიათ! რა გქვია, ბიჭუნო? — სახეზე განუშორებელი ღიმილით ჰკითხა გაიოზმა ბავშვს და თავზე ხელი დაადო.

ბავშვმა მორცხვად აპხედა უცნობიას, მერე გაბუტულივით დახარა თავი და დედას კაბაში ხელი ჩასჭიდა.

— უთხარი, შვილო! — სთხოვა დედამაც.

— ვაჟიკო მქვია! — ვაბედა ბავშვმა.

— ლომციხეს ვაჟიკოც სჭირდება. აქ დიდი ხნის წინათ ჩაქრა ქართული კერა. ჩვენ ხელახლა უნდა გავაცოცხლოთ და ისე გავაღვივოთ, რომ მინის სითბო წინაპრებმაც იგრძნონ მიწაში.

— რა ვიცი... ესაა ჩამოვედით და ჯერ ჩემი ქმარიც ვერ მიპოვნია, — მორიდებით დაიწყო ქალმა, — წერილი წერილზე მომდიოდა, აღარ დამაყენა სოფელში.

— დაბრძანდით, თქვენი ქმარი ახლავე მოვა, — უთხრა გაიოზმა და სკამი მიაწოდა. მერე მდივანს გამოუძახა.

— ეთერ, საგლინავმშენიდან დურგალ ისე ლეყავას გამოუძახე.

ამ დროს კარებში შემოსული სმირნოვი და შევეგრემანი ქაბუკი შენიშნა.

— აა, თქვენც მოხვედით! ესაა გურამი მელაპარაკა, გელოდებით!

— ჩაიბარეთ, გაიცანით ეს ყმაწვილი, — ღიმილით წარუდგინა სმირნოვმა სტუმარი და ხელი მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოართვა რაიკომის მდივანს. ახლა გაიოზმა სტუმრებს თავის მხრივ დედაშვილზე ანიშნა, — თქვენ გაიცანით ლომციხის ახალი მოსახლეობა?! აი, ამ ვაჟკაცს ვაჟიკო ჰქვია!

— კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება! — მიესალმა დედა-შვილს. სმირნოვი.

— ერთად ჩამოვსულვართ, — გაუ-
ლიმა ბავშვს თამაშმა, — მეც ვაეიკო-
სავეთ პირველად ვარ ლომციხეში.

რაიკომის მდივანს გაეცინა, გამხმარ
სახეზე ხელი ჩამოიხევა და თამაშს
უთხრა:

— ყველა ერთი ჯილაგისა ვართ,
აქაურიც და იქაურიც...

ვაეიკო გაოცებული იყო. ცნობის-
მოყვარე თვალებს აქეთ-იქით ატყეებ-
და. მხოლოდ დედამისი იჯდა ჩუმად.
ხმას არ იღებდა. მას თვალწინ ედგა თა-
ვისი მშობლიური სოფელი, რომელიც
გუშინ დილას დატოვა პირველად.
ელისებოდა კიდევ მის ნახვას? ძნელი
ყოფილა მშობლიური კერის მიტოვება
და, მით უმეტეს, მაშინ, როცა არ იცი,
რას მოგვტანს ხვალისდელი დღე. ვერა
და ვერ იშორებდა თვალთაგან პაწია,
ხატულა ეზოს. აგერ, ვაეიკო გარბის
ეზოში, ურელ პეპლებს დასდევს, მიწა-
ზე ჯდება და გულიანად ხითხითებს.
აგერ, ლეკვი წაეტანება ხალათში, ეწყე-
ვა, ეთამაშება და ხითხითებს, ხითხი-
თებს ვაეიკო...

კარი გაიღო, ღერჯხალათიანი ახალ-
გაზრდა კაცი ოთახში შემოვიდა.

— მარო! ვაეიკო! — ხმადაბლა, მავ-
რამ სიხარულით წარმოთქვა მან და
თვალეში გაუნათლდა.

— ისე, ჩაიბარე შენი ოჯახი! —
შეაგება გაიოზმა.

მარომ რაღაც დარცხვენით შეავლო
თვალი ქმარს.

ცოლი და ქმარი უსიტყვოდ მიეგებნენ
ერთმანეთს. მერე ისე შეიღს წაეტანა,
აიყვანა, გულში ჩაიკრა.

გაიოზმა გაცილა ისინი და გამობ-
რუნდა.

— საჭიროა ბავშვის ენაც ვიცოდეთ.
მოდინ... რადგან ბავშვებიც გვემატე-
ბა, დიდებს რალა გაუჭირდებათ, —
წარმოთქვა მან და თამაშს შეხედა —
მამ ბერძენელი გახდით! კარგი, კარგი.
ჩვენია ეს მიწა და მოვისხმართ. ჰო,
მართლა! დღესვე აღრიცხვაზე უნდა გა-
ტარდეთ, — მოულოდნელად ჩაურთო
მან, — ბინის საკითხი?

— ნუ შეწუხდებით, ამხანაგო გაიოზ,
ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ, არა შეგაშვე-
ლა სმირნოვმა. გიორგი მთელია

— თუ გაეჭირდეთ რამე, გამაგე-
ბინეთ.

— გმადლობთ, ამხანაგო გაიოზ, —
წამოღდა თამაზი და სმირნოვს მიუბ-
რუნდა, — წაივით. დღეს მგონი საყ-
მაოდ მოვაცილნეთ ყველა.

*
*
*

თამაზი და სმირნოვი უკვე დროე-
ბითი საცხოვრებელი ბინისაკენ მიქ-
როდნენ.

გზის გასწვრივ მუშები შესეოდნენ
მიწას, გაყავდათ თხრილები, ყრიდნენ
ვეება კორპუსების ბალავერს.

მანქანა კრამიტით გადახურულ შე-
ნობას მიადგა.

— აი, ჩვენი სასახლე! — დაიძახა
სმირნოვმა.

ისინი აივანზე ავიდნენ.

— ამ სასახლეში ზეთი ოთახია, ერ-
თში მეც ვახლავართ... — მხიარულად
განაგრძო სმირნოვმა, — მარფა, მარფა!

უმალ გოგონას ხმა მოისმა:

— ახლავე!

წამიც არ გასულა, რომ აივანზე გა-
მოიჭრა ცისფერთვალემა, ქერა გო-
გონა.

— აი, ჩვენი დიასახლისი! მარფა!
გაიცანი ახალი მდგმური! — უთხრა გო-
გონას სმირნოვმა.

მარფამ თამაშს ხელი ჩამოართვა და
თავი მორცხვად დახარა.

— აბა, გაუღე ახლა სამოთხის კარი!
მარფა გაიქცა, თამაზისათვის გაშხადე-
ბული ოთახის კარი გააღო და თვითონ
შესავლთან შეჩერდა.

— მობრძანდით!

სმირნოვი წინ შევიდა და ახორბოცდა:

— ხომ ხედავ, რამოდენაა, ზელი
რომ ასწო, უერს მიწვდები, სამაგიე-
როდ, მარფა არ მოგაკლებს სისუფთავეს.

თამაზმა თვალის ერთი მოვლებით
შეათვალიერა თავისი ახალი ოთახი.

რომელშიაც ერთი საწოლი, ორი სკამი, ერთი მაგიდა და ერთიც პატარა კარადა იდგა.

— ახლა რაღა გვიქირს. — მხიარულად განაგრძობდა სმირნოვი. — ამ სახლის ერთ თავში შენი ოთახია, მეორეში — ჩემი სახლი ვერსად წაგვიყვანა. ინტერნების გარემოცვაში ჩემი მტერი ჩავარდეს.

— კარგია, მოვთავსდებით. — გაიღიმა თამაზმა.

— მართა, ამ მარტოხელა კაცს რომ არ მოწყინდეს, გაამშვენიერე აქაურობა, მეტი ჰაერი და შუქი შემოაღწე ოთახში.

— ახლავე! — დაიძახა მართამ და გარეთ გავარდა. მალე რაღაც სურათები შემოიტანა, მაგიდაზე დააწყო და ახლა ლურსმნებისა და ჩაქუჩის მოსატანად გაიქცა. წამიც და ისევ შემობრუნდა, კედელთან სკამი დაიდგა, ჩაქუჩი მოიმარჯვა და კაქუჩი ატეხა.

— ყოჩაღ მართა! — შეაქო სმირნოვმა.

მართა ყურს აღარ უგდებდა მას, სურათებს გულმოდგინედ ასწორებდა, ამბავებზე კედელზე. ბოლოს წელზე ხელები შემოიწყო, ნაწნავები უკან გადაიყარა, სკამიდან ჩამოხტა.

— ყოჩაღ, მართა, ყოჩაღ! — არ ცხრებოდა სმირნოვი, — აგრე უნდა! თამაზ, არ წაივლივ? ხომ არ გეძინება?

თამაზს გაეციხა, მეგობარს ხელი გადახვია და მასთან ერთად დერეფანში გამოვიდა. მალე მიღწიეს მოედანს, სადაც სამშენებლო მასალების გროვა უწესრიგოდ ეყარა მიწაზე.

სმირნოვმა თამაზს მიაძახა: — მოგწონს? დღეიდან შენ იქნები აქ მასპინძელი!

თამაზმა თვალი გადაავლო რკინის, აგურის, ხე-ტყის, კირისა და ცემენტის მასალებით მოფენილ მოედანს და ამ სურათმა ერთი წუთით მოაგონა თავისი მეგობარი მხატვრის — პავლეს სამუშაო მაგიდა, რომელზედაც ასევე უწესრიგოდ ეყარა ფანქრები, ფუნჯები, საღებავები, ხელსაწყოები, მაგრამ

პავლე ამ „უწესრიგობაში“ შესანიშნავ სურათებს ქმნიდა.

მშენებლები მთელ მოედანზე გაფანტულიყვნენ, ელექტრომტყარებით ხვერტდნენ ლითონის ნაკრებს, ერთმანეთზე ადუღებდნენ, აერთებდნენ და იზრდებოდა, მაღლა იწეოდა ჯერ უფრო მო ლითონის ჩონჩხი.

ცხელიდა.

მშენებლებს პერანგები გაეხადათ. ჰაერში ასული ბოლი და მტვერი ისე არეულობო ერთმანეთში, რომ კაცის თვალი ველარაფერს არჩევდა აქ.

თამაზი ათვალეერებდა მშენებლობის მოედანს და ერთი წუთით თავისი თავი ეგონა ჩელიაბინსკში, სადაც მსგავსი სურათი ენახა წინათ.

შევიდეთო, — თვალთ ანიშნა სმირნოვმა. ფარდულის კარი ძალზე დაბალი აღმოჩნდა. თამაზი თითქმის ორად მოიკეცა შიგ შესვლისას. ვიღაც ლურჯხალათიანი შუახნის კაცი დაუხვდათ აქ. ეს კაცი ისე გულმოდგინედ დასჩერებოდა მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს, რომ სმირნოვისა და თამაზის შესვლა არც კი გაუგია. თამაზს ეცნაურა მისი სახე, ჩაფიქრდა, რაღაც მოაგონდა და დამხვდურს ხალისიანად მიესალმა:

— გამარჯობა, ამხანაგო ტკაჩენკო!

ტკაჩენკო შეკრთა, თავი ასწია, სანამ სალაშზე გაეპასუხებოდა, გაკვირვებით დააქეკრდა ჯერ თამაზს, მერე სმირნოვს, მერე ისევ თამაზს და თითქოს რაღაცას იხსენებს და ვერ გაუხსენებიაო, უანგარიშოდ წაილაპარაკა:

— მპატოეთ... თქვენ საიდან იცით ჩემი გვარი? — მაგრამ, როგორც კი თამაზის მომლიძარე თვალებს წააწყდა, უმაღლე გამოასწორა: — მოიცათ... თქვენ თამაზი არა ხართ? ერთად არ ვიმგზავრეთ მხატვრებელში?

— აი, მესმის მეხსიერება? — გაოცდა სმირნოვი.

— დიახ, ისა ვარ, — გაუღიმა დამხვდურს თამაზმა.

— გატყობთ, ჩვენთანა ხართ გამოგზავნილი!... — ხელ-ფეხი გაიხსნა ტკაჩენკომ.

— აბა რა გეგონა! მოხუცმა სმირნოვმა მთა-ბარი ქალამნად გაიხადოს, ქვეყანა შეაჯეროს, ინდუსტრიის ციხე-დარბაზები აშენოს, მერე კი საცეკვაოდ მოგიწვიოთ შიგ? არა, მოვხუცდი, დღე-ღამეა ძლივს-ლა მიმაგრებს, მაგრამ გამზადებულზე ცეკვას მეც მოვახერხებ.

— ჰოპოპო, რა ბერიაცი ამბობს ამას! — ღიმილი აუთამაშდა სახეზე ტაჩენკოს, — რა დროს წუწუნია!

— ღიმიტრი სიდორის-ძე, ჩაიბარეთ მარტენის საადმშენებლო უბნის უფროსი და პატივი ეცით.

— მომილოცავს! — მიამაბა ტაჩენკომ თამაზს.

სმირნოვმა ქუდი მოიხადა, მაგიდასთან სკამი დადგა და ზედ მძიმედ დავუშვა.

თამაზი და ტაჩენკოც მაგიდას მოესხდნენ.

— აი, საიდან მოდის და საით უნდა წარიმართოს მარტენის მშენებლობა, — დაიწყო სმირნოვმა, ფანქარი მოიმარჯვა, მაგიდაზე გაშლილ ნახაზს თვალი მიაპყრო.

II

სამუშაოდან წამოსული თამაზი შინ ეიწრო ბილიკით მიდიოდა.

ჩამავალ მხეს წითლად შეეღება თბილისის მახლობელი მთა-გორაკები და თითქოს შეედღებინა მტკვრის მთელი ხეობა.

თამაზი ამ წითელ ევრანს აცქერდებოდა და მასში, ვინ იცის, რანაირ სურათებს არ ხედავდა. ამ სურათებში ბევრი იყო ძველი, ბევრიც ახალი, მაგრამ მას ახალი უფრო აღელვებდა, რადგან თვითონ ამ ახლის შვილი იყო და მისი ნაწილი. ზოგჯერ მოახლოებული სატვირთო მანქანების გუგუნით თუ მიმოქცევდა მის ყურადღებას და ახლად გაყვანილ თბილღებზე ხტომით განაგრძობდა გზას. მშენებლობის მოედნისაკენ მიმავალი მატარებლის გუგუნიც გაისმა. ორთქლმავალი ხენვეით და

ოხვრა-გოდებით მიდიოდა, თითქოს დიდი სადარდელი გასჩენიაო.

თამაზმა ახლად გაშენებულ უკვს-მი-აღწია ქარხნის მშენებლობის დასრულებას და მტკვრის საზღვართან. მტკვრის მიყრდნობით მცენარეები შებუდრული ასულებივით გამოიყურებოდნენ. თამაზი აუჩქარებლად მიჰყვამტკვრის გზას, იცოდა, იქ მტკვრის ვერსად გაეცეკვოდა. მტკვარი ყველგან იყო: გზებზე, მშენებლობის მოედნებზე, ახალ ბაღებსა და ხეივნებში...

მიდიოდა და მტკვრის ღრუბლით დაბურული გზებიც ფრონტს აგონებდა. საცალფეხო ბილიკმა ბაღში შეიყვანა. მიწის სუნით გაელენთილი ჰაერი ჩაისუნთქა და მიიხედ-მოიხედა.

მეზაღე გულმოღვინედ რწყავდა ახლად გახარებულ ნარგავებს. ისმობდა წყლის ნელი თქრიალი. რაღაც საიმედო და სასიხარულო იყო ამ ხმაში, ქვეყნად სიცოცხლის მომტანი წყლის თქრიალში...

ბაღიდან გამოვიდა, მაგრამ იქ გამეფებული სიმშვიდე თითქოს თან გაჰყვამა. ახლა მისთვის უკვე ნაცნობ სახლში თავისი ოთახის ფანჯარა შენიშნა. აივანზე არავინ ჩანდა. კუთხის პატარა ოთახიდან ქალის გულში ჩამწვდომი ხმა გამოდიოდა. „მარფა თუ მღერის“ — გაიფიქრა თამაზმა. წამით უფრო მთუგლო რუსულ ხალხურ სიმღერას და გაინება.

Что стоянь качался тонкая рябина,
Головой склонившись до самого тмыл.
А через дорогу, за рекой широкой,
Также одинокий дуб стоит высокий.

განაგრძობდა ყმაწვილი ქალის წყრიალა ხმა.

ერთი წუთით და იმ პატარა ოთახის კარი გაიღო. მარფა ღიმილით გამოვიდა აივანზე. როცა თამაზი შენიშნა, უეცრად შედგა, გაიტრუნა, როგორც მგალობელი ჩიტი, ადამიანის გამოჩენისას.

— რად დაიგვიანეთ ასე? — გადმოსმაბა მან ზემოდან თამაზს, რათა უხერხულობა დაეძლია და რაღაც ეკითხა.

— ადრე უნდა მოვსულიყავი?

— რა თქმა უნდა, — გათამამდა გოგონა.

— რომ აღარ იმღერებდით?

— რატომაც არა...

— აბა ახლა რად გაჩუმდით?

— ახლა? განა იმიტომ გავჩუმდი, რომ თქვენ დაგინახეთ...

— ასეა საქმე?

— გავიღოთ კარი?

— არა, მე თვითონ გავაღებ.

თამაზმა კიბე აიარა, აივნაზე ავიდა. მართა იქ აღარ დაუხვდა. თავის ოთახში შევიარდნილიყო. მალე გამოვიდა, გასაღები გამოიტანა და ოთახის კარი გაუღო თამაზს.

— ამ კარს ორი გასაღები აქვს. — ეტიკეტიკებოდა ვაქს თანაც. — მეორე თქვენ წაიღეთ.

— კარგი, დამიტოვეთ, — უპასუხა თამაზმა.

ოთახში არაჩვეულებრივი წესრიგი სუფევდა.

მართას თეთრი ვარდის კონაც კი მოეტანა, წყლით სავსე ჭიქაში ჩადო. ეს ჭიქა მაგიდაზე იდგა, შუა ოთახში. ახლად მოსხურებული წყლის წვეთები ცრემლებივით ჩამოსდიოდა ვარდის კონას.

თამაზმა ხარბად დაყნოსა ვარდი, ფანჯარა გააღო, ტახტზე დაეშვა და პირაღმა წამოწვა. ახლაც მართას სიმღერა შემოესმა; ყური დაუგდო. მართას სიმღერამ შორს წაიყვანა თამაზი... ძილი მოერია. ის იყო თვალა მიღუღა, რომ კართან მოსული სმირნოვის ხმა შემოესმა.

— მასპინძელო, ჰა, მასპინძელო!

— მობრძანდით! — მიამახა თამაზმა და წამოდგა.

— საჭიროა ძალა მოიკრიბოთ, ამალამ ცხრა საათისათვის მშენებლობის უფროსთან ვიქნებით და დღევანდელი მუშაობის ანგარიშს მოგვთხოვს. ყოველ დღის ბოლოს ვარკვევთ რა გვაქვს, რა გვაკლია, რა გავაკეთოთ ან რა უნდა გაკეთდეს ზეალ. ასეთია ჩვენი ცხოვრება, — ქადაგად დაეარდა სმირნოვი.

თამაზს გაეღიმა.

ჩანდა, სერგო არ ნანობდა, დასვენების დრო რომ არა ჰქონდეს, მაგრამ ზე ჩამოგდარიყო, ლილმსევე მტრისაა. გის ღილი გაეხსნა და მაგიდაზე ხელის წელი თათუნით ლაპარაკობდა.

„მე კი ერთი წაძინება მერჩია ყველაფერს. ჯერ რა გვაკეთე, რომ ანგარიში წარვადგინო!“ — გაიფიქრა თამაზმა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

ოთახში საშუალოზე დაბალი, ჩასკენილი, მელიოტი კაცი შემოვიდა.

— იი ბობროვიც, ყველა აქა ვართ. ყველა ძველი მეგობრები ვართ! — დაიძახა სმირნოვმა.

ბობროვმა თამაზი შეათვალიერა და მეგობრული ღიმილით უთხრა:

— აი, ხომ ვამბობდით, მალე მორჩებით, კიდევ უფრო სწორად გაივლით. ვიდრე გივლიათ-მეთქი. ბარჯალა, ასედაც უნდა!

სერგო კართან მივიდა.

— მე წავედი! — თქვა და კარი გაიხურა.

— აგრეა, მუდამ ვარბის, ხან აქ, ხან იქ ამოყოფს თავს... თქვენ ალბათ გახსოვთ, მატარებელში ვეფხვი რომ უწოდეთ. დიახ, ვეფხვი, ბებერი, მაგრამ ღონიერი ვეფხვია! — წარმოთქვა შარვლის ჯიბეებში ხელუხაწობილმა ბობროვმა და იმ მხარეს გაიხედა, სადაც ერთი წუთის წინ სმირნოვი იდგა. მერე დაჯდა, მაგრამ ხელები შაინც არ ამოუღია შარვლის ჯიბეებიდან. ამით ეტყობოდა, რომ არც ის დარჩებოდა დიდხანს.

— ალბათ თქვენც ამ სახლში ცხოვრობთ, — უთხრა თამაზმა.

— ასე გამოდის, — აჩქარდა ბობროვი, — რაზე შემოვიარე, იცით? იქნებ რამე დახმარება გჭირდებოთ, კვების საკითხი ხომ მოაგვარეთ?

— ყველაფერი იქვეა, სადაც ვმუშაობთ, — უპასუხა თამაზმა.

— აქაც არ დარჩებით უპუროდ. მარტა გაიცანით? როცა რაიმე დაგჭირდებათ, ერთი გასძახეთ და ჩიტის რქეს გავიჩენთ. მართას ბებიაც ჰყავს აქ. კარგი ხალხია. რას იზამ, ჯერჯერობით

ობლებივით ვართ. აგერ, ხომ ხედავთ, ელნათურა როგორ მომაკვდავსავით ხუჭავს თვალს და ისევ ახელს. სისუსტის ნიშანია, ძალა არ ჰყოფნის, მაგრამ მალე თბოელექტროცენტრალი გვექნება.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ბნელოდა. ღამის უკუნეთს გაეუჩინარებინა მშობლიური ველები, მთები, მხოლოდ ვარსკვლავების ღიმილი ავსებდა სამყაროს...

მტკვრის მხრიდან წამოსულმა ნიავმა თამაზს სახე გაუგრილა და შვება იგრძნო. შენელებულიყო ხმაური, მაგრამ ახლა საკუთარი გულის დაგადუტვს უსმენდა.

შორს, დასავლეთისაკენ, ფანჯარაში ერთი სუსტი შუქი მოჩანდა. შუქი მოძრაობდა, ქრებოდა, ისევ ჩნდებოდა, თითქოს აქეთიენ მოიწვევდა, ახლოვდებოდა.

— გაიცანით ქალაქმშენის უფროსი, შაქრო ოქროპირის-მე შვინდიაშვილი, — მოესმა უცებ ბობროვის ხმა და განათებულ ფანჯარას თვალი მოწყვიტა.

ერთხანს ხმის ამოუღებელივ იარეს, თითქოს ერთმანეთს გასჯიბრებიან დუმლში.

— მითხრეს, ფრონტები შემოგველიათ და დაქრილიც ყოფილხართ, — შაქრო შვინდიაშვილმა დაარღვია ბოლოს სიჩუმე.

— ახლა ჯანსაღი ვარ, — მიუგო მას თამაზმა და იგრძნო, რომ ამჟამად არ სიამოვნებდა ამ საგანზე საუბარი.

— კარგია, სიმხნევე აქაც გვეკირდება, — ვერ შენიშნა უგუნებობა შაქრომ. სამმართველოს შენობაში ყველა ფანჯარა თვალგახელილი მოჩანდა. ამ ფანჯრიდან გამოსული შუქი შორს გაჭრისიყო უნაპირო ველზე.

კარი რომ შეაღეს, დერეფანში ჩოჩქოლი იდგა. აუარებელ ხალხს მოეყარა აქ თავი.

როცა თამაზი მშენებლობის უფროსის კაბინეტში შევიდა, თოვლივით თმაგათეირებული, მაღალი, გამხდარი კაცი წამოდგა.

სმირნოვმა თამაზს გააცნო იგი.

— მშენებლობის უფროსის მთავარად, ილარიონ ივანეს-მე მამუკლიანს ბარველიძის დიდრონი, ოდნავ ზევით ამოწეული შავი თვალები და ასევე შავი წარბ-წამწამი ქალაღდზე ნახშირით დახატულივით მოჩანდა. თამაზს უხმოდ აცქერდებოდა და ერთი სიტყვაც კი ვერ ემოვა, რომ ახლად მოსული ინჟინრისათვის რაიმე ეთქვა.

უხერხული დემილი რომ დაერღვია, ბარველიძე ისევ თავის ადგილას დაჯდა, სათვალე მოიმარჯვა, ფანჯარი აიღო, მაგიდაზე გაშლილ ქალაღდს დააჩერდა და კითხვა დაიწყო. თუმცა არავინ იცოდა, რას კითხულობდა, მაგრამ ქალაღდს ისე დაბეკითებით დასჩერებოდა, თანაც თხელსა და მოკუმულ ტუჩებს ისე შეწყობილად აცმატუნებდა, რომ კაცი იფიქრებდა: თუ ამ ქალაღდის წაკითხვა არ მოათავა, ყველა აქ შეკრებილთ საქმე ცუდად წაუვაო.

მშენებლობის უფროსმა შეკრებილთ გადახედა და მოადგილეს მიუბრუნდა:

— ინჟინერი ფელდმანი სად არის?

— ფელდმანმა ერთი საათის წინ დამირცა და გამაფრთხილა, შეუძლოდ ვარ და იქნებ ვერ მოვიდეო, — უპასუხა ილარიონმა.

— ახლა სწორედ ინჟინერი ფელდმანი გვეკირდებოდა ყველაზე მეტად და ავად გახდა... იცი რა, იქნებ შეძლოს და გამოცხადდეს. მანქანა გავუგზავნათ.

ბარველიძემ თავისი გრძელი ხელი გაიწვდინა წინ, როგორც იყო, მიაგნო მაგიდაზე მიმაგრებულ ელექტროლილს, ხითი დააქირა. კარი გაიღო. ირინე გამოჩნდა.

— ჩემს შოფერს უთხარით, ამ წუთში წავიდეს და ინჟინერი ფელდმანი მოიყვანოს აქ. მოიცათ! თუ დიდი სიცხე აქვს, ნუ წამოიყვანს. — შეასწორა თავისი ბრძანება ბარველიძემ.

უფროსმა რაღაც უკმაყოფილოდ გადახედა თავის მოადგილეს, თუმცა არაფერი თქვა.

ერთი წუთიც და ირინემ ისევ შემოაღო კარი:

— შოფერი არ ჩანს, როგორ მოვიქცე?

— მომთმინეთ! — წამოიძახა მშენებლობის უფროსმა, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ილარიონ ბარველიძემ წარბები შეაჩხია, შუბლზე აიტანა, თავიც აქეთ-იქით გადააქნია და კარს გახედა.

გურამი დაბრუნდა. ისევ დაიკავა თავისი ადგილი მაგიდასთან.

ამხანაგი სმირნოვი აქ არის? — იკითხა შემდეგ.

— აქ გახლავართ, — წამოდგა სმირნოვი.

— დროა შევედგეთ. დაიწყეთ, ამხანაგო სმირნოვ!

სმირნოვი რატომღაც შეუყოყმანდა, ჯერ უფროსის მოადგილეს გადახედა, მერე გურამს მიაპყრო თვალები.

— პირველად ილარიონ სტეფანესძეს უნდა მოეხსენებინა საქმის დღევანდელი მდგომარეობა.

— თქვენი ინფორმაცია საკმარისი იქნება, გთხოვთ! — მოუჭრა გურამმა და ვინც მისი ხასიათი ეცოდა, ყველა მიხვდა, ამ საგანზე კამათის გაგრძელება ზედმეტი იყო.

ეს იგრძნო სმირნოვმაც და ჩვეულებრივზე უფრო მძიმედ წამოდგა.

ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ შუახნის, წვერმოშვებულმა, შუბლზე ქულჩამოწეულმა კაცმა კარი გააღო და შემოვიდა.

— აი, ფელდმანიც! — წამოიძახა ვილკამ.

ფელდმანმა რაღაც დარცხვენით მოავლო თვალი იქ მყოფთ, მერე მაგიდასთან მივიდა და თავისი ადგილი დაიკავა.

— თუ ძალიან ცუდად ხართ... — მობოღიშებით გადმოხედა მას მშენებლობის უფროსმა.

— არა, არა, ახლა არა მიშავს, — თავი გამოიღო ფელდმანმა.

— ძალიან კარგი, მეტად საჭირო იყავით, თორემ არ შეგაწუხებდით!

ფელდმანს რაღაც უსიამოვნოდ მოხ-

ვდა გულზე მშენებლობის უფროსის სიტყვები: „მეტად საჭირო იყავითო“.

მთავარმა ინჟინერმა სიტყვა „განაგრძობ“.

ბარველიძე მას გაორებული გრძნობით მისჩერებოდა: ერთი მხრივ, ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა სმირნოვის ნათქვამიდან, მეორე მხრივ, საკუთარ გულისხმას უსმენდა. არ ასვენებდა აზრი, მის სასარგებლოდ გათავლებოდა ყველაფერი თუ საზიანოდ?

ფიქრმა შორს წაიყვანა. მოაგონდა თავისი სოფელი, გორაკზე წამოდგმული მოზრდილი საბლი, მშობლები და ის გარემოცვა, რომელშიაც ცხოვრობდა. პატარაობიდანვე გაანებიერეს იგი მშობლებმა. ოთხი ქალიშვილის შემდეგ ერთადერთი ვაჟი რომ ეყოლა, თავის თავზე ბედნიერი კაცი აღარ ეგონათ ქვეყანაზე, ჩიტის რქესაც კი არ აკლებდნენ ნაჯიანევ პირშოს. პატარაობიდანვე ყველაზე უფროსი და მბრძანებელი იყო ილარიონი თავის ოჯახში.

მშობლები, დები, პაპა და ბებიაც კი უყოყმანოდ ასრულებდნენ ბავშვის ყოველ მოთხოვნას. ეს ჩვეულება კიდევ დიდხანს არ მოუშლიათ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ეს განებიერებული ყმაწვილი სხვებისგანაც გაღმერთებას და ხელისგულზე წითელი კვერცხის გორებას მოითხოვდა. მეზობლის ბავშვებმა არა ერთი უსიამოვნება მიაყენეს მას ამისთვის, ზოგჯერ სისხლსაც კი აღენდნენ ცხვირიდან. ალბათ ამიტომ, აი, ახლაც, ბარველიძემ უეცრად ცხვირზე მოისვა ხელი, რადგან იქ იმ შეტაკებათა კვალი ეგულებოდა.

გულდილობა, უკადრისობა და ამპარტავნობა ბარველიძემ შემდეგშიც ვერ მოიშორა, აი, მოხუცდა, თოვლის ფიქვებმა საშუალოდ დაფარა იგი, მაგრამ ბავშვობაში შექმნილი „განა“ ისევ თან ახლავს. თითქოს მან შეიგნო თავისი ხასიათის უხამსობა და ცდილობს შეიცვალოს, მაგრამ ჩვეულების ძალა ყოველთვის ამარცხებდა შეგნების ძალას და ეს შეგნება მაშინ ცხადდებოდა,



როცა ჩვეულებას უკვე გაეკეთებინათ თავისი საქმე.

მთავარმა ინჟინერმა რიგ-რიგობით ჩამოთვალა მშენებლობის ყველა უბანი, შეაფასა მათი დღევანდელი მდგომარეობა და ბოლოს მთელი ცეცხლი შემჩნეულ ჩავარდნებზე გადაიტანა. ის ლაპარაკობდა რიხიანად, თავაწეული, მკერდგაღებლი, მისთვის ჩვეული პირდაპირობით. სრულიად არ უწევდა ანგარიშს იმას, მოეწონებოდა ეს ვისმე თუ არა. ვისაც ცუდი მუშაობისათვის აკრიტიკებდა, მას პირდაპირ სახეში მოაჩერებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, კაცი იფიქრებდა, კი არ აკრიტიკებს, აქებსო. მიუღლოლობა, სიმართლე, გულწრფელობა ისმოდა მის ხმაში. ბევრი რწმუნდებოდა, რომ მთავარი ინჟინერი მართალი იყო. გული კი არ მოსდიოდათ მისი დაურიდებელი ლაპარაკის გამო, პირიქით, უმადლოდნენ კიდევ და თვით ამოთრახებდნენ საკუთარ თავს.

მაინც იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ვერ აეტანათ პირში თქმული სიმართლე.

ამათ რიცხვს ეკუთვნოდა თვით ბარველიძეც.

ამ მხრივ მას მაგიდის თავში დახვებულნი ხელაძეც გავდა.

როცა მთავარი ინჟინერი მის მუშაობას შეეხო, ხელაძემ გრძელი მაგიდა ისეთი ძალით მიმოარხია, კაცი იფიქრებდა, ნაეში ზის და რადგან ღელვა დაიწყო, ეშინია, არ გადაეარდესო.

— ფრთხილად, მაგიდა არ გადაგიბრუნო! — შენიშნა მშენებლობის უფროსმა.

ხელაძე გონს მოვიდა, უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— არაა მართალი, მეც მოგახსენებთ!

— მოგახსენეთ, მხოლოდ ახლა ცოტა გვადროვეთ! — შეაკრულ უთხრა გუროსმა.

— თქვენ, კონსტანტინე კარპეს-ძე, მეტი სიფხიზლე უნდა გამოგჩინათ. ვინ იცის, რკინიგზის რომელი სადგურის ჩიხში არაა განხერხილი მასალით

დატვირთული ვაგონები. თქვენ ყურადღებას არ აქცევთ ამას, მშენებლები კი მასალას ეძებენ, — დაასრულა სმირნოვმა და მეტე მთელი ტანით ინჟინერ ფელდმანისაკენ მიბრუნდა.

ეს თავაუწევლად იგრძნო ფელდმანმა და ძლიერ მოასწრო თვალი მოერიდებინა მომხსენებლისათვის. ის ახლა ჰგავდა იმ ბედაურს, რომელიც მთარახის დარტყმას მოელის და ცდილობს მხად იყოს, რომ დარტყმა, რამდენადაც ეს შესაძლოა, უმტკივნეულოდ გადაიტანოს. სმირნოვი რომ საპროექტო კონტორის მუშაობას აკრიტიკებდა, ფელდმანი მელოტ თავზე ისევამა ხელს, აქაიქ შერჩენილ ქაღარას თითქოს უდარდელად ისწორებდა. ამით მას უნდოდა აქ დამსწრეთათვის ეგრძნობინებინა, რომ საქმე არც ისეა, როგორც ამას სმირნოვი გიხატავთო.

— ისააკ აბრამის-ძემ ვერ მოახერხა თანაბარი წარმატებით საქმის გაძლოა. ის ხშირად მოწინავეთა რიგებში გამოდის, მაგრამ უეცრად ეშვება. ასეთი ქანაობა ზევით და ქვევით მშენებლობისათვის ისე საშიშია, როგორც გემისათვის ძლიერი ღელვა. დღეს საპროექტო კონტორის მუშაობა იმ აფადმყოფს მოგვაგონებს, ათასნაირ წამალს რომ ასმევენ, მაგრამ ფეხზე მაინც ვერ წამოუყენებიათ, — დაასკვნა სმირნოვმა. მერე გრძელი მაგიდის მეორე მხარეს უხმოდ მჯდარ ინჟინერ ბარდაველიძეს გახვდა.

ფელდმანი მიხვდა, ჩემზე ლაპარაკი მოათავაო და გაიფიქრა, ჯერჯერობით კარგად გადაერჩიო. მერე იმასაც მიხვდა, რომ სმირნოვი ბარველიძის შესახებაც იტყუოდა რამეს და გული მოეცა.

ცხადია, სმირნოვი არც ბარველიძეს მოერიდა.

ბარველიძე გაბუტულივით მისჩერებოდა. სმირნოვს: „ახლა ისღა მაკლია, შენ მაკრიტიკო... მოკედი, ბარველიძე“ — ამბობდნენ მისი დაღვრემილი, ოღნავ მოქუტულები თვალები.

— ილარიონ სტეფანეს-ძის მიერ შემუშავებული წესი ჩკაროსნული მეთოდ-

დით მშენებლობისა ახალი როდია! ის ძველისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება და ზოგი უფრო ცუდი მხარეც აქვს. ნამდვილი ჩქაროსნული მეთოდის შემუშავება და მისი ლომიციხის მშენებლობაში დანერგვა ჯერჯერობით პრობლემად რჩება. ამ მხრივ ინიცირებულ შინადაშვილს ჰქონდა თითქოს უფრო საიმედო ცდები, მაგრამ ბოლოს სასურველი შედეგი ვერც ამან მოგვცა. ეს ცდები მაინც იმას ადასტურებენ, რომ შესაძლებელია ამ მხრივ რაიმე უკეთესი გაკეთდეს.

„მაშ, შინადაშვილს დახმარება სჭირდება“, — გაიფიქრა თამაზმა, რომელიც სმირნოვს დაძაბული ყურადღებით უსმენდა:

სმირნოვმა შუბლზე ნამივით დაყრილი ოფლი მოიწმინდა. ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და სავარძელში ჩაეშვა.

მშენებლობის უფროსმა სმირნოვს გადახედა და თითქოს თვალებით უთხრა:

„ახლა ხომ გასაგებია, პირველი სიტყვა რატომ მოგეცით?“

— შეკითხვები ხომ არა გაქვთ? — იკითხა გურამმა.

ხმა არავის ამოუღია. დაიწყო კამათი.

როცა ჯერი ინიცირებულ ხელამეზ მდგა, ეს ვეებერთელა ვეკაცი ზვინივით აღიმართა მაგიდის თავში, ხელეები გადაშალა და გაკვირვებით წარმოთქვა:

— ასეთი ამბავი გაგიგონიათ? განატრანსპორტის უხეირო მუშაობაზედაც ხელამეზ უნდა აგოს პასუხი? განა მე შეგიძლო მცოდნოდა, მასალებით დატვირთული ვაგონები რომელ ჩიხში დგანან?

— მაშ, თქვენ რა უნდა იცოდეთ, ამხანაგო ხელამე? რატომ არ დაინტერესდით? მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება, — ჩაუბრალო გურამმა.

ხელამის ჩამოშვებულ ლოყებს სიწითლე შეეპარა.

— შეგვეძლო, მაგრამ რკინიგზის სადგურში დარაჯებად ვერ დავდგებო-

დით. — უკმაყოფილოდ განაგრძობდა მან, — უნდა გვაცნობონ.

— გამოდის, რომ თუ ^{განაგრძობდა} ~~შეგიძლიათ~~ ^{შეგიძლიათ} წლობით კაბინეტში იჯდეთ და გარეთ ერთხელაც არ გამოიხედოთ, თუ ამის მეტი სათქმელი არაფერი გაქვთ, სჯობს დაბრძანდეთ და სხვებს მოუსმინოთ, — კვლავ ჩაერია გურამი.

ხელამემ ისევ ფართოდ გაშალა ხელეები და, თითქოს დიდად გაკვირვებულმა, თავი აქეთ-იქით გადააქინა.

— კეთილი, კეთილი, თქვენი ნებაა. მივირის, მაგრამ რა გაეწყობა! — ჩაილაპარაკა და მუხლმოკვეთილივით სავარძელში ჩაეშვა.

მშენებლობის უფროსმა ახლა თამაზს გადახედა:

— თქვენ დღეს შეუდექით საქმეს და ალბათ სათქმელი არაფერი გაქვთ.

— იქნებ თავის პირველ შთაბეჭდილებაზე გვითხრას რაიმე, — ჩაუბრალო სმირნოვმა.

თამაზი წამოდგა. იგი თათბირის მონაწილეთაგან ნახევარსაც კი არ იცნობდა და არ იცოდა, ვინ როგორ შეაფასებდა მის პირველ გამოცდას, მით უფრო, მშენებლობის მდგომარეობაზე ბევრი არაფერი ჰქონდა სათქმელი. ამიტომ სიწითლემ ტალღასავით გადაუარა სახეზე.

— მარტენის მშენებლობის საქმეში დიმიტრი სილორის-ძე ტკაჩენკო გამოცდილი ინიცირებია. სხვაც ბევრია იქ საქმის მცოდნე... ასეთ ადამიანებთან მუშაობა არ გამოძინელება, — დაიწყო თამაზმა. მან თათბირს უთხრა, რა ლონისძიებების გატარება იქნებოდა საჭირო მარტენის მშენებლობის პროცესში — ბოლოს, რაც შეეხება ჩქაროსნულ მეთოდს, ამაზე მეც მიფიქრია და საჭიროა, შეჭრო შინადაშვილის გეგმას გავეცნო, რათა საფუძვლიანად მოგახსენონ ჩემი აზრი, თუკი ეს საჭირო იქნება.

„ოჰო, ესეც ახალი ამბავი, ისეე ჩქაროსნული მეთოდი და ახალი კონკურენტი თავს ნუ შეიწუხებთ, ყმაწვილო! იქნებ აქ მეოცნებეთა კლუბი გვო-

ნიათ!“ — გაიფიქრა ბარველიძემ და თითები მოუთმენლად აათამაშა მაგიდაზე. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ყოველივე ეს ფუჭი ოცნება იყო და უკვირდა, რატომ სხვებიც ასევე თვალნათლივ არ გრძნობდნენ ამას.

ფელდმანი წამოდგა. მაგიდაზე გაშლილ ქაღალდს დააჩერდა, თავზე მოისვა ხელი, მერე ჩვეულებრივზე დაბალი, წვრილი ხმით დაიწყო. იგი შეეცადა ჩამორჩენის მიზეზი სხვებისათვის დაებრალებინა, უფრო კი ტექნიკური მომარაგების ხელმძღვანელობისათვის. ამიტომ ხელაძემ თვალები წამოკარკლა და მაგიდა ისე ძალუმად მიმოარხია, რომ ფელდმანი შებოროტდებოდა და გაკვირვებული თვალები მოაქლო იჭმყოფთ. მერე ხელაძეს გადახედდა და შემბარავად განაგრძო:

— არა, არა! მე ისეთი არაფერი მითქვამს, რასაკვირველია, ისეთი არაფერი მითქვამს და პატივცემული კონსტანტინე კარპეს-ძე არ უნდა ღელავდეს! მე ფაქტს აღვნიშნავ და ჩემი საქმე არაა, პასუხს ვინ აგებს!

— ისაა აბრამის-ძე, რა გემართებათ? როცა თქვენს წარმატებებზე მოგვიტხრობდით, რიხიანად ლაპარაკობდით, თქვენი ხმა ზარივით რეკდა, ახლა კი ხმა ისე დაგიწვრილდათ, აღარც კი გვესმის. — წამოდგა გურამი.

— შეიძლება... შეიძლება, ამხანაგო გურამ, მაგრამ რიხით სათქმელი დღეს არაფერი მაქვს! — გაბედა და როგორც იყო გულწრფელად აღიარა ფელდმანმა.

— აი, ხომ ხედავთ, როგორ მოკლედ შეიძლებოდა გეთქვათ სიშარტლე, — უკვე მოწონებით უთხრა გურამმა, მივიდა და მხარზე ხელი შემოაჭრა.

სულ ბოლოს ბარველიძემ ილაპარაკა. ყოველ სიტყვას ჭიმივდა, აგრძელებდა და საჩვენებელ თითს ისე ატრიალებდა, თითქოს გაგრძელებული სიტყვების ზონარს ამ ოთხზე ახვევსო. მან თავად იცოდა, რომ ახლა თავის მართლების დრო აღარ იყო: ამას მშენებლობის უფროსის მოადგილეს არც აბატიებდნენ.

ამიტომ ჯერ მშენებლობის ცალკეულ უბნებზე ილაპარაკა. აქაქიქი უბნებზე ძლიერ ფრთხილად და მოსწრებულად, მთავარ ინჟინერს, სმირნოვსაც კი გადაკრავდა ხოლმე სიტყვას, თუმცა აშკარად თქმას ერიდებოდა. იგი ცდილობდა, ერთი და იგივე საკითხი სხვანაირად გაეშუქებინა, სხვანაირად აესხნა წარმატებისა თუ ჩამორჩენის მიზეზი. ისე გამოდიოდა, რომ ხელაძისა და ფელდმანის მუშაობა მან უფრო მკაცრად გააფრთხილა, მაგრამ ბოლოს თითქოს ნეტესუბუქა მდგომარეობა. ხელაძისა და ფელდმანის წარუმატებლობის გამო ჩვენ ვაგებთ პასუხს, ალბათ, ჩვენი დახმარება არ იყო საკმარისი.

— მთავარმა ინჟინერმა აქ ჩქაროსნულ მეთოდზედაც ილაპარაკა. ჩემი აზრით, ამ საკითხს უფრო ფრთხილად შესწავლა სჭირდება და ესე ხელაძებით იმის თქმა, თუ ვისი რა სჯობს, მეტად ძნელია, — როგორც იყო გაბედა ბარველიძემ და ბოლოს მისთვის მეტად მტკივნეული საკითხი ისე შემოაპარა, თითქოს თავს არც კი იცავსო. საქაღალდე ფრთხილად დაეკეცა (თუმცა შეეძლო თავიდანვე არ გაეშალა, რადგან ამ საქაღალდე თონავადაც არ უსარგებლობია), გამარჯვებული კაცის იერით თავზე ხელი გადაისვა და სავარძელში უფრო შიშველ ჩაეშვა, ვიდრე წამოდგა.

შუა ღამე კარგა ხნის გადასული იყო.

თათბირი გრძელდებოდა.

ეთერი და ირინე ტელეფონზე საუბრით ართობდნენ ერთმანეთს.

— ირინე, ძილი თუ მოგერიოს სახეზე ცივი წყალი შეისხი და გამოფხიზლდები. — ქირჩილებდა ეთერი ტელეფონში.

— ძილმა დიდი ხანია შემომიტია, მაგრამ ჩვენთან, თათბირზე ისეთი ხმაურია, ეშმაკსაც კი გააღვიძებს.

— ჩვენთან დღეს სიწყნარეა, ცივი წყალი ხშირ-ხშირად მჭირდება. შენც ხომ ჩემი ცივი წყალი ხარ; ძილი რომ შემომიტეხს, მაშინ გირეკავ.

— რა სჯობს ცივ წყალს ამ სიცხეში!

— მანდ არ არის?

— არის, როგორ არა, მაგრამ ადგომა მესარება.

— არ გცხელა მერე?

— რა გაეწყობა, ვითმენ. იმისთანა მტვერია აქ, გაგივდები. რომ შემომხედოს ვინმემ, იფიქრებს, წისქვილში გაუთევია ლამეო.

— აქც მტვერია. ფანჯრები დახურული მაქვს, მაგრამ მაინც რომ არ შევლის?

— ეთერი, მოიცა, გენაცვალე, ცოტა კარს შევალე, თორემ ამოიხუთუნენ იმ ოთახში.

— აბა ნახვამდის, კიდევ დამირეკე.

— ნახვამდის!

ირინემ ოდნავ გამოალო კაბინეტის კარი. გურამის ხმა შემოესმა. ყური მიუგდო, შე ხომ არ მიძახისო. გურამი დაწყებულ სიტყვას განაგრძობდა. ახლა ფანჯარასთან მიიბრინა ირინემ, ისიც გამოალო. გრილი ჰაერი მოხვდა სახეზე, ესიამოვნა. მთელი მკერდით ამოისუნთქა. დღისით აქედან, მთას უტყუროდა და შორიდან თვალებით უალერსებდა, ახლა კი მთა არა ჩანდა: „მთებო, სიბნელე ჩამოგიხურავთ, მაგრამ ლომციხის შუქი თქვენთანაც ამოაღწევს“. — გაიფიქრა ირინემ.

გარეთ, ლომციხის გზებზე, შენელებულიყო ავტობუსის გუგუნე; კედლის საათის კაკენიც ახლა უფრო გარკვევით ისმოდა და თვით ირინეს გულიც თითქოს ამ საათით თვრდა.

თათბირზე სულ ბოლოს გამოსულმა გურამმა დაასრულა თავისი სიტყვა:

— საჭირო არაა თავის მართლებმა. სამწუხაროდ, ეს ჩემს მოადგილესაც კი შეეხება!

ბარველიძე შეიშმუნა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მეტად გააოცა გურამის შენიშვნამ და

საქალაქებზე შუათითი ნეტყველებდნენ აკაენა. ამით მან თითქოს ეხვედნენ ნობა: „აი, რაში ყოფილა საქმე. ყველაფერი გურამისგან მოდის, მაგრამ ვნახოთ. ილარიონს იარაღი არ დაუყრია“.

თათბირი დამთავრდა.

გურამის კაბინეტს ხმაურით ტოვებდნენ თათბირის მონაწილენი, ბარველიძე კი, საქალაქით ხელში, შორიდან უვლიდა მაგიდას, წრილებდა, ვერ გადაეწყვიტა, სჯობდა თუ არა ახლა გურამთან ბაასის ვაბმა, ამ ცხელ გულზე და ასე გვიან? კარგა ხნის შემდეგ ხელში სიპართლის მოწმობასავით დაქერილი საქალაქე ილიაში ამოიღო და გრძელი ნაბიჯით ოთახი დატოვა.

III

თათბირიდან გამოსული ბარველიძე შინ მარტო მიდიოდა. უკან არც კი იხედებოდა. საკუთარი ფეხის ხმას უსმენდა. ძახილი შემოესმა და მოიხედა.

— პატივცემულო ილარიონ, მანქანა დაგაეწყვიდათ, ფეხით რატომ მიდიხართ ამ უკუნ ლამეში? მოითმინეთ, ჩავსხდეთ, ერთად წავიდეთ! — ეს ინიცინერი ხელაძე იყო. მას ხელები გაეშალა და ბოსტანში დაკიდებული საფრთხობელასავით ბარველიძეს გაოცებული მისჩერებოდა.

ბარველიძემ არ უპასუხა, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

— პატივცემულო ილარიონ, ეს როგორ იქნება, საოცარია, მაგრამ რა გაეწყობა; მეც ფეხით წამოვალ! — ახლა უფრო გაკვირვებით გასძახა ხელაძემ და აღარ დააყოვნა, ბარველიძეს გვერდში ამოუდგა, — აა, როგორ მოგეწონათ ღღევანდელი თათბირი, ჩემო ილარიონ?.. ასე თუ გაგრძელდა, მანქანა კი არა, კაცს თავი დააეწყვიდება! — როცა ბარველიძეს გაუსწორდა, დაიწყო ხელაძემ. შორი-შორ გადგმულ ფეხებს თითქოს მიათრევდა, ხელებს იქნევდა, ქშენდა. — გურამმა ბოლოს შენც აღარ და-



გინდო... მე ხომ სიტყვა პირიდან გამო-
გლიჯა და თვითონ დაიწყო... მაგრამ
თქვენ როგორ გაკადრათ? განა მოადგი-
ლეს ასე უხეშად ამოთრახებენ და ისიც
საჯაროდ? საოცარია, თქვენთვის ნერ-
ვების ასაშლელად ახლა ვიღაც მეორე
ნომერი შეინდიაშვილი გამოუნახავს და
თუ პირველმა ვერაფერი დაგაკლოთ,
მეორით შეეცდება თქვენს გაბახებას...
ეს ვიღაც ახლადმოვლენილი ვაშაყმა-
ძეა, მეც ნახირ-ნახირაო; ეტყობა, ისიც
თქვენთან შებმას აპირებს და გურამიც
გულთოდ დახმარებას ჰპირდება.../ საო-
ცარია, მაგრამ რა გაეწყობა. ქოჩორი
კარგი აქვს, მაგრამ ის კი არ იცის, რომ
ათი თავით თქვენზე დაბლა დგას, — გა-
ნაგრძობდა ხელაძე.

ბარველიძე ხმას არ იღებდა. ხანდახან
გადახედავდა ხოლმე ხელაძეს, მერე ჩა-
მობზნელებულ ცას შეათვალიერებდა,
თითქოს იმიტომ, რომ გაეგო, ამინდი
ხომ არ იცვლებაო. ბინას რომ მიუა-
ხლოვდა, ერთი კი მოუხედა ხელაძეს,
„ნახეამდისო“, — მიაძახა და სწრაფად
გაშორდა.

გაოცებული ხელაძე შედგა, გაშეშდა.
— გრძელი კული გაქვს, ბარველიძე,
მაგრამ მოგქრინა! — ჩილაპარაკა თა-
ვისთვის ბოღმაზე მოსულმა, უკან მო-
იხედა, ავტო ხომ არ მომდევსო, მაგრამ
დაცარიელებულმა გზამ და სიჩუმემ შე-
აკრთო იგი: ადამიანის ხმაც არსაიდან
ისმოდა. ბრახიანად გააფურთხა და უკან
დაბრუნდა. რაღაც შეუგნებელი შიშის
გრძნობა ეკალივით ჩხვლუტდა. ქოშინით
მიბაჯბაჯებდა, თანაც ერთსა და იმავეს
იმეორებდა: „დაცარიელებულ გზაზე
თავცარიელი ხელაძე მიდის“. იცოდა,
წინ წამოწეულ მუცელს არავითარი სა-
ფრთხე არ მოელოდა, რადგან მას ხედავ-
და, ხოლო ზურგი ამინებდა, რადგან ვერ
ხედავდა. ფიქრობდა: ვინმემ ზურგიდან
არ მომიაროს და შავი დღე არ დამიყა-
როსო. ამიტომ არხევდა მხრებს, უსი-
მოვნოდ იმშუშნებოდა და, რაც ძალი
ჰქონდა, აღარ ზოგავდა, რომ იქაურო-
ბას ჩქარა ვასცლოდა...

5. „მნათობი“, № 6.

ბარველიძემ კიბის ოთხიოდე საფეხუ-
რი აიარა, აივანზე ავიდა. უეცრად შედ-
გა თავისი ოთახის განათებულ ფანჯარას
შეავლო თვალი. აივანზე გაიარ-გამოი-
რა. „ასეთ სიტყვეში რა დამაძინებსო!“ —
გაიფიქრა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო,
კარი გააღო და ხვატით დახუთულ ჰაერ-
ში შესვლისას გული შეუღონდა. ჰიჰა
აიღო, წყალი მოსვა, სკამზე დაეშვა. ასე
უძრავად იჯდა კარგა ხანს, მერე შუქი
ჩააქრო, ტანთ გაიხადა, თვალი დახუჭა,
თხელი, საზაფხულო საბანი ხელის ცნო-
ბით გადასწია და ლოგინში ჩაწვა.
თუმცა დამინების იმედი არა ჰქონდა, მა-
ინც გაიტრუნა.

ჩამიწუმიც არსაიდან ისმოდა. ობობას
ქსელში გაბმული მწერის სასოწარკვე-
თილი სტვენა-ზუილი შემოესმა და
თითქოს რაღაც შევებით გაიფიქრა:
„მართო არა ვარ“. თვალდახუჭული იწ-
ვა ლოგინში და აკვირებულ ფიქრებს
თავს ვერ აღწევდა. „მეტს გავაკეთებდი,
უფრო შორს შემეძლო წასვლა, მაგრამ
რაღაც მუდამ მიშლიდა. რა არის ეს? —
ეკითხებოდა გულის ერთი ხმა, — ქედ-
მალობა? მედიდურობა? ამპარტაენო-
ბა და გულზნვიადობა? არა! — ჯიუტობა-
და მეორე, — ეს ყოველივე ჩემი მტრე-
ბის მოგონილია... თუმცა რატომ უნდა
დავიმცირო თავი, ფეხქვეშ რატომ უნდა
გავეგო ჩემზე პატარებს, როგორ უნდა
დაეუთმო, როცა ავრე უხეშად წყალში
ყრიან ჩემს დამსახურებას იმ დროს, რო-
დესაც მისი ჯეროვანი შეფასების უნა-
რიც არ გააჩნით?“ — ცოტა ხნის შემ-
დეგ მეორე გვერდზე გადაბრუნდა, „მაგ-
რამ რატომ ვარ დარწმუნებული, რომ
მე არ ვცდები?“ — ჩააეინდა ისევ ში-
ნაგანი ხმა, — იქნებ ვაზვიადებ ჩემს
დამსახურებას და თავს ძალის ძალად
ვარწმუნებ, რომ სხვები ჩემზე პატარე-
ბი არიან? განა მართლა რაიმე სარგე-
ბელი მოიტანა ჩემმა გამოგონებამ?“
იგი შეეცადა მიუდგომელი მსაჯულის
თვალთ შეემოწმებინა თავისი თავი,

იქნებ მარცხის რაიმე მიზეზი ვიპოვნო, მაგრამ ძნელზე ძნელი იყო ეს. ყოველ მის საქციელს, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს პაერში იყო გამოკიდებული, ღრმად ჩაფიქრების შემდეგ თანდათან უჩნდებოდა გამამართლებელი მოქცევა. „არა, არა, შეუძლებელია! საკუთარ თავს ვერ გადავახტები“, — ასეთ დასკვნამდე მივიდა იგი და კეხიან ცხვირზე ხელი მოისვა, რომ ერთხელ კიდევ გაესინჯა ძველი ჭრილობა, სოფელში ბიჭებმა რომ მიაყენეს.

ფიქრში წასული ბარველიძე დიდხანს ბორჯავდა. აი, გამოერკვა, მიმოიხედა, თენდებოდა. ობობას ქსელში მოხვედრილი მწერის გულსაკლავი გოდებაც აღარ ისმოდა. ეტყობოდა, აჯონია დამთავრებულიყო არა მწერის, არამედ ობობას სასარგებლოდ და ახლა სრული მყუდროება სუფევდა ოთახში. ამ მყუდროებამ ბარველიძე შეაერთო, თვალი მაინც მოხუჭა, შესაძლოა იმიტომ, რომ თავისი სიმართლაც ვერ დაენახა.

*
*
*

დაძინება ვინ დააცალა თათბირიდან გვიან ღამით დაბრუნებულ თამაზს! ახალი მეზობლები გარს შემოეხევივნენ. ახლა ყველა შინ იყო. სხვა რაღა გზა ჰქონდა, სკამი გამოიტანა აივანზე და დაჯდა, რადგან დახუთულ ოთხკედელშია ყოფნას ისევე აქ ყოფნა სჯობდა. მეზობლები გვიან წავიდ-წამოვიდნენ და თამაზმა თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან, როგორც იქნა, განვლილ და ხვალისდელ დღეზე ფიქრის შესაძლებლობა ჰქონდა.

ცა თითქოს ძირს ჩამოწეულიყო, დაემძიმებინა ვარსკვლავთა კრებულს, დედამიწისათვის დაეახლოვებინა. ისე დაუსრულებლად ციმციმებდნენ ვარსკვლავები, როგორც დაუსრულებელი იყო თვით სამყარო... სიწყნარე იყო. იმ სახლის ყველა ოთახში ჩაქროთ შუქი. აივნის მეორე მხარეს, განათებული ოთახის წინ ვიღაც შენიშნა. კარგად

დააკვირდა. დედაბერი იყო. „ალბათ, ძილი გაუტყდა და ღამეს ებრძვის“, — გაიფიქრა თამაზმა, უფრო დააკვირდა, შენიშნა: დედაბერს მრგვალი მაგიდაზე დაყრდნობილი იდევებში, სთვალეები ცხვირზე წამოეცურებინა და რაღაცას ქსოვდა. როცა აივანზე გამოსული თამაზი შენიშნა, ხელსაქმეს თავი ანება და იმ პატარა ოთახისაკენ გაემართა, რომელშიაც იმ დღეს მარტა ისე ხშირად შედიოდა, გამოდიოდა, ფუსფუსებდა.

წუთიც — და ოთახიდან მარტა გამოვიდა თვლების ფშვნებით, დედაბერს რაღაც უჩუჩჩულა და მერე გულდასმით გამოეშურა თამაზისაკენ.

— ჩაის ხომ მიირთმევთ? — ჰკითხა მოახლოებისთანავე.

— არა, მარტა, ჩუ შეწუხდებით... — სკამიდან წამოიწია თამაზმა.

— მაინც უნდა მოგართვათ. მორიდება რა საქირაო, — გაჯიუტდა მართა, სირბილით გატრიალდა, პატარა ოთახის წინ დადგმული მრგვალი მაგიდა მოიტანა და ჩაი გააწყო.

— მიირთვით, ჩვენც აქვე ვიქნებით, არ მოგწყინდებთ, — ატიკტიკდა მარტა.

— რადგან არ იშლით, თქვენც უნდა მიირთვათ ჩაი, მარტო არ დავლევ, — თავპატივი გაიღო თამაზმა.

— ჩვენც? არა, მე უკვე დავლიე. აი, ბებიას ვთხოვ, და თუ დამეთანხმება... ბები, ბები!

თამაზი წამოდგა. აივანზე შეჩერებული მოხუცი ქალისკენ წავიდა, მოკრძალებით მიესალმა მარტას ბებიას.

— ნადევდა ივანეს ასული! — მოახსენა მოხუცმა, სკამი დაუდგა და სთხოვა, დაბრძანდითო. მერე მარტას მიუბრუნდა: — აქ რომ მოგვიბრუნინო ჩაი, უკეთესი არ იქნება?

მარტამ ხელახლა გაირბინა აივანი და სანამ მოხუცი და ახალი მდგმური ტკბილ საუბარში იყვნენ გართული, ტკბილი ჩაიც გააწყო. მერე ჩამოჯდა და ყური დაუგდო მათ ლაპარაკს. ძილი მოერია. ბებიამ მაშინვე შენიშნა ეს და

სიყვარულით შეავლო თვალი შეილი-
შვილს.

— მარტა, შეილო, დაიძინე. შენ
დაღლილი ხარ!

ეს რომ გაიგონა, მარტამ წამსვე გა-
ახილა თვალები.

— მართლა, ბებიო, მეძინება, — გა-
მოტყდა უნებლიეთ, თვალებზე ხელები
აიფარა და ბარბაც-ბარბაციტ მიაშურა
თავის ოთახს. ოთახში რომ შედიოდა,
მაშინდა გაახსენდა, რომ რაღაც ავიწყ-
დებოდა. — ნახვამდის! — დაიძახა და
მუხლმარჯვით შევიდა ოთახში.

იმ დამეს ბევრი რამ გაიგო თამაზმა
მარტასა და ბებიაშის შესახებ. კალი-
ნინის ოლქიდან ყოფილიყვენ. მტრის
შემოსვლას აეყარა იქიდან. მოხუცის
ვაიშვილი, მარტას მამა, ომში დაღუ-
პულიყო. მომღვენო ზამთარს მარტას
დედაც მოეკლათ. სანიტრად ყოფილიყო
საარტილერიო ნაწილში. ეს ამბავი მოს-
კოვის მისადგომებთან მომხდარიყო. ყვე-

ბოდა ამ შემზარავ ამბებს მოხუცს,
იჯდა უძრავად, სახეზე ნაკეთილარეობა
გონიერებისა

— ომის შემდეგ სოფელში ვეღარ
დავბრუნდი, — რა მინდოდა იქ, ვინლა
მყავდა ცოცხალი, — განაგრძობდა მო-
ხუცი, — ეს არის, მარტა შემრჩა.
ვზრდი. რა ექნა. ეგ არის ახლა ჩემი
თვალის სინათლე. მე კი აჩრდილივით
უკან დავეყვები. რომ გაიცინებს, მეც
ვიცინი, თუ ცრემლი წასკდა, მაშინ
მეც ეტირი. რა ექნა, შეილო, ესა ყო-
ფილა ჩემი ყისმათი. — მოხუცმა ცრე-
მლიანი თვალები თავშლის წვერით გა-
იწმინდა და თამაზს მზრუნველობით
უთხრა: — ახლა კი დროა, შეილო, მო-
ისვენეთ, დიდი შრომა მოგელით. დე-
დაბრებს თუ გვიყურეთ, ძილი არ მოგ-
ვაგონდება და არც ამბები გამოგველე-
ვა, — თქვა, წამოდგა, თამაზს ძილინე-
ბისა უსურვა და იმ ოთახისაკენ გაე-
მართა, სადაც მარტას ეძინა.

თავი მხორა

I

სამი სექტემბრის დილა გათენდა.
იაპონიაზე გამარჯვების დღეს ზეი-
შობდნენ.

დედებს ხელში ბავშვები ეჭირათ,
ბავშვებს კი თაიგულები, მიდიოდნენ
მტკვრისაკენ, იქ, სადაც ათასწლოვანი
ვერხეები მხრებგაშლით იდგნენ და
თითქოს ამბობდნენ: „ხომ ხედავთ,
დროს როგორ ვუმკლავდებით“.

ერთად მომავალი თამაზი და ტაჩენ-
კოც გამოჩნდნენ.

თამაზმა ხალხში ვიღაც ქერა ვაჟ-
თან ერთად მომავალი ირინე და შეე-
გვრემანი ჰაბუკი შენიშნა. „ნუთუ გე-
რონტია?“

— გერონტი, გერონტი! — გასძახა
თავის სოფელ ვაჟს.

გერონტი შედგა, თვალი დააცეცა,
იცნო, ვინც ეძახდა და მისკენ გაიქცა.

— თქვენც აქა ყოფილხართ? რო-
გორ მიხარია!

— სხვები სადღა არიან?

— ჩვენი სოფლიდან ჩამოსული რვა
კომკავშირელი ხელობის შესასწავლად
რუსეთში გაგზავნეს, დანარჩენები კი
ყველა აქა ვართ.

— შენ რას აკეთებ?

— აქ ერთი ფრონტელი ამხანაგი
აღმოვაჩინე, ვალოდია შიშოვი, ისიც
ტანკისტია და აქ ერთად ვმუშაობთ.

— მაშ აქაც შეხვდით, აქაც ერთად
ხართ!

— რაც მთავარია, ცოლის შერთვის
საქმეც ერთად დავიწყეთ, — ეშმაკუ-
რად ჩაუტკრა გერონტიმ.

— გეტყობათ, ეს მეც შევნიშნე, —
უთხრა თამაზმა და აქეთ მოჩერებულ
ეთერსა და ირინეს გახედა, — კარგი
გაგონებია; მე უკვე მოვასწარი მათი
გაცნობა.

— ამათ მთელი ქვეყანა იცნობს. ეს
ქალიშვილებიც ისეთივე ძველი მე-

გობრებია, როგორც მე და ვალოდია ვართ და, იმედი გვაქვს, ჩვენი ერთგულნი დარჩებიან ბოლომდე.

— „ერთგულნი“, — გაიმეორა თავისთვის თამაზმა და მისი ტუჩების კუთხეში რაღაც ჭრილობისებური ღიმილი გაჩნდა. ეს უსიამოვნო ღიმილი შერჩა მის ტუჩებს, რამაც გააკვირვა გერონტი.

თამაზმა იგრძნო ეს და კილო შეცვალა:

— ბედნიერებას გისურვებთ, გერონტი!

გერონტიმ თამაზს ვალოდიაც გააცნო. ვალოდიას კი ირინე და ეთერი მოჰყვნენ.

— აშხანაგო მდივნებო, დემონსტრაციაზე ახალი უფროსები გაიჩინეთ! ეს კარგის მომასწავებელი რამაა; ვაყები უქალიშვილებოდ ვერ გაიხარებენ, მაგრამ ქალიშვილებსაც სევდა შეგიპყრობთ, თუ ვაყები ახლო არ გეყოლათ! — ყმაწვილქალებს მიუბრუნდა ტკაჩენკო, რომელიც მუდამ ისე ხმაშალდა ლაპარაკობდა, თითქოს ყველა მსმენელი ყრუ ყოფილიყოს.

— დიმიტრი სიდორის-ძე, თქვენი ხალისიანი სიტყვები ჩვენ მუდამ გვახარებს, მაგრამ, შესაძლოა, მაინც ცდებოდეთ! — უთხრა ეთერიმ. მან დიმიტრის აზრი უარყო სიტყვებით, თუმცა თავლებით ისევ მის ნათქვამს ადასტურებდა. ამას აქ ყველა ხედავდა, თვითონ ეთერიმაც იცოდა, რომ თავის ნამდვილ გრძნობებს ვედარავის დაუმალავდა, მაგრამ მაინც არ უნდოდა სხვისი ნათქვამის დადასტურება. მხრებს ისე მიარხებდა, თითქოს ფრთებია და სურს ცაში აფრინდესო. მის აზიდულ, ოდნავ უკან გადახრილ, აწვართულ მხრებსა და ყელ-კისერს თითქოს საღლაც მალა აპყავდა ის. სახე ასტკიცოდა, მყველისფერი თვალები უციმციმებდა. ჩანდა, რომ ეს ქალიშვილი სავეს იყო რაღაც ამოუწურავი, ნეტარი გრძნობით, რაზედაც ის არაფერს ამბობდა, თუმცა ამას თავისი გრძელი, თლილი თითების უბრა-

ლო მოძრაობითაც კი ამჟღავნებდა უნებლიეთ. „მთელი ჩემი ცხოვრება წინაა. გზა ძლიერ შორს მიდის, — ამხელდნენ მისი თვალები, — ამინდიც დამიდგა და შემოდია ვიარო.“ და ფეხს ისე იმედინად მიადგამდა, ამითაც გვაძნობდა: „ვერავითარი ქართველი ამ გზიდან ვერასოდეს გადამაგდებს“.

— როცა დიმიტრი სიდორის-ძე მოდის, მოლილობა მთლად გვავიწყდება. ვიცით, ისეთს გვეტყვის, რომ გავახარებს. — თქვა უცებ ირინემ, რომელიც ლაპარაკის დროს ხელს ისე შლიდა, თითქოს გაწყობილ მაგიდაზე ეპატიყება სასურველ სტუმრებსო. ვისაც გავსაუბრებოდა, მისკენ მთელი ტანით მიბრუნდებოდა და პატარა ხელებს ისე მოხდენილად აამოძრავებდა, თითქოს ყოველ თავის ნათქვამს თანამოსაუბრეს ხელის გულზე ულაგებს და ხედვე ბეჭდავსო. საშხრეთის თაკარა მზეს მისი სახე და თმები შეედუღებინა, ბრინჯაოსფრად გარდაექმნა, ერთ ყალიბში ჩამოესხა და მრგვალი თავი ქანდაკებასავით დაედგა ოდნავ მალა აწეულ მხრებზე.

თამაზს აოცებდა ასეთი გარდაქმნა: ირინე სამსახურში თითქოს სხვა იყო. სამსახურში მისი სიტყვა-პასუხი, მოძრაობა, გამომეტყველება და საქციელი სრულიად არ ჰგავდა ახლანდელს. „იქნებ ტანსაცმლის შეცვლამ შეცვალა ეს ქალიშვილიო“, — ფიქრობდა თამაზი. ბოლოს დარწმუნდა, რომ ასეთი სრული გარდაქმნის მიზეზი იყო გასაოცარი უნარი ახალგაზრდა ქალისა, შესაფერ დროსა, მდგომარეობასა და გარემოში თავი ისე დაეჭირა, როგორც საჭირო იყო.

ვალოდია მორცხვობდა. ეგონა, იწინერ ტკაჩენკოს გადაკრული სიტყვები პირადღ, მხოლოდ მე შემეხებოდა და წითლდებოდა, ზოგჯერ ჯეჯილივით გახარებულ ქერა თმაზე ხელს გადაისვამდა. მის ნიკაზე წერტილივით დარჩენილი ნატყვიარც გვაძნობდა, რომ ახალგაზრდა კაცს ომის ცეცხლიც

გაველო, თუმცა დაეაყვაცება ჯერაც ვერ მოესწრო. თანამოსაუბრეთა ყოველ სიტყვაზე განსაკუთრებულად სწრაფი, მგრძობიარე რეაგირება მხოლოდ იმის ნიშანი იყო, რომ მისი სისხლი ჯერ კიდევ დღელდა, რომ მის სანესა და გამომეტყველებას კვლავ დიდხანს შერჩენოდა ყმაწვილური სიანცე და დაუდგრომოლობა. „ვალოდია, განა იცოდი, რომ ამ დღეს მოესწრებოდი ოდესმე?“ — ეკითხებოდა იგი თავისთვის და ასე ეგონა, ფეხის ყოველ მოცეკლაზე, ამოსუნთქვაზე, რაღაც ემატებოდა, მის გულში რაღაც დიდი ძალის შემცველი ნაკადი შემოდინოდა, ავსებდა მას მთელი არსებით და თითქოს სიყვარულის აღმურით ჰაერს დაიტკბარაო, სვამდა, ვით შარბათს.

თამაზმა კიდევ დაინახა ნაენობი ხალხში.

— ვიქტორ, ვიქტორ! — მიამახა.

ჭალარაშერეული, ქერა ჰაბუკი უცრად შედგა, თამაზისაკენ მოიხედა, მერე უცბად მოსწყდა ადგილს და გამოიქცა.

— თამაზ! — დაიძახა მან.

ისინი ღვიძლი ძმებივით მოეხვივნენ ერთმანეთს.

— მე მეგონა წერილი წაიღე და შენ ისევ ცოცხალი ხარ? — იცინოდა უზომოდ გახარებული ვიქტორი, — ცეცხლიდან უგრძობლად გამოგიყვანეთ, აღარც კი სუნთქავდი, მკედრის ფერი გნლო! ვთქვი, უკვე გათავდა, ვერასოდეს ვნახავ-მეთქი... თავი სიზმარში მგონია!

თამაზმა ისევ შეათვალიერა ფრონტელი მეგობარი და მერე უთხრა:

— მეც აღარ მეგონა, თუ შეგხვდებოდი, შენ რომ გიყურებ, მგონია, ფრონტზე ვარ! საიდან, როგორ?

— ერთი თვეა, თქვენს მიწაზე ფეხი შემოვდგი და ყოველ ნაბიჯზე მეგონდებოდი; რამდენჯერ მომნატრებიხარ, ვინ მოთვლის!

— წამოდი, ახლა ვეღარ მოგიშორებ, ერთად ვიაროთ, — უთხრა თამაზმა.

მეწინავენი მტკვრის ნაპირსაკენ დაეშენენ, ათასწლოვანი ვერხვების ტყეში. მტკვრიდან გამოყვანილნი მანამ თან შეჩერდნენ.

ვაყების ჯგუფი არხზე გადახრილი ხეებით მეორე ნაპირზე გადასულიყო. ეკლნარი გზას უკრავდა მათ, ტყეში შესვლის საშუალებას არ აძლევდა.

არხში შემოჭრილი მტკვრის ანკარა წყალიც თავის ენაზე ლაპარაკობდა, შხუოდა, ჩხრიალებდა, ღუღუნებდა, ზოგჯერ თითქოს ტაშსაც უკრავდა გაოცებული. ვინ იცის, იქნებ უკვირდა ამოდენა ხალხის გამოჩენა და უნდოდა ყველასთვის ეთქვა, თვითელი ადამიანისათვის ემცნო: „შენმა წინაბრებმა მომიყვანეს აქ, ამ უღრან ტყეში. მე მომიყვანეს, თვითონ კი წაყიდნენ. ახლა თქვენ მოხვედით. საიდან, როგორ? სად იყავით აქამდე?“

ცოტათი ქვემოთ, არხსა და მტკვარს შუა, პატარა გორაკზე აზიდული ძველი ციხე-სიმაგრეც გაოცებული გადმოჰყურებდა არხის ნაპირებთან შეგროვილ ხალხს: რამდენი საუკუნე გაეტარებინა ამ ციხეს აქ, დიდ მყუდროებაში და მხოლოდ ზოგჯერ შორიდან თუ შემოესმოდა ადამიანის ხმა. ძველ ციხეს წყლულები აჩნდა: ალაგ ჭონგურები ჩამონგრეოდა, ალაგ კედლებიც გაბზარულიყო და ამ ბზარში სინათლე გადიოდა.

თამაზის ფიქრით თითქოს ციხეც ამბობდა: „ჩემი მშენებლების ძეგლები აქაა, მიწაში, მაგრამ კარგი დღე აღარც მე მადლა. ყველაფერი მებრძვის: ქარი, წვიმა, სეტყვა და მგზი. თვითონ მზის სხივებიც ისრებივით მჩხვლენენ, შლიან ჩემს კედლებს და ჰა, ხომ ხედავთ, — მაინც ვღგავარ, თქვენამდე მოვალწვი; თუ საჭირო ვარ, გააგრძელეთ სიცოცხლე ჩემი, არა და, მეც ისე წავალ, როგორც ჩემი მშენებლები და მათი დრო წავიდა.“

ბუნებას კი არ სურდა სიცოცხლე შეენარჩუნებინა იმისათვის, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი. თითქოს ამიტომ ჰაერში დაკიდულიყო საფუძ-

ველგამოცლილი კედელი, თითქოს ერცხენებო, ციხე მაინც იმაგრებდა თავს.

ვინ იცის, რამდენ ათას წელს ებრძოდნენ ერთმანეთს ბუნება და ადამიანი! „ეს ბრძოლა არასოდეს შეწყდება“, — ფიქრობდა თამაზი. და, მართლაც, რაც ადამიანმა თავისებურად გააკეთა, სახე შეუცვალა, მას ბუნება ვეღარ იგუებს, ებრძვის, ცდილობს, ადრე თუ გვიან ადამიანის ხელის კვალი ყველაფერში წაშალოს...

თავისი ძველი თუ ახალი მეგობრებით გარშემორტყმული თამაზი ტრიბუნის ახლოს, არხის პირას შეჩერდა და აქ, ამ სიძველეთა წიაღში, ახალი ხმების ყრიაშულს უსმენდა. ტრიბუნაზე ათამდე კაცი შეკრებილიყო. ტრიბუნის ძირას ხელაქე იდგა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, წყალში შეცურებულ ბეჭემოტივით თავი აეწია, თვალებს აბრიალებდა და ტრიბუნაზე ასულ უფროსებს რაღაც უდარდელად აცქერდებოდა, თანაც ტუნებს ისე ამოძრავებდა, თითქოს იცოხნისო.

იქვე, ბეზიას გვერდით, იდგა მართაც. თავის ახალ კაბაზე დახატული ყვავილებივით უცინოდა სახე. კაბა ისე შეენოდა, რომ ახალგაზრდა ვაჟების ყურადღებას იპყრობდა.

— ხედავ, პატარა სასტუმროს პატარა დიასახლისი, მართა, როგორ იბრანკება? — წასჩურჩულა ერთმა ვაჟმა მეორეს.

— ნუ გენაღვლება, მართაც გაიზრდება და მისი სასტუმროც! — იყო პასუხი.

ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხის ტალღა აწყდებოდა ტრიბუნას და მათი ყრიაშული ტყის შრიალსა და მდინარის შხუილს უერთდებოდა, თითქოს ბუნებასა და ადამიანს აქ დროებით მაინც საერთო ენა გამოენახათ, რომ ურთიერთისათვის გაემხილათ საკუთარი ტკივილი, სიხარული, არსებობის მიზანი თუ დანიშნულება.



მიტინგი რომ დამთავრდა, ხალხი ხმაურით მოედო ტყეს და იქაც შეიკრა, სადაც ეკალბარდი ათასწლოვან ვერხვის ხეებს შემოხვეოდა. ტყეში ისმოდა ახალგაზრდების შეძახილები, სიცილ-ხარხარი.

ახლა ყველას მოენახა თავისი წრე და ადგილი.

შშენებლობის უფროსი, რაიკომის მდივანი, ქარხნის დირექტორი, მდინარის გაღმა ტყეს გასცქეროდნენ. ანძასავით უძრავად იდგა მათ შორი-ახლო ილარიონ ბარველიძე, მდინარი-საყენ მთელი ტანით გადახრილიყო და ზოგჯერ უფროსებს ყინულის ნამსხვრევებივით ესროდა თავის შენიშვნებს.

— ეს ტყე უნდა გაიწმინდოს, გამშენიერდეს. — წარმოთქვა გურამმა.

— უნდა მოვიწვიოთ გამოცლილი მებაღე-აგრონომები და მომავალი ბალი დავეგვმოთ, — უპასუხა ვაიოზმა, რომლის სახეზე ღიმილი არ ქრებოდა.

— მაგ ტყეში ისეთი ჭაობებია, რომ ვერაფრით გააშრობთ, — თქვა ბარველიძემ ისე, რომ აქეთ არც კი მოუხუდავს.

— ქვეყნად ჭაობები იმიტომ არსებობს, რომ ადამიანებმა მოსპონ, — შენიშნა ვაიოზმა. რაღაც ენიშნა ვაიოზის ამ გადაკრულ სიტყვაში ილარიონს, უფრო მოიღუშა და გადაწყვიტა, ხმა აღარ ამოეღო. მას ეჩვენებოდა, რომ ახლა ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. მაგრამ მაინც ვერ მოითმინა.

— დიახ, მილიარდებს თუ ჩაყურით, გაეაშრობთ, — გესლიანად უპასუხა ვაიოზს.

— რას იზამ, რამდენიც საჭიროა, იმდენი უნდა ჩაყარო, — მიუგო ვაიოზმა.

— თუ ავრეა, წინ არაფერი გვიდგას, — დაყაბულდა ილარიონი, რომ თავი როგორმე გამოეყვანა უხერხული მდგომარეობიდან.

— ისიც სათქმელია, რომ ჭაობებს

ამოშრობა ზოგიერთ ადამიანში უფრო ძნელია, ვიდრე ამ ტყეში, — თითქოს თავისთვის წარმოთქვა გურამმა.

ილარიონს არ უნდოდა და არც შეეძლო თავის თავზე მიეღო გურამის სიტყვები. არა, ეს მართლაც მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ მაინც არ მოელოდა საუბრის ამგვარ არასასურველ მობრუნებას. იგი გაწითლდა, გურამს გაკვირვებით გახედა, სიტყვა ძლივს დასძრა:

— ასეთი რამ, საერთოდ, შესაძლებელია, მაგრამ... — აღარ დაასრულა. მას უნდოდა დაემატებინა, „აქ რა შეუშიაო“, მაგრამ შეჩერდა, თავის შეკავება არჩია.

— საოცარი მდინარეა ეს მტკვარი. სად არ შეიკრება ხოლმე, — თქვა ამის მაგივრად, — შფოთავს, ანგრევს ნაპირებს და ადამიანების სურვილზე სულაც არ ფიქრობს.

— მშვენიერი მოსაზრებაა, — ისევ ირონიით წარმოთქვა გურამმა და არხს გაშორდა.

თავაწეული და ნაცრისფერი პიჯაკის ჯიბეებში ხელეზაფხობილი ილარიონიც უფროსებს გაჰყვა. მისი გული და ნაბიჯი რაღაც უსიამოვნო იშვებს შეეკრთო.

„ასეა, მაინც უკან უნდა მივიდო“, — იმეორებდა ილარიონი.

„ინჟინერმა ბარველიძემ, თავისი ჩქაროსნული მეთოდის შემოღებით ზიანის გარდა, ვერავითარი სარგებელი ვერ მოგვიტანა“, — ისევდაისევ მეორდებოდა ბარველიძის ყურებში გურამის მკაცრი სიტყვები.

„აგრეა, ჩემი მეთოდი დაასამარეს. ვნახოთ, რას მოგვიტანენ ახალი ჩატები“.

იქვე, არხის პირად, განმარტოებით იდგა ინჟინერი ხელაძე, რომელსაც ჩვეულებრივ „კოწიას“ ეძახდნენ. მას ხელები ზურგზე შემოეწყყო, წინ გადახრილიყო და ხალხს წვრილი თვალებით აცქერდებოდა. ეტყობოდა, ვიღაცას ეძებდა.

უფროსების უკან მიმავალი ბარველიძე დაინახა და მისკენ წავიდა.

— ილარიონს ვახლავარ! — შიამბა და წვრილი თვალები ეშმაკურად აათამაშა.

— გამარჯობა!

— ილარიონ, ამ სიცხეში ყელის გასველება აჯობებდა ყველაფერს, — გაუღიმა მან ბარველიძეს და მარჯვენა თვალი ოდნავ მოკუტა.

— არ შემიძლია, არა მკალია, — მოკუტა ილარიონმა.

— მისდევ უფროსებს და მოგართმევენ დადგენილებას, — გადაჰკრა ხელაძემ და გამობრუნდა. ზურგზე ხელებდაწყობილი და წინ გადახრილი, ისე დადიოდა, თითქოს რაიმე ტვირთს ატარებდეს. ფელდმანი დაინახა და ახლა იმას მიაშურა.

ფელდმანმა დაასწრო.

— აა, კონსტანტინე კარპენის-ძეს ვახლავარ, როგორ ბრძანდებით, რას შეუწყუხებინართ?

— შეწუხება კი არა, ყელის გასველების გუნებაზე მოვედი და თქვენ დაგეძებდით. მგონი არც თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ უგუნებოდ. ალბათ წარმატება გაქვთ საქმეში.

— მაქვს და მერე როგორი, უბრწყინვალესი! რასაკვირველია, არც თქვენი საქმეებია ალბათ ცუდად?

— არც ისე ცუდად, მტრებს რომ გონიათ. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. რაღა გამარჯვების დღეა, თუ არ აღვნიშნეთ, პირი თუ არ გავისველოთ და ხახა მშრალი დაგვიჩა.

ფელდმანი წელში მოიხარა, ტაში შემოჰკრა და სიცილი მორთო:

— რასაკვირველია, თქვენ ცამდის მართალი ბრძანდებით, გენიალური აზრი მოგსვლიათ და მეც შხადა ვარ, მეგობრისათვის თავი არ დავზოგო!

— აბა, თუ მაგრეა, გავწიროთ თავი და ის იქნება, — უდარდელად უთხრა ხელაძემ ფელდმანს, მკლავში გამოსდო ხელი და თან გაიყოლია.

...არხის პირას მართა და ბებიაშისიც გამოსულიყვნენ. ამ სახალხო ზეიმის ეამს ყველა გარეთ იყო. შინ ვეღარც ისინი გაჩერდნენ. მართას კენჭები მოეგროვებინა და სათითაოდ ისროდა დამღოვრებულ წყალში. თვალდაცეცებული უყურებდა, როგორ ჩნდებოდნენ დიდი და პატარა რგოლები წყლის ზედაპირზე, როგორ მოისწრაფვოდნენ ნაპირისაკენ და აქ ქრებოდნენ.

მოხუცი სიყვარულით ადევნებდა თვალს წამოჩიტული შვილიშვილის ცელქობას.

— გეყოფა, გოგო სირცხვილია, — გაეხშიანებოდა ხოლმე ხანდახან თამაშით გატაცებულ გოგონას, — პატარა ხომ აღარა ხარ!

ბოლოს მართას მობეზრდა არხის წყალთან კენწლაობა. კენჭებიც გამოეღია. ბებიას მივარდა, მოეხვია და კოცნა დაუწყო.

— კარგი, გოგო, ნუ დამახზრჩვე! — ყასიდად იშორებდა მის ხელებს მოხუცი. — ხედავ? ჩვენი ინჟინრები!

მართამაც იმ მხარეს გაიხედა, საითაც ბებია იყურებოდა.

— ჩვენებია, — დაუდასტურა მოხუცს.

ცოტათი მოშორებით, არხზე გადაწოლილი ძეწნის ხის ფესვებზე იასე და მარო ჩამომსხდარიყვნენ. იქვე მათ ბიჭუნას ხელში ხის ხმელი ტოტი დაეჭირა და მიწას ჩიჩქნიდა.

— კარგია, აქაურობასაც შევეჩვიე და შემიყვარდა, — წარმოთქვა იასემ.

მარო მიუხვდა, რის თქმა უნდოდა ქმარს.

— რა ვუყოთ, მიწა ყველგან ერთია, იასე.

— შორიდან უფრო შემიყვარდა რაქის მთებში მიტოვებული ჩვენი სოფელი. ყველა იქ დარჩა. თითქოს დედის აზრდილი მეკითხება: „სად წახველ, შვილო?“ თავს იმით ვინუგეშებ, რომ

აქ უფრო ხშირად ვიგონებ, მესმის მისი ხმა.

— მშობლიურმა მიწამ არ გიცის, რაა სიშორე. თავი და გული ვინ დააშორა? ჩვენი სოფელი, თბილისი და ლომცხე განუყოფელია.

— მარო, განა ყველაფერი, რაც ჩვენს სოფელში საყვარელია, ნაცნობია, ახლობელია, შენში და ჩვენს ვაჟიკოში არა ჩანს?

მარომ ცისფერი თვალები მაღლა ცას აღაპყრო და ამით მან უსიტყვოდ თქვა: „იასე, ცა მაღალია. — არ მოვიხსრებოთ“. მეერ ვაჟას გასძახა:

— შვილო, მოდი აქ!

ვაჟიკომ მიწის ჩიჩქნას თავი ანება და ხელებგაშლილი დედისაკენ გამოიქცა. ბავშვის გონებაში ზოგჯერ, მოულოდნელად გაიღვებდა ხოლმე კავკასიონის მზით მოვარაყებული მაღალი მთა, დილით, გამოღვიძებისთანავე თვალს რომ შეავლებდა, გაუღიმებდა და ახლა უკვირდა; რად დატოვეს სოფელი? აქ კი მას აოცებდა, საიდან მოვიდა ამდენი ხალხი. „ამოდენა მიწას რომ თხრიან, მიწაში ალბათ ვინმეს ეძებენ. ნეტავი რა მოხდება, თუ ვერ იპოვენს?“ — ეკითხებოდა თავისთავს ბავშვი და ასე ეგონა, რაიმე დიდი უბედურება მოხდებოდა, თუ იმ ვინმე უჩინარს ვერ იპოვნიდნენ.

III

ახალ რესტორანში ხელაქე და ფელდმანი მაგიდას შემოსხდომოდნენ.

ხელაქე ახალ-ახალ სადღეგრძელოებს იგონებდა, ლენოს ჩაის ჭიქებით სვამდა და ფელდმანსაც აძალებდა.

ფელდმანს თვალბში ეტყობოდა, რომ აქ დიდხანს დარჩენას არ აპირებდა და ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე დაეძვრინა თავი ხელაქისაკენ.

ხელაქემ ღვინით საესე ჭიქა აიღო. — ეს გაუმარჯოს იმ კაცს, რომელმაც პურმარხლის მარიფათი იცის და ლამაზმანების სიყვარულით გული მუ-

დამ საესე აქვს, — წარმოთქვა და კი-
ქა დაცალა.

ფელდმანი იცინოდა.

— აი, ეს მესმის! რასაკვირველია,
ლამაზებისათვის კაცი თავს დადებს! —
წამოიძახა.

— შენ არ მომიკვდე, მაგათ ხელი
აღარ დავაგლო! ახლა, კვირას, თბილის-
ში ვიყავი, მეგობრები მოვინახულე,
ისეთი პურმარილი და სმა გაიმართა, კა-
ციის თვალს არ უნახავს! თამადად ამირ-
ჩიეს და ყველა დავათურე. რაც იქ ლა-
მაზები იყო, აღფრთოვანებით შემომ-
ცქეროდნენ, თვალებით მიალერსებდ-
ნენ! მოგეცეს ლხენა, როგორც ქორი
წიწილებს, ისე დავერე! ლამაზები კი
მადიდებდნენ, — შენისთანა ვაჟი
ქვეყნად არ გვინახავს, მართალია, ტანი
და წლები ცოტათი გამძიმებს, მაგრამ
ბავშვივით მჩატე ხარ, რაც შენ ღვინო
შესვი, ხარს წააქცევდაო. მართლაც,
ბავშვივით ვშლიდი ხელებს და ბუქნას
ვუვლიდი. „ვამა კოწიას!“ — იმხდნენ
ქალები, მიკრავდნენ ტაშს და კისკისებ-
დნენ. ჰოდა, ჭურდს რა უნდა, ბნელი
ღამეო! მეც ეს მინდოდა. პეპელასავით
დაფრინავდი ამოდენა ვეშაპი და ყვე-
ლას გული ერთად მოვიგე.

ფელდმანს პირი გაეღო, მუცელზე
ხელები შემოეჭირა და ხარხარებდა,
სულს ძლივს ითქვამდა.

— მჩატე ხარო, არა? რასაკვირვე-
ლია, მართალი უთქვამთ! — ძახლდა
ფელდმანი.

— ისეთ ლამაზებში აღმოვჩნდი, კა-
ცი კი არა, კამეჩიცი ამჩატლებოდა და
სიმღერასაც დაიწყებდა.

— ეს როგორ, ბოლოს სიმღერაც და-
იწყე?

— ისე ვღმუოდდი, უგულონიც რომ
ყოფილიყვნენ, შევეცოდებოდი.

— კი მაგრამ, რატომ ლომციხეში არ
გესევიან ეს ლამაზები? შენთან გავლი-
ლი ქალი არ მინახავს, — სიცილითვე
უთხრა ფელდმანმა.

— გავლას რა ჰკუთ აქვს! მთავარია,
მოხიბლო, გააგვიყო, და მერე შენი იქნე-
ბა! ახლა პო, შენ მაგ სიცილით ვერ მო-

მატყუებ და გირჩენია, ღვინო დალიო.
შენი კიქა ისევე საესეა და თუ წინ დასცი-
ლი, კისერში ჩაგასხამ! — ისტორიის
ყვეტილებით წარმოთქვა ხელაძემ, რომ
ფელდმანმა სიცილი უეცრად შეწყვიტა,
კიქა აიღო და ღვინო მოსვა, გამოცლა
ველარ შეძლო და კიქა მაგიდაზე
ფრთხილად დაუშვა.

— დალიე! ღღესასწაულია, არ გვა-
პატიებენ! — აქაჲანდა ხელაძე.

— არაფერია, მეგობარო! ჩემისთანა
საწყალ კაცს აპატიებენ! რასაკვირვე-
ლია, შემინდობენ და შემიწყალებენ! —
იმახდა საკმაოდ მთვრალი, წამოწითლე-
ბული და უკვე საგონებელში ჩავარდნი-
ლი ფელდმანი, რადგან გრძნობდა, მე-
ტის დაღვევა აღარ შეეძლო, თუ არ და-
ღვედა, შესაძლოა, ხელაძეს მართლაც
კისერში ჩაესხა ღვინო.

რესტორანში ამ დროს ახალგაზრდა
ქალ-ვაჟთა ჯგუფი შემოვიდა. მაგიდას
მიუსხდნენ და ლიმონათი მოითხოვეს.

ამით ისარგებლა ფელდმანმა და უთ-
ხრა:

— შეხე, კონსტანტინე კარპეს-ძევე,
როგორი მტრედები შემოფრინდნენ
რესტორანში.

— სად, ვინ უნდა იყვნენ ნეტავი? —
დაინტერესდა ხელაძე, თავი ასწია, წა-
მოდგა, მიმოიხედა.

მაგიდის გარშემო შემომსხდარ ახალ-
გაზრდების ჯგუფში ერთ ახალგაზრდა
ქალს მიაჩერდა. გაუღიმა.

— შენ კი შემოგველოს კოწიას თავი,
მართლა სამოთხიდან ჩამოფრენილ
მტრედს არა ჰგავს? — წარმოთქვა, გულ-
ზე ხელი დაიდო და თვალები მოწყურა,
შემდეგ გაახილა, ინეინერი ფელდმანი
იქ აღარ ჩანდა, მიმოიხედა. ფელდმანი
უკვე კართან იყო და ფეხაკრეფით მიი-
პარებოდა.

— სად გამირბიხარ, დაბრუნდი! ფელ-
დმანი! — დაიღრიალა მან თავზარდამცე-
მი ხმით.

ფელდმანმა ერთი კი მოიხედა და წა-
მოიძახა: „ამ წუთშიო“, და კარს მიეფა-
რა.

მარტო დარჩენილმა ხელაძემ წერილი თვალში ისევ მოწყურა, დააცეცა; ვინმე ნაცნობს ეძებდა, რომ მასთან ერთად ღვინის სმა განეგრძო. ასეთი ნაცნობი არავინ ჩანდა. მაგიდაზე დალაგებულ ვეებერთელა ხელებს დააჩერდა, საყვედურით მიმართა: „თქვენ რა ძალა გაქვთ, ფელდმანის დაქერაც ვერ მოახერხეთ“. ღვინო მაინც დაასხა. ჯერ თავისი ჭიქა გაავსო, მერე ოფიციალს დაუძახა და ფელდმანის ნახევრად დაცლილი ჭიქა მიაწოდა.

— წაიდე ეს ღვინო, მომაცილე აქედან!

როცა ოფიციალმა ჭიქაში ჩატოვებუ-ლი ღვინო გადაღვარა და ჭიქა უკანვე მოუტანა, ხელაძემ ისევ ღვინით გაავსო ეს ჭიქა, მერე თავდახრილი და ყურბ-ჩამოყრილი იჯდა კარგა ხანს. ისევ ვინმე ნაცნობის გამოჩენას ელოდებოდა. ვეებერთელა, სისხლივით წითელ ცხვირზე მწერი დააჯდა. გულმოსულმა ისეთი ძალით გაჰკრა წვიპურტი, რომ ცხვირი ხორთუმივით შეირხა და ისე აეწევა, სიმწარისაგან ცრემლი მოაწევა თვალებში. ცხვირზე ხელი მოიჭირა, გასინჯა, სისხლი ზომ არ მომდისო. „დაწყველოს ღმერთმა, ცხვირს რაღას ვერჩოდი“ — უსაყვედურა თავის თავს და სახეზე იმ ღვინის ფერი დაედო, რომელსაც სვამდა. უეცრად რესტორანში შემოსული ნაცნობი შენიშნა:

— აა, სილიბისტრო, ახლა მზეთუნახავის გამოჩენას შენს გამოჩენას ვამჯობინებდი! მობრძანდი, ჭიქა ღვინო მაინც დავლიოთ, თორემ მომწყურდა, — მიუჭრა სილიბისტროს და მხრებში ხელი მოხვია; წიწილივით შეპყრობილი სილიბისტრო უარობდა:

„არ მინდა ღვინო, იქ წყლის დასალევად შემოვედიო“, მაგრამ ამოდ. ხელაძეს მაინც ჩაუვარდა ხელში, ახლა ველარსად გაეჭკეოდა, დემორჩილა. ღვინით სავსე ჭიქას ხელი ჩაავლო.

— ეს გაუმარჯოს ჩვენს კოწიას, გულთბილ ვაქაკს, მტერმოყვრიანს, პურმარილიანსა და ენაწყლიანს!

— წყლიანსა კი არა, ღვინიანსა! — გაუსწორა ხელაძემ:

სილიბისტრომ თვალში მოწყურა, სისხლივით წითელი კახური ღვინო ნელ-ნელა შესვა, სული ძლივს მოითქვა და დაუმატა:

— ჰო, ჰო, შევეცი, ღვინიანსა, დაიბ ღვინიანსა, შენ მართალი ხარ, მაგრამ მე წავედი, — და რომ ისევ ხელაძეს აღარ შეეპყრო, უკან დახევით გაშორდა მაგიდას, მერე უტბად იბრუნა პირი და რესტორანი თვალის დახამხამებაში დატოვა.

— სილიბისტრო, შერცხვი, სილიბისტრო? ვაყკაცი არა ხარ? ეს კაცობაა? — მისძახოდა ხელაძემ, მაგრამ სილიბისტრო უკვე ქუჩაში იყო და ეს აღარ ესმოდა.

ხელაძემ ისევ მაგიდაზე დაალაგა ხელები და თავი დახარა. გაპყურებდა რესტორანის კარს, იქნებ კიდევ გამოჩნდეს ვინმე ნაცნობიო. კარგა ხანს იჯდა ასე გალურსული. უცებ კარი გაიღო და რესტორანში ორი ნაცნობი მამაკაცი შემოვიდა. გახეებულა ხელაძემ უეცრად გაცოცხლდა; წამოდგა და რესტორანში შემოსულ ნაცნობებს მიეგება.

— მოდით, ბიჭებო, განა იქნება ძმაკაცის აგრე დავიწყება? რამდენი ხანია ერთად არ გვიპაშია პური, ახლა კი ჩემი თავი თქვენ გენაცვალეთ, მხოლოდ მოისურვეთ და თქვენთვის ყველაფერი გაჩნდება!

— გმადლობთ, მაგრამ ახლა დრო არა გვაქვს, — უთხრა ერთმა იმ ნაცნობთაგანმა.

— ახლა ჩემს ხელთა ხართ და რა გავწყობა. ა, სამსონ ჩემო, თქვენ არ მომიკვდეთ, ვეღარ წამიხვალთ! თქვენს მოსვლას გული მეუბნებოდა, გელოდებოდით, უთქვენოდ ჭიქა ღვინოც ვერ შევსევი. ზომ იცით, კახური ღვინო და წმინდა ნინო საქართველოში ერთად მოსულან და, ვინც არ შესვამს, წაწყდება!

— გმადლობთ, კონსტანტინე, მაგრამ...

— „მაგრამ“ ხელისათვის გადადეთ, დღეს კი დღესასწაულია და ამას ხელი

მოჰკიდეთ! — შეაწყვეტინა სიტყვა ხელაძემ და ღვინით სავსე ჭიქა ხელში შეაჩეჩა, — ჰო, გადაკარი და თუ მოგკლას, მე დამბარალე!

— გაგიმარჯოს, ათას წელს იცოცხლე, ბატონო კონსტანტინე!

— ცხრაასი წელი თქვენთვის დამითმია, მე კი ასიც მეყოფა! აგრე, ჰო, დამლოცეთ, თორემ იმოდენა მტრები მყავს, ხელში თუ ჩამიგდეს, ამკუწავენ და ისე დამანაწილებენ, თითო გრამიც კი აღარ შეხვდება თვითეულს!

— ამოდენა მტრები გყავს, ბატონო?

— მტრები, თორემ, ლამაზები, რომ დამინაწილებდნენ, ამას რაღა სჯობს! — უპასუხა ხელაძემ.

სამსონმა, როგორც იყო, დასცალა ჭიქა, მაგრამ ხელაძემ მყისვე აუცსო:

— ახლა, პეტრე ჩემო; შენი ჯერია. თუ შენც არ დამლოცე, ამოდენა ვაჟკაცს სამსონის დალოცვა სანახევროდაც კი არ მეყოფა.

— ბოდიში, მაგრამ მე კუჭი მტკივა და ღვინოს ვერ დავლევ, — უთხრა შავგერმანმა, გამხდარმა ჭაბუკმა. თანაც ისეთი თვალები მიიპყრო ხელაძეს, თითქოს ეუბნებოდა: „გვაპატიე, თუ რაიმე ცოდვა მიგვიძღვისო,“ მაგრამ შეზარხოშებული ხელაძე ამას ვეღარ ამჩნევდა..

— რაო? — გზიკვირვა ხელაძემ — კუჭიო? კუჭი და გული მაშინ ატკივდება, თუ ჭამა-სმა მოგაკლდა. ჰო, პეტრე ჩემო, უპურღვინოდ მოგიკლავს თავი და ჩემი რა ბრალია. ახლა მინც ეცადე, ეს ჭიქა დაცალე და იქნებ რამე გუშველოს! პეტრე მიხვდა, თავპატივით ვეღარაფერს გახდებოდა, ხელაძეს ვეღარ გაემცეოდა და ღვინით სავსე ჭიქა ტუჩზე მიიღო. ერთი კი შეაზრიალა, სახე მოეჭყა, მაგრამ მერე ღვინოს უკვდავების წყაროსავით დაეწაფა და ნელ-ნელა შესვა.

— გაამოს, ახლა კი იმედია დღეს აღარ მოკვდები! — მიაძახა ხელაძემ და სტუმრებს მაგიდასთან სკამები დაუდგა, — ჰო, რაღას უდგახართ, ფეხზე დამ-

დგარი ზომ არ შობილხართ, დასხედით და ჭკვიან კაცს ყური დაუგდეთ!

— ეს ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება, ბატონო კონსტანტინე, მაგრამ შეუძლებელია, მუშები გველოდებიან. ცვლა გაგვიცდება.

— დავსჯიან კიდევცა, — დაუმატა პეტრემ.

— რაო, ცვლა, გაგიცდებათ? რას მიქვია იმისთანა ინეინერი, ვისაც ცვლაში შემცვლელი არა ჰყავს! აგრე ააწვენებთ კომუნისმს? თქვენ არ მომიკვდეთ, ამას ვერ დაგიჯერებთ და ვერც გაგიშვებთ, — წარმოთქვა ხელაძემ და წინ წაიწია, რათა სტუმრებისათვის ხელი ჩაეველო, მაგრამ სამსონმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ხელაძე შეჩერდა.

— საქმესთან ზუმრობა დაუსშვებელია და გთხოვთ ნულარ გაგვაჩერებთ! — უთხრა მან მტკიცედ.

ხელაძემ გაშლილი ხელები ძირს ჩამოუშვა, თვალები გაუშეშდა, მერე ისევ ჭიქას ჩაავლო ხელი.

— თუ აგრეა, რა გაეწყობა. იმდენი პატივი მინც მეცით, რომ თქვენი სადღეგრძელო დავლიო; ეს გაუმარჯოს თქვენს სარემონტო საბელოსნოებს. რემონტი რკინას კი არა, აღამიანსაც მოუხდება. მე რომ ცოტა გარემონტებული ვიყო, ქვეყანაზე კაცი ვერ მაჯობებდა. ჰო, თქვენ მაგრად არემონტებთ და თვითონაც მაგარი ბიჭები ხართ! დიდია ლომციხის მშენებლობა, დიდია თქვენი მოვალეობა! — მოულოდნელად დაამთავრა მან და ჭიქა ერთი მოთქმით დაცალა. მერე ძლივს მოუნახა ჭიქას ადგილი და დაჯდა. სტუმრებისაკენ აღარც იხედებოდა, არც ის დაუნახავს, როდის ან საით წაივდნენ ისინი. ისევ ყურებჩამოყრილი, ოღანვ თვალმოხუჭული და გალურსული იჯდა ხელაძე და თითქოს მარტო დარჩენას ნანობსო, თავს აქეთ-იქით აქნევდა. მერე თვალები გაახილა, მიმოიხედა:

— ოფიციატო! — ისეთი გაბზარული ხმით დაიძახა, რომ ყველა იქ მყოფის ყურადღება მიიპყრო.

— რას გვიბრძანებთ, ბატონო? — მო-

უახლოვდა შეათვალწარბა გოგონა და სმენად იქცა.

— ერთი ბოთლი ღვინო და ანგარიში!

— ამ წუთში, ბატონო!

მალე ოფიციანტი ისევ დაბრუნდა, პატარა ქაღალდის ნაჭერზე დაწერილი ანგარიში მაგიდაზე დაუდო. ბოთლიც გახსნა და ღვინო თვითონ დაასხა.

ხელაძემ ანგარიში შეათვალიერა, ჭიქაში ჩასხმულ წითელ ღვინოს შეავლო თვალი და ოფიციანტს ისე შეხედა, თითქოს ახლა პირველად ხედავსო:

— კარგი გოგონა ხარ და რა გაეწყობა, საჩუქარიც გერგება, — ფული ამოიღო, ანგარიში გაუსწორა და ღვინით გავსილ ჭიქას ხელი ჩაავლო. ვეებერთელა ხელში ჩამალულ ჭიქას ახლა ზემოდან დასჩერებოდა, ბუტბუტებდა: „შეხე, როგორ დელავს კახური!.. ფრთხილად, კახური, ცოლ-შვილის ლეკმა არ წამილეკო... რაო? მემუქრები კიდევ? მაშ რაღა გაეწყობა, მე თვითონ შეგსევამ და შენ ხახამშრალი დარჩები!“ ამის თქმაც იყო და ჭიქა მოიყუდა, სულმოუთქმელად დაცალა. ახლა დაცარიელებულ ჭიქაში ჩაიხედა. გულს დარდი შემოაწვია: ნუთუ მართლა მარტოა? ნუთუ მართლა მარტო სევამ! რა გაუჭირდა ამისთანა! ნუთუ ყველამ მოიძულა კოწია და მასთან პურის გატეხაც კი ერცხვინება! ეჰ! ისევ აავსო ჭიქა. ახლა ვისი სადღეგრძელო დალიოს? ფიქრმა წაიღო. ღირს კი ვისმეს დღეგრძელობა? ისინი კი აღდგომილებენ კოწიას, საქმე რომ საქმეზე მიდგეს? რომ რაიმე გაუჭირდეს კოწიას, ბარველიძე მიეშველება? აფსუს! შენს თავს მიეშველე, კუდაბზიკა, ილარიონ. შენ ჯერ შვინდიაშვილიც ვერ მოინელე და უკვე ახალი მოსანელელებელი გაგიჩნდა. უფრთხილდი, ილარიონ, ყელში არ გაგეჩხიროს, თორემ შენი სათრევი თავი საღდა მაქვს!

მაგიდას მთელი სიძიმით დაეყრდნო, ტანი აზიდა და კარს თვალი მიაკყო. გაბედა, ფეხი მძიმედ მოიცვალა, წაბორჩიკდა: „სამი ლიტრა ღვინო დავლიე და ათი ფუთი შემმატებია... ეს რა-

ნაირი ანგარიშია?“ — შეეკითხა თავის თავს. რესტორანში ველარაგის ჩედავდი, მხოლოდ კარს მისჩერებოდა, იქით მხედვდა.

ქუჩაში რომ გავიდა, ჩამავალი მზის მოწითალო სხივები მოხვდა სახეში და თვალებზე ხელი აიფარა. უცებ ნაცნობი ხმა შემოესმა.

— საღა ხარ, კაცო, საღ დაგვეკარგე, ქვეყანა გადავატრიალეთ შენს ძებნაში! ვაგონებია ჩამომდგარი. მასალას მიღება არ უნდა?

ხელაძე შეჩერდა. მიმოიხედა:

შუახნის, დაბალი, სახეზე წამოწიფებული თანაშემწე იღგა მის წინ და ახლა თითქოს ნანობდა, ცხელ გულზე რომ ამდენი საყვედური ჰკადრა თავის უფროსს.

— ჰო, ივანე ხარ? კარგია, რომ წამომეშველე, თორემ... აქ დიდი საქმეები გამიჩნდა... — აღულულულდა ხელაძე.

— რესტორანში რა საქმეები უნდა გქონოდა? — გაბედა ისევ ნირწამხლარმა ივანემ.

— რას ამბობ, ბოშო, შენ რა იცი, რა ძალა აქვს რესტორანს. ადამიანის გარდაქმნა ისე სწრაფად არსად არ ხდება, როგორც რესტორანში. თუ ბარველიძის გარდაქმნას ოცდაათ წელზე მეტი გადააყოლეს და, როგორც საქიროა, ჯერაც ვერ გარდაქმნეს, რესტორანი ერთ საათში სულ გამოცვლიდა... მაგრამ შენ რისი თანაშემწე ხარ, თუ გაჭირვებაში კაცს არ მიეშველები?

— მე რას გავხდებოდი, საბუთები შენ ჩაგიკეტავს?

— ჩამიკეტავს? რა შუაშია ჩაკეტვა! აქამდე საღ იყავი, უბედურებაში მარტო რად ჩამავლე, მეგობრული ხელი რატომ არ გამომიწოდე და არ დამიხსენი!

— რა მოხდა ასეთი, ცუდი ხომ არაფერი შეგმთხვევია? — ჰკითხა უკვე საგონებელში ჩავერდნილმა ივანემ.

— ისეთი რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ლამაზებმა ჩამიგდეს ხელში და ძლივს გადავუტრჩი.

— ტფუ! — გადააფურთხა ივანემ და

ბრანი ყელში მოაწვა. არა, ძამია, შენ ამ ქვეყნისას აღარა გავხარ!

— თუ არა ვგავარ, წამოიყვანე და დამაძინე, ივანე; იქნებ ცოტა მოვჯობინდე... ქკუაზე მოვალ... ჰეი! — წამოიძახა და მშენებლობის მოედნისაკენ ხელი გაიშვირა, — შეხე, ივანი, რა ქვეყანა შენდება! დიდი ქვეყანა შენდება, ივანე, მაგრამ მე ვიშლები! ამოდენა ვეკაკო ერთი თუ დავეცი, ექსკავატორიც ვერ წამომაყენებს და კატის ასალოკი გავხდები. მომეშველე და დამაძინე, ივანე. განა მეც კაცი არა ვარ? ისეთი გზით მატარე, რომ უცაბედად გურამს არ შევეფეთო, თორემ მაშინ ამ ქვეყნისას კი არა, იმ ქვეყნისასაც არ ვემსგავსები. ჰო-ლა, დამაძინე, ივანე!

— ესაა საქმე? წამო, ფეხს აუჩქარე, თორემ გურამი კი არა, გაიოზიც შეგვეფეთება და მერე ნახე! აგერ, მგონი მანქანით მოდიან!

ხელაძე შეერთა, შედგა. ქვედა ტუჩები აუკანკალდა, რაღაც უნდოდა ეთქვა და ვერ ახერხებდა.

— რას ამბობ! — ენის ბორძიკით წამოიძახა მან. სხვა რომ ვედარაფერი მოისაზრა, გზის განაპირას ზურგმუქცევით შეჩერდა.

მანქანამ გრილით ჩაიარა.

ხელაძეს გზაზე ავარდნილი მტვერით თვალები აევსო, მაგრამ არც განძრეულა.

— გეყოფა, ახლა რაღას უდგახარ! — მიაძახა ივანემ.

ხელაძე მაინც არ იცვლიდა ფეხს. ასე ეგონა, საცაა მოვლენ, ხელს ჩამავლებენ და შემომადბრუნებენო.

— წამო, ზურგი რომ შეაქციე, ამით ვითომ რაო, — შეგეწია ღმერთი, მანქანაში ვილაც სხვები აღმოჩნდნენ, თორემ სირაქლემსავით სახის დამალვა ვერ ვიშველიდა, — გურამი და გაიოზი ცალი ფეხითაც გიცნობენ ამოდენა სპილო კაცს.

— ვითომ გადავრჩით? — რაღაც შევებით იკითხა ხელაძემ და შემობრუნდა. ერთხელ მძიმედ ამოიხვნეშა და გზას გაუღდა.

ივანე რაღაცაზე ედავებოდა, არცხვენდა კიდეც, ლანძღავდა, მაგრამ ხელაძე ამას ყურადღებას აღარ აქცევდა! თითქოს მართლა სპილოაო, განაჩხულ ფეხებს მძიმედ მიადგამდა და ზოგჯერ წამოიძახებდა:

— დამაძინე, ივანე!

როგორც იქნა, მიაღწიეს სახლს. ივანემ თავისი უფროსის ჯიბეში გასაღები აღმოაჩინა და ოთახი გაღო.

ხელაძე შევიდა, მიმოიხედა. მიხვდა, უკვე ჩემს ოთახში ვარო, და გაიღიმა:

— აქაა სამოთხე?

— სამოთხე კი არა, ჯოჯოხეთიც უკან დაგრჩება თუ აქ მთვრალი გიბოვნეს... ახლა მაინც მოთხარი, შე შეჩვენებულო, საბუთები სად შეინახე?

— საბუთებო? — გაიკვირვა ხელაძემ და ტახტზე დაეშვა, — წადი, ივანე, უსაბუთოდ ვიძინებ.

— ხომ არ გაგიყდი, ყველას დაგვიკერენ, მასალების განერებას ვინ გვაპატიებს!

— დაგვიკერენ? — ისევე გაიკვირვა ხელაძემ და ივანეს გაფართოებული თვალები მიაპყრო. მერე რაღაც მოისაზრა და ივანეს თავის საწერ მაგიდაზე უჩვენა.

საწერი მაგიდის უჯრაში ივანემ გასაღებების მთელი შეკვრა აღმოაჩინა და ხელაძესთან მივიარდა.

— მაჩვენე, რომელია?! — შეეკითხა, მაგრამ ტახტზე ზვინივით დახვავებულ ხელაძეს აღარაფერი ესმოდა, ღრმა ძილში წასული, დანადაკრული ხარივით ხრიალებდა.

ივანემ ხელი ჩაიქნია, გაბრუნდა, კარი მოაჯახუნა და საღდაც წავიდა.

IV

თამაზი და ტკაჩენკო რაღაც ნახაზებს დასჩერებოდნენ ფარდულში.

ტკაჩენკომ ოფლი მოიწმინდა და გაიღიმა.

— ამ ერთ ღუშელს მომავალი წლის შემოდგომისათვის რომ დავამთავრებდეთ, ნამდვილი გამარჯვება ეს იქნება.

— უნდა შევეცადოთ, — კარგა ხნის ღუმლის შემდეგ უპასუხა თამაზმა.

ფარდულში შეგვკრემანი ახალგაზრდა შემოვიდა. მას ლურჯი ხალათის გულისჯიბეში ფოლადის ოთხად მოკეცილი მეტრიანი ედო, ხელში აგურის სატეხი ჩაქუჩი ეჭირა.

— ხვალისათვის აგური აღარ გვექნება, ისიც კარგია, თუ ამაღამ გვეყო, — თქვა მან შემოსვლისთანავე.

— მაშ, ვაგონი ჯერაც არ ჩანს? — ასწია თავი ტაჩენკომ და მის მოწყურულ თვალებში ჩამალული სხივი ახლა თითქოს მახვილად იქცა.

— არაფერი ისმის.

— კარგი, გუჯა, ყველაფერს გავაკეთებთ, — ჩაერია თამაზი, გუჯა ერთ წამს კიდევ იდგა. რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამის მაგივრად ხელი ჩაიქნია და ფარდულიდან გავიდა.

— ტაჩენკო მოღუშული სახით წამოდგა, თვალი გააყოლა გუჯას.

— კარგი ბრიგადირია... — ჩაილაპარაკა თითქოს თავისთვის, მერე კახიდან ქული ჩამოიღო და თვითონაც კარს მიასურა, — ტექნიკური მომარაგების ხალხთან მივდივარ. ხელაქვს დიდი ხელები აქვს, მაგრამ საქმე ცოტა გამოსდის ხელიდან...

თამაზი მარტო დარჩა.

ეზოში ცვლაზე მოსული მუშები გროვდებოდნენ. უმრავლესობა ქალები იყო. ხმამაღლა მასლაათობდნენ.

საშუალო ხნის, ქერა, წინწყლებიანი ნაჭერით თავწყარული ქალი ფიცრის ზორაზე ჩამომჯდარიყო. ნაფაფარი ხელები კალთაში ჩაეწყო, მტკვრის გაღმა მთას მისჩერებოდა და ირგვლივ შემოჯარული ქალების გასაგონად ამბობდა:

— ვინც შეუძლოდაა, სჯობს სახლში დაჯდეს, ვინც ცოცხალია, შე უნდა მომყვეს.

— შენ რა გენადვლება, ფროსია, კლდესავით დედაცაი ხარ! — უთხრა მეორემ, სუსტი აგებულების ქალიშვილმა, იქვე რომ იჯდა და საკუთარ ხელებს დასჩერებოდა.

— კლდესავით!.. შენი ხნის ვიყო ერ-

თი! ქვას კბილით გავტეხდი. ვინმეს მარტენის ღუმელში რომ შევევადე, უფროსი გაკაეებული გამოვიდოდი და ისევე უფროსია მერქმეოდა სახელად, — დაუცაცხანა წუწუნა ქალიშვილს ფროსიამ.

ქალებმა სიცილი ატეხეს.

— ბრიგადირიც იმიტომ გქვია! — მიადახა მას ვილაცამ.

— ბრიგადირი რაღა სათქმელია, ქალებო, თქვენ ისა თქვით, როგორი ინტენრები გავვინდნენ ამ ბოლო დროს.

— ვიზე ამბობ, ფროსია? — შეეკითხა ისევ ის ქალიშვილი, პირველად რომ გამოელაპარაკა.

— შენ, ჩემო მარუსია, ქაში ხომ არ ზიხარ?

— ჰო, მართლა, მაშა! — გაწითლდა მარუსია, თუმცა არაფერს მიმხედარა.

— მართლა! ერთი ეს მითხარით, ქალებო, ჩვენი ახალი უფროსი რამ დააღონა, ასე ცხვირჩამოშვებული რომ დაიარება სულ? — თვალების ეშმაკური ცეცებით იკითხა წითელ-თავსაფრიანმა ქალიშვილმა.

— ალბათ შენ შეუყვარდი, ანეტა! — ატყრცილდნენ ქალები.

— რას ამბობთ, რას! შენ თქვი ეგ, იელიტა?

— თავი დამანებე, გოგო, შე რაღას მერჩი, შეე ხომ ინეინერი არა ვარ! — იციონდა იელიტა.

— გოგოებო, თქვენც თუ ინეინრებზე გიქირავთ თვალი, ჩვენ რაღა გვეშველება, რა წყალში ჩავეარდეთ! — დაიძახა ქალთა ჯგუფის ახლოს შეჩერებულმა კაბუტმა, რომელსაც შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები და ქალებს პირზე განუშორებელი ღმილით აცქერდებოდა.

ახლა გვერდით ჩამორიგებულმა ყმაწვილებმაც ატეხეს სიცილი.

— მართალია, ჩვენც ხომ ხალხი ვართ! — წამოიძახა ერთმა იმათგანმა და მალე აყრილი ქოჩორი გადაივარცხნა, თითქოს ამ წუთში უნდა მოაწონოს თავი რომელიმე ამათგანსო.

— თქვენისთანა ბრიგადირები, ვინ იცის, რამდენია, ჩემო გუჯა, ინეინრები

კი თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს! ჯერ მოითმინეთ, და თუ ინეინერს ვე-
ლარ შეეწვდით, თქვენ მაინც ჩვენს ხელ-
თა ხართ, — წამოიძახა იელიტამ.

— ქალებო, დაწყნარდით! — ჩაერია
ისევ ფროსია — ანეტას სიტყვები სახუ-
მარო როდია. მეც შემინიშნავს, ჩვენი
უფროსი ქალებისავენ არც იხედება,
თითქოს გულმოსული იყოს ჩვენზე. აქ
რაღაცა...

ამ დროს თბილისის მხრიდან ზარბაზ-
ნების გრილი მოისმა და ცა ფერადი
მამხალეებით განათდა.

— აღტკით, ქალებო, ქვეყნიერება
ფეთქდება! — წამოვიარდა ფროსია და
ნაირფერი ბუშტულებით მოჩითულ ცას
მიაყრო თვალები.

სხვებიც წამოიშალნენ.

თამაზიც გამოვიდა ფარდულიდან.
ყველა ისე იყო გატაცებული ზღაპრუ-
ლი სანახაობით, რომ მისი აქ ყოფნა არა-
ვის შეუმჩნევია.

ზედიზედ ქუხდნენ ზარბაზნები. ნაირ-
ფერი მამხალეები ირაოს უვლიდნენ ჰა-
ერში და შემდეგ ციალ-ციალით ეშვე-
ბოდნენ ქვემოთ.

გამარჯვების სალუტია, ამხანაგებო! —
ვაშა! — პირველად გუჯამ დაარღვია სი-
ჩუმე და ტაში შემოჰკრა.

ქალიშვილები ერთმანეთს დაერივნენ.
შეიქნა ცეკვა, თამაში, ქრიამული...

თამაზი უცქეროდა ამ სურათს. თბი-
ლისიდან მოსულ შუქთან ერთად ახლა
ლიმილმაც გაანათა მისი სახე.

ფროსიამ მხოლოდ ახლა მოჰკრა თვა-
ლი და დაიძახა:

— ქალებო! ქალებო! კერიას ნახში-
რი! ჩვენმა ინეინერმა გაიღიმა. დედა,
რა თეთრი კბილები ჰქონია!

ახლა სხვებმაც დაინახეს თამაზი. ცეკ-
ვით და ქრიამულით გარს შემოგზვი-
ნენ და მანამ იტრიალეს, სანამ ისიც არ
ჩააბეს ფერხულში. სირცხვილისაგან
წამოწითლებულმა თამაზმა ძლივს დააღ-
წია თავი ქალებს, ეზოში გაეარდა.

თამაზმა უხერხულობა იგრძნო, გავი-
და ეზოში და აქ შეჯგუფულ მუშებში
გაერია.

— გაუმარჯოს თამაზს! თამაზს გაუ-
მარჯოს! — ახოზოცდნენ მუშები.
ქალები კი მაინც არ ცხრებოდნენ, მათ
თი სიცილი და ჟივილ-ხივილი აქამდეც
კი აღწევდა.

ტექნიკური მომარაგების სამმართვე-
ლოს კარი დაკეტული დაუხვდა ტკაჩენ-
კოს. ბოღმაზე მოსულმა შენობას შემო-
უარა და სხვა ოთახში შევიდა.

ფერმიხილი, სათვალეებიანი ქალი
მაგიდას მისჯდომოდა და რაღაცას წერ-
და.

— გამარჯობათ! — გულმოსულად
მიესალმა მას ტკაჩენკო.

ქალმა გაკვირვებით გადმოხედა სა-
თვალეების ზემოდან და ასევე უპასუხა:

— გაგიმარჯოს!

— სადაა უფროსი?

— არ არის აქ.

— მოადგილე?

— ახლა გავიდა.

— სად იქნება, თუ იცი?

— გასაღებების ჩხარუნი გავიგონე,
მაგრამ სად წავიდა, ამას ვერ გეტყვით.

— ეშმაკებში! — წამოიძახა ტკაჩენ-
კომ და უკახ გაბრუნდა.

ქალმა თავი გადააქნია, სათვალე მოიხ-
სნა და წამოღგა.

— უცნაური! — წარმოთქვა, პაპი-
როსს მოუკიდა, გააბოლა და ჯოხებზე
წაგრძელებულ თითებზე დაიხედა.

ახლა მთავარი ინეინერის კაბინეტის
კარი შეაღო ტკაჩენკომ. რამდენიმე კაცი
შემოსხდომოდა სმირნოვის მაგიდას.
თვით სმირნოვი არ ჩანდა.

— სადაა სმირნოვი? — იკითხა ტკა-
ჩენკომ.

— წავიდა. მალე მოვა, — უპასუხა
ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— ეჰ! — ამოიოხრა ტკაჩენკომ და
მყისვე გაბრუნდა უკან.

აგერ ის მშენებლობის უფროსის მი-
საღებ ოთახში ისევე გაომეტყველებით
შევიდა, რომ მისმა თვალებმა ირინე
ფეხზე წამოაყენა.

— რას გვიბრძანებთ, ამხანაგო დიმიტრი? — შეეკითხა მას ირინე, მშენებლობის უფროსის მისაღებში.

— უფროსი აქაა?

— აქ არის. შესვლა გინდათ? შებრძანდით. ტაჩენკო კაბინეტში შევიდა.

— რამ შეგაწუხათ? — კართანვე მოაგება გურამმა.

— ვაგონები არ ჩანს, აგური კი თავდება.

— სადაა ხელაძე?

— ვერც ხელაძე, ვერც მოადგილე ვერ აღმოვაჩინეთ.

— აბა, — სახეზე აღი მოედო გურამს. წუთიერი დუმილის შემდეგ ტელეფონის მილი აიღო. სადღაც დარეკა.

ტელეფონში ქალის ხმა გაისმა.

ტაჩენკომ იცნო იმ სათვალუბიანი ქალის ხმა, რამდენიმე წუთის წინ რომ ინახულა.

— უფროსები სად დაიკარგნენ?

— უფროსი ავად არის, მოადგილე სადღაც წავიდა — ახლაც გარკვევით გაისმა ქალის ხმა.

— ვიცი, რითაც იქნება ავად! გადაეცით მოადგილეს, გააღვიძოს და მოიყვანოს! — ჩასძახა ყურმილს მშენებლობის უფროსმა და ტაჩენკოს მიუბრუნდა:

— გირჩევთ, თვითონ მონახოთ მოადგილე. ხელაძეს კი მე თვითონ მოველაპარაკები, თუ მასალების მიღება ჩაშალა!

ტაჩენკომ მისაღებ ოთახში დატოვებული ჯოხი მოიმარჯვა და წინ წახრილი წავიდა.

შენობიდან გასული ტაჩენკო სიბნელეში მიაბიჯებდა, ჯოხს იშველიებდა. მიაჩახუნებდა გზაში დაყრილ ქვიშაზე, ალაგ-ალაგ კოჭებამდე ეფლობოდა. გზადაგზა დატვირთული საბარგო ავტომობილები ხვდებოდა. შორიდანვე მონათვებდნენ, თვალებს უბრჭყვიალებდნენ, მერე კი გუზგუზითა და ჯაყჯაკით ჩაივლიდნენ. სუნითაც კი გრძნობდა ტაჩენკო, რომ ირგვლივ მტერის უსაშველო ბული იდგა. გზას ძლივს-ლა აკვლევდა ჩამოწოლილ სიბნელეში, ფეხით სინჯავდა გატყეპნილ ქვიშას. გაივლიდა თუ არა რამდენიმე ნაბიჯს,

თითქოს თვალისჩინი დაუბრუნდაო, გზის საერთო კონტურებს დაინახავდა და ნაბიჯს მართავდა, გუფროსად მიდიოდა.

შორს, აქა-იქ, პეპლებივით ფრთხილებდნენ ლომიციხის დროებიანი ელსადგურის ნათურები.

ტაჩენკომ ცის სიღრმეში გადაკარგულ ვარსკვლავებსაც შეავლო თვალი და გაიფიქრა: «უკველგან ერთია. ბავშვობაშიც ამ სურათს ვხედავდი. სად ხარ, ჩემო სოფელო, ახლა გაჩირაღდებულ გემივით რომ მოჩანხარ უკრაინის უსასრულო ველების ოკეანეში?» და მას გული შეეკუმშა. შობლები, და-ძმები, ნათესალები, სოფლის პატარა ამხანაგები... მათი ქვივილი და კივილი, თითქოს ახლაც შემოესმა ტაჩენკოს... რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რამდენმა ნიაღვარმა ჩაიარა ამ მიწის პირზე და რამდენი ადამიანის სიცოცხლე წაღეს! პარტიზანი მამა სამოქალაქო ომში იმსხვერპლა, დედა, ორი ძმა და ერთი და სამამულო ომის ცეცხლმოდებულმა ზვირთებმა წაიღო, ჩაიტანა მიწაში. ახლა რა მოაშუშებს გულის ამ სატკივარს? მამ, ამ ქვეყნად იარე, ტაჩენკო, გულში სამუდამოდ ჩატოვებული ტკივილით. სამახსოვროდ საყვარელი ადამიანებიდან ესლა შეგრაბა და ვერ შეეღვივო.

აგერ, ტაჩენკო მიწაზე განრთხმულ რკინიგზის სადგურს მიუახლოვდა.

სადგურის ბაქანზე ხალხის ხმაური შემოესმა.

მიმავალი და ახლადჩამოსული ხალხი ერთმანეთში არეულიყო. მამაკაცთა ბოხ ხმებს ქალთა წვიტიანიც ერთოდა. ზოგჯერაც ბავშვების ქვივილიც ისმოდა საერთო ჩოჩოლში.

ტაჩენკომ სადგურის ბაქანი აათვალიათვალიერა და რადგან ვერ იპოვნის, ვისაც ეძებდა, მორიგის პატარა ოთახის კარი ჯოხით შეაღო.

— რას ამბობ? როდის იქნება მემანქანე? — შემოესმა ტაჩენკოს. ტაჩენკომ იცნო: ეს ივანე იყო, ხელაძის მოადგილე.

მორიგე მაგიდაზე დაებჯინა ხელებით

და ხმის ამოუღებელი ივანეს მისჩერებოდა.

სახეაპილილებულ ივანეს კი უფრო წასწვეტებოდა ისედაც წამწვეტებული ცხერი.

— იქნება, გეუბნები, იქნება! — ხმა ამოიღო ბოლოს მორიგე.

— რანაირად და როგორ იქნება, ვაგონები თავის ფეხით სეირნობას დაიწყებენ, თუ რასა ჰგავს ეს! — არ ისვენებდა ივანე და ფეხზე შემდგარ რევოლვერით მომარჯვებულ თითს მორიგეს უმიზნებდა.

— იქნება, გეუბნები და რალა გინდა! — იმეორებდა სადგურის მორიგე.

— როდის იქნება, როცა მშენებლობა შეგვიჩერდება? — ისე დაიყვირა ვაცეცხლებულმა ტკაჩენკომ და იატაკზე ჯოხიც ისე მაგრად დაარტყა, რომ შეფუცხუნებული მორიგე წამოდგა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? როგორ ყაჩაღებით მომადექით ამ უკუნ დამეში, რა გუბავთ ჩემგან!

— დამეში კი არა, ჯოჯოხეთშიაც რომ ჩაძვრეთ, ვაგონებს სადგურში ვერ დაგიტოვებთ! ახლაც ჩაგვაპარეთ, თორემ მერე გვიან იქნება, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე! — უფრო მრისხანედ დაიყვირა ტკაჩენკომ და წვრილი თვალები თითქოს გულში გაუყარა მორიგეს.

— მოიცათ, გავსინჯავ, — დაყბულდა, როგორც იქნა, მორიგე და ტელეფონის მილი აიღო, — ვინ არის მანდ? ერთი მემანქანე მჭირდება... სძინავს? რა დროს ძილია, ქვეყანა ინგრევა, თქვენ სიზმარში ხართ? გააღვიძეთ ახლაც, სასწრაფოდ, ჩქარა, თორემ სადგურს ცეცხლი გაუჩნდება და შიგ ჩავიწვებით! — უკვე თვითონაც თავი გამოიღო მორიგემ და მილი დაავლო, — შე თვითონ წავალ და შე დღეს დავაყრი! — თავი გამოიღო ბოლოს მან და გარეთ გაიქრა.

ტკაჩენკომ იფიქრა, თვლიდან თუ დავკარგე, შესაძლოა, ვეღარც ვიპოვნო და უკან გამოუდგა.

გულმოცემული ივანეც ტკაჩენკოს აედევნა ცუნცრუქით, თანაც ძიხბდა:

— ჰე, ეს ოჯახკეტიანები! გააგონილა ამისთანა საქმე!

ჯოხმომარჯვებული ტკაჩენკო, მინამ არ მოეშვა ჯერ მორიგეს, მერე მემანქანეს, სანამ სამი, მასალით დატვირთული ვაგონი არ გარეკა მშენებლობის მოედნისაკენ. ბოლოს ივანეს მიუბრუნდა:

— აგრე ააშენებთ თქვენ სახელმწიფოს?.. წადი ახლა და თვითონ ხელაქე მიჰკვარე მშენებლობის უფროსს. თუ მოკვდა, საკაცზე დადეთ და ისე წაიღეთ!

— რას ამბობ, ხელაქეს რა გააღვიძებს ახლა, ზარბაზანი რომ დაუცალო ყურის ძირში, ფეხსაც არ გაანძრევს. მაგის წელი მაქვს ახლა მე? — აქაქანდა ივანე, მაგრამ სამშენებლო მოედნისაკენ წასულ ტკაჩენკოს მისი ქაქანი აღარ ესმოდა.

— ფუ! — შეიგინა ივანემ და ადგილიდან დაიძრა. — ნეტავი ვის უჩივი ამ სიბნელეში? — ეკითხებოდა თავისთავს გზადაგზა, — კაცი აქ არა ჩანს და ეშმაკები! თუ გინდოდეს ჰკირიო, ეს არაა? რალა ექნა ახლა? რალა წყალში ჩავვარდე? რალა ვუყო მაც შეჩვენებულს?

საგონებელში ჩავარდნილმა ივანემ აღარ იცოდა, საით წასულიყო, რა ეკეთებინა, რა ხერხი ესმარა, რომ ხელაქე მიეყვანა მშენებლობის უფროსთან, თანაც ეს სპილო, როგორც თვითონ ეძახდა ზოლმე ხელაქეს, ეცოდებოდა, — არ უნდოდა რაიმე ხიფათს გადაპყროდა. იმავე გზით წავიდა, რამდენიმე წუთის წინ სადგურში მიმავალმა ტკაჩენკომ რომ გამოიარა. წინ გადახრალი მიდიოდა. გრილოდა, მაგრამ სახეზე სიმწრის ოფლი ჩამოსდიოდა, ცხვირიდანაც წვეთავდა ოფლი, მაგრამ მოწმენდაც ვერ მოეფიქრებინა, რადგან ამაზე უფრო სხვა სატიკვარი აწუხებდა. ივანეს თავისი თავი სინდისიერ კაცად მიაჩნდა. ამიტომ არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ხელაქისათვის, იმ კაცისათვის, ვინც თვითონ ივანე სამსახურში მიიღო და მცირე ხნის შემდეგ თავის მოადგილედ დანიშნა, ნდობით აღჭურვა, ყველა თავისი გასაღები მას ჩააბარა. ამის მოგონებამ უფ-

რო შეაშფოთა ივანე და ჯიბეში ხელაძის მოცემული გასაღებები მოსინჯა. ვერ გადაეწყვიტა, სად მისულიყო პირველად, ხელაძესთან თუ სამმართველოში. ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი რომ გადაეწყვიტა, გზიდან გადაუხვია და მომალლო ადგილას, ბუჩქთან, მოლზე დაეშვა. ცხვირსახოცი თფლიც მოიწმინდა. სახეზე გრილმა ნიაგმა რომ დაუბერა, სული მოიბრუნა და მოლზე პირაღმა გაწვა.

აი, რამდენი ათასი ვარსკვლავი ციმციმებს ცაში და ამ ვეებერთელა მოვლენებთან განა ხელაძის ამბავი მოსაგონია? ჰოდა, ამ უმნიშვნელო ამბავს ნეტავი გურამიც დაივიწყებდეს. „აი, ეს მესმის, მაგრამ არა, სამწუხაროა, რომ გურამს არაფერი ავიწყდება. არც კარგი, არც ცუდი“... ეინ იცის, იქნებ გურამიც რომ აქ ყოფილიყო, პირაღმა წამოწოლილი, და დაენახა ცის სასწაული, ხელაძის სახელიც დაავიწყდებოდა, მაგრამ არა, ეს ოცნებაა, ხელაძის საქმე კი სინამდვილეა. ირგვლივ კრიჭინების გაბმული კრიალი შემოესმა ივანეს და გაინება: „ო, რა სიმშვიდეა, კალიებო, თქვენს ქვეყანაში!“ — გაიფიქრა და შეეხარბა კალიების უდარდელი, მშვიდი ცხოვრება.

უეცრად ბუჩქნარში ფაჩაფუჩი გაისმა, ივანე შეცბა, ყური დაუგდო, უნდოდა გაეგო, რა მოძრაობდა ბუჩქნარში. ამ დროს რაღაც თავზე გადაახტა და ცხვირი დაუსველა. ივანე მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო და შეუკურთხა: „დაწყველოს ღმერთმა! გომბეშოსაც გაუგია, რომ გრძელი ცხვირი მაქვს და ზედ შარბათს მასხამს“. მაშ რა უნდა გააკეთოს, რა გზას დაადგეს? სჯობს სამმართველოში მივიდეს პირველად. იქნებ საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ეს ტკაჩენკომ წარმოუდგინა. დიახ, აგრე სჯობს, ჯერ სამმართველოში! და ივანე გაუდგა გზას.

ტენიკური მომარაგების განყოფილებაში სათვალეებიანი ქალი დაუხვდა.

— ვენერა, რა იცი ახალი? — ფრთხილად ჰკითხა ივანემ ქალს და კართან

შეჩერდა. ვენერას რომ მისჩერებოდა, თვალებს უცნაურად ახამხამებდა, თითქოს ამით ვენერასათვის უნდოდა ენებებინა, ცუდი არაფერი მითხრაო.

— ეს შენა ხარ? მშენებლობის უფროსმა დარეკა, ხელაძე ააყენოს და მომიყვანოსო, — უთხრა ვენერამ და სათვალე მოიხსნა.

ამ სიტყვებზე ივანემ უეცრად შეაჩერა თვალების ხამხამი და მხრები ჩამოუშვა. იფიქრა სულ ერთია, ვენერა ამაზე ცუდს ვერაფერს მეტყვისო და ხმას აუწია:

— რაღა ვენა, ვენერა? იმ შეჩვევებულს რა გააღვიძებს? იქნებ შენ მოიფიქრო და მასწავლო რამე?

— რა სწავლება გინდა. ვინმე იშოვე, მდიდრად ხელაძესთან, ანჯღრით, ასხით წყალი და გაიღვიძებს. კიდევ გამოფხიზლდება და ჭკუაზე მოვა.

— ჩემი მტერია, იმას არაფერმა უშველოს! არ ვიცი თუ? ვაი შენს ივანეს, ჩემო ვენერა!

„ამ კაცს ცხვირი გრძელი აქვს და ჭკუა მოკლე. თუ ყველაფერი იცოდა, ჩემთან რაღას მობრბოდა?“ — გაიფიქრა ვენერამ. სათვალე გაიკეთა და თავისი საქმე განაგრძო. ზოგჯერ საანგარიშოსაც ჩაუკაკუნებდა ხოლმე და საარკმელზე მომდგარ სიბნელეს გახედავდა.

*
*
*

ხელაძის ბინაზე მისული ივანე ჩაძინებულ უფროსს დასჩერებოდა. ისე ხროტინებდა ხელაძე, თითქოს ესაა დილჩივებო, მაგრამ ხროტინი მოხშირებული ქშენით რომ შეეცვლებოდა, მაშინ ბოდვასაც კი დაიწყებდა და ივანე ოდნავ მშვიდდებოდა ხელაძის მაგიერ.

ივანეს უკვირდა, როგორი ვასაოცარი წესრიგით ცვლიდა ერთმანეთს ჩაძინებული ხელაძის ბოდვა, ქოშინი და ხროტინი. „სიტხიზღეში რომ ასე მოწესრიგებული იყოს ეს შეჩვევებული, რაღა გეიჭირაო,“ — გაიფიქრა ივანემ. „დალიე და დამილიე... არ შემარცხენო,

ბოშო... ვაქაცო არა ხარ?.. დამძინე, ივანე...“ — ბოდავდა ხელაძე.

„ეს შეჩვენებული ძილშიაც რომ ძილს მთხოვს, რაღა გააღვიძებს?“ გაიფიქრა ივანემ, მაგრამ იმ იმედით, რომ როგორმე მაინც გააღვიძებდა, ხელაძეს ჩასძახა: — გაიღვიძე, შე შეჩვენებულო, კაცი არა ხარ?

ახლა მხრებში ჩაავლო ხელები, მოსწია. რადგან ხელაძეზე ამ ღონისძიებამ არავითარი გავლენა არ მოახდინა, წყლით სავსე დოქი აიღო და სანამ სულ არ გამოიცალა, ასხა და ასხა კისერში მძინარეს. „წყალში კი არა, ღვინოში, ბოშო“ — ისევ აბოდებდა ხელაძეს.

„ახლა ღვინოც არ მომთხოვა მაგ შეჩვენებულმა!“ — წამოიძახა ივანემ, ხელი ჩაიჭნია და ლასლასით გარეთ გამოვიდა.

„ახლა საქმე ის არის, რა ამბავი მოუტანა მშენებლობის უფროსს!“ ფიქრობდა ისევ ტრესტის სამმართველოსაკენ წასული ივანე. „სიძმართლე ვუთხრა? არა, შეუძლებელია! თუ მოხსნეს, ხსეთ საფარს ვეღარ ვიშოვნე. როცა საქმე ფუჭდება და საფრთხეში ვარ, ამოდენა სპილოს ზურგს უკან ვდგები და აღარ მოეჩანვარ“.

სამიოდე წუთის შემდეგ ივანე მშენებლობის უფროსთან გაჩნდა.

— ხელაძე სადღაა? — მიაგება გურამმა კაბინეტში შესულ ივანეს.

— შოგახსენებთ, ამხანაგო გურამ... ცუდადაა, სიცხე აქვს და აბოდებს.

— თქვენ ის მითხარით, როდის არ აბოდებს?

— არ ვიცი.. საქმეები კი მოგვარებულია, ბატონო.

გაციცხლებული გურამი უეცრად მოლბა:

— ვიცი, რაც არის... მაგრამ წადი, იქნებ მართლა ავადაა და მიეშველე. — თუმცა დარწმუნებული არ იყო ხელაძის ავადმყოფობაში, მაინც გადაწყვეტილ თქვა გურამმა.

— ახლავე, ბატონო, აღარ დაეყოვნებ, — წამოიძახა გაბარებულმა ივანემ და კაბინეტი დატოვა.

„ახლავე ბატონო“, — იმეორებდა დერეფანში ივანე და თავქუდმოდგოდა მისწრაფვოდა ხელაძისაკენ.

ივანეს ძახილი — „ახლავე ბატონო“ ირინესაც კი შემოესმა. „უცნაური კაცია ივანე ქერქაძე. სულ მუდამ შეშინებულია და დღვეთებული“, — გაიფიქრა მან.



ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა.

თამაზი მარტო მიდიოდა შინ. ღომციხის მიდამოებში სიწყნარე იყო. აქა-იქ იშვიათად თუ გაიღვივებდა ავტომატების ვეებერთელა თვალების შუქი. გრილოდა. თბილისის მხრიდან უბეკრავდა ნიავი და ამ ნიავს თითქოს მოჰქონდა ის ყველაფერი, რაც თამაზმა ამ რამდენიმე დღის წინ იქ განიცადა. აღარ უნდოდა ეფიქრნა იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ ის უძლური იყო. მტანჯველი ფიქრები მისდა დაუკითხავად ეჭრებოდნენ სულსა და გულში... არაფერი იცოდა, როგორ დასრულდა თამარის ამბავი. ის ხომ ლოგინად ჩავარდნილი დატოვა თბილისში.

არაფერი იცოდა, რა იყო მიზეზი კატასტროფისა, რა ამბები დატრიალდა თამარისა და მისი რჩეულის, ისიდორეს შორის ამ ბოლო დროს. დიახ, არაფერი იცოდა და თითქოს არც უნდოდა სცოდნოდა, მაგრამ მაინც უნებლიეთ ამაზე ფიქრობდა. ამიტომ ჩერდებოდა, გაიზნებოდა ხოლმე მტკვრისაკენ, საიდანაც ამ დაუღეგარი მდინარის განუწყვეტელი მზუღი ესმოდა. ბნელი, მაგრამ მშვიდი ღამე იყო. თითქოს მიწაც კი ისვენებდა და მტკვარი რომ მზუღი, ეს თითქოს მიწა სუნთქავდა, მაგრამ თამაზის სული ვერ ისვენებდა, იგივე, დამსხვრეული სიყვარულის მწვევე გრძნობა არ ასვენებდა. სად არ ატარებდა სამამულო ომის ფრონტებზე, თბილისში თუ სოფელში. ასე, ერთსა და იმავე საგნის გარშემო ტრიალებდა მისი ფიქრები, თუმცა ამ ფიქრებს უკვე აღარ ახდა პირვანდელი ალი.

სახლს მიადგო. აივანზე ავიდა. ახლა

შეამჩნია, რომ მისი ოთახის წინ, სიბნელეში ვიღაცა იდგა.

— შაქრო ვარ! გელოდი! — მოესმა თამაზს.

— აა, შაქრო, მობრძანდით! — წამოიძახა ოდნავ შეშკრთალმა, კარი გააღო და სტუმარს ოთახში შეუძღვა. სინათლე აანთო. სტუმარს სკამი, დაუდგა.

— იცით, რა, — ცოტა ხნის დუმლის შემდეგ დაიწყო მან, — მინდოდა თქვენი ჩქაროსნული მშენებლობის გეგმა გამეცნო.

— ალბათ მიმიხვდით, აქ რაზე მოვედი, უთხრა შაქრომ და ნიკაპზე მოისვა ფრთხილად ხელი. მერე საქალაღე გახსნა, თამაზს რაღაც უხერხულად გადახედა და ჩაახველა.

— დაიწყეთ, შაქრო, ზოგჯერ ფუჭი ოცნებაც გვეპატიება, — გაამხნევა თამაზმა.

შაქრომ მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი ახსნა-განმარტების კითხვა დაიწყო. რომ დაასრულა, თამაზს გადასცა. მერე დაუმატა:

— აქ მთავარია მშენებლობის ორგანიზაცია. ამას ემატება საშენი მასალების წინასწარი დამზადება და მოზიდვა, რომ მშენებლობა სწრაფი ტემპით წავიდეს.

თამაზმა შაქროს წერილობითი ახსნა-განმარტება ისევ გადაიკითხა. სარკმელთან შეჩერდა, სიბნელეს გახედა.

შაქრო აღარაფერს ეკითხებოდა, თუმცა თამაზს თვალმოუშორებლივ შესცქეროდა.

თამაზი დუმდა.

ახლა ამ სახლშიაც სიწყინარე იყო.

— იცი რა, შაქრო, ბევრი რამ კარგადაა მოფიქრებული, მაგრამ რაღაც აქლია, — შაქროსაკენ არც მობრუნებულა, ისე წარმოთქვა თამაზმა.

შაქრომ მხოლოდ ახლა მოწყვიტა თვალის სარკმელთან მდგარ ამხანაგს.

— სახელდობრ, რა?

პასუხის მაგიერ, თამაზი დაჯდა ქალღიმილი აიღო, ფანქარი მოიმარჯვა და წერა დაიწყო.

შაქრო ისევ თვალდაცეცებით აცქერებოდა.

თამაზი წერას განაგრძობდა. მალე დაასრულა და ნაწერი შაქროს წინ დაუდო.

— ეცადეთ ამ მიმართულებით და იქნებ ჩანაფიქრი უფრო სრულყოფილი გახადოთ. გააჩნია როგორ, რანაირად დამზადდება თვით საღმშენებლო მასალა. ამასთან ერთად, რაც მთავარია, უნდა მოეწყოს არა მარტო ჩქაროსნული, არამედ ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მშენებლობა. ეს, ჩემი აზრით, იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ერთსა და იმავე დროს წარმოებდეს რამდენიმე სახლის მშენებლობა: ერთს რომ საფუძველს უყრიან და კედლები ამოკყავთ, მეორეს ხურავდნენ, მესამეში აგებდნენ იატაკს, უკეთებდნენ კერს, კარფანჯარებს, მეოთხეს ლესავდნენ. ამით დიდ ეკონომიას მივიღებთ და, სხვა არა იყოს ისიც სათქმელია, ყველა პროფესიის მუშას საქმე ექნება და ერთი საათითაც კი არ გაცდება.

შაქრომ მიწოდებულ ქალღიმილს დასცა ხელი და სულმოუთქმელად გადაიკითხა.

— იცი რა, თამაზ, — უკვე როგორც უახლოეს მეგობარს, უთხრა შაქრომ, ახლა დავრწმუნდი, რომ ამ პრობლემაზე შენც გიფიქრია... ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

შაქრო წავიდა.

აივანზე გამოსული თამაზი თითქოს თავისავე ფიქრებს მიჰყვებოდა, იატაკზე ფეხს ფრთხილად ადგამდა, დადიოდა, ადამიანის ხმა არსაიდან ესმოდა, მხოლოდ ნიავის ჩურჩულს უსმენდა...

არსოზა გაქანიშვილი



სამამულე რძა

რომანი

ნაწილი პირველი

ხარის ქალი

1. ტიზე

შორს, სოფლის ბოლოს, გვალვისაგან დახეთქილ მიწაზე, თიბათვის ხორაშაყით შეკრულ ჰაერში, შავი წერტილივით გამოჩნდა რალაც და მიიშალა. ირგვლივ ძე-სულიერი არ ჰქანებდა. დამშრალ წუმბეში სიციხით გაოგნებული კამეჩი იწვა და ხანჯალივით ვადმოვდებული ენით გააბედებულ ლაშებს ილოკდა.

შუადღის სიჩუმე იდგა. გლეხკაცს ალონიდან ემუშავა და ახლა ისვენებდა. ზოგი სადილობდა, ზოგსაც, გულგაღეღილს, კაკლის ჩრდილში ეძინა. შარაგზაზე არავინ ჩანდა. სოფლის მათხოვარი სადღაც დაკარგულიყო. მეჭვებე ლეკებსაც ქვების ძირივით ამოეკალათ თავიანთი გზა-კვალი. ბავშვების ყრია-მული მიმწყდარიყო. თავისივე თავის გამოსაჭიზნებლად, ან აბეზარი ბუზების მოსაგერიებლად ათასში ერთხელ ძალდი თუ დაიყვებდა. დედამიწას სარქველივით ეხურა ცეცხლის უჩინარი ბული. სუნთქვა იხუთებოდა. ყანა ნაადრევად ჩამხმარიყო და მხატე, უძღები თავთავები კალიის შეხებაზეც ტკაცუნებდა, ფშატავით იშლებოდა. ბალახი ბურბულმელასავით ჩაგრეხილიყო და რუც ძველ კრილობასავით ჩამშრალიყო.

გვალვას დაედუმებინა, მოედრიკა ფოლადივით მტკიცე გლეხკაცი. ბუნების წყალობაზე დანდობილს ხელი უიმედოდ ჩაეჭნია და ყელი გადაეგდო გამოსაჭრელად.

და აი, ამ სიჩუმეში, კარს მომდგარ უბედურებაში, დედაკაცებს აესხათ ფარ-ხმალი. მათ უნდოდათ, წვიმის ბატონ-პატრონისათვის, ილია წინასწარმეტყველისათვის შეევედრებინათ თავიანთი საწყალი თავი, ლაზარეზე დაეელოთ. ვინ იცის, იქნება როგორმე გაედრებულოყო, მგლისყბად გამეტებულ ქვეყანას რამე შეელებოდა.

სულ წინ მიმავალ ქალს გადაჯვარედინებულ ციცივისათვის ბავშვის კაბა ჩაეცმია, ტიკინა ლაზარესათვის დაემსგავსებინა, ორივე ხელით ჩაებლუჯა ჯადო და ნელა მოირწყოდა. დაკორმებულ, დახეთქილ შიშველ ფეხებს ფრთხილად ადგამდა კეცებად ქცეულ ბილიკზე. შავი, დახეული კაბა ბეჭებზე ოფლით გათეთრებოდა, მძიმე შრომისაგან ძუძუები ლავაშებივით გაბრტყელებოდა, კალოსებრ მოსწორებოდა თებობები. გაწეწილი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უდროოდ მოტეხილი სახე ჩაბნელებოდა, თვალები ორმოებად ქცეოდა. დედაკაცს დაეკარგა დედაკაცობა და მოდიოდა, როგორც შავი, უმთვარო ღამე. ლაზარე-ტიკინა ჩვილი ბავშვივით აეტატებინა და სასოებით დასცქეროდა, — სიცოცხლე უნდოდა, ღმერთამდე შეეძლო სიარული და, თუ მუხლი უმტყუნებდა, ფორთხვით წაეიდოდა, რომ ოჯახი თავზე არ დანგრეოდა, შიმშილს დედაბუდიანად არ ამოეწყვიტა.

— თებროლე! — დაუძახა ვილაკამ.

— რა გინდა, ჰა?

ლაზარე ვადიდოთ, ჰა?

— ვიკენესოთ, შევტიროთ წმინდა ილიას, — გაეძრახა კუშტად თებროლე, რომელსაც ექვსი ქალი მოსდევდა. ტანთ კონკები ეცვათ, შიშველი ფეხები წვივებამდე დამტვერილათ. ზოგ მათგანს მხარზე ცარიელი ტომარა გადაეჯდო. ისინი გალობდნენ, ევედრებოდნენ წვიმის მომყვან წმინდა ილიას, ესვეწებოდნენ ცასა და გამჩენს, როგორმე გაევედრებინა და სიციხით დაოსებული ქვეყნისათვის გული მოებრუნებინა.

დედაკაცებმა ფერდობზე აივაცეს და პირველი მოსახლის კართან დაბაღმა, ჩაგოდრებულმა ქალმა წვრილი ხმით წამოიწყო:

ლაზარ მოგვა კარებსო, ლაზარ ბატონო!
 აბრიალებს თვალებსო, ლაზარ ბატონო!

დანარჩენებმაც დაღლილი, ეღარუნა ხმები შეუერთეს და დახუთულ ჰაერში ზარივით გაისმა:

ცხალი აგორებულო, ლაზარ ბატონო!
 წვიმა გაქჩარბულო, ლაზარ ბატონო!
 ღმერთო დაგვანა, დაგვანა, ლაზარ ბატონო!
 მარგალიტის წვიმითაო, ლაზარ ბატონო!

თებროლეს, როგორც მოთავეს, არ ერგებოდა გალობა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და სეტყვასავით მიაყარა:

აღარ გვინდა გორიზო, ლაზარ ბატონო!
 ახლა მოვევ ტალახით, ლაზარ ბატონო!

ქალების კენესაზე სახლის პატრონმა გამოიხედა, თავი გაიქნ-გამოიქნია, მუხლებზე ხელი დაიკრა და შინ შებრუნდა. ცოტახნის შემდეგ ნიტრით წყალი გამოიტანა, თებროლეს ტუჩინას გადაასხა, მერე ქალები გაწუწა და ზედ ევედრებაც მიაყოლა:

— ღმერთმა ინებოს და ლაზარეზე დავლამ გვიშველოს! ვიღუპებით გენაცვა!

დედაკაცებს საჭორაოდ ყბები დამშეოდათ და ჩამოსხდიმას აპირებდნენ. თებროლემ მგალობლები კაბის კალთა-

სავით აყეცა და ახლა სხვა მენობლები-საკენ გაუძღვა.

მარკენესო!

«ლაზარეზე გამოსულანო» მარკენესო მენობელი მენობელს და ეს საკმარისი იყო, რომ ყველას თადარიგი დაეკირა. ლაზარეზე დამვლელებს აღათისამებრ დახვედროდა — წყლით გაეწუწა, დაეხორაგებინა...

სოფელი ახმურდა:

— ლაზარეზე მოდიანო!

ამ ერთმა შეძახილმა სწრაფად შემოირბინა ყველა ეზო-ყურე და ორლობე, შედედდა და იმედის სხივივით დაადგა სოფელს თავზე.

— ვინ არი, ლაზარე რო მოაქვს, ჰა?

— თებროლეა, ჩვენი თებროლე!

— ხარებას ცოლი, ჰა!

— აი იხაროს მაგ მზესავემ. გამარჯე დედაკაცია.

— ეგრე, ეგრე, თებრო... შენ წვიმა მოიყვა და საშობაო ლეჩაქი ჩემზე იყოს!

თებროლეს თითქოს არც კი ესმის მათი ხორბოცი, მძიმე ნაბიჯით მიდის წინ. მგალობლები ტირიან, ლაზარე სველდება და ქალები იღუმპებიან. ზოგი ხელადით მოარბენინებს წყალს, ზოგი დოქით და ზოგიც თუნგით. ერთმა კოკაც კი გაიმეტა, — ყველა გამოუკლებლივ წუწავს ლაზარეზე დამვლელს და ცარიელი ტომრები ხორავით ივსება: კვერცხი, ჯამით ფქვილი, ვარიები, ვისაც რა შეუძლია, იშვებებს, რომ თებროლესა და მისი მგალობლების ლოცვა-ვედრება შეისმინოს ლაზარ-ბატონმა და გაავდარდეს.

სად არი, სად არა — ღობეზე ბავშვები გამოქუჩდებიან. მხედაკრულ ყვინჩილებივით დაბორიანებენ, უფროსებს ბაძავენ, ვიღაცას ესვეწებებიან და ჰაერში მოუსვენარი ხმები ირევა:

— განა რუ სულ დაშრებაო.

— მამილომა თქვა, გაავდარდებაო.

— თუ აგრე იქნება, დაეხოცებთო.

— ბაღლებს მგლები დასკამენო...

ლაზარეზე დამვლელებმა დაიარეს ვარდიანის ყველა უბანი: მგლისპირი, უძეო, ბოლგამწყდარი და ბოლოს, აქა-

იქ, გუბეებად დამდგარ ლელიანში გავიდნენ. აი, მეზობელი სახლიდან გუთანიც გამოათრიეს, ტაბიკები შეუსწორეს და ქალები უღელში შეებნენ. ვალოზით, ვედრებით, გუთანი გუბეში დაასველეს, თვითონაც დასველდნენ და გზა განაგრძეს.

გლეხები მოწიწებით იხდიდნენ თუშურ ქულებს, იჩოქებდნენ, პირგვარს იწერდნენ, დახეთქილი ტუჩებით ჩურჩულებდნენ:

— ღმერთო, მოგვხედე! ღმერთო, ნუ დაგვლუპავ!

— წმინდაო მარიამ, შენი ხვედრია ეს ქვეყანა და გვიპატრონე!

• — ღმერთო, ნამი დაგვანახე!

— გაავდარდი და ბატკანს დაგიკლავ.

— ძროხას...

— მე დაგვეკლვიანები.

ყველაფრისთვის მზად არიან, ოღონდ ვენახებს რამე ეშველოს, შიმშილმა ყველა არ ამოხოცოს. ისინი ისე შეუწყუხებია მწარე მომავალს, რომ მკათათვის ყანასავით ვაფიცებულან, საკმარისია ერთი ნაპერწკალი და ქიკოკონასავით აბრიალდებიან.

ქალი დარდს სიტყვაში ღეკავს, მოჩივილში აპატარაევებს. კაცი რამდენ სიტყვასაც იტყვის თავის გაკირვებაზე, იმდენჯერ ჩასწყვდება გული.

მუხლებზე დამხობილი თავბედს იწყველიან. მერე წამოდგებიან, ჩოხის კალთებს ჩაიბერტყავენ და ჩუმად, დასაკლავ ხარებივით გასწევენ შინისაკენ.

სამხრობა იყო, თებროლე რომ შინ მობრუნდა... მთელი დღის სიპრულით დაღლილი მუხლებში საშინელ სისუსტესა გრძნობდა.

ეზოში, კაკლის ქვეშ ჩამოჯდა, თავსაფრის ყურები შეიხსნა, კეფაზე გადაიკრიფა, ვაოფლილი ყვრიმალეები თბილ ნიავს მიუშვირა.

კარგახანს იჯდა გარინდებული. გონებაში უიასავით შესჯდომოდა საფიქრებელი, მოუსვენრად ფუთფუთებდა, განზე გახედვის ნებას არ აძლევდა. თებ-

როლე მთელ სხეულში ისეთ უნიჭობას გრძნობდა, თითქოს უმძიმესი საქმე გეკეთებინოს. უკვირდა, ადრე არასდროს არ სტყენია მხრები. მთელი დღე ვაკეცივით გარჯილა და მუხლი არ ჩასწყვეტია. ოჯახმა მიაჩვია თებროლე დარდასა და გაკირვებას. გათხოვების დღიდან მოსვენება არ უნახავს. ყოველ მესამე წელს ორსულად იყო, მაგრამ შვილები არა რჩებოდა, პატარები ეხოცებოდა. ერთი ვაჟი გამოზარდა—ანანია—ოჯახის მემკვიდრე და მოხუცი ღელ-მამას იმედი. თითისსიგრძე გოგოცა ჰყავდა—თიკო. შვილების სიცოცხლით ცოცხლობდა, მათ მზეს შეზაროდა, მათ სახელს ფიცულობდა ღღენიდავ. რასაც აკეთებდა, წვალობდა, მუშაობდა—მათთვის უნდოდა. ლაზარობაც იმიტომ გაიტანა, რომ შვილებს არ დაკლებოდა ლეკვა, თორემ თავათ გინდა ცხენის კულზე გამოვებით და ჯოჯოხეთამდე ეთრიათ.

თებროლე ძილგამკრთალ კურდღელსა ჰგავდა. ცხოვრება მისთვის მშვიერ მგლად ქცეულიყო. იცოდა, თუ ერთს ჩაუჩოქებდა, კიდევ უნდა გამოსალმებოდა სამშრის. ამიტომ ყოველთვის ზამბარასავით დაჭიმული იყო, თავისი ქალობა მოზიდულ შვილდზე ჰქონდა დანდობილი და ერთ ბიძგს ელოდა, რომ ისარივით გაფრენილიყო.

თიკომ რა დაინახა დედა, ქუცივით აწივლდა და კაბის კალთაზე ჩამოეკიდა.

— მშია! — წიოდა თიკო.

— ახლავე გაქმევე, შვილო, შენ დაგენაცვლე.

ჯამში ქუმელს ზელს თებროლე, თიკოს აქმევეს, თვითონაც წაიხემსებს და ჯარასავით დატრიალდება. ეზოს დაგვის, საქათმეს გამოასუფთავებს, სალორეში წყალს შეიტანს. განჯიგინებს, სკიერებს, წალოებს ამოაქოთებს, მტვერსა და აბლაბუდას მკლავზე დაიხვევს. ფანჯარასთან ცერად დადგება, თავს მალულად შეითვალეირებს, აბრეშუმის ფოჩივით ჩამოკიდებულ ერთადერთ კაცს შეისწორებს. დალაგება-დასუფთავებას რომ მორჩება, თითისტარსა და ფთილე-

ბად შეკრულ მატყლს გამოიტანს, დირეზე ჩამოჯდება, წვრილი, მაგარი თითებით თითისტარს დააბზრიალებს, მატყლის დართვას დაიწყებს. თიკო შეპყურებს დედას... მასაც ბაწარი გამოუტანია, ჩხირზე დაუხვევია, წვალობს, ოფლი გადასდის და ვერ გაუვია, ჩხირი რატომ არ ტრიალებს.

მზე გადახრილა, ფოთლებიდან ოდნავი სივრილე ეშვება. მეზობელი ღობესთან მოდგება და დაიძახებს.

— შინა ხარ, ქა?

— მოდი, პელო, შინა ვარ.

პელო ფეხათრევით შემოდის. ილიაში მატყლი ამოუჩრია, თითისტარს პაერში ატრიალებს, მოდის და ართავს. სახეზე გამარჯვებულის იერი აქვს, თვალები უციმიციმებს, ქვეშ-ქვეშ იღიმება, აღბათ, ახალი ჭორი მოაქვს, სხვის რას უნდა გაეხარებინა ქალი! პელო თებროლეს გვერდით ჯდება და ღიმილის მიზეზს ამბობს.

— ქა, ახლა ოლა მელაპარაკა, რა მოსვლია იმათ რძალსა!

— რა? — ცნობისმოყვარეობა სძლევს თებროლესაც.

— ბიძაშვილი სტუმრებია, მარტო ყოფილა შინა. უფიქრია, ქათამს დავკლავ და მივართმევო. ბიჭისათვის ვარია დაუკვლევინებია, გაუპუტავს და მოუხარშავს. მოხარშული ვარია ისე გაბერია და გადიდებულა, რომ ინდაურს დამსგავსებია. ქალს თურმე უხაროდა, ბიძაშვილს დიდ ქათამს შევაქმევო. ქათამი მიურთმევია და სუფრას შემოსხლომიან. მოხარშულ ქათამს შიშინი დაუწყია, მერე „ბუჰ!“ დაუძახნია და გამსკდარა. შიგნეულობა სუფრას მოსდებია, სტუმარ-მასპინძელი გაუთხუპნავს...

— რას ამბობ, ქა? — უკერს თებროლეს.

— მაშა — ადასტურებს პელო.

ცოტა ხანს ჩუმად არიან. მერე პელო იგონებს, თვითონ სტუმარი რომ სწევია, ვის როგორ გამასპინძლებია, რა დაუკლავს, რა მიურთმევია. საოცარი მეხსიერების წყალობით, გლეხური

დაწერილმანებით სთვლის ვარია იყო თუ დედალი, ჭუკი თუ ინდაური... ასეთი გამასპინძლების შემდეგ, სამგვეროდ როცა თვითონ ესტუმრა, მავანი რით გაუმასპინძლდა... უცბად პელოს რაღაცა მოაგონდა, პირზე ხელი აიფარა, ჯერ მუქაში იხითხითა, მაგრამ თებროლემ რომ სიცილის მიზეზი არა ჰკითხა და ყურადღებაც არ მიაქცია, იკადრა და წამოიწყო.

— ლუას, შამშეს ბიჭსა, ცოლი რომ შეურთავს, ის ქალი სხვაზე დანიშნული ყოფილა და ცოტა ფეხბრილიც. საცოდავ ლუას ვერაფერი შეუტყვია, ქა! როცა ჰკითხეს, ამოდენა კაცმა ი პატარა გოგოს ვერა გაუგეო, უპასუხია: რა ვიცი, კნუტივით კი კრუსუნებდაო. კრუსუნი თუ შველის, მეც ავკრუსუნდები, გენაცვათ, მაგრამ წამყვანი ვინ არის.

— გაჩუმდი, დედაკაცო! — შეუტევეს თებროლე. — ეგ მურდალი ენა რით ვერ ამოიძრე.

— თორემ... შენა რომ ხარება გყავს...

— დაჩუმდი! — თებროლე არწივის ცხვირს შემოატრიალებს, განზე გააფურთხებს და თავისთვის იტყვის: — მაგ წუნკალ ლაპარაკს თავს არ ანებებ?! შენ რომ ქმარი გყოლოდა, ეგრე არ იტყოდი. ქმარი ჯერ შეიღების მამა და ოჯახის თავი. შენ კი... ფუი, დაგლახეროს ეშმაკმა, ყურები არ წამიმურტლე!

— რა იყო, ქა, ჯერ ეგეთი არა გავიგია რა?!

— დაჩუმდი-მეთქი!

პელო გაბუსული ზის. ენა კბილებით მოუკვნეტია. პირში თითქოს წყალი ჩაუგუბებია, ტრჩეზი დაუბერია, ლოყები მეზურნესავით დაღუბშტავს და შუბლი გამოუკუნთხავს. თებროლე რაღაცას მოსხლეტით შეეკითხება, პელო მოულოდნელობისაგან შეკრთება; თებროლე შეუღრენს, პელო ნაცემი ფინიასავით თავის მართლებასა და წკმუტუნს მოპყვება. მერე რიგდებაიან და თითისტარს გაჩქარებული აბზრიალებენ.

თიკოს ჩხირზე ბაწარი დაუხვევია, ქალებს პირლია შეპყურებს, ადგება, ოთხ-

ზე გაივლის და კვლავ სადმე ჩასკუბდება.

— ი ანანიას ცოლი არ უნდა შერთოთ? — კითხულობს პელო.

— რა დროს მაგისი ცოლია, დედაკაცო, ბაღლია ჯერ.

— რამდენი წლისაა?

— ჩვიდმეტისა.

— არა ყოფილა ბაღლი.

— ი, შენც ერთი!

— რა ვიცი, ბიჭი არ დაჩაგროთ-მეთქი. მამაჩემისაგან გამიგია, სიკვდილის შერთი, ნადრევი, ყველაფერი კარგიაო.

თებროლემ წარმოიდგინა, რომ უკვე რძალი ჰყავს, შვილიშვილიც და მატყუს მისი წინდების მოსაქსოვად ართავს. სახეზე სხივი ადგას, ილიმება. სიყვარულის ხსენებაზე შექვით ივსება, თვალები უცინის, ახალგაზრდობა აგონდება, გათხოვება, პირველი მუცლის ტკივილი... მერე გაბრტყელებულ ძუძუებს თითებს ჩამოუსვამს და შექვი ჩაუქრება; თვალები უღრმავდება, შუბლზე აბლაბუდა ეკრება, იღრუბლება.

ლობესთან ვიღაცა მოდგა.

— თებროლე! — დამაზაბა.

— ბატონო! — გაეხშიანა მასპინძელი.

— პური როდის დააკარ, ქა?

— გუშინ.

— ერთი-ორი მასესხე, ი გასაწყვეტმა ბაღლებმა გამხმარი პური არ გაიკარეს.

თებროლე ადგა, მარანში შევიდა, თაროზე გამწკრივებულ შოთებს თვალი გადაავლო, ყველაზე ყუასავსე ამოარჩა და მეზობელს გამოუტანა.

— ახალ თონემდე, ქა.

მეზობელი წავიდა. პელო აბუზღუნდა.

— მაგისმა გახარებამ და თავში ქვის ხეთქვამ, მაგის მგლის ლეკვებსა გამხმარი პური ღრძილებს დაუგლეჯდათ. ყველა როგორ ითხლიშება, ქა!

— შენ რა გინდა, შენი პური ხომ არ მიმიცია? — ეუშტად ესვრის თებროლე.

— ეგლა მაკლდა! მაგისთანა ალქაჯს პურს კი არა, შავ ქვას არ ვასესხებ.

ცეცხლი რა არი, საციქველში რა ჩასაგლებია, ჩემთვის ნაკვერჩხალიც არ გაუმეტებია, როცა ბუხარი აგონებდა ბული ჰქონია...

— მე ყოველთვის მიძლეც.

— შენი არ ვიცი, რა წამწამს უნაყავ. მე თვალში არ მოვდავარ თუ ვეპატარავები.

— მწარე ენის პატრონი ხარ და იმიტომ.

— მწარეცა ხარ და ნიორიც.

— აი, ახლაც, იკბინები.

— ფეხს ნუ წამკრავ და არ გიკბენ.

— გეჩვენება, პელო. აღარ იცი, ვის რას მოედავო. გაუთხოვარი ქალი თუ ატყდა, გარეთ მეზობლებს დაიუმძრახებს და შინ მუთაქებს დაუწყებს ცემასა.

— ჰოდა, სამართალია? მე არც ფერი მაკლდა და არც ხორცი... იგრე ვღვიოდი, როგორცა...

თებროლე თავს ირთობს, პელოს აღიზიანებს, მერე ღიმილს ეფარება. პელო ენას აბზრიალებს და ქვეყნის ამბავს ბაწარივით სწელავს.

— სოფელი ჩალით არი დახურული, თქვენ დაგენაცვლეთ. ზოგს ყველაფერი აქვს, ჩასაცმელ-დასახური, საქმელ-სახეთქი და ქმარიცა ჰყავს. მე არაფერი არა მაქვს, ნეკზე გადასახვევ ბაწარს ძლივს ვართავ, ვყიდი და იმითა ეცხოვრობ. რა დავაშავე, რომ ღმერთმა ერთი ამხანაგი, სიბერიყამს წყლისმომწოდებელი არ გამიჩინა...

თებროლე ხანდახან თავს აიღებს, ორლობეს გახედავს, ქმარ-შვილს ელის. პელო მუქვამი ხითხითებს, ალბათ ახალი ჭორი მოაგონდა, სხვა რა გაახარებდა ასე. თებროლე იმრიზება, მაგრამ მეზობელს ვერ შეაწყვეტინებს, უნდა მოუსმინოს, თანაც, ცოლვა გამკლავებულ სჯობია, თავათაც ქალია და არ აწყენს, ახალ ჭორს გემო გაუსინჯოს.

ხარება ალიონზე შევიდა ენახში და ჯერაც არ გამოსულიყო. მუშობა უძლომელი უყვარდა და ვაი მას, ვინც გაუამხანაგდებოდა: წელში გასწყვეტდა.

მგლის მუხლიც რომ ჰქონოდა — დასჯაზნადა. სოფელში ეს იცოდნენ და მასთან სამუშაოდ მუხის კენჭივით მაგარი ვაჟაკებმა მოდიოდნენ.

ხარებას სამოციხისათვის გადაებოჯებიანა, მაგრამ თავზე ქოჩორი ისევე ედგა, როგორც ნიშნობის ღამეს. მკლავები უღელვით მაგარი და ნამუშევარი ჰქონდა, აზიდული მკერდი წინ ლოდით გამოვარდნოდა. ჯანი მოსდევდა და გული ერჩოდა. ცხოვრებაში მხნესა და ხელმარჯვეს სოფელი ჰქვიან კაცადა სთვლიდა და თავის კირსა და ვარაშს ანდობდა.

ნაჯაფარს პურის საკმელად ჩაემუხლა, ბასა და ჯამბარა გვერდით მისხლოდნენ.

ბასა დაბალი, თავწერილი კაცი იყო. თვალებს ციყვივით მოუსვენრად ახამხამებდა, მხრებს ათამაშებდა და აქეთ-იქით დამნაშავესავით იყურებოდა. ჯამბარა მაღალი იყო და ყელყელა.

ანაზლად ბასამ ამოიკენესა და თქვა: — დალაზეროს ღმერთმა! არ იქნა და არ გაავდარდა. გული გადაშლია ლოდინით.

ხმაურზე ხარებამ წამოიწია, რიყის ქვასავით მძიმე თავი აიღო და ჯამბარას დააკერდა.

— საფლავის ნესტა ვერძნობ, — თქვა ხარებამ, — რატომღაც შემცივდა.

— მიწამ არ დაგცადოს, — წაიბურტყუნა ბასამ, — გვალვაა, მაგრამ ჩრდილქვეშ გრილა თითქოდა.

— დაცდილიცა ვართ და მოთხრილიც, — დაიბუხუნა ჯამბარამ, სკუპ-სკუპით მოჯირითე ბაყაყი დააფრთხო, ჯოხი გადაუქნია, ააცდინა, ინანა რომ ვერ მოკლა.

— ლაზარზე იყენენ დღეს დედაკაცები. თუ ღმერთი მოწყალეა და ჩვენი გოდება შეისმინა... რა გაშინებთ, დააკლავ ცხვრებივით რა ყურები ჩამოგიყრიათ? ვანა მართლა დავიღუპებით? — თქვა ხარებამ.

— გუშინწინ სიღნაღში ვიყავ, — ხელდაშვარივით ავიშვიშდა ბასა, —

მაბი უნდა მეყიდნა. ბაზარში გაყენა ცნობ მედღუქნესთან და ყურე მოგვალვილაც ქალაქელს რკინის კარბადან ჰქონია, თურმე თითს დააქერს და ზედ დაიწერება — ზვალ ან ზეგ რა იქნება, ქარი თუ ავდარი. იგეთი ყოფილარომა!

— დაპირა თითი, როცა შენ იქ იყავ? — ჯამბარას მკლავზე მწვანე კალია ჩამოკიდებულიყო, ძირს კოტრილით ჩავორდა.

— ჰო, მედღუქნემ მითხრა, ორ დღეში დიდი ავდარი იქნებაო.

— შენ მენახშირესავით ტყუილებითა ხარ მოთხუბნული. — დაეპტა ჯამბარა.

— ვინა, მენა?

ბასა მოკყვა ფიცს.

ხარებამ ჩაიზმუვლა, მკერდი სტვირის გულსავით გამობერა, წამოჯდა და შუბლზე ქოჩორი გამხმარ ჩალასავით ჩამოიშალა. ბასას ცერად გადახედა, აზომა, თეთრი კბილები გააეღვა.

— იქნება და, მართლა გაავდარდეს! იქნება და, არ დავიღუპით!

ბასას შეეშინდა, დაბატარავდა, ზღარბივით შეიკუმშა, თითქოს ხარებას ლაჯებქვეშ თავშესაფარს ეძებო. ჯამბარამ პირივით, მაღალი ყელი გაბერა, გოგრასავით გასიებული თავი გააქნია, გაუგებარი ჩაიღუღუნა და მოშორებით მჯდარი კვირიონი ჰაერში შეაგდო. ხარება უყურებდა, დაღლილი ლომივით ფაფარს იქოჩრიდა, თვალები უცინოდა, ტორებადქცეულ თითებით ბალას ბლუჯავდა და მკლავებზე კუნთებს ბურთებივით ათამაშებდა. თვალით ზომავდა მანძილს ცასა და მიწას შუა და ნანობდა, იქ აფრენა არ შეეძლო. რომ შესძლებოდა, ღმერთს ბროლივით შეეფშენებოდა, კბილებს ამოამტვრევდა. ხარებამ თითები დაკრუნჩხა და სამგირვანქიანი მუშტი მკერდზე დაიბაგუნა. მერე ჩუშად ამოიოხრა, გულა დაითრია, პირი შეხსნა და სუფრის გაშლა დაიწყო: შოთები დაამტვრია, ყველი დატეხა, შუშაკიტრი დაალაგა, ღვინო ჯამში ჩამოაშუქა, აავსო, ასწია და

— ამ ღვინოს მადლს გაუმარჯოს! — თქვა, — ამ ვაზებს გაუმარჯოს — ჩვენ შემნახავსა და მომვლელს. თუ არა ეგენი, ჩვენ რანი ვიქნებოდით? ეგ არის, რომ მუხლში ძალას გვაძლევს, მკლავში ჯანსა და გულში ხალისს. ვაზს მოვლა უნდა, ღვინოს — დაყენება, სადღეგრძელოს — გაგონება და შესმენა. ჩვენი ცრემლივით მართალსა და მგაბრ ღვინოს გაუმარჯოს!

ხარებამ ჯამი ასწია, ნამიანი უღვაშები გადაიწმინდა, ალავერდს გადავიდა და ლუქმას მისწვდა.

ბასამ ჯერ ღვინო დალია და მერე ჩაიქვიტქვიტა:

— აი, გაიხარე! კარგი ღვინოა.

სიტყვა კვივით მოიგდო ჯამბარამ ყბაში და ნელა დაუწყო ლექვა:

— ჰოდა, გაუმარჯოს! მაგისი წყალობით ჩვენ კაცად ვიხსენიებით. სირცხვილს ნუ გაეწითლებინოს ამ ვაზის ღვინო, ძალასა და ფერს გაეწითლებინოს... ჩვენ ჩაქცეულ სისხლს გაეწითლებინოს... ვინც დალიოს, დალოცოს მომყვანი და ერთი სადღეგრძელო მისიცა თქვას. ჰოდა, გაუმარჯოს!

— ჯამბარამ ჯამს დრუნჩი ვეშაპივით ჩაავლო და კინალამ კბილით დაკვიტა. პურს ისე ეძგერა, ლამის ყბები დაიხია.

ხარებამ ჯამი აავსო, პურის ნატეხი ღვინოში ჩაალბო, ქუთუთო ცრემლით დაასველა...

— ჩვენ ფესვებს, ჩვენ რომ ამოგვყარეს, და ყლორტებად გვაქციეს, ჩვენ საძირკველსა და ქვევრისძირს, ჩვენს სალოცველსა და ტბილად მოსაგონარ დედ-მამას გაუმარჯოს. თუ არა ისინი, ჩვენ ამ ქვეყანაზე არ ვიქნებოდით და არ დაეიტანებოდით. მათი ხსენება იყოს, ამინ!

ალავერდი ჯამბარამ მიიღო, თვალეზი ამოიქვიტა, ჯამი გამოწრუტა და შოშიასავით პირდაღებულ ბასას მოწყალეობასავით მიუგდო.

ხარება ყბებს დინჯად იქნევდა, ყუის ყუაზე ათავებდა, შუბლზე ნაოქებს იკრებდა, შლიდა. დაკვირვებით გაპყუ-

რებდა ვენახს, ცას, ალაზანს. ჯამი კდეც აავსო და ჩამოილოცა:

— თბილი კერა ყველასა ღვინოსა გააწყდარი უბანი ერთია ჩვენ სოფელში და ვილოცოთ, ისიც არ იყოს. კერის მაღალ ბოლს, დედაკაცის ერთგულებას, მის მადლიან ძებულს, ოჯახის შნოსა და ლაზათს, ქვასა და დულაბს გაუმარჯოს! ოჯახი ვადღეგრძელოთ.

ჯამი დაცალა, ალავერდს ოჯახიანთან გადავიდა.

ჯამბარას გული აუჩუყდა:

— ჩემს ობოლ შეილებს... უღვდაცო კერას...

ბასამ ჯამი ერთი ყლუპით ამოაშრო, უოჯახომ ისე იძუნწა, რომ ცალი სიტყვაც არა თქვა. ჯამბარას ეწყინა.

— ნებვის ქია ხარ! — უთხრა ბასას.

ჯამბარას ბუხუნით შემკრთალობა ბასამ პურის ლექვა დაიწყო და ლანძღვა გადაყლაპა.

ხარებამ ჯამბარა ერთი აზომა და აღგილზევე დასვა. არაფერი უთქვამს. იქვე დაგდებული კენჭი აიღო, ცერი დააკირა, დაფშენა. ჯამბარამ ბოლმა დაიოკა და ბასას გადახედა, განა ყოველთვის ხარება გიშველისო?

ჯამი გაავსეს. ხარებამ ვაზს ყლორტი წაატენა.

— ჩვენც ფესვები ვართ, განა! ჩვენ ყლორტებს — ჩვენ გოგო-ბიჭებს გაუმარჯოთ! ვინძლო დედ-მამა არ შეერცხვინოთ, სოფელი არ გაეწიბლებინოთ, ქვეყანაზე ნამუსიანად ევლოთ. ბიჭებისათვის უღვაში და გოგოებისათვის ლეჩაქი იმიტომ მიგვიცია, რომ წმინდად ატაროს, უღვაშზე არ დაეფურთხებინოთ და ლეჩაქი არ შეეგინებინოთ. შეილებს გაუმარჯოს!

ბასამ ჯამი გაავსო, კრიჭინასავით გაქიყელდა, რომ გამბარაზებულის გული მოეგო.

— შეილებსა, რომლებიც მე არა მყავს და თქვენა გყავთ. გაუმარჯოს შეილებსა.

ჯამბარა დაეამული იჯდა, იღრუბლებოდა, ცალი თვალით უყურებდა

თანამოსუფრეთ, დიდხანს, აუჩქარებლად სკამდა.

ბოლოს ნაჩვენები გუდაში ჩაყრიფეს, წამოიშალნენ.

— აბა, ბიჭებო! — თქვა ხარებამ, ბარს ხელი წამოაეღო და ვაზებში დინჯად გაალაჯა.

ხარება ქოჩორს იწეწავდა, შუბლზე ხელს ისევამდა, თითქოს რაღაცას იგონებს და ვერ მოუგონებიათ. ჩატეხილ ლობეს დბხედა, სახე შეეცვალა, წელიდან წალდი გაიძრო, ძეძვი აკაფა, ლობეს დააყარა, დატკენა. შეტრიალდა, ვენახს თავიდან ბოლომდე შემოუარა, ყველა კვალი ნახა, მტკავლით კვლების სიღრმე გასინჯა, სიღრმე და სიგრძე ერთმანეთს შეუფარდა, თვალთ ამოზომა რამდენი წყალი გაირბენდა კვლებში... კვლების სიღრმე და განი მოეწონა, გაიღიმა, უღვაშში ეღვამ გაკკრა. ხეზე მიყუდებული ბარი აიღო, ჩაიშახლა, ბარსაკვეთით პირი აუღესა. ცერით ფხა გაუსინჯა. არ მოეწონა. ბარსაკვეთი დაუტრიალა, გაახურა, გააკრიალა. ბარის პირი ამოთეთრდა და წამახვილდა. ფხა კვლავ მოუსინჯა: ეამა. კბილი კბილს დაჰკირა, ყვრიშალები გამოხერა. რალაც წაილაპარაკა, ერთი აქნევით აღგა, ბარი ხეზე მიაყუდა, მიმოიხედა. სიცხეს ეკლო, მიწა ნამხურვალზე თონესავით ნელდებოდა. ხეების ჩრდილები დაგრძელებულიყო. ხარება სდუმდა. ფიქრობდა: «ვენახი კარგი ჰქონდა, კარგადაც ესხა. თუ მორწყავდა, წელს თავს მაძლრად გაიტანდა, მტერთან და მოყვარესთან პირნათლად იქნებოდა. თუ არა და... ხარებამ ხელი ჩაიქნია, დიხარა, გუდა აიღო, მხარზე მოიგდო, დოჭი სალოკი თითით დაიჭირა, ვენახს თვალი ერთხელ კიდევ მოავლო და შინისაკენ წავიდა. მთელი დღე ცოლ-შვილი არ ენახა.

ოჯახის მეთაური კერას უბრუნდება. თიკო მირბის, რომ კისერზე ჩამოეკიდოს. თებროლე აღგა, თავსაბურავი გა-

ისწორა, სახიდან ღრუბელი გადაიყარა, მეუღლეს ნათელი შუბლი, ხალისიანი თვალები დაანახვა.

ანანია ჩვიდმეტი წლისა იყო, მავრამ ოცისა გეგონებოდათ. ახლად აკოკრებული უღვაშებში, ლილასავით ლურჯი თვალებში, მოქნეული ტანი და მკვირცხლი გამომეტყველება ტოლებში არჩევდა.

ცეკვის დროს, ფეხისწვერებზე ისე მარდად და მოხდენილად დაბზრიალდებოდა ხოლმე — კაცს ჩიკორი ეგონებოდა.

ანანიას წისქვილში საფეკავი წაელო და ჯერაც იქ იყო.

მეწისქვილე აჯიასათვის ვილაცას ღვინო დაეღვეინებინა. ბარბაციით დადიოდა, დაფქვილულ წამწამებს აფახულებდა, გაყვითლებულ კბილებს აჩენდა და თავისთვის დურადურებდა:

— ანგრე! ჩემი სიცოცხლე თავივით ფქვილში ეზხვარ, ჩემი წუთისოფელი წისქვილში სარეკელასავით ეჩალიჩობ და ერთი ყლუბი ღვინო რომ დავლიო, ყველა ცერად შემომხედავს. რა დავიშავეთ, ხალხო? მე ცხოვრება აღარ მინდა?

— უჯეროდ არ უნდა გაგეშვა! — დინჯად თქვა ბერიაცამა.

— აგრემც უჯეროდ სიკვდილმა გტაცოს ყმა! — ჭოქოლა მიაყარა დედაკაცმა.

— კიდევ რეებს იტყვით, — დაიძახა აჯიამ და გაიარ-გამოიარა. შავტუნხა, თავიდან ფეხებამდე ამოგანგლული აჯია ფქვილის ტომრიდან ამოსულ ვირთხასა ჰგავდა. საუღვაშეზე მომცდარ ყანასავით თითო-თითოდ დარჩენილ ბეწვს იგრებდა, პამიდორივით გაწითლებულ ცხვირს იმუნხნიდა, ხელეჩოსავით ჩამოკიდებულ ნიკას ისწორებდა და წისქვილში ყინჩად მიმოდრიოდა. თითქოს ვისიმე კიდაობაში გამოწვევა უნდაო, შუა აღვილას გაჩერდა, გულზე ხელი დაიკრა, მერე წელზე დოინჯი შემოიყარა, ლაჯებში გააბოტა და უცბად სიმღერა წამოიწყო:

აღვვანს წაელ მარბზე,

მარბს მოვიტან ბრილსო...

თავი დამკენარ მზესუმზირასავით გადუგდო გვერდზე, მოკლე თითებით ხალათი ჩაებღუჯა, პირი ტიკის ტუჩივით მოეწრება და თვალბდახუტული მღეროდა. წისქვილის ქვების ჯაჯგუარი, ქერის რწევა, აყაყანებული ხალხის ხმა სიმღერამ ერთბაშად დაფარა. მხოლოდ წყლის ჩხრიალი და აჯიას სიმღერა ისმოდა. აჯია კარგად მღეროდა. მართალია, ხმა გაბზარვოდა, მაგრამ ახალგაზრდული სითამამე და მხნეობა მაინც შერჩენოდა. დოქში ჩავარდნილ კაკალივით რაკრაკებდა. მეწისქვილემ იყოდა, მისი სიმღერა ხალხს უყვარდა. როცა ძალიან გაუჭირდებოდა და სიტყვით ველარაფერს გააწყობდა — სიმღერას წამოიწყებდა. სიმღერა იყო მისთვის ხმალი და ფარი.

აჯიამ ცალი ფეხით ჩაიმუხლა, მეორეც შეაშველა, მუხლებზე ნელა დაეშვა. მისი ხმა დამფრთხალ ტოროლასავით ხან ცაში იჭრებოდა, განიავარდებდა, ხან მიიფრთხლებოდა და ყრუ ზღუზუნით დადნებოდა.

მეწისქვილე მიწაზე დაჯდა, ზურგით დედაბრძს მიეყუდა და სიმღერას მოუნაცვლა. ხალხი სულგანაბული უსმენდა. სიმღერა ზარივით რეკდა. წისქვილი დუდუნებდა, ხორბალი იფქეებოდა, ტომრები თბილი ფქვილით იესებოდა, ხალხი გადიოდა და შემოდოდა, აჯია იჯდა და მღეროდა. ახსოვდა, სარეველა კარგა გვიანობამდე არ წამოაწყარუნებდა, საფქვევი ბლომად იყო, სხვა აღარაფერი აღარდებდა. ყველა მას მისჩერებოდა. ხალხს ენა წართმეოდა, სიმღერას მოეჯადოებინა.

ბერიკაცმა ჩიბუხი ქალამანზე დაბერტყა, მერე ქისაში ჩაყო, გატენი, ტალკვესს გაკრა და მოუკიდა. ნისლივით წასულ ბოლს თვალი გააყოლა და თქვა:

— კარგადა მღერი, აჯია! აფსუსია, რო ეგრე იყარგები.

— მართალია, მართალი. მგალობელია სწორედ! — დაიძახეს აქეთ-იქიდან. აჯიამ ცალი ტუჩი ასწია, სამი-კბილი გამოაჩინა, მერე წარბებიდან ფქვილი

ჩამოიწმინდა და გოგრის ფოთოლივით ვეება ყური მოსაუბრეთ მიუგდო.

— რატომ სოფელში, ადამიანებში არა მღერი? — შეეკითხა ვილაცა.

— აჯიამ გრძელი ნიკაბა მხარზე გაისვა, აქავებული ხორცი მოიქეჭა, ტუჩი ასწია და ხუთი კბილი გამოაჩინა.

— რას იცინი, კაცო? გვეითებებიან და პასუხი გაეცი.

— აჯიამ ორივე თვალი გაახილა და ჩაიჭირქილა.

— აბა იცეკვე აჯია! დაიძახა მკედელმა კოლამ და ტაში დაპკრა.

მეწისქვილეს ღვინო მოკიდებოდა, გასულელებულიყო. ჯერ უჯანა ტანი ასწია, ოთხზე დადგა, წელში გაიმართა და ხელები გაშალა. წერილი ფეხები მიწას გაუსვა, მერე ერთბაშად მოეშვა, ჩაჯდა და ჩაეძინა.

წისქვილი დუდუნებდა. გარეთ ცხენები ჭიხინებდნენ, სახედრები ყროყინებდნენ, ბაეშვები ტიროდნენ.

ანანია ტოლებში იჯდა. სანამ აჯია მღეროდა — სმენად იყო გადაქცეული, ახლა გიოს უყურებდა და გული უფანქვალუბდა. გიო მოჯამაგირედ იღგა სიღნაღში, სოფლად ახალი ამბები მას ჩამოპქონდა.

როცა ანანია გაათავებდა ლაპარაკს, გიო იწყებდა, თან თავის კრელ ბაღდაღს კისერზე ისევამდა, ვერცხლის ქამრითა და ქალაქური წულებით ბიჭებს თვალებს აჭყეტინებდა.

— ბალო, ქურში სხედხართ, გეუბნებით და არ მიჯერებთ, — ამბობდა გიო, — მე ქალაქში ვარ, მოჯამაგირე და ვღგევიარ, ათი რომ გამლანძლონ, ერთს ქვიანურს მაინც მეტყვიან... მეცა, ყურები იმიტომა მაქვს, რომ შესასმენელს შევისმენ და ვავიგონებ. თქვენა? კამეჩის რქაში ხართ გამოკეტილი.

— რა ძან იბერები, შე ვირისთავო! — მიიძახა ერთმა, — ნახევარი წელიწადია, მოჯამაგირეთა ხარ და იგრე ლაპარაკობ, თითქოდა ნახევარი ქვეყანა მოგველოს.

გიო გაჩუმდა.

— გიო, — უთხრა ანანია, — სხვა-
თა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის
ენაო...

— რა ვენა, ბიჭო, მიწას მამაჩემმა
ვერა წაართვა რა. მეც იმის კვალს და-
ვადგე?

— მიწა სიკვდილამდე შენია. როცა
კაცი მიწაზე ორივე ფეხით მაგრა დგე-
ხარ, მტერი ვერ მოგერევა. შენ, გიო,
ბუმბულივით ჰაერში დაფრინავ...

აჯიას გავლიძობდა. თვალების
ფშვნებით დგებოდა, ფეხბოტეხილ ქა-
თამივით ცალ მხარს ზევითა სწევდა,
კენესოდა, ნეკი თითით ყურს იჩიჩქ-
ნიდა. სახე შეცვლოდა, გაოფლილ ლო-
ყებზე ფქვილი წებოსავით გააღესოდა.

მეწისქვილე ღამურასავით დაფათუ-
რობდა, სარეკელა ხომ არა წკარუნობ-
სო. გარეთ გავიდა, ახლა იქ მიაყურა-
და. ღამე საესე იყო ხმებით. შორს
ძალი ყფდა. საღლაც კოტი კიოდა.
ლაგამწამოყრილი ცხენები ფეხს ინაც-
ვლებდნენ, თავს იქნევდნენ, მიწას სუ-
ნავდნენ, ფრუტუნებდნენ. წისქვილის
წყალს თითქოდა ძილი მორეოდა, აღარ
დგაფუნობდა. აჯიას ცუდად ენიშნა ეს.
ლარისაკენ წავიდა, თავიდან დაჰყვა,
ჩაათვალიერა. ერთგან ღარი გახეთქი-
ლიყო, წყალი იპარებოდა. აჯიამ ნაპ-
რალი სიბი ქვით ამოქოლა, ზევიდან
აყალო მიაგლისა, წისქვილის თავთან
ჩადგმულ ფაცერს ჩახედა, რამე ხომ
არ გაბმულაო. ფაცერი ცარიელი იყო.
აჯია წისქვილში შემობრუნდა. ქრატი
ანთო. ერთთან მივიდა, თამბაქო სთხო-
ვა, მეორეს — ქალაღი. გაახვია, გა-
ნერწყვა და ნაკვერჩხალი დაადო. ბოლი
გულზე ეცა, ხველა აუფარდა. მერე თა-
ვი გადააგდო და ხვრინვა ამოუშვა.
ლარის არ ატყუებდნენ, ჯერში სახელ-
დახელო მეწისქვილეები ჩნდებოდნენ.
მინდს იღებდნენ. საფქვაეს აყრიდნენ
და ღამეში ჩუმად გადიოდნენ. გარეთ
ვარსკვლავები ანათებდნენ, შინ — ბე-
ბერი კატის თვალები.

ანანიას ჯერი მოსულიყო. ფქვილის
მტერში გახვეული ტომრებს მარდად
ავსებდა. ოფლს ხელუკულმა იწმენდა.

ლარიდან წყალი მოდგაფუნობდა, ბორ-
ბალი ჭრიალებდა, ქვები ტოკავდნენ,
ქერი ზრიალებდა, ირწყვოდა. ანანიამ
ტომრების ყელი ერთმანეთს თოკით გა-
დააბა, ტოლები წაიხმარა და ცხენს
ხურჯინივით გადაჰკიდა. თავათ აღარ
შეგდა, აღვირი ხელში დაიჭირა და ნა-
ბიჯით მიჰყვა ცხენს.

შუალამე გადასული იყო, ანანია რომ
სოფელში ამოვიდა. ორლობე ძალღე-
ბის გნისამა აავსო. ანანია წყნარად მი-
დიოდა, გიოს მოჯამაგირეობა, ქალაქის
ამბები, აჯია მეწისქვილე — ყველაფე-
რი თვალწინ ცოცხლად ეხატებოდა,
თითქოს რამდენიმე თვე წისქვილში
მჯდარიყოს და გარეთ ახლა გამოსუ-
ლიყოს.

ხარებას არ ეძინა. თებროლეს მო-
ჩივილს ყრუ ბუზლუნით პასუხობდა.
თუმცა ანანიას დაგვიანებით თავათ
არანაყლებ იყო შეფიქრიანებული. ცხე-
ნის ფეხისხმა ხარებას ყველაზე ადრე
გაიგონა, ადგა, ჩოხა მხრებზე ჰოიგდო
და გარეთ გავიდა.

ეზოში ჯერ ცხენის ლანდი შემოვი-
და, მერე ანანია და ბოლოს ცხენი. ხა-
რება შევილს ტომრების გადმოღებაში
მიეხმარა, ფქვილი მარანში შეიტანეს.
ხარება ცხენს მიუტრიალდა, უნაგირი
მოხადა, ცისერზე ხელი მოუთათუნა და
ეზოში თავისუფლად გაუშვა.

— რაო, აჯია ისევ ცოცხალია? —
ჩაჰკითხა მამამ შევილს.

— ცოცხალიაო? მერე როგორ!

— ახალი რა გაიგე?

— ომი ათ წელიწადს იქნებაო.

— რას ამბობ! ქალაქიდან თუ ჩამო-
იტანეს ამბავი.

— გიომა თქვა, ჯამბარას ბიჭმა. აქ
რა, ხომ მშვიდობაა? — თავის მხრივ
ჰკითხა ანანიამ.

— დედაშენი ლაზარზე იყო. სოფე-
ლი ატეხილა. გვალვამ ყველას სული
ამოჰხადა.

ანანია ჩუმად შეექცეოდა ვახშამს,
ქინწილით ღვინოს აყოლებდა.

მთვარის შუქი ნახევარ სახეს უნა-
თებს ანანიას, ნახევარზე ჩრდილი აღ-

თო ბავშვი იყო თუ? წამოიწია. ნაღვარმა კვლავ წამოუბრინა, ორიოდე ნაბიჯზე გააცურა. ხარებამ კიდევ წამოიწია, დაიბღღვინა, მოვარდნილ საშინელებას ეკვეთა.

ეცემოდა და დგებოდა, ყოველ ადგომასზე გულში უფრო მეტ ვაზს იხუტებდა. სუსტდებოდა, ძალა ელეოდა, მაგრამ რალაციის იმედი ჰქონდა...

„ვენახში დამალარჩობს? ეგრე წაიბილწეს სახელს? რა მაგრა მეგონა თავი ცხოვრებაში და, თურმე, ნაფოტა

ტივზე ვმდგარვარ მხოლოდ... ხედავ. ეს ელდანაცემი ღვარცოფი რას მიშენობა?..“

ეგონა ძარღვები დაუწყდაო, ტივილს ველარ გრძნობდა. აი, ის უკვე ველარ ადგა ფეხზე, ტალახი მიეყარა, ჩაილამა. თავი წამოაწია, რალაც დაიღრილა, მაგრამ სიკვდილის აჩრდილისაგან გატეხილი ხმა იმ ალაგს არ გასცილებია.

ბებერ ვაზსა ჰგავდა ხარება, ავი კაცის ხელით მოცელილს...

2. მადლი

ჯამბარა თორმეტი წლის ქვრივი იყო. უქალობა დასტყობოდა მის ოჯახს. სულ თვალწინ ედგა გარდაცვლილი მეუღლის სახე, ვერა და ვერ მოეცილებინა თვალთაგან. გასძლებს კაცი ერთ თვეს, ორ თვეს. წელიწადს, ხუთს, ათს, მაგრამ სამარის პირამდე უღედაცაოდ ვერ მივა.

წყალდიდობის მერე პირველი დიდი ბაზრობა იყო ბოდბისხევზე; გავერანებულ სოფლებში ხალხმა გაითაჩუნა, შეშინებულ ბაღლები ატირდნენ, დედაკაცებს ქოთქოთი შეუდგათ, გლეხები შიშოდ ოხრავდნენ. წყალდიდობამ გულგროვად გაინადირა და პირწმინდად გალოკა ყველაფერი; ხალხს რალა უნდა გამოეტანა ბაზრობაზე, ვის რალა გააჩნდა!

ჯამბარამაც აითრია ფეხი, გაცვეთილი ჩოხა გადაიკვა, ვინაწრობით გადახატული ორიოდე შაური გამოკკრა და ბაზრისაკენ გასწია.

ბაზარზე მთელი დღენია გამოშლილიყო. ჯამბარა თვალბდაქვეტილი უყურებდა ხალხს, თითქოს უცხო ქვეყნიდან ახლა ჩამოსულა და ველარავინ უცვნიოა. საერთო უბედურების შემდეგ, ნალვლიანი, მშორი, უიმედო დღეების შემდეგ, ამოდენა ხალხის ერთად დანახვამ ისე გაახარა, თითქოს ყველა მისი მამითადი ყოფილიყოს. საკინძე გაიდელა, პირზე ღიმილი დაიფინა, გრძელი,

ტლანქი ნაბიჯით დაიწყო ვებერთელა ბაზრის გარდიგარდმო თელვა.

გალმა მხრიდან ბებერი ხალხი გამოსულიყო, ლაგოდენიდან ოფიცრებს გამოესეირნათ, ბელაქნელ თათრებს გაეგათ, ალია მოკვდაო, დაეხვეტათ, რაც კი შინა ჰქონდათ სარჩო-საბადებელი და სულ ერთიანად აქ გამოეზიდნათ. თათრები ბებერ აქაურ გლეხს ეამხანაგებოდნენ, ახლა გულმხიარულად ულოცავდნენ მათ მშვიდობით გადარჩენას, ყონალობას ეფიცებოდნენ და ნახევარ ფასში აძლევდნენ მატყლსა და ყველს.

ჯამბარა ყველასთან მიდიოდა, გლეხების ხმამალალ ლაპარაკს ყურს უგდებდა, უნდოდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო და დაენახა სანუგეშო, მაგრამ მისი გრძნობა-გონება სულ სხვა აზრსა და წადილს შეეპყრო. მთვრალივით დადიოდა, ჩუმად ლიღინებდა, უღვაშებზე დარდიმანდულად ისეამდა ხელს.

უცბად, ზედ შუა გზაზე დაინახა ქალი, რომელსაც გოდრის სამხრეული გასწყვეტოდა და ტვირთი ვერასგზით ველარ წამოეკიდებინა. სხვა დროს ჯამბარას შეიძლება ყურადღებაც არ მიექცია, მაგრამ ახლა ისეთ გუნებაზე იყო, მტლედ დაედებოდა ქვეყანას. საჩქაროდ მივიდა, გოდორს მსხვილი თასმით ამოუწინა სამხრეული და ქალს ტვირთის წამოკიდებაში უშველა.

— აი გაიხარე, მადლობელი ვარ, — უთხრა ქალმა.

ჯამბარამ ეხლა-ლა შეხედა დაკვირვებით ქალს, მოურიდებლად თვალი დაადგა მის მაღალ მკერდსა და დაეღა-ქა ლოყებს, დაადგა და ველარ დააცილა.

— ვისი ხარ, ქალო? — ჰკითხა ჯამბარამ.

— ზედელანთ ქერივი ვარ, — მოკვეთილად ჩაილაპარაკა ქალმა.

— რას ამბობ, მე გაუთხოვარი მეგონე, — თქვა ჯამბარამ, მერე უაზროდ გაიღიმა.

ქალი ერთ წუთს შეჩერდა, თითქოს დაელოდა, — გაუთხოვარი რომ ვყოფილიყავ, რას იზამდო.

ჯამბარამაც არ დაუგვიანა.

— დასანიშნი რომ ვიყო, მოგიტაცებდი, ქალო!

— რაღა დროს ეგენია, ჯამბარ, — ნაღვლიანად თქვა ქალმა, — წუთისოფელი ბაღის გამოზრდას უნდა დავაწურო.

— შენი ბაღია, მელანო? — მოიგონა როგორც იქნა ჯამბარამ ქალის სახელი, — რამდენჯერ მინახიხარ საყდარში და რიგიანად კი ვერ გიცნობ...

მელანოს სეტყვით დაბევილი, მკვახე გულაბი მსხალი წამოვლო გასასყიდად. ეგონა, სათოფედ არავინ მიეკარებოდა, მაგრამ ბაზარში ყველაფერს გამოუჩნდება თურმე მყიდველი. თათრები ფუტკრებივით დაეხვივნენ და ჯამბარას მარიფათიანი ვაჭრობის მეოხებით მზის ჩასვლამდე დააცარიელეს გოდორი.

ჯამბარა ქორივით გადაფოფროდა გოდორს, მელანო სადღაც კუთხეში მიეყუტა, რიხიანად გაჰყვიროდა და ათასნაირი ქება-დიდებათი ჰკაზმავდა ნასეტყვე მკვახე მსხალს. ისეთი გულმოდგინეობით ვაჭრობდა, ისე გულწრფელად ეპატიებოდა მყიდველებს, ისე ლამაზად უყვინოდა და თავს აბრალებდა, რომ ხალხი ფიქრობდა, ამაზე გულდამწყვარი ჩვენთვის არავინ გამოჩენილაო.

7. „ნათობა“, № 6.

ამ გაქირვებაში კარგი თანხა უგროვდებოდა სახელდახელო ვაჭარს, მელანომ აღარ იცოდა, მადლობა რაფორმად უნდა ხადა, გრძლად ილოცებოდა, ჯამბარას ჩოხაზე ეჭიდებოდა, აგრძნობინებდა, მეც აქა ვარ, შენი მადლის დამფასებელიო.

დაცარიელდა გოდორი. ჯამბარამ ფული გადათვალა, დააწყო, შეჰკრა. ხელსახოცში გადაახვია და მელანოს გადასცა.

— აილე, მელანო, ცოტას მინც მოითქვამ სულს.

— აი, შენმა შვილებმა გაიხარონ, ჯამბარ! მე რა შემოდლია, ვილოცებ, ღმერთს გადაეხადოს სანაცვლო მადლი.

— ეპ, რა სათქმელია დედაკაციო! კაცი კაცითა ცხოვრობს, — დიდსულოვნად ამბობდა ჯამბარა, თან მსუნაგად აცმაცუნებდა ტუჩებს, ხარბი თვალები ვერ მოეცილებინა მელანოს საესე მკერდისათვის.

ბაზრობა დამთავრდა. ხალხი ყაყანი-თა და ხმაურით იშლებოდა. ვისაც სარფიანად ევაჭრა, სახეგაბადრული ბრუნდებოდა შინ, ვინც მარცხენა ფეხზე წამოსულიყო, უკანვე მიჰყავდა ორიოდ გამხმარი ვარიკელა და თან ბრაზიანად მიღურდურებდა. ხალხის უმრავლესობა მინც გასართობად და ახალი ამბების გასაგებად იყო მოსული, ამიტომ დიდხანს ისმოდა მათი ლაპარაკი, ჩივილი...

მელანო ვარდიანის მეზობელ სოფელ ანაგიდან იყო. ამიტომ ჯამბარას შინ მისვლამდე გზად უნდა გაეელო ანაგაში. გზაც რომ არ ღებოდა აქეთ, ჯამბარა არც ისე დაიზარებდა მელანოს გაცილებას, მით უმეტეს რომ ქერივი ქალს მძიმე გოდორი უნდა ეთრია, უბით ფული წაელო, რომელიც შეიძლება ყაჩაღებს წაერთმიათ. ჯამბარას ერთის ნაცვლად სამი თუ ოთხი მიზეზი ჰქონდა ქერივის დახმარებოდა. ამიტომ სრულიად დამშვიდებული მისდევდა გვერდით.

ჯამბარამ გვიან შენიშნა მელანოს ბიჭი, სტეფანე, რომელიც ხმაამოუღებლივ მიჰყვებოდა დედას და მხოლოდ

გასულელებულიყო, ქალანის თასმებს დღეში შეიღვეჯერ იხსნიდა და იკრავდა, გიოს სიღნაღიდან ახალი თუშური ქუდი ჩამოატანინა, მეზობლის ქალებს ელრიჯებოდა — ხალათი ლამაზად შემკვერეთო. ბავშვები აცუნცრუკებას ატყობდნენ მამას, უკვირდათ, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდნენ. როცა ჯამბარამ სიღნაღიდან ჩამოტანილი მესამე ქუდი დაუწუნა, გიომ შებედა და უთხრა:

— რა ძანა სწუნობ, კაცო, დანიშვნას ხომ არ აპირებ?

— დაიკარგე, შე ცინგლიანო! — შეუტია ჯამბარამ და თან ისე გაიღიმა, რომ ჩალამებული სახე გაუჩნდა.

მელანო თოთხმეტი წლისა იყო, პირველად რომ გათხოვდა. ობოლსა და მიუსაღარს, ერთი აშარი დედინაცვლის მეთი ქვეყანაზე არავინ ჰყავდა, რომ მისთვის გული დასწვოდა.

ბაილო — მელანოს სატატო, ოციოდე წლის ძვალმაგარი, ჯანღონით სავსე გლეხის ბიჭი იყო; არც სახლი ჰქონდა, არც კარი, თავის სიცოცხლეს ცინ ქვეშ ატარებდა. ახლომახლო ისეთი მწყემსის სახელი ჰქონდა დაგდებული, რომ მდიდარი თუშებიც კი, მის თავს ერთმანეთს ეცილებოდნენ. სწორედ მან მოინადირა უმანყო მელანოს გული.

მაგრამ განა ღარიბ კაცს ბედი თვალს არ დაუყენებს? ტოლებმა უთხრეს, მელანოს თავს ერთი მდიდარი ვაჭარი გეცილებათ.

მყუდრო დღეები ბობოქარ ქარიშხალს დაემსგავსა. მწყემს ბიქს ცხოვრებაში ყველაზე დიდ საუნჯეს ართმევდნენ.

იმ ვაჭრისადმი ზიზღი ბაილომ გულში ნაღვერდალივით ააგვიგოხა, მაგრამ სარქველი ვეღარ დახურა. სიმთვრალეში სარქალთან დასცდა და მანაც ციხე შიგნიდან გაუტეხა.

ერთ დღეს, ცხვრის ფარაში მშვიდად მღვარ ბაილოს ჩაფრები დაეცნენ, გაკოქეს და ციხეში უქარეს თავი.

ვაჭრის საქმე გაიჩარხა. მელანოს დედინაცვალი მისი ძველი მსყვერდელი იყო, ახლა იწმინდის ბეჭდებს მსყვერდელსა და აკლდა და შერე, ჰერი, ბიჭო, მწყვერით გოგოს გვერდზე მოისვამდა.

მელანო გაყიდეს. გაყიდეს, ისე უმტკივნეულოდ და დაუნანებლად, როგორც ქირიანი ვარია ნაგვიანეე ბაზარზე. ბევრი იტირა მელანომ, მაგრამ მის სიყვარულს ვეღარავინ უშველა.

თვე თვეს მისდევდა და წელი წელს. სტეფანე უკვე ორი წლისა ჰყავდა. ვინ იცის, მელანოს ტანჯვა სადამდე გაგრძელდებოდა, რომ ზამთრის ერთ ცივ ღამეს, გედიქის ხევზე, ვაჭრისათვის საკუთარ მოჯამაგირებს ყელი არ გამოეჭრა.

დედამთილმა რალაცა უშარა რძალს და სახლიდან იფრინა.

მელანო ანაგას დაუბრუნდა. ქოხი ცარიელი დაუხვდა. დედინაცვალი თუქურშიშაში გაჰყოლოდა ვიღაც თათარს და რჯულთან ერთად სოფელიც დაევიწყებინა.

ახალგაზრდა ქვრივი მარტო დარჩა. მოატანა ბაილოს ციხიდან გამოსვლის ხანმაც. ამ სამ წელიწადში ბევრი რამ შეცვლილიყო ქვეყანაზე. არ შეცვლილიყო მხოლოდ ბაილოს გული, მას წინანდებურად უყვარდა მელანო.

ბაილო მელანოს ქოხთან გულამოვირდნილი მიიქრა, ღობესთან შედგა, გაირინდა. მელანო ეზოში, კუნძზე იჯდა, ბავშვი მკერდში ჩაეხუტებინა და დაბალი ხმით იაენანას უმღეროდა.

უცებ სიმღერა შეწყვიტა, წამოიწია, თვალები გაუდიდა, სხივით აეგსო, ღრმად დაიკვნესა.

— ღმერთო ჩემო! მეჩვენება, თუ შენა ხარ, ბაილო?

ნაპირზე გამორიყულ თევზივით პირს აღებდა ბაილო, მაგრამ მისი ხმა არ ისმოდა.

— რატომ მოხველ, ბაილო?

— მელანო, აღარ გიყვარვარ?

— დაევიწყოთ, რაც იყო. მე ქვრივი ვარ და დედა.

— სად მაგდებ, მელანო, უშენოდ რად მინდა სიცოცხლე.

— ჩამომხსენ, მე ჩემს გზაზე დავი-
ლაშვებ და სადმე ხრამში ფეხმოტეხილ
ცხვარივით გაეთავდები. ეგეთი ყოფილა
ქალის ბედი. ჩემი წუთისოფელი დედი-
ნაცვალმა მოწამლა. კალთიდან გამხმა-
რი პურის ნამცეცხვით ჩამომიბღერტეს.
შვილი მაინც იყოს ბედნიერი...

შვილი მაინც იყოს ბედნიერი... მე-
ლანო ამ ერთადერთმა გულსტემაშე შე-
მოიყვანა ჯამბარას ღარიბ, მაგრამ გამ-
რჯე და მკლავლონიერ ოჯახში.

უქალობას გადაჩვეული ოჯახი უც-
ნაური სიბოთი აიქსო. სანამ ხარება
ცოცხალი იყო, ჯამბარა მასთან თუ გა-
დააყოლებდა გულს, თორემ მშობლიურ
ჭერქვეშ აღარ მოუხაროდა. მართალია,
ბავშვები მოზრდილები ჰყავდა, მაგრამ
მათთან ენა ვერ დაებრუნებინა, თავი-
სი დარდი ხმამალა ვერ ეთქვა. ნაღვე-
ლი თუ სიხარული გულში უნდა ჩაეკ-
ლა, ჩაემარხა. ახლა კი, ოჯახში მელა-
ნო იყო. ჯამბარა ვენახიდან სახეგა-
ბადრული ბრუნდებოდა, ათქვირებულ
მელანოს ერთი გემრიელად გულში რომ
ჩაიკრავდა, მთელი დღის ჯაფა ავიწყ-
დებოდა და მხრებიდან უზარმაზარი
ტვირთი ეხსნებოდა თითქოს. აქამდე
მიყუჩებული გრძობა ისეთი ძალით
გაღვივებულიყო ახლა, რომ ჯამბარა
დასანიშნი ბიჭივით ველარ ითმენდა და
გავლა-გამოვლისას ებღლარქნებოდა
მელანოს. ძალზე ერცხვინებოდა ჯამბა-
რას წამოჩიტული ბიჭების თვალწინ თა-
ვისი ვნების გამომწვეურება. ამიტომ
გადაწყვიტა, სადილი ვენახში ექამა
ზოლმე და მელანოს აღერსითაც იქ
დამტკბარიყო.

ერთი ასეთი სამუშაო დღეთაგანი
იყო. ჯამბარას დილიდან გულდადებით
ემუშავა, ახლა თხილის ჩრდილში იჯდა
დადილი და მელანოს ელოდა. მელა-
ნოს სადილი უნდა ჩამოეტანა ვენახში.

მელანო რატომღაც იგვიანებდა. უკ-
ვირდა ჯამბარას. დრო დათქმული არა-

სოდეს ჰქონიათ, მაგრამ, ჩვეულების-
მებრ, ყოველთვის მეუღლურ ტონდებში-
და ზოლმე.

ის იყო ჯამბარა წამოდგა, რათა ბი-
ლივზე გაეხედა, რომ მოესმა კიდეც
მსუბუქი, ნაცნობი ფეხისხმა. მაგრამ მე-
ლანო მარტო არ იყო, წინ სტეფანე მორ-
ბოდა.

— ველარ გავაჩერე შინ ბიჭი, —
ლიმილით თქვა მელანომ, — ატყდა,
გინდა თუ არა, მეც უნდა მივეხმარო-
ვო. მუშაობა უყვარს, აგრე საიდან და-
გემსგავსა?

— იმუშაოს! ეგე ვენახი და მაგისი
მარიფათიც! — თავისთვის თქვა ჯამბა-
რამ, გონებაში კი გაიფიქრა: რა ჭირი
ეცა ყველას, ჩემ დედაკაცთან მარტო ვე-
ლარ დავრჩენილვარო.

სტეფანე ვენახში შევიდა. რქაწითელი
შეყვითლებულიყო. აქა-იქ თაფლი ჩა-
ღეროდა კიდეც, მაგრამ საქმელად ვერ
მაინც არ ვარგოდა.

მელანომ ცხელ ქოთანს თავი მოხადა,
ჯამში ქინძითა, ნიგვზითა და ქონდრით
შენელებული ღობიო გადმოსახა; თავ-
შალში ნახევრად გადახვეული შოთები
გამოხსნა.

ჯამბარამ პირჯვარი გადაიწერა და
უსიტყვოდ მიუჯდა სუფრას. დიდრონი
ლუქმები წაატეხა პურს, ღობიოში
ამოაწვლო და მარდად დაუწყო ღებვა.

მელანოსაც მოშივნოდა. ჩანდა, დი-
ლის მერე მასაც არაფერი ექამა. მაღი-
ანად შეეკცა.

ორი ჯამი არ იქმარა ჯამბარამ. ქო-
თანს გამოლოკა და ქინძილით დვინო
დააყოლა. როცა უცხო არავინ ჰყავდა,
ჯამბარას არა თუ სადღეგრძელოების
თქმა — ლაპარაკიც ეზარებოდა და
მთელ პურისქამას დუმილით გაიტანდა
ზოლმე.

— აი გაიხარე! — თქვა ბოლოს ჯამ-
ბარამ, წამოდგა და ღობიოთი მოთხუ-
ნული სამი თითი ვენახში მიშვებულ
რუში ამოიბანა.

— კარგი ღობიო მოგვეყიდა ზინამ, —
თქვა მელანომ, — აბა, წინებზე რომ

მოიტანე, რასა ჰგავდა, საღამომდე არ იხარშებოდა და მოხარშვის მერეც კენკრებით იყო ქოთანში.

— რას იზამ, ხან ვგრე იქნება და ხან იგრე. დალოცა ღმერთმა, ისეე ჩვენი ბაღის ლობიო! აი ეხლა ერთად ვი-მარჯვოთ, მელანო, თორემ სანამ მარტო ვიყავ...

— ღმერთი დიდი, ჯამბარ გულს ნუ გაიტეხს!..

ჯამბარამ ბალახზე თავისი ძველი ჩოხა გაშალა და მხარ-თეძოზე წამოწვა. ხარბად შეხედა მელანოს. ქალმა იგრძნო ეს უსიტყვო ძახილი, მორცხვად ჩაიღიმა, გაწითლდა და თავი დახარა. ჩემად მიუწვა ქმარს გვერდით და რატომღაც ამოიოხრა.

— რა იყო, დედაკაცო, — წაიჩურჩულა ჯამბარამ.

— არაფერი... ისე, მგონია, შენთან არ დავებრდები-მეთქი.

ლამის ჩაადნა ჯამბარას გული. დახეთქილი, მხრალითა და ვაზის ლერწით დაჭრილი თითები ყვრიმალბზე მოუცაცუნა მელანოს და გაბანჯგულულ სახე დაუახლოვა. კაბამიცი კი იგრძნობოდა, როგორი ცეცხლი იგრანებოდა მელანოს ბეჭებზე და გულისპირ-ზე. ჯამბარა ამ ნეტარებისმომგვრელ სიტბოს მთელი სხეულით ისარუტავდა. ღვინით, მუშაობით, სიცხით გაბრუნებული თავი რატომღაც ძალიან ბედნიერი ეგონა.

— ბალები ბოლომდე უნდა ვატაროთ როგორმე სასწავლებელში... ეხ, ჩვენ თუ დავიტანჯეთ უცოდინარობით... — და თავი ისე გაიქნია, თითქოს ბურანიდან გამოსვლა უნდაო.

— აბა, რისთვის ვიკლავ თავსა, — დაამატა მელანომ.

ჯამბარამ წამოიწია. მზე გადახრილიყო. თვალბში ყვითელი რგოლები უბრწყვიალებდა. უცბად გაახსენდა, რომ სტეფანე ეენახში შევიდა. თვალით დაუწყო ძებნა. ბიკი სულ ახლოს ყოფილყო მათთან, მაგრამ თხილის ხშირი ფოთლების გამო დანახვა არ შეეძ-

ლო. სტეფანეს მიეგნო დაშეკრებული კიწებისათვის. მტევანს ემუცხნა და წყვეტდა და დანარჩენს, ისტეფანეს უკუღმა ისროდა ეენახში. ჯამბარას გულზე რალაცამ უკბინა. წამოდგომა დააპირა.

— მოიცა, საღ მიხვალ, — უთხრა მელანომ და ღრმად ამოიქმინა. — უფ, როგორ დაცხა, სატიალე!

უსიტყვოდ დაეშვა ჯამბარა, თამბაქოს ბოლით გაყვითლებული და მომწვარი უღვაშები შეუღიტინა ქალს მკერდში. გონება კვლავ გაუბრუნდა.

როცა სტეფანემა და მელანომ შინ წასვლა დააპირეს, ჯამბარა მკორე ხანს კიდევ დაყოვნდა ეენახში. დედა-შვილი რომ თვალს მიეფარა, ჯამბარამ ჩამოუარა ვაზებს და უღროოდ მოწყვეტილი მტევნების აკრეფას შეუდგა. უბე აივსო, ისერიმი ხის ძირში წამოჰყარა და ჩაფიქრდა.

— ბავშვია, არ იცი, მაგრამ თუ ქამს, რალად აფუქებს, — ფიქრობდა დაღონებული, — გაიზრდება, ჰკუთას ისწავლის, ეენახის მადლს გაივებს. ოჯახის ტვირთს რომ იგრძნობს, მაშინ შეებრალება, — დაიმშვიდა თავი ჯამბარამ, სწრაფად წამოდგა, მისალაგებელი მიილაგა. ერთი სული ჰქონდა, სანამ ბილიკზე გავიდოდა.

სალამო იყო. ნაქვრივალს თბილი ქვეშაგები და საყვარელი ცოლი ელოდა.

ბალები მეგობრულად ცხოვრობდნენ. თურმე ჯამბარას არც კი სცნობია თავისი შვილები. გიო სიღნაღიდან იშვიათად ჩამოდიოდა. შინ, სტეფანესთან ერთად, დარო და სოსიკო იყვნენ. ისინი ისე შეეგუენ ერთმანეთს, რომ ყველა განსხვავება გერსა და ღვიძლ შვილებს შორის თითქმის წაიშალა.

პირველი ცოლის სხოვნა ჯერ ისეე უბეში ჰქონდა შენახული ჯამბარას, დროდადრო მოაგონდებოდა განსვენებულის უკანასკნელი თხოვნა, შვილები დედინაცვალს არ დააჩაგვრინოო და მის აწინდელ სიყვარულს მელანოსადმი ამით, თითქოს, რალაც უჩინარი და

მძიმე ჩრდილი ეფარებოდა. ჯამბარას სიბერეში შესული კაცის სიხარბით უყვარდა მელანო.

დროს ყველაფერი მიაქვს: გარდაცვლილი ცოლის ხსოვნა დაფარა ახალმა გრძნობამ, ცოცხალმა აღამიანმა; ჯამბარა ისე შეეთვისა მელანოს, თითქოს რამდენიმე თვის შეხვედრილები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ ერთად გაეტარებინოთ მთელი ცხოვრება.

შემოდგომა ისე უცბად გავიდა და საშობაოდ ისე მოქლოდნელად გადათეთრდა მთები; რომ ჯამბარამ ძლივს მოასწრო შეშის შინ შეტანა.

დაზამთრდა. მთელი წლის მუშაობით დაღლილი ჯამბარა ფიქრობდა, ამ ცივ ზამთარში, ბუხრის პირას ძვლებს გავითბობ და ცოლ-შვილში გავიხარებო, რომ უცბად სოსიკო ავად გახდა. არავინ იცოდა, საიდან აეკიდა ავადმყოფობა. წინა დღეებში ბიჭი მშვენივრად იყო, უცბად თავი ასტიკვდა და ჩაწვა.

იანერის ცივი საღამო იყო. სოსიკო უკვე გამობრუნებულიყო, მაგრამ მაინც ლოგინში იწვა. ეძინა. სტეფანესაც ეძინა. მელანო მეზობელთან იყო გადასული. ჯამბარა ბუხრისპირას იჯდა და ნალვლიანად მისჩერებოდა ცეცხლს. ფიქრობდა, წვალბოდა, სად ენახა გამოსავალი, რომ ეს გრძელი ზამთარი მშვიდობიანად გაეთრიათ.

ქარმა დაუბერა. ცალფა კარი, რომელიც ჩაურახავი დარჩენილიყო, გაიღო. ცივი ქარი ტყვიასავით შემოვარდა ოთახში. ჯამბარა სწრაფად წამოხტა, კარი მიხურა და ურდული გაუგდო. ბუხრისკენ გამობრუნდა. უცბად რაღაცას ფეხი წამოჰკრა. დაიხედა. ქალამნები იყო. ხელი მოჰკიდა, რომ ტახტქვეშ შეეწყო. რატომღაც ძალიან მსუბუქი ეჩვენა. ცეცხლის შუქზე მიიტანა და დახედა. სოსიკოს ქალამანი იყო. ძირი ისე გასთხლებოდა, თითი რომ გაეკრა კაცს — გაიხეოდა. ქალამნის კვინტებში ქუჭყიანი, თათებგამოგლეჯილი წინდები წაეჩურთათ. გული მოუკვდა ჯამბარას. „მაშ რა დაემარ-

თებოდა ბიჭს, ეგეთ წინდასა და ქალამანში, — გაიფიქრა, ~~დაწინდებულს~~ ღმერთს, რომ სიკვდილს ~~გაღწევა~~ მისცა

ჯამბარამ ქალამნები სოსიკოს ტახტქვეშ შეაწყო და ცეცხლთან დაბრუნდა.

გარეთ კვლავ ცივი ქარი ქმუტუნებდა. „ვითუ ჩალა გადახადოს სახლს, — გაიფიქრა ჯამბარამ და იგრძნო, მთელ სხეულზე სიცივემ როგორ ჩაურბინა. „არა, მაგრამ“, — დაიმშვიდა თავი. „ნეტავი ახლა ვიო რას აკეთებს? საწყალი, დაიტანჯა სიღნაღში წანწალით. ეს, შვილი მოჯამაგირედა მყავს, რაღა კაცი ვარ ცხოვრებაში!“ — ამოიოხრა მან, მაგრამ გონებაში თავის გასამართლებელი და საწუგემო კვლავ რაღაც გამოიჩნდოდა. „ნეტა დარო რაღად გაჰყვა მელანოს, ან დედაკაცმა რად წაიყვანა? ეგეთ ვერანა ამინდში რომ გაცივდეს, ეგ-ლა მინდა? არა უშავს, თბილი შალი აქვს, თანაც ახლოს არი, მალე მოვა“, — ამ წუხილსაც მოუნახა ჯამბარამ წამალი და გული დაიფუჩა. მაგრამ კვლავ მოუსვენრობამ შეიპყრო. რა უნდოდა, თვითონაც არ იცოდა. არ იცოდა? არა, იცოდა, მაგრამ უნდოდა გონებიდან გადაეგდო ეს სულელური აზრი, სხვა რამეზე ეფიქრა, სხვაგან გადაეტანა გრძნობა-გონება. ბევრს ეწვალა. განჯინის თაროები გადმოაქოთა, იქნება, სადმე, თამბაქოს ფოთოლს მივაგნო და ბოლს გული გადავავლოო, მაგრამ განჯინა პირწმინდად იყო გამოსუფთავებული. ახლა დანა ამოიღო ჯიბიდან, სალესი ქვა დაასველა და ფხა აულესა. ამასაც მალე მორჩა. მერე მივიდა და ნახა, კარები კარგად იყო თუ არა ჩაკეტილი. მაგრად იყო. მეორედ მივიდა კართან. რატომღაც მოეჩვენა, რომ ურდული გაბზარულიყო. არა, ნამდვილად მოსჩვენებია, მუხის ურდული მთელი იყო. მიწვა, იქნება თვალი მოვატყუო. ვერ მოატყუა. გრძნობდა, ეშმაკი შესჯდომოდა გონებაში, ეჭვი უშფოთებდა სულს. ჯამბარას მთელი გულით უნდოდა მისი მოშორება; ამაზე ფიქრი რახანია შეეწყვიტა. განა ბაღლობა არ არი ეჭვის შეტანა?! მელა-

ნო უყვარს, ათასჯერ დარწმუნდა, რომ შვილებიც მადლიერნი არიან. მამ რაღა უნდა? თვითონაც არ იცის, რა უნდა. არა, იცის! სოსიკოს ქალამანი ხომ ნახა... ის ფეხაკრეფით მიდის სტეფანეს ტახტისაკენ, თითქოს რაღაცას იპარავდეს. პო, ნამდვილად იპარავს... თავის ძველ რწმენას. არა? მამ რატომ არა სჯერა, როგორც აქამდე სჯეროდა, რომ... ეჭვი ძლიერი აღმოჩნდა რწმენაზე. ჯამბარა მივიდა სტეფანეს ტახტთან, ქალამანს დასწვდა და უმალ ბუხართან გაჩნდა. გულაფანცქალებულმა დახედა. ხელში შეატრიალა, დასუნა კიდევ. მთლად ახალი, ხარის ტყავისაგან ამოსხმული ქალამანი! წინდაც ნახა. ორი წყვილია? კრელად ნაქსოვი. ჯამბარამ ქალამანი თავის ალაგზე დასლო და ისევ ბუხართან ჩაეტყქა. „ახლა რაღა გინდა?“ — ეკითხება თავს. ახლა ტანსაცმელი უნდა ნახოს. ო, ეს უკვე მეტისმეტია! მაინც ნახა. დარწმუნდა. გაუკვირდა. სად ჰქონდა აქამდე თვალები?

ნეტავ ყველაფერი სიზმარი იყოს!

ცივი, გამთოშავი ქარი კშუტუნებს. ურდული მთელია. რამდენჯერ უნდა ნახოს? რად კეტავს კარს ასე მაგრად? მელანო ხომ მოსასვლელია...

ჯამბარას არ უნდა გამოტყდეს, მაგრამ სადღაც, გულის კუნძულში ფათურობს სურვილი, რომ მელანო ცოტა გვიან მოვიდეს...

ჯამბარამ უნდა იფიქროს იმაზე, რაც ნახა.

„ეჰ, მთლად გამოვრეგვენი. ბიჭი ავად იყო, ქვეშაგებში იწვა და რად უნდოდა ახალი წინდა და შარვალი. აი, წამოდგება და დაუქსოვს მელანო ახალს. მეც ერთი!“

გატყდა რაღაც. ჯამბარა გრძნობს, რომ აღარ გამთელდება.

მოვიდნენ? ქარი აწვება კარს?

არა, მოსულან.

დაროსა და მელანოს ჰორის ახალი აქიდო მოაქვთ ორლოზიდან.

ჯამბარა მათ ლაპარაკს არ უსმენს,

თავაუღებლივ სთხოვს მელანოს, ქვეშაგები გამიშალო.

წვება.

მელანო გაკვირვებულია და მოწყენილია...

მაგარი ძილი იცოდა ჯამბარამ. რომ დაწვებოდა, იფიქრებდი, ძილქუში დაწვეო, დილამდე ფეხს არ გაიწნევდა. მხოლოდ მაშინ არ ეძინა, როცა შვილები ავად ჰყავდა.

ახლა ყველა ჯანმრთელად იყო, ჯამბარას კი მაინც არ ეძინა.

არ ეძინა მელანოსაც. მას რაღაც უცნაურობა დასჩემდა: სხვათა თვალწინ უღიმოდა, ელიციციებოდა ჯამბარას; დარჩებოდა თუ არა მარტო, ერთიანად იცვლებოდა. რაღაცას ეჩურჩულებოდა, რაღაცას ემღეროდა. ჯამბარას ვერ გაეგო, რა უნდოდა ცოლს მისგან.

ძილგამკრთალს ვენახში მუშაობაც ტანჯვად გადაექცა. დაინახავდა თუ არა, მელანოს სადილი რომ მოჰქონდა, მაშინვე, რატომღაც, სტეფანე გაახსენდებოდა.

დალუნა თავი ჯამბარამ. მიყუჩდა. გულში ჩაიხვია ვარამი.

მელანო დილიდან საღამომდე ატრიალებდა ენას. გრძნობდა, დღეს თუ ხვალ ფესვი გახმებოდა და ყლორტებს ერთიმეორეში დავა რომ არ მოსვლოდათ, როგორც თადარიგიან ქალს, ერთიანად, ყველას თავისი წილი სცოდნოდა ოჯახში და მოუტრეფავში არ გადასულიყო

ითმინა ჯამბარამ. ბევრი ითმინა.

ერთ დღეს ველარ მოითმინა.

— გაჩუმდი! — დაიყვირა ჯამბარამ. სახლში თავქუდმოგულეკილი შევარდა, კედლიდან თოფი ჩამოგლიჯა და კვლავ ეზოში აისვეტა.

გიო შინ არ იყო. სტეფანე და სოსიკო ეზოში სწორედ მაშინ შემოვიდნენ, როცა ჯამბარამ თოფი გამართა და მელანოს მიუშვირა.

მელანო აწვილდა, გაქცევა ველარ მთაბერხა, ადგილზე დაბორჩილდა. შეშინებული სტეფანე ლობეს მიაწყდა.

სოსიკო თოფის ტუჩთან პირისპირ დარჩა.

ჯამბარა გადარეულიყო, აკანკალებული თითები თოფისათვის ველარ მოეშორებინა.

სოსიკო ერთი ნახტომით გაჩნდა მამასთან, თოფს ხელი სტაცა და გამოგლიჯა.

ხმაურზე მთელი უბანი გამოქეზდა. ვილაციებმა ჯამბარას ხელები გაუტრეს და თემსაბჭოში წაიყვანეს.

მელანო კვლავ წიოდა.

სოსიკო და სტეფანე ერთმანეთს გაცივებული უყურებდნენ. მათ ძმობა შეჭფიცეს, მაშ მშობლები თავს რად იხოცავდნენ?

ძმადშეფიცულები ვერ გრძნობდნენ: მათ შუა სამამულე რქა გახიროლიყო.

ჯამბარას კინლამ ციხე მიუსაჯეს. სანამ შინ გამოუშვებდნენ, ორი დღე თემსაბჭოს თავლაში ჰყავდათ გამოკეტილი.

ამ თავლას კიშპალა ყარაულობდა, ცალფეხა ხეიბარი.

კიშპალას პარტიისა არა გაეგებოდა რა, მაგრამ, რატომღაც ეგონა, რომ ქვეყანაზე ყველაზე დიდი კომუნისტი ის იყო. თავის მოვალეობად მიიჩნდა სამართლიანობა დაეცვა და სჯეროდა, თუ არა მისი სიმარჯვე — ვარდიანში ხალხი ერთმანეთს დასკამდა.

სანამ საყდარს დაანგრევენ, კიშპალა მნათე იყო. მაშინ ეგონა, რომ დედამიწაზე ყველაზე საჭირო საქმეს აკეთებდა. ამჟამად თემსაბჭო სოფელში სახელიან ალაგად დაიგულა და ისიც მეცამეტე გოჭვიით მიეტმანსა.

უთხრეს, ფურგუნზე დამჯდარიყო და ალაზნიდან შეშა ეზიდა. არ ისურვა. სხვა საქმეც შესთავაზეს — სახაბაზოში წყლის დასხმა — არ იკადრა. მან მაინც დამაინც თავლის დარაჯობა უნდოდა.

კიშპალა დაუნდობელი იყო. პატიმრებს პირად მტრებად სთვლიდა და არცერთ შემთხვევას არ სტოვებდა, რომ მათთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.

მას არაეინ ავალბედა, პატიმარს წყალი არ მიაწოდო, პურსაჲმ მისცუო. არ დაელაპარაკო. ამას თუთოთ რვა ლებდა, უნდოდა თავისი ერთგულებით როგორმე ყურადღება მიექცია, მაგრამ კიშპალას მაქებარი ჯერჯერობით არაეინ ჩანდა.

ჯამბარაც სწორედ იმ თავლაში შეაგდეს, სადაც დარაჯად კიშპალა იდგა. კიშპალამ ახალი პატიმარი დაინახა თუ არა, მუჯღუტენი გაჰკრა და მიაცილა.

— აი, შე მაჯღაჯუნა! გაათუპე განა? შეეთრიე მანდ!

ჯამბარა თავლაში უსიტყვოდ შევიდა და კედელს აეყუდა. კარგახანს ჩუმად იყო. კიშპალა კი ჩვეულებისამებრ განაგრძობდა:

— ე, მაგრე იციო თქვენა! ადამიანი სიკეთეს ვერ დაგანახვებო. თქვენთინ არ შენდება ყველაფერი? არა, კაცი რომ მურდლად დაიბადება და ხელმრუდე გამოვა, ველარაფერი გაანერებს. ჭბა, ჩამოფქვი, რა მოიპარე?

ჯამბარამ თავი მოაბრუნა და გადაფურთხა.

— რას იღობლები, შე ცოფიანო! — დაიყვირა დარაჯმა.

ქეჩო მოიფხანა ჯამბარამ, მხარი ასწია და გულხელი დაიკრიფა.

— რამ დაგამუნჯა, კაცი? — ყიყინებდა კიშპალა, — შენ გელაპარაკები, არ გესმის?

ღრმად ამოიქშინა ჯამბარამ. დარაჯს, თავის მხრივ, თვალები დაუბრიალა.

— გგონია, გამექცევი? — თავისას გაიძახოდა მაინც კიშპალა, — აი, შე წუპაკო შენა! დამაცადე, შენ ოხტში ამოვალ! იგეთ დღეს დაგაყრი, იქნება გაჩენას იწყევლიდე. თქვენგანაა ქვეყანა წამურტლული. თქვენი ქოქი როდის გაწყდება, რომ პატიოსანმა კაცმა მოსვენოსო! არ გესმით, შეგნება არა გაქვთ. სხვისას რად იღებ, რად იპარავ? არ იცი, რაც არ გერგება — არ შეგერგება?

— რა გინდა კიშპალ, რატომ არ დამეხსნები! — ამოიოხრა ჯამბარამ.

— გაჩუმდი! კიდევ ხმას იღებ?

— რაო? — იფეთქა ჯამბარამ, გამოქანდა, კიშპალა მიწას მიაწყვეტა, სტაცა ხელი, პანლური ამოკრა, ტურასავით ააჩხაელა.

— მე შენ გიჩვენებ! — იმუქრებოდა კიშპალა.

ჯამბარამ დარაჯი გემრიელად მიბეგვა, თავლაში შეაგდო, ჩამოგლეჯილი კარი მიაყუდა, ზედ დიდი ლოდი მიაღო და შინ დაბრუნდა.

ჯამბარა ეზოში უხმაუროდ დადიოდა, საჩხეში დაალაჯებდა; არ იცოდა, ხელი რისთვის მოეკიდნა, რა გაეკეთებინა, რა ეთქვა, საიდან დაეწყო, რით დაემთავრებინა. ნატრობდა, ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო, ცუდი, საძაგელი სიზმარი, რომელიც გულზე ლოდით გაიწეეს, სუნთქვას გიგუბებს, ლამისაა დაგახრჩოს, მაგრამ უცბად თვალს გაახელ და გახარებული თავისუფლად ამოისუნთქებ: ცხადში შენი ცხოვრება ისევ მშვიდი და უშფოთველია. ვაი, რომ ეს მხოლოდ ოცნება იყო, სინამდვილეს კი ისე მწარედ გაეთოკა ჯამბარა, რომ რეტი ესხმოდა, თავბრუ ეხვეოდა, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა, ეტირა თუ ეღრიალა; იქნება, როგორც სხვას, მასაც ხელი ჩაექნია, ბედს დამორჩილებოდა. მისთვის ძნელი იყო წარმოდგენა, რომ სასოებით ნაგები ოჯახი დღეიდან ერთი აღარ იყო, რომ ის, ამ საშინელ გადაწყვეტილებას — გაყრას დაეთანხმა, მაშინ როცა მთელი სიცოცხლე ოჯახს აკოწიწებდა და გვირისტიტ კერავდა. გვიანლა იყო თავში ცემა და ვიში. მომხდარს აღარაფერი ეშველებოდა, გატეხილი აღარ გამოეღლებოდა. და, სწორედ ეს მწარე აზრი შეგუებინა, ბედს დამორჩილებინა, ჯამბარას გულ-მკერდს უთუთქავდა, დაშრეტილ თვალს მწარე ცრემლით და გულს შხამიანი ბოლმით უესებდა. რატომ? — ეკითხებოდა თავს და პასუხი რომ ვერ მოეძებნა, დანათქვამულ შუბლს ისრესდა.

აღიონზე ჩემად ადგა, ეზოში ფეხა-

კრეფით გავიდა. ნათელი ღამე იყო. ჯანსაღი ჰაერი ადამიანს მკვირი ღვინოსავით ეკიდებოდა. მთელი კლდის ქუჩის ლოს თვლენა მოერია. ხმელ თივანე მიწვა, თვალს მოვატყუებო. ნოტიო მიწამ არ დააძინა. წამოდგა. ეზო ლანდით გადაიარა. ვენახში შევიდა. მოეჩვენა, რომ ყველა ვახზე ეშმაკი იჯდა. ვენახის ბოლოზე ჩაირბინა, ფიჩხი და ხმელი კეწეწი იღლით წამოიღო. ვახნარი სიგანეზე გადასქრა, ფიჩხი თოკით გააბა. კიდევ გაიქცა, ვახზეთან ჩხრიშალი ხალიჩასავით გაშალა. „არავის არ შეხედება. როცა არ იქნება, აღარ იდავებენ!“ — ფიქრობდა ჯამბარა, ვენახის გარშემო ფიჩხს უჩვეულო ხელის სისწრაფით ალაგებდა, ოფლში გაიღვარა. ერთ მარგილთან ჩაიმუხლა, კვეს-აბედი ამოიღო, ტალს პირი მოუსინჯა, ცეცხლი გააჩალა; მინასავით გამქვირვალე, სუფთა ჰაერში, ბოლის პირველი სვეტი ავარდა.

ჯამბარას თვალები გადმოსცივიწოდა, აღარ ესმოდა რას აკეთებდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა.

უცბად, ღობეზე ლაწანი გაისმა, ვილაცამ ვენახში ისკუპა. ჯამბარა მთელი სხეულით შეხტა, მაგრამ არ ამდგარა. თუ შეიღებოდა იყენენ, მოსულიყენენ და მოეკლათ, სამუდამოდ მოისვენებდა.

ვილაც ბეჭგანიერი კაცი გულდაგულ ეძებრა ცეცხლს, რის ვაი-ვაგლახით გაანელა. აღი პირველ ვახს მისწვდენოდა და აეცრემლებინა.

ჯამბარა ჩემად იყო. შორეული გუმანით გრძნობდა, რომ უშველეს, დალუპავს გადაარჩინეს, ნაპატრონებ-ნალოლიავები ვენახი ცეცხლს გამოსტაცეს. ვინ იყო ეს კეთილი კაცი, საიდან გაიგო ან გული რად დაეწევა, როცა შეიღებს არ ედარდებოდათ.

— ვინა ხარ? — როგორც იქნა დაიკვნესა ჯამბარამ.

— მე ვარ, ჯამბარა ძივ, ანანი! — გაისმა მკვირცხლი ხმა, რამაც ჯამბარა ადგილიდან წამოაგდო. მოეჩვენა, რომ ხარებამ დაუცაცხანა.

— აქ რა გინდა, შვილო? — მოლბა ჯამბარა.

— ვენახში ვიყავ, წუხელ ვიღაცის ძაღლი გადმოსულა და კვალი მინდოდა მენახა. ბოლის სუნი მეცა. ჩემი მომიჯნავე ხარ, მეზობელი, ვიფიქრე, ფათერაკი ხომ არ დაემართა-მეთქი, გულმა აღარ მომიტმინა, დავკარ ფეხი და ღობეზე გადმოვხტი. რა იყო, ყალიონი გაგივარდა ხელიდან?

— ჰო, ყალიონი გამივარდა. ჩამძინებოდა და... დავბერდი ბიჭო, გამოვჩერჩეტდი...

ანანია ვენახს მკაცრი თვალით გასცქეროდა, რატომღაც არ სჯეროდა ჯამბარას ნათქვამი, უთენია ყალიონი რამ მოაწევიანო.

— ძია, სადა გაქ ყალიონი? — ჰკითხა მოულოდნელად.

— შინ დამრჩა, არ წამომიღია, — დაუფიქრებლად მიუგო ჯამბარამ.

— ცეცხლი? — აღარ დააცალა სულის მოთქმა ანანიამ.

— ცეცხლი? — ჯამბარას ხმა გაეზარა. — ანანია, ბიჭო, შენ ხომ ცეცხლი არ გინახავს, ტყუილს რად ამბობ, არც ბოლი იყო სადმე... ეშვაკი იჯდა ვაზზე და ვარსკვლავი ვესრრლე... ცეცხლი არა ყოფილა, ჰო, ანანია!

— რაღაც უბედურება მომხდარა და მალე? — მტკიცე ხმით უთხრა ანანიამ.

— არ მომხდარა, გადარჩა. ახლა გაჩემდი. ნულარ მომაგონებ, თუ გინდა კიდევ არ მოხდეს. გაჩემდები?

— მითხარ, იქნება დაგეხმარო.

— გაჩემდები? — ჯიუტად გაიმეორა ჯამბარამ.

— გაჩემდები, რახან აგრე გინდა.

— ჰო, ახლა წადი, ანანია.

მარტო დარჩენილმა ჯამბარამ ვაზებს ხელახლა ჩამოურბინა, გაშლილი ფინიხი ააქუნა. ჩქარობდა, ადამიანის თვალს არ მოეწყრო. ნაბიჯს ძლივს-ლა ადგამდა, მთვრალივით დაბორიალებდა.

ფინიხის აქუნებას მორჩა, ცოტა ხანს დაისვენა, მერე მარნისაკენ გაემურა. ხელადა ხელის კანკალით მოიყუდა.

გული უფრო აუტკერდა. მარნიდან ფრთხილად გამოვიდა, სმსმსლანსუკენ აიღო გეზი.

რომელიღაც საფლავი ინიშნა, ფეხს მოუჩქარა. ქვადაქცეულ მიწას გულით დაეცა, გამეშდა, აღარ განძრეულა, ხმა არ ამოუღია. გამტერებული იწვა, ტუჩებს ატოკებდა და რაღაცის თქმა ეწადა.

— შენ იყავ ჩემი ბატრონი და შემწე სიცოცხლეში... მოკვდი, შენი სული მფარველობს! რაც შენ იყავ, იგეთივე შვილი დატოვე, შე უბედურად მომკვდარო, მართალო კაცო! მადლობელი ვარ, დაღუპვას გადამარჩინე. ოჯახი არ დამენაცრა მთლიანად. ჯანდაბას, არ უნდათ ერთად ცხოვრება, გაიყარონ. ვილა არ გაყრილა, მაგრამ თავი არ მოუკლავს. გაიყარნენ. იყენენ მშვიდობიანად...

კარგად იყო გათენებული, როცა ჯამბარა შინ დაბრუნდა. ოჯახში განაჩენის ქალაღი დასწერეს, რომ სახლ-კარი, ვენახი და ყველა სარჩო-საბადებელი დღეიდან იყოფოდა.

ჯამბარას ეგონა, ცხოვრების გზა დაასრულა. მას არავითარი მიზანი აღარა ჰქონდა, ის უკვე დამსხვრეული იყო.

სოსიკომ წამოიკრიფა საშემოდგომოდ გუდა-ნაბადი და სასწავლებლად თბილისის გზას დაადგა. ამ დღემდე ყველაფერი იოლი და მარტივი იყო, მაგრამ განშორების დღე რომ დადგა, სოსიკო აფორიაქდა. დიდიდან ცუდი გუნება აჰყვა. საყვარელი კარ-მიდამოს დატოვება უძძიმდა.

აქ გაიარა მისმა ბავშვობამ. აგერ, ფერდშელეწილი საქათმე, ჯამბარას ბალღების საპყრობილედ რომ ჰქონდა გადაქცეული. აი, სუფთა, კერამალაღი, ფართო მარანი. რამდენი მოგონება იყო იქ დაწურული, ღვინოსთან ერთად... აი ფართო საწნახელი, შიგ რომ ჯამბარა ჩადგებოდა ხოლმე და ყურძენსა სწურავდა. „ბიჭო, უქციე!“ — დაუთახებდა შვილებს, როცა ფეხების ქნევით მოიქანცებოდა. ბიჭებიც საწნახელში

დატკეპნილ ყურძენს ამოაბრუნებდნენ და მათდა გასაოცებლად, ამდენი ქულები მერე, ქაქიდან მთელ-მთელი, შეუბღალავი მტევნები ამოანათებდნენ...

ათას წვრილმანს იგონებდა სოსიკო თავისი ბავშვობიდან, სულ უბრალო ამბავიც გულამაჩუყებლად მიაჩნდა. ის მხოლოდ ახლა ხედებოდა, რა დიდი და უნაპირო სიყვარული ჰქონდა თავისი სოფლისა, სახლ-კარისა, ვენახისა.

სოსიკო წავიდა. ოჯახში ყველა გრძნობდა, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

სტეფანე სიღნაღის საავადმყოფოს ხშირი სტუმარი გახდა. დარომ იცოდა, სტეფანე რისთვისაც მოდიოდა. საავადმყოფოში, მასთან ერთად, ერთი ტანმორჩილი ქალი — სიდო მუშაობდა, რომელიც სტეფანეს გულში ჩავარდნოდა.

ჩვეულებისამებრ დღესაც ეტლით გასეირნება შესთავაზა სატრფოს სტეფანემ. სიდომ უარი განაცხადა. სტეფანე ეტლიდან გადმოვიდა და მეეტლეს ხელუქუღმა ფული გადაუგდო, სიდოს წელზე წაებოტინა და გზას ხეებზე დაჰყვა.

სიდო ზეზეულად დნებოდა. კატის თვალებს ნაბავდა, მორცხვად ილიმებოდა, მხოლოდ შიშობდა, დაგვინახავენო. ხავსიან ფერდობზე ჩამოჯდა, რაღაცას ჩურჩულებდა, მერე ორივე ხელი მოწყვეტილად, აქეთ-იქით გადაყარა და თავიც გვერდზე გადააგდო.

ქვემოთ, წყაროსთან ვიღაცამ გაიარა. დაიძახა.

სიდო შეფართხალდა, სახის დამალვა სცადა. სტეფანეს გაეღიმა, ქალს სველი ტუჩებით დაუკოცა სახე, მიუხიდა. საავადმყოფოში რომ დაბრუნდა, სიდო ერთხანს დარცხვენილი იჯდა და დაროსათვის თვალი ვერ გაესწორებინა.

დარო წვრილ იყო გართული.

— ვისა სწერ წერილს, დარო? — ფრთხილად შეეკითხა სიდო.

— სოსიკოს.

— რაღა გატირებს?

— ეჰ, ჩემო დაო, მამაჩემის მშენებულსა და მოყვანილში ტყუილსა უნდა ვიხილო...
სოსიკოსთვისაა

დაროს ლაპარაკი აღარ გაუგრძელებია, ადგა, ავადმყოფების სანახავად წავიდა. დერეფანში კვლავ იმ მაღალ ექიმს შეეფეთა, საავადმყოფოში ორი თვის წინ რომ მოვიდა და ყველას მოსვენებას უკარგავდა; ექიმი სიღნაღელი იყო, სწავლა-განათლება თბილისში მიეღო, სამუშაოს მშობლიურ ადგილს დაბრუნებოდა. ექიმი უცოლო იყო.

ყველა გასათხოვარი ქალი ეკეკლუცებოდა, ეპრანკებოდა... დაროს გულში იგივე ეწადა, თუმცა თავისი მწარე ხვედრით შეწუხებული გამოჩენასა და აშკობას ნაკლებ ცდილობდა. მაგრამ ყველასდა გასაკვირლად ყურადღებას თვით ექიმი აქცევდა.

აი, ახლაც, დაინახა თუ არა, თავაზიანად გზა დაუთმო და გაუღიმა. დაროს გულმა ბავა-ბუგი დაუწყო. ექიმის თვალეში უცნაური გრძნობა ამოიკითხა, ისეთი, რაც ჯერ არ განეცადა. დერეფანში ჩქარი ნაბიჯით გაიარა და პალატაში შევიდა. დაროს დანახვაზე ავადმყოფებმა წამოიხედეს, მზიარულად დაუძახეს აქეთ-იქიდან. კეთილი და პატიოსანი დარო ყველას უყვარდა. პალატიდან აღელვებული გამოვიდა. დერეფანში გაიხედა და შეკრთა. ექიმი ფანჯარასთან იღგა და კვლავ უღიმიოდა. დარომ ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შესძლო. ლოყები ისე უხურდა, რამდენიმეჯერ თითები მოისვა, ცეცხლი ზომ არ უკიდიაო. დარცხვენილმა თავი ჩაღუნა. კარს მიეყუდა. ექიმი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ, თავი დაუკრა და საუბრის ნება სთხოვა.

— ბრძანეთ, ექიმო! — წაიხურჩულა თავდახრილმა დარომ.

— დარო, რა ხანია გიყურებთ და ვერ გავებდე მეტყვა: დღეს საღამოს, თუ დრო გექნებათ, ჩემთან მოდიოთ, პალატა ვახშამი მაქვს, ჩვენი თანამშრომლები იქნებიან. მე ვგრძნობ, თქვენ მოწყვნილი ხართ და უარს არ იტყვიოთ...

დარომ ბიძინას ნათქვამიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, მხოლოდ მიხვდა რომ ეპატივებოდნენ...

რამდენიმე წელიწადში კვლავ მოუტრიალდა სოსიკო მშობლიურ კერას. თან ახალი ამბავი ჩამოიტანა: მოსკოვს, „წითელ პროფესურაში“ მგზავნიანო. ჯამბარა აღარ იყო ჯავრით.

— შენ დავაქაცებამი გავთავდი, შეილო, — ამბობდა ის, — და ახლა, როცა ორი დღის სიცოცხლე დამრჩენია, გულში ნანი უნდა ჩამიტოვო, იმის მაგივრად, სიბერე არ ჩამამწარო, დავრდომილს მომხედო, გავერანებულყოჯახი წამოაყენო, სადღაც მირბინარ და ვგრე ლეთისანბარად მტოვებ. ეგ არი შენი მამა-შეილობა? გიო გამეჭკა ქალაქში... შენლა ხარ, ბიჭო, იმედო! სამარე მელოდება, გესმის, სამარე და არა ბუნრისპირი... მე უნდა წავიდე და ოჯახი ვის ჩავაბარო? ვგრე უპატრონოდ მტოვებ? აღარ გენანები? აღარადერი აღარ გენანება? ვგრე ამოირეცხე გულიდან ოჯახის სიყვარული? ამას ველოდი შენგან? მაღლი მატლად მიქციე? ფუჰ, შენ ვაქაცობას!

ჯამბარა ტიროდა. უტეხი კაცი გამტყდარიყო, კრემლები სცივოდა, ზღუქუნებდა, მთელი სხეულით ცახცახებდა.

სოსიკო ეზოში გამოვიდა. მთვარიანი ღამე იყო. სოფელს ეძინა. ერთგან ბავშვი გაქირვეულებოდათ, წრიპინა ხმით გაკიოდა, უფროსები აჩუმებდნენ, ვერ გაეჩუმებინათ, ბავშვის ტირილს ერთმანეთს აბრალებდნენ, ყვიროდნენ. ორლობეში ძალი მიძუნძულებდა, ვილაცას ემღეროდა, ალბათ პატრონმა დატუქსა ან მეზობლის ძაღლებმა სჩეჩქვეს. საქათმეში ვარიებს შფოთი აუტყდათ, ყვიწილა ძილში დედალს დასცემოდა, ქათმები კრიახებდნენ, თელემაში წასულ მსუქან ღორებს აფხიზლებდნენ. სოფლის ღამე თავის საქმეს აკეთებდა.

„მაღლი მატლად მიქციე“ — მოაგონდა მამის სიტყვები სოსიკოს და გაავტრიალა.

დაობლებულ ანანიას გულზე დაეჭრა და დაუკრთია. დარდმა მთელი მისი დაავაქაცა, გააქალაჩა, ოჯახი ღონიერი დარჩა ანანიას, მაგრამ ორი წლის მოუსაელიანობამ პირწმინდად გამოულოკა ბელელი და ქვევრები, ხოლო მის იავარქმნილ ვენახს საერთო სენი — ფილოქსერა მოედო და მიუხედავად პატრონის ყელგადაგდებული შრომისა და დიდი ამაგისა, ისე გაამეჩხერა და გაახმო, რომ მსხმოიარე ვაზები მზიან დღეშიც კი სანთლით უნდა გეძებნა. გლეხებში ხმა იყო დარხეული, ამერიკული ვაზის ძირზე ამყნობენ ქართულ რქაწითელს და ფილოქსერასაც ბოლო მოეღებო, მაგრამ ახალ ამბავს ფული უნდოდა და მოცლა, ხოლო ანანიას არც ერთი ჰქონდა და არც მეორე. უარეაად გაუქირდა ყმაწვილყაცს, როცა კისურზე ოჯახის ულელი დაიდგა, ერთი თავისავეთ გამრჯე გლეხის ქალი შეირთო... ახლა ანანიას, რომ იტყვიან, წელეზე ფეხს იდგამდა, თვალებს იწყებებდა მუშაობაში, რათა დიასახლისს ყოველდღე მაინც ჰქონოდა ღობით ქოთანში მოსახარშად...

ძალიან არ იქნებოდა ბედის უმადური ანანიას და თავსაც როგორმე გაიტანდა ამ გაძაღლებულ წუთისოდელში, რომ ერთ კვირა დღეს დიდი უბედურება არა სწვეოდა.

ანანიას დილიდან ბაზარში იყო. მაგდანა, მისი ცოლი, დინგაზე მასლაათობდა მეზობლის დედაკაცებში.

შუა ცეცხლი ენთოთ გლეხურ, მიწისიატაკიან დარბაზში. მეზობლის ბავშვებს ლაგატყით ოთახის მინა გაეტეხათ, უტბად ამოვარდნილ ქარს იმდენი ეთარეშა, სანამ არ გაეძლიერებინა მინელებული ცეცხლი.

ცეცხლს ენები დაგრძელებოდა, ჰერს მისწვდენოდა...

სუფთა, მოკრიალებულ ცაში ასპიტი გველივით ასწია თავი შავმა, სქელმა ბოლმა.

დინგაზე მოირბინეს, ხარებას ბიჭი იწვიოს...

მაგდანამ რა დანახა ცეცხლში გახ-

ვეული თავისი სახლი, ერთი შეპკივლა და გაიქცა. მაგრამ სახლამდე ღონემ უმტყუნა და ორღობეში გულწასული ჩაიქცა.

სოფელში სახლი იწვოდა. წყალი შორს იყო და ცოტა. ქალები კიოდნენ, ყაყებდი დარბოდნენ კოკებით, დოქებით, მაგრამ აბრიალებული ალი იმ სიშორეზე სცემდა, რომ ველარ ბედავდნენ ახლო მიკარებას და რათა ცეცხლი სხვა სახლებს არ მოსდებოდა, ორღობეშიც არ გადმოპარულიყო და მთლად არ დაენავლა სოფელი, გადამხმარ ბალახს კოკებით ასხამდნენ წყალს.

ბავშვები ტიროდნენ. დედაყაყებს ისეთი ქოთქოთი შესდგომოდით, რომ შეცხადებულევით გაპკიოდნენ. მაგრამ ამდენ გულშემატკივარ ხალხში მინც არავინ იყო ისეთი, რომ საქმისათვის ხელი მოეკიდა, გაგვიებულ ცეცხლს შებრძოლებოდა.

ხალხი სეირის საყურებლად მოსულს ჰგავდა.

სადღაც, შეგროვილ ხალხის შუაგულიდან კაცის ხმადაბალი კენესა მოისმა. ყველამ იმ კენესის ხმაზე მიიხედა. გააქრიალათ. გაფითრებულნი, გამშრალი ანანია მუხლმოკვეთილივით იდგა, ხელები გულზე დაეწყო, თავი ჩაქინდრა და დიდრონი ცრემლები დაბადუბით სცვიოდა თვალებიდან.

— ხალხო! — დაიძახა ერთმა ახალგაზრდამ, — მიწა გავთხაროთ, თორე ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ მეზობლებსაც მოედება!

ამ ხმამ გარინდებიდან გამოიყვანა გლეხები. საიდანღაც ბარი და წერაჭევი განჩნდა. მარჯვედ დატრიალდნენ, ორსამ საათში საკმაოდ ღრმა თხრილი გასჭრეს სახლის ირგვლივ. ცეცხლი კი ისევ გიზგიზებდა. იწვოდა ანანია...

დაღამდა. ხალხი წავიდ-წამოვიდა. მათთვის ცეცხლი საშინო აღარ იყო, ღრმა თხრილი იცავდა ორღობეს ალი-საგან. სხვისა დარდი კი სადამდე შეეძ-

ლოთ ეგლოვათ. მეზობელს მეზობლის მკვდარი მიძინარე ეგონათ, ყველას-სხკუთარი გასაპკირი ჰქონდნენ.

ბეკობზე ისხდნენ ანანია და მაგდანა და ისე წართმეოდით ძალა, რომ ცალი სიტყვის თქმაც ველარ მოეხერხებინათ. ორივენი გაჩუმებულნი მისჩერებოდნენ ცეცხლის ალის თამაშს. მაგდანა ხმამალლა ტიროდა. ანანიას ცრემლი გამრობოდა. დროდადრო ღრმად ამოიხვნეშებდა ხოლმე.

ბოლოს, უკანასკნელი ფიცარიც რომ ჩაიწვა და ორღობე სრულმა წყვდიადმა მოიცვა, ანანიამ ერთხელ კიდევ ამოიქმინა და თქვა:

— გათავდა. დაეწვიოთ, მაგდან.

მაგდანამ ყრულ შესტირა, მხარზე დააწყო მკლავები და სახით ქმრის გაყინულ ბეჭებს მიეკრო.

ანანიას ხელები გაშეშებოდა. სრულ ულონობასა და უნიათობასა გრძნობდა.

როცა მხარი მაგდანას ცხელმა სუნთქვამ გაუთბო, მხოლოდ მაშინ გამოერკვა ბურანიდან, ხელები გაასავსავა... უცბად თითები რაღაცა რბილსა და თბილს წაპკრა... დაიხედა. თავი გაიქნია, გაყინული თითები ცოლის გამობერილ მუცელს მოუსვა და იმედიანი ხმით წაიჩურჩულა:

— ნუ გეშინია, გულო! ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ. ე ბალღის გულიათვის თუნდა ათჯერ დავიწყებ მოშენებას. საცაა შვილი მეყოლება და იმას კერი ხომ უნდა ჰქონდეს თავშესაფარებელი...

მაგდანამ უფრო მოუმატა ქვეთინს, ქმარს მიეტმასნა.

ანანიამ კი უცბად იმხელა ძალა იგრძნო მკლავებში, რომ ღონიერად გაიქნია კისერი და თქვა:

— შენა მყავდე ცოცხალი!.. შენა და ჩვენი შვილი, რომელიც სულ მალე უნდა მაჩუქო, მაგდან. ოღონდ არ დამილონდე. ქვესკნელში ჩავძვრები და თვის თავზე ახალ ქოხს წამოვდგამ...

(გაგრძელება იქნება)

ვალერი ბრუსონი



ოვანეს თუმანიანი

წარწერა წიგნზე

იყოს სიმაართლით მოვლინებული
შენდამი ბედი ეამთა სვლის გზაზე
შეჰქმენ ახალი ვარსკვლავთ კრებული
აიასტანის მღელვარე ცაზე.

დაე, ზეციურ სხივთა ნამქერი
შენ დაგეფინოს სიამის მგვრელი!
ჩვენ მიუწვდომელ სფეროს გავცქერით
და ბრწყინვალემა გვაოცებს შენი.

თარგმანი ნ. ნაღირაძისა



მონადირის ნაამბობი

შემოდგომა ბაჟში

დომბა რამდენჯერმე ყრულ ამოიგმინა და დაიბლავლა. ხმაზე ეტყობოდა, რომ ბებერი იყო. ნადირის მძლავრმა ღრიალმა აავსო ტყე, ტალღასავით გადაურბინა ბორცვებს.

მე ყურს ვუგდებ ამ ხმას. ბუტუზკამ სმენა დაძაბა, იღრინება, თან ტკვიანი, ერთგული თვალებით მომჩერებია, ელოდება, როდის ვუბრძანებ, ნადირს გამოუდგეს და სასროლ მანძალზე მომიდენოს. მაგრამ მე აზრადაც არ მომსვლია დღეს დომბზე ნადირობა. ტაიგაში ხეტიალი მინდა. თოფი ისე წამოვიღე, ძალდაც თავშესაქცევად წამოვიყვანე.

თითო ვემუქრები ბუტუზკას. ისიც წყნარდება.

ის იყო დადუმდა ბებერი ნადირი, რომ იქვე, სადღაც ახლოს, ახალგაზრდა დომბა გამოეხმაურა მყვირალს. დომბები ღრიალით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

დადგა დომბების ყვირილობის ეპი.

აი, მიიწურა ზაფხულიც. მზემ ზემოდან ვადმოხედა ტყეს. ფერდობებზე ამწვანებული ხავსი, ტინის ნამსხვრევები, გვიმრა, ყვითელ ფაფარს რომ დამსგავსებია, ცირცელის წითელი კარვები... ყველაფერი თვალისმომკრელად ელვარებს.

ლენჩაქივით მსუბუქი ნისლი ჩაწოლილა დაბლობებში. მარცხნივ და მარჯვნივ აღმართული გორაკები თითქოს შემოდგომის ბურუსში ინთქებიან. წამოუბერავს ნიავი და ტყე ყრულ ამოგუგუნდება. თითქოს ღრმა ძილში იყოს

წასული. ცივი ჰაერი განსაკუთრებით სუფთაა ამ დროს.

დომბები ყვირიან. მე ძალს თასმა ჩაევაბი და ამ ხმას ავედევნე. დათრთვილული ბალახი რბილად ხრამუნებს ფეხქვეშ. ცვარში გაბანილი ტოტები მასველებენ.

გორაკის ძირას პატარა მინდორზე შეიყარნენ დომბები. ბებერი დომბები დიდა, დამძიმებული, რქებზე თორმეტი ნაყარი აქვს. ახალგაზრდის ბალანი უფრო ნათელია, ბრტყელ ზურგზე შავი ზოლი გასდევს.

მე ტყის პირიდან ვავცქერი მათ. სულის მოთქმისა მეშინია. ახალგაზრდა პირველი მიეჭრა ბებერს, რომელიც მას ელოდებოდა. გავით ნაძვს მიყრდნობია ბებერი დომბი, ბაცი ნაცრისფერ მძლავრი ფეხები ბოძებოვით გაუდგამს მიწაზე.

ბრძოლა დაიწყო. ერთიმეორეზე გაისმის რქების ჯახანი. დომბები დაუნდობლად, ცხარედ იბრძვიან. იქვე სრულიად ახალგაზრდა, ტანკენარი, ყურეპანტურა ფური დგას. იგი ბრძოლის დასასრულს ელოდება. შემდეგ გამარჯვებულს გაყვება ალბათ.

ბებერი გამოცდილი მებრძოლია. იგი ძალას ინახავს, დარტყმებს დინჯად იგერიებს, მხოლოდ სქელი ლაშებიდან ჩამომდინარე მოყვითალო დუღი ამქლავნებს მის აწყვეტილ ვნებას.

შავზოლიანი ახალგაზრდობით სჯობნის, თუმცა უკან იხეცს, ახველებს, მძიმედ ზროტინებს და გაადორებული ესხმის თავს მეტოქეს. ბებერი მოხერხებულად იგერიებს მტერს. კისერი რამ-

დენიმე ადგილას გადაგლეჯია, მაგრამ მაინც მედგრად დგას და „თავის“ წუთს ელოდება. მას ცოტა მოქიშპე როდი ჰყავს დამარცხებული, იცის ბრძოლის ხერხები, სჯერა — მისი წუთიც დადგება. ერთ წამში გადაწყდება ყველაფერი. მთავარი ის არის, რომ უშედეგო თავდასხმებით მოქანცოს ახალგაზრდა მეტოქე.

მაგრამ ამჯერად ბედმა უმეტესად ბებერს. შავზურგიანი გამოეჭანა, დაეჯახა და წამოაჩოქა მოქიშპე. ბრძოლაში დაცემულის ხვედრი კი სიკვდილია. შავზურგიანი სკიშავს ოფლიან, გასისხლიანებულ კისერს, სწრაფი და მოხდენილი დარტყმით მიწაზე სცემს მეტოქეს.

ბებერმა გაიზმორა ჩაჩუმდა.

შავზურგიანი დამარცხებული მტერს მოსცილდა და ფერს აუარ-ჩაუარა მედიდურად. ფერი კი, თითქოს ეალერსებაო, ვარდისფერი, ხაოიანი ენით სისხლს ლოკავს დაფლეთილ მკერდზე.

შავზურგიანმა რქები მოიღერა და აბღავლდა. რა ძალა და სიხარული იგრძნობოდა ამ ყვირილში! იგი ტაივის მკვიდრთ ამცნობს გოროზი ბებერის დამარცხებას და საბრძოლველად მოუხმობს რქებდატოტვილ მეტოქეებს, რომლებსაც სურთ მასთან შეება, ყოველი მხრიდან ეხმაურებიან მას დომბები. ტაივის საზეიმო, საშემოდგომო სიმღერა განუწყვეტლივ გუგუნებს.

ფერი ბალახს წიწვნის. შავზურგიანმა უცებ კაცის თუ ძაღლის სუნი იცა. თვალები ბრახით აენთო. ნესტოებს ბერავს, ჰაერს ისუნთქავს, ფრთხილად ფრუტუნებს, გვერდს მიჩვენებს, თითქოს ბეჭი სასროლად გამიშხადა. ო, ცთუნება დიდია! აი, ახლა ვესვრი და ისიც სულამოუთქმელად დაეცემა მიწაზე, ვერც კი მოასწრებს დატბებს მოპოვებული გამარჯვების ნაყოფით...

მე დავძლიე მონადირეული ვნება. ორივე ლულა ჰაერში დაეცალე. დედალი დომბა, თითქოს ჭარმა აიტაცაო, ისე გადაეველო გორაკს, და ნაძენარში გაუჩინარდა. მას შავზურგიანიც მიჰყვა.

— მშვიდობა თქვენდა, ნადირა! — სიცილით ვიმეორებდი სადღაც ვიღაცაზე სიტყვებს, — იმღებოდა სიყვარულის სიმღერები ამ წარმტაც ტყეში. მე ხელს არ შევიშლით. მე მხოლოდ სტუმარი ვარ თქვენს დღესასწაულზე.

ბრძოლის ადგილს ეაკვირდები, მინდა კარგად დავიმახსოვრო იგი, რომ კაცი გამოვგზავნო და დამარცხებული, უსულოდ დაგდებული ბებერი დომბა ჩვენს ბინაზე ჩავათრევიწო. მაგრამ სწორედ ამ დროს რალაც საოცარი ამბავი მოხდა. რქოსანი „მიცვალებული“ ნელა, დიდი გაკირვებით წამოდგა. ძლივს და ხროტინებს, სისხლნარევ დორბლს ღერის, თხელტყავადაკრული გამოკვეთილი წერილი ფეხები უკანკალებს და ეაკეება. ბეჭიდან სქელი მოშავო სისხლი სდის. ერთი თუ ორი წუთი ასე დგას და ნაღვლიანად იტკირება გარშემო. რქებს აქეთ-იქით იქნევს და ნელი ნაბიჯით ბუჩქებში შედის.

მე დიდხანს ვდგავარ უკიდურესად გაკვირებული, ძალა არ მყოფნის, ადგილიდან რომ დავიძრა. შემდეგ ძაღლს თასმა მოეხსენი და ნელი ნაბიჯით გორაკის ფერდობს შევეყვია.

მინდობაზე ობობას ქსელი მიაქვს ნიავს, ნეკერჩხალსა და არყისხეს ხმელი ფოთოლი სცეცია. ბალახი შემეცნარა, უკანასკნელ ყვავილებს ფურცლები დასცვენია, მწერი აღარ ბზუის. ციყვმა ზაფხულის სამოსელი საზამთრო ქურქით შესცვალა, ზურგზე ნაცრისფერმა გადაჰკრა, ყურის წვერებზე მოლურჯო თეთრმა ბალანმა წამოყო თავი. ტყის ქათამი რილოზე გამოეფინა, ტბებზე იხვები იკრიბებიან გუნდ-გუნდად, რომ ერთად გაფრინდნენ სამზრეთისაკენ.

რამდენი რამ შეიცვალა ტყეში! ფიქვები მხიარული შრიალით მხვდებიან, ტოტებს მიქნევენ. მეც ისე შევლიმი მათ, როგორც კეთილ მეგობრებს. როქოები და ყრუანჩელები, რომლებიც ხილნარადან ამოფრინდებიან ხოლმე, უვნებლად განაგრძობენ თავიანთ გზას. ბუბუჩკა გაჯავრებული მიცქერის.

„რატომ არ ჩამოიღებ თოფს? — მე-ვედრებიან ძაღლის ცეცხლოვანი თვალები, — განა შეიძლება ასეთი ნადირობა?“

მე მივუღერე განაწყენებულ მეგობარს.

— არის კიდევ უფრო მნიშვნელოვან-

ნი რამ, ვიდრე ყრუანჩელას მოკვლა, ჩემო კარგო მეგობარო ბუტუხე, შენ არა გესმის რა ადამიანის განცდები?

გამოლაპარაკებით შეტად კმაყოფილი ბუტუხეა გულზე თითებით მახტება და სიამოვნებით წკმუტუნებს. ჩვენ მოვრიგდით და გზა განვაგრძეთ.

ქუ მგელი

მაისის დამდეგს გამოცდილმა მხეცების დამკურმა იოკიმემ მგლის სოროს მიაგნო. სოროს გარშემო გამოხრული ძელები და ბუმბული ეყარა. ეტყობოდა, სორო ცარიელი არ იყო. ორივე გასასვლელში იოკიმემ მძიმე ხაფანგები დააგო და შარშანდელი ფოთლითა და გვიმრით შენიღბა.

მეორე დღეს მოხუცმა ურემში ცხენი შეაბა და ნადავლის მოსატანად გასწია. არც მოტყუებულა ანგარიშში: ხაფანგში ქუ მგელი გაბმულიყო. მონადირემ დაღებულ ხახაში მხეცს არყის ხის ტოტი ჩასჩარა და, როდესაც გამწარებულმა მხეცმა ჯოხს კბილები მოუჭირა, მოხუცმა მას ლაშებზე თოკი შემოახვია და გაბორკა.

— გაგოკვს, ჩემო კარგო! — ჩაიცინა მონადირემ, — ახლა მორჩა! გათავდა შენი თავისუფალი ცხოვრება!

ქუ მგელი ურემში ჩააგდო, რკინის ბარი აიღო და სოროს მოთხრას შეუდგა. მიწა რბილი იყო, ადვილად მოჰყვებოდა ბარს. იოკიმე გულმოდგინედ და მხიარულად მუშაობდა.

სოროში ოთხი ლეკვი აღმოჩნდა: აპრილის თვისანი თუ ივნებოდნენ. თვალები უკვე ახილათ, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტები, უმწეონი იყვნენ.

მოხუცმა ლეკვები ძარში ჩაყარა, ტყაბუკი დააფარა და შინისაკენ გაუღდა გზას.

„ქალაქის სამხეცეში მივიყვან შეილებიანად, — ფიქრობდა იგი თან ცხენს

უჯავრდებოდა, — დედაში ორასიოდე მანეთს ავიღებ, თითო ლეკვში კი ხუთ თუმანს მომცემენ... სარფიანი დღე გათენდა!...“

ორი საათი მოუნდა მოხუცი ტყიდან გამოსვლას, ხეებუეებსა და შამბნარმოდებულ ადგილებს გვერდს უქცევდა. ქუ მგელი თავს ურმის ფიცარზე ურტყამდა, ბორგავდა. უცბად მოსახვევში, ხევიდან ხვადი მგელი გამოვარდა. იგი მყისვე ცხენის წინ გაჩნდა. ცხენი დაფრთხა და ურემიც წამსვე გადაბრუნდა.

... და უცბად ისეთი ამბავი დატრიალდა, რასაც სრულიად არ მოელოდა მოხუცი მონადირე: ქუ მგელმა ფეხებზე დახვეული საკოჭავები დასწყვიტა და პირში ჯოხგაჩრილი უცნაური ნახტომებით ბარდებს შეერია. ხვადმა ცხენს კბილები დაუღრკიალა და მყისვე უკან გაჰყვა ქუს.

შეშინებული ლეკვები გადაბრუნებული ურმის ქვეშ წკმუტუნებდნენ. იოკიმემ ძლივს დააწყნარა ცხენი, ურემი ბორბლებზე შეაყენა, ლეკვები მოაგროვა და კვლავ თავის ადგილზე ჩაჰყარა. მოხუცი წამოქარხლებულიყო, შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ჩამოსდიოდა.

— აფსუს! — დაილაპარაკა ბოდმაზე მოსულმა. საქმეა ახლა ეს? ორასმა მანეთმა კირი მოგვამა... როგორ გავუშვი მე გამოჩერჩეტებულმა. პატრონი არა მყავს, თორემ სწორედ რომ საცემი ვარ!..

იგი თავისთავს ლანძღავდა, იმიტომ, რომ თოკი მოკლე წამოიღო, იმიტომ რომ მგელს ფეხები ცუდად შეუტრა და ურემში თავით არ ჩაუტრა. მერე მგელს დაუწყო ლანძღვა:

— ბებრეკა ეშმაკის კერძი!... პირში ჯოხგაჩრილმა მოუსვა. ნეტავ სად გარბის? ვერც ქამას მოახერხებს და ვერც სმას. სულ ერთია, ჩაძალდებია!

ლეკვები ალბათ გრძნობდნენ უღედობას: წკმუტუნებდნენ, ტყაპუქიდან გარეთ ძვრებოდნენ. იოკიმე ფხიზლად ყარაულობდა ლეკვებს, ხანდახან თავშიაც წაუცაცუნებდა ხელს.

— მანდ ეყარნეთ, მუნინებო! ხომ ხედავთ, არაფერს გიშავებთ!

მოხუცმა მთელ სოფელს უამბო, რა ხიფათიც შეემთხვა და, რაც უფრო მეტს მოუთხრობდა მეზობლებს, მით უფრო გული მოსდიოდა ძე მგელზე.

— არ ინება უმკურომ ტყიდან ქალაქის სამხეცეში წაბრძანება! — ჯავრობდა იგი, — მოსაკლავად ხომ არ მიმყავდა ეგ საძაგელი! სამხეცეში ყოფნას რა სჯობს: მიირთვი ახალი ხორცი, საჭმეკი არაფერი გაქვს. ერთი დამიხედეთ ამ უმადურს: შეიღებს გაუქცა! აბა, უნამუსო არ არის ახლა ის?

— რა თავში იხლის შეიღებს! — ქირჭილებდნენ გლეხები, — განა მხეცს ვაგება რაიმე? ისეთი ყაჩაღისათვის, როგორც მგელია, ლეკვები ჩირადაც არა ღირს.

ლეკვები აბანოში მოათავსეს, იოკიმეს ცოლი დარია ივანოვნა რძით უმასპინძლებოდა უჩვეულო სტუმრებს. იოკიმემ ჭილყავაი დახოცა, აკება და კოდში ჩაუყარა მათ.

— ქამეთ, ჩემო კარგებო! ნუ მოიწყენთ! იმ კვირაში ქალაქს წაგასხამთ!

აბანოსთან მთელი სოფლის ბავშვებმა მოიყარა თავი. გოგონები მოკრძალებით იჭყიტებოდნენ სარკმელში. ბიჭებმა, მომავალმა მონადირეებმა, კი აბანოს კარი გამოაღეს, მგლის ლეკვებს

ფიჩხით აღიზიანებდნენ. მაგრამ პატარები არ აქცევდნენ ყურადღებას ფიჩხს, არ ღრინავდნენ. ^{საინტერესოც} კი არ არის ასეთი მხეცის გაღიზიანება! ბიჭებმა თავი მიანებეს მათ.

ღამით ეზოში ძალღი გამუდმებით ყეფდა, ჯაჰვს აჩხარუნებდა. იოკიმე გარეთ გამოდიოდა, ძალს უჯავრდებოდა:

— შარიკ, ჩემად იყავი! არ გვაძინებ! ნუ ღავლაგებ, თორემ... მე ვიცი შენი!

ღლით იოკიმეს მეზობლის ქალი ულიანა ეწვია:

— იცით, რა უნდა გითხრათ! თქვენს აბანოსთან მთელი ღამე მხეცი დამწროდა. მთვარიანი იყო, არ მეძინა; ფანჯარაში ვიკტირებოდი. დადიოდა და დადიოდა.

„ნუთუ ძე მგელია?“ — გაიფიქრა იოკიმემ, ულიანას კი ასე უთხრა:

— მოგჩვენებოდა. შეუძლებელია, რომ მხეცი მონადირის ეზოში თვითონ მოვიდეს.

სალამოს მოხუცმა თოფი მსხვილი საფანტით გატენა და აბანოსაკენ გასწია საყარაულოდ.

ღამე ისევ მთვარიანი იყო. მოხუცმა უცებ დაინახა; ორღობეში დაბორკილი ძე მგელი მორბოდა.

პირში ჯოხგაჩრილი აბანოსთან მოიქრა და ყრუდ დაიყმუვლა. ლეკვებმა წკმუტუნით უპასუხეს. ძე მგელმა კედლის მიწის თხრა დაიწყო.

იოკიმემ კარი სწრაფად გამოაღო. მგელმა ისეუბა და ღობისაკენ მოუსვა, მაგრამ ტყვია წამოეწია, მიწაში წაემხო და გვერდზე გადაწვა.

აბანოდან ლეკვები გამოცვიდნენ, ღელა ჩქარა იპოვეს, ძეძუებზე მისცვიდნენ და წოვა დაუწყეს.

იოკიმე უცქეროდა, როგორ სწოვდნენ მკვდარ ღელას ძეძუს ლეკვები და გულზე სევდა შემოაწვა.

— მართლა მხეცებია! — ლულულულებდა იგი, — ნამდვილი მხეცები!

ხელოვნება



ეს შემოდგომაზე მოხდა.

გათენებამდე ჯერ კიდევ შორს იყო, როდესაც მე ტბის იმ ყურესაკენ გავმართე, სადაც თავს იყრიდნენ გადასაფრენად გამზადებული იხვები. ჩვეულებრივ ჩამსხდარ იხვებს ვესროლით ხოლმე: ტბის ყურე სოლივით იყო შეჭრილი დაბალ ნაძვნარში, აქედან ადვილად წამოვეპარებოდით ხოლმე ფრინველებს.

ახლა სურათი შეცვლილიყო. გვალვიანი შემოდგომა იდგა. წყალმა დაიკლო და ნაპირმა საგრძნობლად დაიწია. მე ჩავფიქრდი.

როდესაც ინათა, მრავალი ფრინველი დაეინახე. წყლის მთელი ზედაპირი დაფარული იყო შავი, მოძრავი წერტილებით. სილიან ნაპირზე ერთმანეთში ირეოდნენ გარეული იხვები, იხვინჯები, ცხვირფარები, ქოჩორები, თეთრშებლები, ნაცარები. მე გავყურებდი ახლა მათ და არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი.

იხვებთან თოფის სასროლ მანძილზე მისასვლელად საჭირო იყო ნაძვნარიდან გასვლა სრულიად ღია, დაქოაბებული მინდორზე, სადაც ფეხქვეშ ქვაბაქუყუბი გაუდის მიწას. კარგად ვიცოდი, რომ შემოდგომაზე იხვი მეტად ფრთხილია, შორიდან ამჩნევს, მონადირეს კარგად ესმის ოდნავი ხმაურიც კი.

მე თანდათან შევეურიგდი ხმ აზრს, რომ ამჯერად ნადირობიდან არაფერი გამოვიდოდა, შინისაკენ გამობრუნებაც დავაპირე, რომ ჩემი ყურადღება ერთმა მელიამ მიიპყრო.

იგი იმავე ნაძვნარიდან გამოვიდა, რომლის პირასაც მე ვიდექი და მუცელზე ხოხვით გაპყვა ჭაობს წყლის ნაპირისაკენ, სადაც მსუქანი იხვები ირეოდნენ. ფრინველები უზრუნველად კენკავდნენ რალაცას, ყურყულაობდნენ და დროდადრო ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ თავიანთ, ფრინველურ ენაზე.

ერთი ნახტომის მანძილზე თუ შეს-

ძლებდა მელია მათთან მიხლოებას, შემოდგომის წყნარ, სისხამ დილით მას შეეძლო გამრეილად ესაუზმა.

მელას საველე ბინოკლიდან ვადევნებდი თვალს და ყველაფერი ისე მოჩანდა, თითქოს ჩემს ხელისგულზე ხდებოდა ყოველივე. და მერე როგორ მოხერხებულად მიცოცავდა იგი! წაწვეტიებული ცხვირი მიწაზე გაეკრა, ოდნავ გვერდზე გაეწია მოხრილი თათები სრულიად შეუშინველად მოძრაობდნენ, გაფუფულებული ღია ნაცრისფერი კუდი, მელიის ეს მშვენიება და სიამაყე, რომელიც ახლა არაფრად არ იყო გამოსადეგი, უკან ჰქონდა გაშვებული და ქანგისფერ სველ ბალახში საცოდავად ამოწუწული.

და რამდენად მელია უახლოვდებოდა იმ ადგილს, საიდანაც შეიძლებოდა თავს დასხმოდა მსხვერპლს, იმდენად მომხიბლავი და ფრთხილი ხდებოდა თვითიული მისი მოძრაობა.

იგი დიდხანს იყო გარინდებული, ცივ წუმპეს ეკვროდა, შემდეგ მისი მოწითალო თავი დალურსული ყურებით ოდნავ მიიწვედა წინ, მერე კი კვლავ შეჩერდებოდა.

მე მაინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს. ვლელავდი და უნდა გამოეტყდე, რომ მშურდა კიდევ. ის ნადირობს, მე კი არა, ის მიზანს მიაღწევს, მე კი ცარიელი ჩანთით უნდა დავბრუნდე შინ.

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, ფრინველებმა მაინც შეამჩნიეს მიახლოებული მელია. იგი უკვე ორიოდ მეტრზე იყო და როდესაც მთელი ძალა მოიკრიფა, კუნთები დაჭიმა საბოლოო ნახტომისათვის, იხვებმა აურზაურის აუტეხავად, თითქოს ვილაცას მიერ ჩურჩულით წარმოთქმულ ბრძანებას ასრულებენო, ნიჩაბა ფეხები მოუსვეს წყალს და ნაპირიდან სიღრმეში შეტურეს.

მელა ყველაფერს მიხვდა. ადგა, ზაზლით დაიფრუტუნა, სველი ტანი გაი-

ბერტყა, ტალახში ამოსვრილი კუდი გაიქნია და იმ ნაძენარს შეერია, საიდანაც ის იყო გამომტრა.

მე გულიანად გამეცინა და ჩიბუხს მოვუკიდე. თითქოს რაღაც მომეშვა გულიდან: მე თუ დღეს ბედი არ მწყალობს, სამაგიეროდ, არც მელიას გაუმართლა. ძალიან კარგია, დაე, იცოცხლონ და იმრავლონ იხვებმა.

ჩიბუხს ვაბოლებდი და ველოდებოდი, იქნებ კიდევ რაიმე საინტერესო მომხდარიყო ამ ყურეში. ტყიდან თავი ამოპყო შემოდგომის მარჯნისფერმა მზემ, სხივები ოქროსფერად გაეკვრენ წყლის ზედაპირს, საგრძნობლად დათბა. იხვები კვლავ ნაპირს მოუახლოვდნენ, მელიამაც შეისვენა და ისევ მიპარვა დაიწყა.

მე ყურადღებად ვიქეცი. ვაითუ ახლა მიზანს მიაღწიოს და საშუალება მიეცეს, მე დამციინოს ისეთი სიმწარე ვიგრძენი ამ ფიქრისაგან, რომ ძლივს შევიკავე თავი, კინალამ თოფი ვესროლე მელიას.

კურდღელი

ოჰ, როგორ არ უნდოდა მას ბარდებიდან გამოსვლა!

ოთხჯერ შემოუარა წრე გაუვალ აღგილში. მდევარი კვალდაკვალ მისდევდა გააფთრებული ყეფით. ისეთ ეკალბარდში დარბოდნენ ნადირი და ძაღლი, რომ სროლა შეუძლებელი იყო. მხოლოდ მეხუთე, უფრო ფართო წრეზე, იძულებული გახდა, ტყის პირზე გამოსულიყო, სწორედ იქ სადაც მე მას ველოდებოდი.

ბუნქებში ისე გაიღვა, როგორც ბურთმა ცისფერ თოვლზე, ქარაფს მიასურა და გვერდი მიჩვენა.

გავარდა ჩემი თოფი და კურდღელი ყირას გადაეწო. ნადირობა დამთავრდა. როგორც ყოველთვის, აღლევებული უახლოვდები ნადავლს. აფორიაქებული გონება თანდათან წყნარდება, თითქოს და მთელმა სულიერმა განწყობილებამ თავისი ადგილი დაიკავა.

მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა. მეორე ცდა მელიამეჭვივდებოდა გით დამთავრა, როგორც მძირველი ნადირობამ მეტისმეტად გაიტაცა იგი. ექვსჯერ სცადა მიპარვოდა ნაძენარიდან ტბის ყურეში ჩამსხდარ იხვებს და ბოლოს როდესაც მიხვდა, რომ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა, ფეხზე წამოდგა, წყლის ნაპირთან დადგა და წკაეწკაეს მოჰყვა.

მელას ხმა წვრილი აქვს, წრიბინა, როგორც ლევს, ზოგჯერ ხრინწიანიც კი. ყეფა ხეირიანად არც კი იცის, ძაღლთან ვერ მოვა. იგი მეტად გულნატკენად და ბრაზიანად წკაეწკაეობდა. ნეტავ ვისზე იყო გაჯავრებული? შეიძლება იხვებზე, რომლებსაც არ სურდათ მისი მსხვერპლი გამხდარიყვნენ? თუ მელიის მწარე ბედზე? ეს არ ვიცი. მაგრამ ერთი კია, სასაცილოა აწკაეწკაეებული მელიის ცქერა.

როგორი ქვეიანი ნადირია და როგორ მოტყუვდა! ალბათ ამაზე იყო გულდაწყვეტილი.

კურდღელი უკანა ფეხებით ავიღე. ჩვეულებრივად დაეძინე და... გული ერთბაშად ჩამწყდა.

იგი ბრმა იყო. დიან, იგი სრულიად უსინათლო იყო. ორივე თვალი დაესილი ჰქონდა, ბრწყინვალე დაკყვილი თვალების ნაცვლად საშინლად გამოკრთოდა ორი მოწითალო ჩაღრმავებული ადგილი, რომლებიც მოშუშებული და გამაგრებული იყვნენ. შეიძლება იგი ოდესღაც ბუს კლანჭებში ჩავარდა, რომელმაც მხოლოდ თვალების ამოკენკვა მოასწრო და მერე კი, ვინმეს მიერ დამფრთხალმა თვითონ თავს უშველა და თავის მსხვერპლი კი მიიტოვა. შეიძლება მონადირემ წვრილი საფანტით თვალები დათხარა, ხოლო მოკვლა კი ვეღარ შესძლო. ყველაფერი ხდება.

და აი ბრმა ხეიბარი ცხოვრობდა ტყეში, მტრებით გარშემორტყმული. ორი

საათი გაურბოდა იგი ფეხმარდ ძალს ხშირ წიწვიანში და არც ერთხელ არ დაეჯახა ხეებს. დაღვინებული ცხოვრება არ ჰქონდა უბედურს. აღბათ კარგი ვქენი, რომ დღეშირი სიცოცხლე მოუსწრაფე. მიუხედავად ამისა, მაინც რალაც უხერხულობა ვიგრძენი: ვნადირობდი უსინათლო ხეიბარზე, აბა ვინ

დათანხმდება, თავის სანადირო ჩანთაში ჩადოს ასეთი ნადავლი? **„არცნაურად“** თოვლიანი ტყე სიჩუმეს მოეცა, ჩემ გარშემო ტოტიდან ტოტზე დაფრინავდნენ და მხიარულად სტვენდნენ გულწითელები.

ძალი თვალეში მომჩერებოდა. მას მოღუშული, მძიმე გამომეტყველება ჰქონდა. ნუთუ მანაც რაიმე იგრძნო.

უკანასკნელი აზრენა

მდინარე ოკას დაჭაობებულ ნაპირს შივევებოდი. შოტლანდიური სეტერი რალფი, მხიარული კუდისქნევით ჰოვილოს დაქებდა. კარგად ვინადირეთ. ბლომად მოვაგროვეთ ჩასუქებული ჩიბუხა ნისკარტიანები. ორივენი გავვიტაცა ფრინველის სიუხვემ და დაღვინ ვერ ვგრძნობდით, თუმცა მზე ზენიტზე იდგა და ძლიერ გვაცხუნებდა.

ბალახებიდან მამალი გარეული იხვი აფრინდა. შორს იყო, მზად არ ვიყავი, მაგრამ თოფი თითქოს თავისით მოვიდე მხარზე და კიდევაც გავარდა. იხვი პაერში შეიჩხა და თითქოს ერთი წამით შეჩერდა, ისე როგორც ეს ზოგჯერ მიმინოს სჩვევია. მე მომეჩვენა, რომ იგი უნდა ჩამოვარდეს და თოფი ძირს დავუშვი, რალფიც ჩემთან მოიჭრა, ლეილიანის პირას შეჩერდა და მოკლული ფრინველის ასაღებად და მოსატანად გაემზადა.

იხვმა მოულოდნელად ფრთები კვლავ ჩქარა აამუშავა, ისე როგორც ტოროლამ იცის ხოლმე ჯეჯილის თავ-

ზე, და შურდულივით ჰაერში დაიწყო აღმაფრენა. ფრინველი ფრთებს თავგამეტებით იჭნევედა და სულ მალა და მალა მიიწევედა. მე, თავადერილი მივჩერებოდი ამ განსაცვიფრებელ აღმაფრენას.

ორასი მეტრის სიმაღლეზე იხვი შეჩერდა. მოისმა მისი სუსტი, სასიკვდილო ამოძახილი. ფრინველმა ფრთები მოიკეცა და ჩემს ფეხებთან დაეცა.

„როგორი სიკვდილი იყო!“ — გავიფიქრე და იხეს სინჯვა დაუწყე. არც ერთი წვეთი სისხლი არ ჩანდა ფირუზისფერ მოკიაფე ფრთებზე. ჯაყვა დანით გავკვეთე იგი და ყველაფერი ნათელი გახდა: ერთი ცალი საფანტი ილიაში შესულიყო და გული გაეხერცა. სასიკვდილოდ დაჭრილმა ფრინველმა ლურჯ ცას მიაშურა, რომ იქ მომკვდარიყო და უსულოდ დაცემულიყო იმ მიწაზე, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა.

თარგმანი **ვლადიმერ გურჯანაძისა**



რამდენიმე ღლე საქართველოში

ბრუნო ფრაი — ენობილი ავსტრიელი მწერალი — პუბლიცისტი, ვენის გაზეთ „აბენდის“ მთავარი რედაქტორი, ერნსტ ფიშერისა და ვიქტორ მატეიკასთან ერთად პროგრესულ ლიტერატურულ ჟურნალ „ტაგეზუნი“ რედაქტორი და ავსტრიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი, არის ავტორი პუბლიცისტურ კრებულებისა: „წითელი მეზღვაურები“, „წითლების ქვეყანაში“, „შინილობა ვენაში“, „ჰანუსენი“, „რა ხდება გერმანიაში?“ „ვერნერი ადამიანები“... აქ მოყვანილი ნარკვევი ამოღებულია მისი უკანასკნელი წიგნიდან — „საკუთარი თვალი“, რომელიც ბერლინში გამოიცა 1955 წ. საქართველოში ბრუნო ავსტრიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას ახლდა.

„მთების იმ მხარეს მდებარეობს დასავლეთი!“ — დაცინვით შენიშნა ერთ-ერთმა ჩემმა თანამგზავრმა. ჩვენს წინ აღმართულიყვნენ თოვლით დაფარული აჭარის მწვერვალები, რომელნიც საქართველოს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენენ. დიპლომატიის ენით რომ ვთქვათ, ჩვენ ვიმყოფებით „რკინის ფარდის“ ჩრდილოეთით 40 კმ დაშორებით, სწორედ იმ ადგილას, რომელიც მცირე აზიას „დასავლეთ“ თურქეთად და „აღმოსავლეთ“ საქართველოდ ჰყოფს.

ჩვენ ვსეირნობდით საქართველოს ჩაის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ნაკვეთებში. ეს ნაკვეთები 160 ჰექტარზეა გადაჭიმული და ცისფერი მთების კალთებამდე აღწევენ. ჩინებულ გუნებაზე ვიყავით, გატაცებით ვლაპარაკობდით ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებაზე. ჯერ კიდევ 1936 წელს ამ მიდამოებში არაფერი არ იყო, გარდა ველური ბუნქნარით დაფარული უდაბნოსი, დღეს კი ამ სამოთხისებურ ბაღს მეცნიერული მეთოდებით ამუშავებდნენ.

მზე სხივებს აფრქვევდა კიპარისისა და ევკალიპტის ქალას. ფორთოხლის და მანდარინის ნაზი სურნელი იდგა ირგვლივ. ინსტიტუტის დარბაზში თვალსაჩინო ადგილებზე იდგა კარლ

მაქსის და მიჩურინის ბიუსტები. ადამიანმა გამოაცალა მეცნარეს ყველა საიდუმლო და ახლა თავის ცოდნას იმისთვის იყენებს, რათა აიძულოს ბუნება ემსახუროს მის მიზნებს. ლაბორატორიაში, რომლის განიერ ფანჯრებიდან მოჩანს მზის სხივებში გახვეული სუბტროპიკული პარკი, სამუშაო მაგიდასთან მჯდარი კოლმეურნე ახალგაზრდობა, ისე როგორც სკოლაში, უსმენს თეთარ პიჯაკში გამოწყობილ დოცენტის მოხსენებას. ჩაის კვლევითი ინსტიტუტის აგროტექნიკურ სემინარზე ზოგჯერ ოთხმოცი კოლმეურნე მეცადინეობს, ისინი სწავლობენ მეჩაიეობის მეცნიერულ საფუძვლებს. წინათ ფიქრობდნენ, რომ ჩაიმ შეიძლება გაიხაროს მხოლოდ ზღვის სანაპიროებზე. ჩაის მკვლევარებმა ასწავლეს კოლმეურნეებს ჩაის გაშენება ზღვის დონიდან 750 მეტრზეც კი. ნიადაგის განოყიერების შედეგად ჩაის ბუჩქი იძლევა ბევრად უფრო მეტ მასაველს ნორჩი ფოთლების სახით, რომელნიც შეიცავდნენ 78% ტენს, ასე რომ მიღებული ჩაის წონა უდრის მოკრეფილი ფოთლების მეთოხედს.

ჩაის ბუჩქს შეუძლია იხაროს 75 წელი, 100 წელიც კი, მაგრამ დიდ მოვლას საჭიროებს. მკვლევარები სიყვარულით სწავლობენ ყველა მის ჩვევას. ჩაის ბუჩქები ყველაზე უკეთესად

მაშინ იზრდებიან, როდესაც მათ კეთილმეზობლურად განწყობილ მცენარეთა შორის რგავენ შპალერის წესით ერთიმეორისაგან 1,25 მეტრის დაშორებით. ამასთანავე მიწა უნდა იყოს დაბარული 40 სმ სიღრმეზე — არც მეტი არც ნაკლები. ჩაი მეტად სათუთი მცენარეა, მაგრამ მეჩაიები სწორედ მის აღმზრდელებად ითვლებიან. ახალგაზრდა კოლმეურნეები სწავლობენ მექანიზაციის სემინარებზე ნიადაგის განოყიერებას ხელოვნური სასუქით. ჯერჯერობით ვერ გაამართლეს იმედები ახალმა ჩაის მკრეფავმა მანქანებმა. მკრეფავი მანქანების ხელები ჯერ კიდევ არ არის კარგად გაწაფული.

ჩაის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთსართულიან შენობაში სემინარის მსმენელები ეცნობიან სპეციალური აპარატის დანიშნულებას, ჩაის გამრობის, დაზარისხების და შეფუთვის შესახებ. ინსტიტუტის დარბაზებში მანქანები ჩამწყობიებულია ისე, როგორც შეჯიბრზე მყოფი სპორტსმენები, უკან, სიღრმეში, ძველი მანქანებია, რომლებიც ძალზე ბევრ დროს მოათხოვნიენ მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანების შესასრულებლად. ყოველი მომდევნო მანქანა მის წინამორბედზე უფრო ჩქარა მუშაობს. წინა რიგის ბოლოში დგას სრულყოფილი მექანიზებული აპარატი, საიდანაც მოდის კონვეიერი. ის მარტო აწარმოებს ყველა პროცედურას საოცრად მოკლე დროში; მეჩაიეობის სემინარის მსმენელები ბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ კოლმეურნეობებში, თანასოფლელებს უხსნიან, თუ როგორ შეიძლება გამდიდრება მეცნიერული მეთოდების კოლექტიურად გამოყენებით. ძველ ჩინეთში საშუალოდ 1 ჰექტარიდან 500 კგ ჩაის ღებულობენ, ძველ რუსეთში კი 800-დან 900-ამდე, საბჭოთა საქართველოში 1948 წ. სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ჩატარებამდე — 1000 კგ, 1953 კი 1 ჰექტარიდან 5-დან 6 ტონამდე ჩაის კრეფენ. სწავლული ხელმძღვანელი გვიამბობდა; გარეუბნის კოლმეურნეობებმა გადააქარბეს რე-

კორდებს და ჰექტარიდან 10—12,000 კგ ჩაი მოკრიფესო. ამ სამეურნეთ ინსტიტუტის სამოთხის ბაღში თვით ციტრუსები დადიან სკოლაში. მართალია, მესამე გამოთქევი არა სავსებით ზუსტად, რადგანაც ასინი კი არ დადიან, არამედ ზეზეულად სწავლობენ, მტკიცედ შეზრდილნი მეცნიერულ მეთოდებით დამუშავებულ მიწაში. ლიზიმეტრი განლაგებულია ნიადაგის ქვედა ფენებში, რომელიც უჩვენებს დამკვირვებელს სუბტროპიკულ მცენარეებს და იმას, თუ როგორ სცვლის სხვადასხვა ქიმიური, ხელოვნური სასუქის განზაგება ნიადაგის შემადგენლობას. ასეთი ზუსტი საშუალებებით აღვილია ბუნების ყველა ოინის გაცნობა და პოვნა უფრო შესაფერისი ხელოვნური სასუქისა ყოველგვარი ნიადაგისთვის! ჩატარებული იქნა რამდენიმე ათასი ციტრუსის შეჯვარება, სიამის, ინდონეზიის, ჩინეთის, მექსიკის, კალიფორნიის ეგზემპლარებთან. ამან მისცა საშუალება ახალი ჯიშების გამოყვანას, ამეღია ამგვარად მოღებული ფორთოხლისა და მანდარინის ჯიშებს შეუძლიათ იხარონ კავკასიის ჩრდილოეთითაც, სამხრეთ უკრაინაში და შუა აზიაში. მკვლევარები სიამაყით გვიჩვენებენ თავიანთ საუკეთესო მოწაფეებს, რომლებმაც შეგუების მხრივ გამოცდა ხუთზე ჩააბარეს. შეჯვარებებმა მოგვეცეს ისეთი ხარისხი, რომელიც არა აქვთ მათსავე არაცივილიზებულ ნათესავ ციტრუსებს, ახალი ციტრუსები ნამდვილად მიიღწევენ „ციტრუსოვანთა კარიერას“.

•
•

მე არ მინახავს საზღვრის მეორე მხარეს თურქეთის ჩრდილოეთის სოფლები, სამაგიეროდ ვნახე მახარაძეს რაიონში საზღვრის აქეთა მხარე, ეგრედწოდებულ „აღმოსავლეთში“, სოციალისტური სოფელი ნატანები. როგორც ცნობილია, საზღვრის იქითა მხარეს

ვლენები არ სარგებლობენ თავისუფლებით. მაგრამ როგორი მდგომარეობაა აქეთა მხარეს? სოციალისტური შრომის გმირი, ერთსართულიანი სახლის პატრონი, ექვსი შვილის მამა ბრიგადირი გურგენიძე, ისე თავისუფლად გრძნობს თავს, რომ მეტი თავისუფლება ვერც წარმოუდგენია. იგი გულდაწყვეტილი ამბობს, რომ მან შესძლო დამთავრებინა მხოლოდ საშუალო აგრონომიული სკოლა, მაგრამ იგი ამაყად ამბობს, რომ მისი ორი შვილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ყვავილებით დამშვენებულ საქართველოს დედაქალაქ თბილისის უნივერსიტეტში. მე შევეკითხე ერთ-ერთ სტუდენტ ქალიშვილს მასი ოჯახის შესახებ, მან მიპასუხა: „ჩემი კოლმეურნე მამა სოციალისტური შრომის გმირია“. შეიძლება იმ ბრიგადირის ქალიშვილიც იყო, ვინ იცის, ან რომელიმე სხვა საამაყო ადამიანისა. ნატანების კოლმეურნეთა 138 ბავშვმა მიიღო უმაღლესი განათლება, აქედან 26 უმაღლესდამთავრებული დაუბრუნდა საკოლმეურნეო სოფელს.

კოლმეურნეობის გამგეობის მდიდრული შენობა ახალ ქართულ სტილზეა აშენებული: — აქ შეიძლება შეხვდეთ ყველაზე გამოჩენილ ადამიანებს ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან: თავმჯდომარე ოცდაათი წლისა თუ იქნება, მაგარი, მზემოკიდებული ქაბუკი. გლეხის ქალები და კაცები საზეიმო ტანსაცმელში არიან გამოწყობილი, ზოგიერთებს ორდენებითა და სოციალისტური შრომის გმირის ნიშნებით აქვთ მკერდი დამშვენებული. — რჩეული საზოგადოება ტრიალებს სოციალისტურ სოფელ ნატანებში. ვხად ჩვენ შემოგვხვდა სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც უკან მოჰყვებოდა მსუბუქი ავტომანქანების მწყობრი, ქუჩის ორივე მხარეს საპატოო ყარაულში პიონერები იყვნენ ჩამწყობებულნი. უცხოეთის შორეული მხარიდან სოფელ ნატანების დასათვლიერებლად ჩამოსვლას დაემთხვა სწორედ ერთ-ერთი ცნობილი კოლმეურნის დაკრძალვა.

ზოგიერთი დაბნეულობა, რომელიც გარდუვალია ასეთ შემთხვევაში, კარგადაა არ იყო გასაკვირვებელი. თარგმნა ქართულიდან რუსულად და რუსულიდან გერმანულად მცირე დროს და შრომას როდი მოითხოვდა. მაგრამ ენერგიული კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ შედრკა. მან მოიწვია გამგეობის საერთო კრება, რათა სტუმრებისათვის ყველას თანდასწრებით მოეთხორო კოლმეურნეობის წარსულსა და მის ახლანდელ საქმეებზე. კოლმეურნეობამ თავისი არსებობა დაიწყო 1930 წელს 480 კომლით 1500 ჰექტარ ფართობზე. მაშინდელი წლიური შემოსავალი უდრიდა 76000 მანეთს. დღეს კი? — ირგვლივ გაბრწყინებული სახეებია, ყველა უცდიდა ამ შეკითხვას — დღეს კოლმეურნეობაში 925 კომლია გაერთიანებული, რომელიც კოლმეურნეობას აძლევს 1755 მუშახელს (ამგვარად გაერთიანებულია ხუთი სოფელი), ტერატორია, რომელიც ამჟამად უქირავს კოლმეურნეობას 3.800 ჰექტარია. რაც შეეხება წლიურ შემოსავალს, გაიზარდა 14 მილიონ მანეთამდე, თუ არ ჩავთვლით იმას, რასაც კოლმეურნენი იღებენ ნატურით. — ორჯერ მეტი ხალხი, ორჯერ მეტი მიწა, 14 ჯერ მეტი შემოსავალი, აი რა მისცა მათ სოციალიზმმა! კოლმეურნეობა დაყოფილია 23 ბრიგადად, რომელიც შესდგება 94 ჯგუფისაგან. ვერ მოძებნით ისეთ ბრიგადირს, რომელსაც არა აქვს საშუალო აგრონომიული განათლება, კოლმეურნეობაში მუშაობს 7 აგროტექნიკოსი, „მტს“-ის აგრონომები, ექიმები. მასწავლებლებს ფულს უხდის სახელმწიფო. მაღალი ფანჯრიდან ოთახში იჭრება მზის მწველი სხივები. მე დაძაბული ვუსმენ და მარდად ვაწერ ყველაფერს. თავმჯდომარეს კი დაღლა არ ეტყობა. ის გადადის კოლმეურნეობის კულტურულ მიღწევებზე: 4 კინო, ბიბლიოთეკა 10.000 ტომი წიგნით, საკუთარი ორკესტრი, უთვალავი სხვადასხვა წრეები, — ყველაფერი ეს კოლმეურნეებს ემსახურება. უბრალო

დაწყებითი სკოლის შენობა ათასი ბავშვისათვის გადაიხარდა მთელ სასკოლო სისტემად, ოთხ დაწყებით, ორ რვაკლასიან და ერთ საშუალო სკოლად. მაგრამ ჩვენ ისეთი მდიდრები ვართ, რომ შეიძლება თავს უფლება მიუცეთ გადაეღვათ ნაბიჯი კიდევ უფრო წინ! სტუმრებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გვერდზე მდგომ დიდ შენობას — კულტურის სახლს, რომლის დარბაზში 600 კაცი დაეტივა, თქვენ ისურვებდით კვლავ ჩამოსულიყავით და კულტურის სახლის გახსნას დასწრებოდით? მე არაფერი გამეგება სოფლის მეურნეობაში, არ შემიძლია აღვწერო სოფლის მეურნეობის წარმოების მეთოდები, მუშაობის ორგანიზაცია, შემოსავლის განაწილება, მაგრამ მე შემიძლია მხოლოდ სიმართლის მოყოლა, რომ ერთი ოჯახის შემოსავალი, მიღებული საერთო საკუთრებიდან და საკუთარი მეურნეობიდან ფულითა და ნატურით მტკიცე, ვიდრე შემოსავალი მთელი სოფლისა, სანამ ის გახდებოდა სოციალისტური.

ამ რაიონში, — როგორც ჩვენ გვითხრეს — არის რამდენიმე ასეთი მდიდარი კოლმეურნეობა, ზოგი მათზე უფრო მდიდარიცაა — მაგრამ ვერ მოძებნით ისეთს, რომლის შემოსავალი სამ მილიონ მანეთზე ნაკლებს უდრიდეს. რასაკვირველია, ამ შემოსავალს მართო სიმინდი ვერ მისცემდა. შემოსავალი უმთავრესად ჩაის კულტურაზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა. იმ წელს, როცა ჩვენ ვანახულეთ ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, მოკრეფილი ჰქონდათ 1.770.000 კგ ჩაი და სახელმწიფოს მიუყიდეს 10,5 მილიონი ციტრუსი. ამ კოლმეურნეობაში სასოფლო სამეურნეო მეცნიერული მეთოდების დახმარებით მიღწეის საშუალო მოსავალს 6500 კგ ჰქვართავდა.

ჩვენ გვაცნობენ სოციალისტურ შრომის გმირებს, ორდენოსან კოლმეურნე ქალებს და კაცებს. ერთი ამათავანი უმაღლეს საბჭოს დეპუტატია. ისინი რეკორდს ეძახიან — 10-15.000-

დე კილოგრამ ჩაის მოყვანას ჰქვართავდა. რა უნდათ მეტი ამ ხალხს, რომლებსაც თვალთვალისა და თანამშრომლობის მათ არა აქვთ პოლიტიკური პარტიების სხვადასხვა ასორტიმენტი უმაღლეს საბჭოს არჩევნების დროს? მათ ვერცე წარმოუდგენიათ მათა საჭიროება: უკანასკნელ არჩევნებში მათ ხმა მისცეს მრავალშვილიან დედას დარეჯან ტაკიძეს, რომელმაც დაამყარა ახალი რეკორდი ჩაის კრეფაში. ჩვენმა რომ ვთქვათ, განა შეიძლება კაცს ჰქონდეს ამზე მეტი თავისუფლება?! ისინი თავისუფალნი არიან მატერიალური დარღვისაგან, მომავალში, იცხოვრებენ გაცილებით უფრო კარგად, მათი შვილები თავისუფალნი არიან საკუთარი ცხოვრების გზის არჩევაში. რაღა აქვიათ მათ და მათ შვილებს სრული პირადი თავისუფლებისათვის? მტკიცე რწმენა აქვთ ამისა, რომ საბჭოთა მთავრობამ მისცა მათ ეს თავისუფლება. საზღვრის იქითა მხარეს კი ასე არ არის. იქ, უმეცრებს ხალხი მონებად გადაუქცევია. სოციალისტურ სახელმწიფოს სურს, რომ მისი მოქალაქეები იყვნენ განვითარებულნი, ე. ი. თავისუფალნი. სოციალისტურ სახელმწიფოში ბავშვებისათვის ყველა გზა ხსნილია ცოდნისაკენ.

ცხელ, თაკარა ცის ქვეშ დახვებიან ცხელით ქალაქებსა და ბორცვებზე, რომლებიც გადაქიპულიყვნენ ცისფერად მოკიაფე ზღვის და თოვლით დაფარულ მწვერვალებს შორის. ჩვენ, უამრავ ბავშვთა ამალით გარშემორტყმული უცხოელები ვკრეფდით მწიფე მანდარინს და ჩაფიქრებით ვესაუბრებოდით მათ. სულ ახლოს, ზღვასა და მთებს შორის მზის სხივებში გახვეულან, სახლები, ბალები, ნეთსახდელი ქარხნები და ბათუმის სანაპირო. მწვანე კონცხზე, სწორედ ჩრდილიანი ბოტანიკური ბაღის ქვემოთ, ბავშვთა გუნდითაა გავსებული ქვიშიანი სანაპირო, ვერ დაივიწყებ გოგონების მგრძნო-

ბიარე ვიწრო ბეჭებს — რომელნიც ოცნებობენ ალისფერ იაღქნებზე, გულადი ბავშვები თამაშობენ მამაცად მოცურავე კაპიტნობანას. მათი ოცნებები სინამდვილედ გადაიქცევიან? განა არის სხვა უფრო იმედიანი მისმტაბი ცივილიზაციის შესაფასებლად. ვიდრე ის ბედნიერება, რომელსაც იგი ამლევს თავის შეილებს, თავის ახალგაზრდობას? კაპიტალიზმის დანაშაულობებიდან, ყველაზე მძიმეა ბავშვთა და ახალგაზრდათა დაგონება უპერსპექტივობით და უმუშევრობით. რა ფასი აქვს ისეთ თავისუფლებას, რომელიც კაცს ახალგაზრდობაშივე უმტყუნებს!



მე ვუყურებდი ჩემს წინ მდგომ ცხრა წლის გოგონა — კამას, რომელსაც სკოლის ფორმა და წითელი ყელსახვევი ეკეთა. ეს მოხდა თბილისის პიონერთა სასახლეში, რომელიც ძველად მეფის ნაცვლის რეზიდენცია იყო. კამა მღეროდა გუნდში, სიმღერას საბჭოთა ახალგაზრდობაზე, მას თხელი ბავშვური სახე უბრწყინავდა და ეტყობოდა დიდად ბედნიერი იყო ხოლო მკლავზე ორი წითელი ხაზი ლაპარაკობდა იმას, რომ კამა შესანიშნავად ასრულებდა პიონერულ დავალებებს, იმის მიხედვით, რომ კამა წრის მეცადინეობაზე სასკოლო ფორმით გამოცხადდა, შეიძლება დავგესკვნა, რომ მას არ ჭონდა სხვა უფრო მორთული კაბა შეკითხვაზე მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, კამამ გაბედულად გვიპასუხა: რომ სახლში მართო დედა ჰყავს, რომელიც მუშაობს საფეიქრო ფაბრიკაში, მამა კი სამაჟლო ომში დაეღუბა, პიონერთა სასახლეში ჩამოყალიბებულ გუნდს კამა ოჯახზე უფრო ძლიერად აფასებს, რადგანაც ეს არის მისი ხვედრი საბჭოთა საზოგადოების წარმატებებსა და დიდებაში, რომელმაც მისცა უამრავი გამირება, საზოგადოება, რომელიც

ბავშვთა ოცნებებს სინამდვილედ აქცევს.

ჩვიდმეტი წლის გოგონა, რომელიც გატაცებული იყო ჭურჭლის ძერწყვით, არ აქცევდა ყურადღებას ირგვლივ მოწრიალე სტუმრებს, ჩვენს მოურიდებელ კითხვაზე, მან გვიპასუხა აუღელვებლად, თითქმის გამოწვევით, მამა გემთმშენებელი ინჟინერია და მუშაობს ბათუმში, თვითონაც სწავლობს გემთმშენებლობას. მაშ, რატომ სწავლობს იგი აქ მაინცდამაინც ძერწყვას? იმიტომ რომ ძერწყვა კარგია და სასიამოვნოაო, გადაჭრით გვიპასუხებს ცნობისმოყვარე უცნობებს.

მეთოჯინეთა წრეში მე დაველაპარაკე ერთ ბიჭუნას, რომელიც გართული იყო თოჯინის ნიღბის გამოჭრით, მე მსახიობი უნდა გამოვიდე, — სთქვა მან, ამ დამწყები მსახიობის დედაც გამოშკრელი იყო. ტექნიკური ცოდნის სექციის ახალგაზრდა მეზღვაურთა წრეში, ბავშვებს აქვთ თავიანთ განკარგულებაში გემბანი. პაწაწინა სატელეფონო სადგურში ახალგაზრდა ტელეფონისტები სწავლობენ სატელეფონო კავშირს. მკერავთა შვილები გამოდიან მსახიობები, კოლმეურნეთა შვილები კი პოლარული მკვლევარები. სანამ ბავშვის განათლება დამოკიდებულია მშობლების შემოსავალზე, თავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ფულადი დამოკიდებულება — თავისუფლებას კლავს. საბჭოთა საზოგადოება მშობლებს ანთავისუფლებს ბავშვთა სწავლის მოვალეობისაგან. საბჭოთა კავშირში 1269 პიონერთა სასახლეა. კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტის სწავლა სახელმწიფოს 25.000 მანეთი დაუჯდა. საბჭოთა სახელმწიფო ხარჯავს მილიონობით ფულს ახალი თაობის განათლებისათვის, რომელნიც თვითონ ირჩევენ მათს მიდრეკილებასა და უნარზე დამოკიდებულ სპეციალობას. თითქმის ყველა საბჭოთა სტუდენტი ცხოვრობს სახელმწიფო სტიპენდიით. მოსკოვში პედაგოგიურ აკადემიაში არსებობს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც სწავლობენ

საუკეთესო მეთოდებს ნიჭის გამოძღვლებებისა და აღზრდისათვის. პიონერთა სასახლეში პროგრამის შედგენის დროს ეს კვლევითი მუშაობის შედეგები ედება მეცნიერულ საფუძვლად ბავშვთა ტალანტის პრაქტიკულად გამოვლენებას. ეს მეცნიერული საფუძვლები უბრალო ფრაზა კი არაა პირადი თავისუფლების შესახებ, არამედ სინამდვილეა.

საბჭოთა კავშირში სხვა რომ არაფერი იყოს ახალი, გარდა პროფესიის არჩევის თავისუფლებისა, მაშინაც კი მორალური უპირატესობა ახალი ცივილიზაციისა მთლიანად დაზუსტებული იქნებოდა.

ამ დაუფიქრარ საღამოს სოფელ ნატანების უხუცესმა თმაქაღარა კოლმეურნემ სადილად სახლში მიგვიწვია. დილით, როცა ვადმოგვცა მიწვევა კოლმეურნეობის თავმჯდომარის პირით, მას თავი საზეიმოდ ექირა, თითქოს ცოტა ცერემონიულადაც კი. ისიღორე ვიკნაძე ვარო, გვითხრა. ჩვენ შევედით სახლის წინ მდებარე ბაღში, ბილიკის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ იყვნენ ოჯახის წევრები. ერთის მხრივ ქალები, ხოლო მეორე მხარეს მამაკაცები, უკანასკნელი, რომელსაც ჩვენ ხელი ჩამოვართვით, იყო პატივცემული მატრონა, ოჯახის დიასახლისი, რომელიც მოგვესალმა შესავალთან. მასპინძელმა, სანამ მიგვიპატივებდა, დაგვათვალერებინა საკუთარი ბაღი, სადაც ის უბრალო მოყვარულად მუშაობს ახალი ჯიშების გამოყვანაზე, როგორც ეს თვითონ შენიშნა თავმდაბლად.

ორი გრძელი მაგიდის გარშემო ისხდნენ აგსტრიელები, ქართველები და ჩვენი რუსი თანამგზავრები, რომელთათვის ყოველივე ეს ჩვეულება ისევე გაუგებარი იყო, როგორც ჩვენთვის.

როცა ჩვენ დავსხედით, ქალები გაჭრნენ. კართან მდგარი გამხდარი მოხუცი, თვალყურს ადევნებდა, თუ რას აკეთებდნენ სამზარეულოში სტუმართათვის. ქართული წესის მიხედვით, ჩვენ უნდა აგვეჩინა სუფრის გამძღოლი,

რომელსაც უნდა წარმოეთქვა სადღეგრძელოები. მას შემდეგ, როცა ეს ვაჩვენებდა, ჩვენი არჩევანი უკმაყოფილოდ ურნეობის თავმჯდომარეს, კარებთან მდგომმა მოხუცმა ტაში შემოკრა, ამ ნიშანზე ფარდა გაიწია და ოთახში შემოცვივდნენ, ქალიშვილები და საბატარძლოები, ხელში უამრავი აორთქლებული თასები და ლანგარები ექირათ, როცა ჩვენ ვსხდებოდით, სუფრა გაწყობილი იყო ხორავეულობით: ცივი საჭმელები, მოხარშული თევზი, ღრმა თეფშებში მოთავსებული ხიზილალა, საწებელი, სალათა, კიტრი, ბოლოკი, ხახვი და პამიდორი. ქალებმა შემოიტანეს საცივი, პაშტეტი, შემწვარი გოჭები, მსუქანი ქათმები, გოჭის ფეხებიდან გაკეთებული ხალადეცი, მწვადები, ამვე დროს თეფშები ჩვენთვის უცნობი სოუსითა და მწვანილით. ქართველები მღეროდნენ მგზნებარე, ნაზ სიმღერებს და მკვირცხლად ცეკვავდნენ უცნაური ინსტრუმენტის თანხლებით. მას შემდეგ ფესსაცმლის ფორმის მაგარმა სასმისმა, რომელიც სადღეგრძელოების შემდეგ უნდა შეისვას, შემოიარა ყველა, დაიწყეს სიმღერა და ცეკვა აგსტრიელმა პროფესორებმა და კომპოზიტორებმა, მთვრალეებმა არა იმდენად ღვინოთი, რამდენადაც თბილი შეხვედრითა და ძმური შთაბეჭდილებებით, ჩვენი სტუმართმოყვარე ქართველ მასპინძლით, რომლის სახლში ძველი ჰარმონიულად იყო დაკავშირებული ახალთან, როცა წასასვლელად მოვემზადეთ, საესე სუბტროპიკული მთვარე უკვე ნათლად ანათებდა ფოთლებით მოფენილ ბილიკს.

როცა ჩვენ ვესტუმრეთ ნატანების ჩაის კოლმეურნეობის ბრიგადირ გორგილაძეს კვირა დღე იყო. ის ცხოვრობდა მაგარ ერთსართულიან ხის სახლში. პირველ სართულზე მოთავსებული იყო საკუქნაო, იარაღებისათვის და სამეურნეო სათავსოები. ავედით რაკიბზე, გავიარეთ შუშაბანდიანი აივანი და შევედით ოთახში, ჩვენ გავვიმასპინძლდნენ, ღვინით, ხილით და ტკბი-

ლეულით, კომოდზე იღო რამდენიმე წიგნი. ავიღე ხელში, რაც მომხვდა და ვთხოვე ეთარგმნათ ქართული სახელწოდება, ეს იყო სერვანტესის „ღონ კახოტი“, ოჯახის უფროსმა 40 წლის წარმოსადგმა ვაჟკაცმა ქართული წესის თანახმად სტუმრების საპატივეცემლოდ წარმოსთქვა სადღეგრძელო: „ძვირფასო სტუმრებო, თქვენ ჩამოხვედით შორეულ ქვეყნიდან, და დიდი პატივი დაგვდეთ, რომ ინახულეთ ჩვენი კოლმეურნეობა, თქვენ დაინახეთ, რომ ჩვენ შეძლებული ხალხი ვართ. მე ექვსი შვილი მყავს. რასაკვირველია, მე ვუსურვებ მათ ბედნიერ ცხოვრებას მომავალში. დარჩებიან ისინი სამუშაოდ კოლმეურნეობაში, თუ სხვა გზას აირჩევენ, არ ვიცი, მე მინდა, რომ ისინი განათლებულნი იყვნენ. ყოველივე ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება ომი. ჩვენ ყველას ერთი საერთო სურვილი გვაქვს, რომ მოგვეცეს საშუალება მშვიდობიანი შრომისა! მომავალ ზაფხულს მე ჩემი ოჯახით გადავალ ქვიტკირის სახლში, მე უკვე მყავს საკუთარი „ბობედა“. თქვენ, ალბათ, ნახეთ ჩემი მანქანა ეზოში. ჩვენ

კიდევ ბევრი გვემეზი გვაქვს მომავალსათვის. რად გვინდა ჩვენ ომი, ის მოგვიტანდა მხოლოდ სიმწარეს, უტიფარ რებას და მეტს არაფერს, ამიტომ ძვირფასო საზღვარგარეთელო სტუმრებო, მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით — მიიღეთ ზომები, რომ თქვენს ქვეყანაშიც ხალხი ცხოვრობდეს ბედნიერად, ტკბილად და მეგობრულად. ამ ჭიქით ვსვამ მშვიდობის სადღეგრძელოს!“

ასე გვეუბნებოდა ჩვენ ავსტრიელებს საუცხოო ზაფხულის მზიან დღეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გორგილაძე, ნატანებში, ორმოცი კილომეტრის მოშორებით იმ საზღვრიდან, რომელიც ერთ გვეყანას მეორისაგან აშორებს. ჩვენ კი შოვისმინეთ რა მისი სიტყვები, შევპირდით, რომ მომავალში, თუ ვინმე ჩვენს თანდასწრებით გაბედავს სთქვას: საბჭოთა კავშირს არ სურს მშვიდობა, ან საბჭოთა კავშირი ემუქრება მსოფლიოს — ჩვენ მათ საკადრის პასუხს გავცემთ.

თარგმანი ელენე ფენჩუბინისა და
გორის მირცხულაშასი



მედიკალიზაცია



პროპორციები თუ პოზიციები?

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა მის პირველ ნიმუშებშივე, რომლებიც მოცემულია ნახევარ საუკუნეზე მეტი წლის წინათ დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედებაში, იმთავითვე შთაბეჭდილი იყო მშრომელთა უცუთესი მომავლისათვის ბრძოლის, ყოველივე კარგის, დადებითისა და პემაწერისადმი აქტიური მხარდაჭერის კეთილშობილური იდეებით. ხალხის ბრძოლამ კამიტალიზმის უღლისაგან თავის განთავისუფლებისათვის წარმოშვა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა მხოლოდ საზოგადოების ნაწილს — მშრომელთა კლასის ინტერესებს გამოხატავდა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი მთელი საბჭოთა საზოგადოების სამსახურშია, საზოგადოებისა, რომლისთვისაც უცხოა ანტაგონისტური კლასები და კლასთა შორის ბრძოლა. თავის მხრივ, მთელი საბჭოთა საზოგადოება დაინტერესებულია მხატვრული ლიტერატურის აღმავლობით. თუ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუაზიული, რეაქციული ლიტერატურის ბედით დაინტერესებულია კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასი, ხოლო პროლეტარული, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ბედით — პროლეტარიათი კლასი, მშრომელთა კლასი, საბჭოთა კავშირში ლიტერატურა მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის ზრუნვისა და შეუნელებელი ყურადღების საგანია.

საბჭოთა საზოგადოებისა და ლიტერატურის შორის ამ ურთიერთ პარაზიტული კავშირის შეუცნობლობით, როგორც ეს ზოგიერთმა ემპირიკოსმა ჩვენში და საზღვარგარეთ, ან ფალსიფიკაციითა და გაბაობრებით, როგორც ამას ჩვენი მტრები სჩადიან, აიხსნება საბჭოთა ლიტერატურის პერსპექტივაში დაკვივება ჩვენს მეგობრებში, ხოლო მისი წარმატებების უარყოფა — მტრების მიერ.

ახლა ჩვენში გახშირდა ლაპარაკი საბჭოთა ლიტერატურის ჩამორჩენილობაზე. ზოგის საყვედური მწერლობისადმი გამოწვეულია სურვილით — გვერდებს უფრო მდიდარი ლიტერატურა. ეს კეთილშობილური სურვილია. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც, საერთოდ, ვერ ხედავენ მიღწევებს ჩვენს მწერლობაში.

ნიპალისტურად გაწყობილი ადამიანები უნდა ჩაეახლოთ მსოფლიოს ხალხთა ლტერატურების ისტორიაში, სადაც იშვიათი მოვლენა როდია, რომ ხალხის ცხოვრების ათობით ჯაზოგჯერ საუკუნეგან მანძილზე არა ჩანს რაიმე მნიშვნელოვანი ლტერატურული ძეგლი, რაიმე დიდი კულტურული შენახვი. ასეთი „სოციალიზებისაგან“ დაზღვეული არ არის თვით ქართული ლტერატურაც, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და მოწიფებულია მსოფლიოს ლტერატურათა შორის.

„სოციალიზების“ ხალხის სულიერ სამყაროში, კულტურულ საგანძურის გაკრებებს ამა თუ იმ ეპოქაში განსაზღვრავდა ხალხის, საზოგადოების ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული პირობები, რომლებიც ხელსაყრელი არ იყო მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებისათვის, ზოგჯერ კი სრულიად ამაშობდა მის განვითარებას. მაგრამ ისტორიულად თვით ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიაც კი აღვივდა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე არ იქმნებოდა ხალხის სულიერი სიმდიდრის მარწყვბელი დიდი მხატვრული ქმნილებანი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ კი თავისი ჩასახვიდან დღემდე — შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში — უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა. რომ აღარაფერი ვთქვათ ათობით უარესად მდიდარნიჭიერი საბჭოთა მწერლის შემოქმედებაზე, რითაც სამართლიანად ამაშობს მთელი ჩვენი ხალხი, საქმარისა დაგისახელოთ სამი სახელი — გორკი, მაიაკოვსკი და შოლოხოვი; სამი მხატვარი კორიფეი, სამი გენიალური შემოქმედება ორმოცდაათობდღ წელში!

მხატვრული ლიტერატურის შეფასებაში მთავარია თვით მწერლობის ხასიათი. რუსულ მხატვრულ აზროვნებაში დღესაც თვალშეუდგამ ტიტანებად არიან აღმართული გოგოლა,

ტოლტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი. საბჭოთა შერლობის თვით ყველაზე დიდი ქმნილებანიც კი ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებებით ვერ აჯარბებენ „ოშსა და შშედიობას“. ფრანგული ლიტერატურის საგანძურში შედიან ლეი არაგონის, ანდრე სტილის შესანიშნავი თხზულებები, მაგრამ მხატვრულ შესრულებაში ისინი მიიწევიან ვერ გაეგებებოდნენ ზალხაის რომანებს. და, როგორც მიხეილ შოლოხოვი სავსებით სწორად აღნიშნავდა, საბჭოთა შერლობის, საერთოდ, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უპირატესობა მანამდე არსებულ ყველა დროისა და ეპოქის ლიტერატურებთან იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში დაბეჭდილია მანამ უცნობი მწერლები სინამდვილის სრულყოფილ მხატვრულ ფერებში გამოსახატავად, არამედ იმაში, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა არის თავისებრივად სრულიად სხვა, სრულიად ახალი ლიტერატურა; იგი მოთავსებულია უაღრესად მაღალ, ყველა დროისა და ეპოქის იდეებისაგან განსხვავებული იდეებით.

იმპერიალიზმის ლაქა-ლიტერატორები, რომლებშიც ავანტიურად ეძლიებენ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლა ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, და მათს ფეხს ზმის აყოლილი იდეურ-პოლიტიკურად და ესთეტიკურად მოუწოდებელი იდეოლოგიები სოციალისტურ ქვეყნებში ახლა განვაშს ტეხენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში „კრიზისის“ დადგომისა და მისი მხატვრული მეთოდის „უეარვისობის“ შესახებ.

ლიტერატორები იმპერიალისტთა წრიდან და მათ მიერ მოტყუებული ჩვენი ვაი-მეგობრები თავს ტყუილად იწონებენ და იმანებთან — სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში მათ მიერ აღმოჩენილი „კრიზისის“ ბუნებაში არ არსებობს, იგი მტრობით დაბნელებული გონების მძალე პროდუქტია.

უბრალობა ყოველი ლაპარაკი „კრიზისზე“ ლიტერატურაში, რომლის უპირველესი იდეალი ზალხისადმი სამსახურშია; რომელიც მთელი საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს გამოხატავს და საზოგადოების უდიდესი მხარდამჭერობა და სიყვარულით სარგებლობს; რომლის საბრძოლო დროსაზე აჭრია ბუნებისში, შეურიგებლობა ყოველივე ძველთან და დრომოკმელოთან, შეუპოვრობა ახლისა და აღდგომის განმტკიცებაში; რომელიც გააჩნია უდიდესი უნარი ცხოვრება გამოხატოს სიმართლით, მის განვითარებაში და ამ გზით უაღრესად ეფექტური იდეურ-ესთეტიკური და აღმზრდელითი ზეგავლენა მოახდინოს ხალხის ფართო მასებზე.

1.

მაგრამ, როცა უარყოფთ მტრების სრულყოფილ ბეგს, სრულიად არ მიგაჩნია, რომ საბჭოთა ლიტერატურის თავის განვითარებაში არ გააჩნია ნაკლოვანებანი, ხარვეზები და სუსტი მხარეები. ყოველგვარი განვითარება მიმდინარეობს სიმწიფეთა დაძლევის ვითარებაში. საბჭოთა ლიტერატურას ბევრი ნაკლი და სიმწიფე ჰქონდა წარსულში, აქვს ახლაც, ექნება მომავალშიც. საბჭოთა ლიტერატურის სწორი გზით ზღვა მდინარეებში ანკარა და გამკვირვალე როდია მისი ყოველი შენაკადი, აღვილი აქვს ზოგიერთ სერიოზულ შედეგობასა და ცალმხრივობას, ზოგიერთ უქედრესობას. და რაც საგალაღა, შეცდომები და უქედრესობანი ვეველინიბიან სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დაცვის, ჩვენი სინამდვილის სიმართლით და მაღალმხატვრულად ასახვის, ჩვენი ლიტერატურის სისხლბორცველი ინტერესებისათვის ბრძოლის პრეტენზიით. ასეთი შედეგია იყო საბჭოთა ლიტერატურაში „უეარდლიქობის თეორია“.

„უეარდლიქობის თეორია“ ლიტერატურული აბრეგებება იმ ზომამდე მიიყვანა, რომ თავდაყირა იდგა ელემენტარული ქვემარტივებანიც კი. დაიწყებულ იყო ცხოვრების უბრალო სიმართლა, რომ გმირი ის კი არ არის, ვინც ახლებიან მიაბიჯებს ვარდ-ყვავილებით მოფენილ გზაზე, არამედ ის, ვინც უღრან ტყუებსა და ციკაბო ბილიკებსაც კი არ უშინდება, — რომ ცხოვრების გზა გაწილული და ფიანაღზეებით მოგებული როდია.

ჩვენი ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობებისა და სიმწიფეთა მიჩქმალვით ფაქტურად დაკნინებული იყო საბჭოთა ხალხის, ჩვენი პარტიის გმირული ბრძოლა კომუნისტური საზოგადოებასათვის მშენებლობაში.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი არსებითად მის მებრძოლ ხასიათშია. მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი დანიშნულებაა. მაგრამ რისთვის უნდა იბრძოლოს ლიტერატურა, თუ ცხოვრებაში ყველაფერი მოწესრიგებულია, თუ საზოგადოების თვითველ წევრში დაძლეულია ნაკლი და მანეთიერება, თუ ყველგან და ყველაფერში გამეფებულია სიმშვიდე და პარმონია!

თმისშემდგომი პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაში მძალად გამოამდგინებული ტენდენცია — ჩვენი ცხოვრების მანკიერი და ჩრდილოვანი მხარეების, ჩვენი სინამდვილის სიმახინჯეთა მიჩქმალვის ხარჯზე ზერულად, სახეივოდ და ცალმხრივად წარმოდგენილიყო კარგი და დადებითი, მოასწავებდა ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპებიდან გადახვევას და სერიოზულ დამარცხებას ქმნიდა ლიტერა-

ტურის განვითარებაში, აცლიდა მას მებრძოლ ხასიათს და აღმზრდელობითს დანიშნულებას.

„უკონფლიქტობის თეორიის“ ბატონობის პერიოდში განვლილი ეტაპია საბჭოთა ლიტერატურაში.

მაგრამ „უკონფლიქტობის“, ცხოვრების „შეღამაზებულად“ ასახვის წინააღმდეგ ბრძოლის ეთიკურებაში საბჭოთა ლიტერატურაში თავი იჩინა სხვა მავნე და არასწორმა ტენდენციებმა. ლიტერატურის განვითარების აუცილებლობით დაცემულმა მოაზრობამ სწორი ვაგება ვერ პოვა ბევრ ჩვენს ლიტერატორში. მწერლობაში არა იშვიათად უურადლება მახვილდება ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მოვლენების ასახვებზე, ხოლო ამის ხარკზე დაიწყოება ველვად სოციალისტური საზოგადოებისათვის ყველაზე შეტად დადამასიათებელი — კარგი და დადებითი ნაწარმოებებს, სადაც გამოქვეყნებულია დადებითის გამოხატვის ტენდენცია, კრიტიკა ხშირად თავს ესხმის არასწორი პოზიციიდან — ცხოვრების „შეღამაზების“ წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციიდან, რაც მწერლობას დიდ ზიანს აყენებს. ამას წინათ უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ა. სურკოვი ამბობდა:

„ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ბევრია, რითაც უნდა იმავყო. უკანასკნელ ხანებში კი როგორღაც ისეთნაირად მოეწყო, რომ აიკვლავ ვსურდა დაიწერა განმამტკიცებელი ლექსები, მაგრამ შემდეგ ფიქრობ — მოვა კაცო და გეტყვის: „შენ შეშლამაზებელი ხარ“.

ამიტომაც საბჭოთა ლიტერატურაში ბოლო წლებში იშვიათი გახდა ჩვენი სინამდვილის დამატარებელი, ჩვენი ცხოვრების წამყვანი ტენდენციების გამოხატველი ნაწარმოებები.

გასაკება, რომ საბჭოთა ლიტერატურული აზროვნება, მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებლობა, იღვრად და ესთერქერად უაღრესად მაღალ მდგომარეობაშია შეთავსებული ვერ ურიდებთან ჩვენი მწერლობის პრაქტიკაში გამოქვეყნებულ ამ არასწორ და საზიანო ტენდენციასაც, ამ მეორე უკიდურესობასაც.

მაგრამ არ შეიძლება არ დავიხსოვო, რომ ლიტერატურის ამ უკიდურესობათა წინააღმდეგ ბრძოლაში ზოგიერთები კვლავ უკიდურესობაში ეარდებიან. ერთი მხრივ, ცხოვრების შეღამაზებულად ასახვის, ხოლო, მეორე მხრივ, ცხოვრებაში მხოლოდ ცუდის შემწვევის არასწორ ტენდენციასა დაგმობის პირობებში იქმნება აზრი, თითქმის ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის სიმართლით ასახული, როცა დადებითი და უარყოფითი ნაწარმოებში მოცემულია ერთად. ამასთანავე, რაც მთავარია, ზრადლოვან, მეტ ფერებს ეუქველად სჭარბობს ნათელი, გამჭვირვალე ფერები. არ შეიძლება უურადლება ვაგამახვილოთ კარგზე ან ცუდზე, ეს ცხოვრების სიმართლე არ იქნებოდეს, — ამტკიცებენ თავგამოთებით, — რადგან კარგი და ცუდი ცხოვრებაში ერთად არის მოცემული. არ შეიძლება საბჭოთა

ლიტერატურის ქმნილებაში უარყოფითი სკრაზობდეს დადებითს, ცუდი — კარგი, მუქი ფერი — ნათელი, რადგან ჩვენს სინამდვილაში ეს შებრუნებულადაა, — გვაჯერებენ შუიჩინი. დანებისათ თუ უნებლიეთ ხდება მწერლობისათვის რაღაც პირობების წყენება; სულ უფრო მტკიცედ ვისმის მოთხოვნა მხატვრულ ქმნილებაში ფერების განაწილებისა; მწერალთა შორის მკვიდრდება „ლიტერატურული პრაქტიკა“, რაც არანაკლებ მავნე და საზიანოა, ვიდრე თავის დროზე იყო „უკონფლიქტობის თეორია“.

ახლა ზოგადად ვვლა უარყოფის ლიტერატურულ შტამებს; ყველა აღიარებს, რომ მწერლობისათვის დამლუპველია ყოველგვარი ნიველირება და შეთანხმება, როცა არ ხდება მწერლის ტალანტის თავისებურებათა გათვალისწინება; როცა შეზღუდულია შემოქმედებითი ინიციატივა, სჭირთ უურადლება არ ემკვირა მრავალფეროვნებას. მაგრამ, როცა სამე ჩვენი მწერლობის კონკრეტული მოვლენების შეფასებაზე მიდგება, ბევრი ლიტერატორის პრაქტიკაში თავს ისწენს შტამებისა და დავების ტყეობაში ყოფნის ტენდენცია. ყოველი ახალი, თავისებურად და ვაზუდულად ნაოქვამი სიტყვა ზოგიერთებში იწვევს ეჭვსა და გააუფრებას.

2.

საბჭოთა მწერლობა იყენებს მხატვრულ აზროვნებაში კაცობრიობის მიერ დღემდე დაგროვალ უდიდეს გამოცდილებას. მისთვის ძვირფასია ყოველი ზელოვნება, სადაც გამოქვეყნებულია ადამიანის სულის ძალა და სიდიდე, მაგრამ მასში, როგორც რეალისტი ზელოვნებაში, ყველაზე არსებითია სინამდვილის გამოხატვა სიმართლით, იგი ცხოვრების განმამტკიცებელია. მაგრამ სინამდვილის სიმართლით გამოხატვისათვის, ცხოვრების განმამტკიცებისათვის სჭირდება სოციალისტური რეალიზმი ვერ შეიზღუდება სინამდვილის ამა თუ იმ მხარეზე უურადლების ცალმხრივად გამახვილებით. ლიტერატურაში ცხოვრების შეღამაზებულად ასახვა მხოლოდ იმ ვაგებით არის დასავში და მხოლოდ მაშინ შეიძლება ეილბარცათ „შეღამაზებაზე“, როცა კარგისა და დადებითის გამოხატვის ხარკზე იქმნება და დაიწვევას ველვად ცუდი და უარყოფითი. „შეღამაზების“ წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი გახდა არა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვაგვინია კარგი, რომ ჩვენ არ ვაგვქვს წარმატებები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრების სიყარობა, ჩვენი განუწყვეტელი წარმატებებით თავბრუდახვევლები ველარ ვხვდავლით ცუდს, მინკიერსა და ჩრდილოვანს, ეწმვლავედით წინსვლის გზაზე ზოგიერთ ჩავარდნასა და წარუმატებლობას.

დადებითი და კარგი, წამყვანი ტენდენციები ჩვენს ცხოვრებაში იზოლირებულად როდია მოცემული. კარგი ხშირად ცუდთან კვილიში მელაინდება. უარყოფითთან და დროამოკმეულთან ბრძოლაში ყალბადება ახალი და პრაგმატული. ცხოვრების მოვლენების სწორი ანალიზისათვის აუცილებელია ისინი განვიხილოთ ურთიერთ კავშირში. არაფერი არ ხდება ბუნებაში თანისაყვად. თვითველი მოვლენა გარკვეული კონკრეტული შედეგებით შექმნილი აუცილებლობის შედეგია. ყოველგვარი განვითარება ხდება წინააღმდეგობითა დაძლევის ვითარებაში. და საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებზე დაყრდნობით ცხოვრების სიმართლით ასახვისათვის საბჭოთა ლიტერატურა სინამდვილეს უნდა გამოხატავდეს სწორედ ამ მოლიანობაში, მის წინააღმდეგობრივ განვითარებაში. იგი კარგის გვერდით სუპირა ხელაღდეს ცუდს, დადებითის გვერდით — უარყოფითს, მისთვის არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ნათელი ან მხოლოდ მუქი ფერი.

მაგრამ თვით ყველაზე დროამოკმეული საზოგადოებრივი წყობილების პირობებშიაც კი არ შეიძლება ცხოვრებაში მხოლოდ ვინაჩნევდეთ ცუდა და კარგს შორის კვილი. ვით უმეტეს, სოციალისტურ საზოგადოებაში იშვიათია როდია კარგის ზეიმი, ისეთი რამ, რაც ჩვენ აღგვაფრთხილებს, სადღესასწაულოდ განგვაწყობს, სასიამოლოდ ყელს მოგვადრებინებს. არ შეიძლება ცხოვრება წარმოვიდგინოთ მუდმივ ბრძოლად კეთილსა და ბოროტს შორის. უბედური იქნებოდა ადამიანი, რომ მთელ თავის ცხოვრებას განუწყვეტლად ცუდთან ბრძოლაში ატარებდეს. მხოლოდ ავადმყოფურ გონებას ელანდება ავსჯავი ყოველ შესახვევში. ჩვენ იდამიანების ყოველდღიურ ყოფაში ბევრია ლამაზი და მშვენიერი, ბრძოლისა და შეგახებთა გარდა არის დაუნრდილავი სიხარული და ბედნიერება, სრული ურთიერთ გაგება, მეგობრობა და სიყვარული, რასაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა გვერდს ვერ აუღებს. კარგი რომ გამომხატო, ყოველთვის აუცილებელი როდია იგი მაინც დამაინც ცუდს დაუპირისპირო.

საბჭოთა მწერლობაში უნდა გამოიხატოს არა მარტო კარგი, არამედ — იდეალურიც. სოციალისტური ხასიათის ატარება და დისკუსია ლიტერატურაში იდეალური გმირის შესახებ, მწერალთა მეორე ყრილობის წინა პერიოდში რომ გაიშალა. შეიქმნა აზრი, რომ იდეალური გმირის თეორია და პრაქტიკა ყალბია.

ცხოვრებაში არ არიან უნაკლო, უშეცდომო, ყოველმხრივ კარგი და იდეალური ადამიანები, — ამიტომ დადნენ დისკუსიის მონაწილეები, — ამიტომ მწერლობაში იდეალური გმირის არსებობაც უსაფუძვლოა.

ყოველმხრივ კარგი და უნაკლო ადამიანები მართლაც არ არსებობენ. მაგრამ როგორც ცხოვ-

რებაში, ასევე ხელოვნებაში იდეალური სრულიადაც არ ნიშნავს უნაკლოს. იდეალურზე შეიძლება ვილაპარაკოთ პირადად. როცა ვამბობთ, იდეალურია, სრულნიდაც არ მივგანნიხა, რომ მისში ყველაფერი კარგი და მშვენიერია, რომ „იდეალურ“ პიროვნებას არ გააჩნია ადამიანური სისუსტენი და ნაკლოვანებანი. მაგრამ კარგი „იდეალური“ იმდენად თვალსაჩინოა და სახეიმიო არ არის წარმოდგენილი, რომ ჩვენ მის მიღმა ვეღარ ვხედავთ, ან არც გვსურს, არ გვიინტერესებს ცუდი შევამჩნიოთ. კარგზე ყუარადღეების კონცენტრაცია და მისის სახეიმიო წარმოდგენა არსებობს მხოლოდ იმ ხელოვნებაში „იდეალური“ გამოსახატავად.

მატერულ სახე-ხასიათში იდეალური კონკრეტულ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს კონკრეტული იმდენად ღრმა და რელიეფურია, რომ მის მიხედვით ვსჯავლობთ ხასიათის ბუნებაზე. „ვეფხისტყაოსანში“ გმირები იდეალური არიან არა ზოგადად, არამედ მათ გააჩნიათ იდეალური კონკრეტული ადამიანური თვისებები. ისინი კერძოდ, იდეალური არიან სიყვარულში, მეგობრობაში, ვაყაყობაში, სიჭკველში... ტრაგიული იდეალურია არ ყოველმხრივ (მას ხომ სუსტი მხარეებიც გააჩნია: ნაკლებ წინდახედულობა, შმაგი და თავშეუკავებელია), არამედ იგი იდეალურია სიყვარულში; ტრაგიული უდრანაშუალო ადამიანთა მოყვინძვასაც კი არ ეფიქრება, როცა მისი ტრედილი საფრთხეშია. ყოველმხრივ იდეალური არც ავთანდილია. იგი მისნის მისაღწევად უცხო ქალთან საეჭვო ურთიერთობის გამშასაც კი არ თაკობს.

მწერლობაში „იდეალურის“ გამოხატვის საწინააღმდეგოდ განწყობილი ლიტერატორები თავისი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ ასახელებენ ე. ოსტროვისკის პავლე კორჩაგინს, ა. ფადეევის ახალგაზრდა გეარდიელებს, ბ. პოლევოის შერესევეს. აი შესანიშნავი მხატვრული სახე-ხასიათები, — აცხადებენ ისინი, — აი ჩვენი ახალგაზრდობის უსაყვარლესი გმირები, რომლებზედაც ფიქრობ, რომელია მაგალითით აღფრთოვანებული ჩვენი ქაბუცები და ქალიშვილები სასწაულებს ახდენდნენ და ახდენენ ბრძოლაში და შრომაში. მაგრამ ისინი ხომ წვეულებრივი ადამიანები არიან. ვინა რა არის ამქვეყნიური მათთვის უცხო. ვინა მათაც იგივე ადამიანური სისუსტე და ნაკლოვანებანი არ გააჩნიათ, რაც ყველა დანარჩენისათვისაც გარდუვალია?

ადამიანი, ცხადია, თავის ბუნებას ვერ გაეყვევა, იგი რაღაც სხვად, ზედამიანად ვერ გარდაიქმნება. ჩვეულებრივი ადამიანები არიან პავლე კორჩაგინი, ახალგაზრდა გეარდიელები, შერესევე. მათთვის მიწიერი უცხო მართლაც არადგირია. მაგრამ მათში იდეალურად არაჩვეულებრივი გმირული სკლია. ისინი „იდეალური“ მებრძობები და მოქალაქენი არიან.

ხელოვნებაში ადგაღური, შესაძლოა, მომავალსაც მოსაწივებდეს. ზელოვანი სინამდვილით ვერ შემოიზღუდება. იგი ვალდებულია გაბედულად იმზირებოდეს მომავალში, თანადროულობაში ღრმად ჩაწვდომით განსტყვერტდეს და შეიკრამბოდეს მთავარ ტენდენციებს შემდეგამ თანამოა ცხოვრებაში, და მათ შორისგან გვესაუბრობდეს ანა შეცნაერული სენტენციებით, არამედ მხატვრული საზე-ხასათების ენით. მან არა მარტო თანამედროვეთა სულში უნდა ჩაგვახედოს, არამედ წარმოგვიხაოს მომავლის ადამიანებიც, და ამით ჩვენში ზვალინდელი დღე დაიქაროს.

ჩვენი ცხოვრებაში ბევრია ცედიც. უნდა დაბრმავდეთ სინამდვილის წინაშე, დაჩლუნგდეთ პოლიტიკურად და იდეურად, რომ ჩვენი წინსვლის გზაზე ვერ შენდნო უდიდესი სიძნელეები და დაბრკოლებანი.

და ჩვენი სინამდვილის ნაკლოვანებათა მხილებაში უდიდესი როლი ეკისრება მხატვრულ ლიტერატურას. ჰემშარბიტი მხატვრული სატყუარტყუისავეთ ზედება მიზანში და საბჭუთაა მწერლობა მოწოდებულია ამ მძლავრ იარაღს სულ უფრო ეფექტურად იყენებდეს მწიკერისა და ვადეაგარებულის, ჩვენი შეცდომების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. და ამ ამოცანის შესასრულებლად სრულიადაც აუცილებელი არ არის ერთი ნაწარმოების ფარგლებში ცედი უმჯეულად დავუბრისპირათ კარგი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ცხოვრებაში არც მხოლოდ მარტო ცედია მოცემული და არც მარტო კარგი, და რომ დადებითი და მოწინავე ხშირად უარყოფითთან და ჩამორჩენილთან ბრძოლაში მკლავდებდა. მაგრამ ლიტერატურისათვის დამდღუბელი იქნებოდა გამთუკლებლად ყველა ქმნილება ისათვის მოგვეთხოვა, აესახა კარგი და ცედი აუცილებლად ერთად, უმჯეულად ერთმანეთისაღმი დაიბრისპირებულ ვითარებაში, და რასაც ყველაზე კატეგორიულად მოითხოვენ — ძალებს განლაგებაში და ფერების განწილებაში აუცილებლად დაგვეცა პროპორციები.

უაღრესად მდღარი და საზიანოა, როცა ცალკეული ქმნილებისაგან იგვეს მოითხოვენ, რასაც მთლიანად მთელი მწერლობისაგან. ცალკე აღებულ რომელიმე წიგნში შეუძლებელია ამოიწეროს მხატვრული ლიტერატურის ამოცანები. ცხოვრების სიმართლით გამოხატვის ვითარებაში, რათაც ძლიერია რეალიზმი, „პროპორციები დაიცოდა“, „ფერების განწილება“ ზდება სინამდვილის შესაბამისად მთლიანად მთელს ლიტერატურაში.

3.

ლიტერატურის თეორიაში პრინციპულად მთავარია ტიპურობის საკითხი. ტიპიზაცია ხელოვნების არსებითად მნიშვნელოვანი ძირითადი კანონი. „მთაბი“, № 6.

ნონია, იგი მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის უაღრესად დამახასიათებელ ფაქტორს წარმოადგენს. და არ გადაგვაკარებთ, რომ ვიტყვი, რომ სოციალისტური რეალიზმის უმჯეულად თეორიისა და პრაქტიკაში დაშვებული შეცდომები არსებითად ტიპიურის არა სრულად გავებისაგან გამომდინარებენ.

მწერლობისათვის განსაკუთრებით დიდი ზიანის მოპტანია ბუნდოვანი და მდღარი შეხედულებები ნაყლებ ვავრცელებული უარყოფითის ტიპიურობის საკითხში.

ნაყლებ ვავრცელებული უარყოფითის ტიპურად ასახვის უხელობელოვო და შეუძლებლობის გამოძახილი იკრამბა, მაგალითად, დ. სტურუს წერილში „თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ზოგიერთი საკითხი“ („მთაბი“, 1957 წ., № 3). ავტორი განიხილავს თ. დონაშვილის რომანს — „ალაზნის პირას“ და წერს: „... მხატვრულ ნაწარმოებში, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მიძღვნილია ამა თუ ამ ისტორიული პიროვნებისადმი, არ შეიძლება ლამაზაკი იყოს მოცემულ პიროვნებაზე, მოცემულ ვარამაზეზე. თვით ვისაც უკიდურესი ინდივიდუალიზაციის დროსაც კი, თუ ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან, აუცილებლად ადგილი ეწეება ვანზოვადებას, ტიპიზაციას“.

მართლაც, მხატვრულ ნაწარმოებში შეუძლებელია ლამაზაკი მარტოდენ მოცემულ ადამიანზე, ვთქვათ, მოცემულ ვარამაზეზე. ზელოვნება სინამდვილის კანონზომიერებას გადმოგცემს სახეებით, კონკრეტულ-გრძნობადი ფორმით, განსახიერებს ზოგადს ინდივიდუალურში, ახდენს ტიპიზაციას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ „... ლულიანის რაიკიმის მიდენის ევოლუცია რომანში შეიძლება შევადგასთ არა როგორც მოცემული ვარამის ევოლუცია, არამედ როგორც პარტიული ზელმძღვანელის ევოლუცია საერთოდ“ (მაზესმა ჩვენია, გ. ე.). — როგორც იქვე ასვენს ავტორი.

ჩვენი შრომის ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოქონ-
და... სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს ამდენი
აუარებელი მდინელობა, რომელიც ჩვენი ურ-
გებ მოუბში იმარტება, საქმათა ეს არა და მტრეც
იქნება ჩვენი ქვეყნის გასამდიდრებლად... ასე
ვფიქრობდი მე მაშინ და, ტყილ-ოცნებით გატა-

ციებული, გამოცდილობის წყალობით ხარ ჭკას
ვახლიდი თავს. გახედვით და ხან-ხანს... (ლექსი
„რაგვა“, 1893 წ., № 265). პეტრეს, რომელიც
გინეკ. ა. აბაშიძის მიერ ვაგზანთელ ბარათის აღ-
ნიშნულია, რამ აკაკიმ რუსეთიდან დაბრუნებ-
სას ხელი მოჰკიდა მარტანის საქმეს (იქვე).

შემამულეთა წინააღმდეგობის მიუხედავად,
მარტანის საქმეს აკაკიმ შემდგომ, განსაკუთრე-
ბით 70-იანი წლების დასაწყისიდან, უფრო მეტი
თავდაღებით მოჰკიდა ხელი. ამ პერიოდში საზო-
გადოების ყველა ფენა მადის, განსაკუთრებით
ქვანახშირის, ე. წ. ციებ-ციებებამ შეიპყრო და,
გ. წერეთლის სიტყვით, ჩვენში ოქრო ისე არ
უძებნიათ, როგორც ქვანახშირი. ამ მინერალის
გამოყენებით აკაკი დაინტერესებული. ტყემლის
ღის გარშემო შექმნილ ამბებს მან სახეობური
ფელეტონი მოუძღვნა და ქვანახშირის საქმის
უცხოელების ზელში ჩაგდების სახიფათო ტენ-
დენციების წინააღმდეგ გაილაშქრა. პოეტმა შე-
დგომაც არა ერთხელ შეხებულა ქვანახშირის სა-
კითხებს. 1875 წელს ტყემლისა და მის მესვე-
ურს (ნ. ნიკოლაძეს) შესანიშნავი ლექსიცი მიუ-
ძღვნა, ხალხი თბილედ წლის შემდეგ რუსეთში
როგორც მარტანის, ისე ტყემლის ქვანახშირი-
სა და სენდერის ოქროს საბადოების დასამდიდ-
რებად კომპანის შედგენას ცდილობდა (წერ. 1).

როგორც ირკვევა, აკაკი რამდენჯერმე ყოფი-
ლა სენდერში ოქროს საქმეზე, შემდეგ კი მას
ვაგზანთელ თავისი ახლობელი ან. კახანაძე, რო-
მელიც ჯერ კიდევ 1875 წელს ჩუბინეში ოქროს
სარეწარმოს გამართვის აპირებდა. ნ. ნიკოლაძისა-
მი მიწერილ გვიანდელ წერილში აკაკი აღრუხატს
სთხოვს გამოძებნოს ისეთი პირი, რომელიც სენ-
დერის ოქროს საბადოების დამუშავებას დაიწ-
ყებს, რადგან, ეს მდინარის საბადოები თუმცა
მის ხელშია, მაგრამ მას პირადად მათი დამუშა-
ვება არ შეუძლია (წერ. 5).

ოთხმოციანი წლებში პოეტმა დაინტერესებული
ყოფილა ვერცხლის მადნების, შავი ზღვის ბი-
რისა და კახეთის ნავთობების, ოზოცერიტის,
გალუბერის მარტანის დამუშავებით (წერ. 4, 6)
და ამ მიზნით დავალებებს აქლევს თავის ახლო
მეგობრებს.

აკაკის ერთ-ერთი სრულიად უცნობი და, სამ-
წუხაროდ უთარაილო წერილიდან ირკვევა, რომ
პოეტს ზემო რაჭის (სოფ. წედისის) რკინის მალ-
ნების დამუშავებაც უჭირდა განზრახული და ამ
მიზნით ს. წედისში რკინიგზის გაყვანის შესაძ-
ლებლობას სწავლობდა.

ცხრამოციანი წლებში აკაკი ივრის სათავეებში
ოქროს საბადოების დამუშავებას აპირებდა. ამავ
პერიოდში თავის უბის წიგნაკში ინიშნავს: „ამუ-
რონის ნავთის მიწები, ლეკორანში სოფო“.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია მიუხედავად
არქივებში მიკვლეული, ჯერ გამოუქვეყნებე-
ლი, საბუთები, რომელთა ობიექტური შესწავლა
საშუალებას გვაძლევს მარტანის მრეწველობის
ისტორიის მრავალი ფაქტი მტრ-ნაყლები სიზო-
ტით დავადგინოთ.

სამწუხაროდ, წინამდებარე შენიშვნებში შეუძლებელია ყველა მომენტის დაწვრილებით ვადავებო და დავაყალიბებდით მხოლოდ ერთი საკითხის შესახებ მიღებული ბარათად შედგენების მოტანით — როდეს და ვინ დაიწყო საბადოების სამარწყველო დამუშავება.

სამთო ინჟ. გ. დეკანოზიშვილი 1893 წელს წერდა: „ვინ იყო პირველი შემომღებე შავი ქვიისა და მარჯანეთის წარმოებისა... ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, რადგან რუსები აწერენ ბარონ ფონ-მერცენფელდს, ქართულად — ავ. წერეთელს“. (გზ. „ივერია“, 1893 წ., № 256), ხოლო ათი წლის შემდეგ იგივე ავტორი უკვე კატეგორიულად აცხადებდა: „კიათურის წარმოება დაიწყო 1879 წელს კომპანია — „სტეტარის“ წარმომადგენელმა ბარონ ფონ — ვარცენფელდმა“, რაც სინამდვილეს მოკლებულია.

როგორც აღინიშნეთ, აკაიის მარგანეციის გარშემო საქმიანობა 70-იანი წლების დასაწყისში განუახლებია; დაუწყია საბადოების გეოლოგიური გამოკვლევა, მადნის ნიმუშების სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნა ამავე ათწლეულში, საბადოს პოპულარიზაციის მიზნით, აკაიისა და სიმონოვანის სპეციალური ბროშურაც გამოუცემთ. ერთდროულად აკაიი ცდილობდა სამუშაოების დასაწყევად საქორი თანხები ადგილობრივ გუბერნიას, მაგრამ ამაოდ. ამიტომ ის იძულებული გამხდარა უცხოური კაპიტალისტებისათვის მიემართა. მას საკუთარი ხარჯით ჩამოუყვანია სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც, ადგილობრივი შემამუშავების მიერ დამინებულნი, ჩამოსვლისთანავე უკანვე გაბრუნებულან. ამის შემდეგ აკაიი, მარგანეციის კომპანიის გამონახვის მიზნით, 1874 წლის პირველ ნახევარში პეტერბურგში წასულა. სერგეი მესხი ამავე წლის 23 დეკემბერს კვამელი-ქიშვილს ატყობინებდა, რომ „აკაიი ახლა აქ არის... ამის საქმეები, მგონია, კარგად მიდის... პეტერბურგში რომ იყო, რაღაც მიღწევის კომპანია შეუდგენია და შალე საქმეს დაიწყებდა“ (ლტ. მუხ. 16894 — ხ). სამწუხაროდ, ეს კომპანია არ შემგზავრა. სერ. მესხი რამდენიმე თვის შემდეგ ამის შესახებ იმავე ადრესატს აცნობებდა: „ძალიან გაბრუნებულ მდგომარეობაშია ახლა აკაიი... ამის გარდა, თეთრობად მარგანეციის მადანი აქვს, კომპანიის შედგენას ცდილობს და გერც ეს უხერხდება“ — (ლტ. მუხ. 16896 — ხ).

მართალია, აკაიის თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია, მაგრამ კომპანიის შედგენა წლითი ვაჰიანობებულა, რაც ჩანს 1877 წელს არ. ქუთათელაძისადმი მიწერილი ბარათიდან: „ბრძენები და ფულიანები ვერას აკეთებენ და ეგება ჩერჩიტობამ და სიღარიბემ რამე გააჩივოს“ (წერ. 1). ამავე წლის დასასრულს ნ. ნიკოლაძე წერილს სერგეი პეტერბურგში მყოფ აკაიის და ურჩევს, რათა მან მარგანეციისთვის კომპანიის შედგენას ცდებდეს თავი მიანებოს და თბილისში ჩამოვიდეს ვახ. „თბორში“ სამუშაოდ. მაგრამ აკაიიმ ეს

რჩევა არ მიიღო, რადგან კომპანიის შედგენის საქმეში მას ერთგვარი წარმატებისაღწევის მიღწევა და იმავე არ. ქუთათელაძეს თხოვდა: „რადგან ჩვენს და სიმონოვანის უთხარი, სურვილი აღსრულებამი მოვსდისო აქ და მანდ თქვენ იყავით მარჯვეთო“ (წერ. 2).

აკაიის პირადი მოკონებლად ვიცით, რომ პეტერბურგში მას 1878 წელს გამოუნახავს ვინმე ოსტრაიკოვი, რომელსაც მარგანეციის საქმეში მონაწილეობაზე სურვილი გამოთქვამს და, საბადოების წინასწარი გაცნობის მიზნით, მცველი იასაულის ივ. ფურმანის თანხლებით კიათურის სანხერგოში ჩამოსულა, საბადოები დაუთვალიერებია და პეტერბურგში დაბრუნებისთანავე აკაიისთან ხელშეკრულება გაფორმებია. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მარგანეციის მადანი აკაიის საკუთარი სახსრებით ფოთში უნდა ჩაეტანა და ოსტრაიკოვი საბოლოო ანგარიშს მხოლოდ იქ გაუსწორებდა. მაგრამ აკაიის საამისო სახსრები არ ჰქონდა და მისთვის ფული ვინმე გრაფინია გილეს უხსნებია. პეტერბურგიდან დაბრუნებულა, კვიცხარაში სალომე წერეთელი, ანდრონიკაშვილის ქვრივის მადნებანი მამული იკარა აუღია, თბილისიდან თავისი მეგობარი ანდრია კამანაძე მუშენის ზედამხედველად წაუყვანია და რამდენიმე თვეში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მადნის რაოდენობა დაუშვალა. ეს ფაქტი უნდა მოხდარაყო 1879 წლის დასაწყისში, რასაც ადასტურებს აგრეთვე ნიკო დანიანის სტატია (გზ. „დროება“ 1879 წ., № 252).

სამწუხაროდ, აკაიიმ შემამუშავებელი წინამდებლობისა და ვალების გამო ოსტრაიკოვისადმი მიცემული პირობა ვერ შესასრულა.

ჩვენ გულდასმით გადავთვალიერეთ სამთო სამშრომელის საქმეთა არქივი და 1879 წლამდე ვერასდეს შევხვდით რაიმე ცნობას ოტო მერცენფელდზე, რომელსაც დეკანოზიშვილმა და ფეი-მოესკიმ სრულიად დაუმსახურებლად მრეწველობის პიონერობის დაღწის გვირგვინი უბოძეს. არქივში აღმოჩნდა მერცენფელდის მხოლოდ ერთი განცხადება, ისიც ვინმე ვილჰელმ მერცენფელდისა, რომელსაც ეს განცხადება 1879 წლის 14 ივნისს შეუტანია სამთო სამშრომელთაში, ოღონდ არა კიათურის მარგანეციის საბადოების, არამედ ბაქოს ნავთის დამუშავების შესახებ.

უტყუარია საბუთებით მტკიცება, რომ კომპ. „სტეტარის და კომ“. წარმომადგენელი კიათურაში პირველად ჩამოსულა 1879 წლის სექტემბერს პირველ რიცხვებში. ეს იყო მერცენფელდის რწმუნებული ივ. ფურმანი, რომელიც ერთი წლის წინთ ოსტრაიკოს ახლდა როგორც უკანასკნელის დამცველი რაზმის იასაული. როგორც ნ. ნიკოლაძის 1879 წლის 31 აგვისტოს დაწერილი წერილიდან ჩანს, აკაიის ფურმანის ჩამოსვლამდე უწარმოებდა მადნის დამუშავება და უკვე გასტენია მოცილებდით, რომლებსაც კიათურის მადნების დამუშავების ნებართვის მისაღებად 1879 წლის 14 აგვისტოს სამთო სამშრო-

თელში განცხადება შეტანილი. მაშასადამე, აკაის სახადოების სამრეწველო ექსპლოატაცია არა მარტო ფერმანის, არამედ მასზე უფრო ღირებულ მრეწველებზე უნდა დაეწყო.

რაც შეეხება მერკენფელს, ის კითხურაში მხოლოდ ფერმანის შემდეგ ჩამოსულა, სახელდობრ, 1879 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ხოლო სამმართველოში პირველი განცხადება მხოლოდ 1880 წლის 23 აპრილს შეტანილია. ამაგებია, რომ, თუ მერკენფელი ნებართვის მიღებას მხოლოდ 1880 წლის აპრილში ცდილობდა, მას არ შეეძლო 1879 წელს სახადოების სამრეწველო ექსპლოატაცია დაეწყო და საზღვარგარეთული 51 ათასი ფუთი მადანი გაეტანა.

თიხეზავად იმისა, რომ აკაის პირველი ნაბიჯი ერთგვარი მარცხით დათავრდა, მას მთელი სიცოცხლის მანძილზე მარგანეის საქმიანობაზე ხელი არ აუღია. ღრმად მოხუცებული პოეტი განუწყვეტლავ ცდილობდა მრეწველობის უკეთ წარმართვას, წერდა მოგონებებს, სტატიებს. 90-იან წლების მეორე ნახევარში მიმოქრახას აწარმოებდა თურქეთში მცხოვრებ ისევ რაველთან კონსტანტინოპოლში მარგანეის კომპანიის შედგენის შესახებ; 1895 — 1896 წლებში უკრაინაში სამჯერ ყოფნისას აკაი კონსტანტინოპოლში წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით ვერ მოახერხა.

90-იან წლებში, როდესაც კითხურის მრეწველობა სახიფათო წიხში აღმოჩნდა, აკაი მხარს უჭერდა და რჩევას აძლევდა ე. წ. ოპოზიციის მარგანეის მსხვილი მრეწველებისა და კითხურის მრეწველობა საბჭოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე პერიოდში ეურნალ-გაზეთებში ბეჭდას მრეწველობის ბოროტმოქმედებათა და საბჭოს არასწორი ხაზის მანძილზე, ხოლო კავალტყავებზე მუშაობის ინტერესების დამცველ წერილებსა და ლექსებს, რომლებიც მამინ ერთგვარ, პოლიტიკური პროკლამაციების როლს ასრულებდნენ. ერთდროულად აკაი მრეწველობის გასაუმჯობესებლად მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ადგენდა.

მაგრამ აკაი მარტო კითხურის სახადოებით არ კმაყოფილდებოდა და ერთდროულად ცდილობდა მარგანეის სახადოების გამოყენებას სამეგრელოში და ვანის რაიონში.

მარგანეის საქმეში აკაის თანხრომამ სათანადო გამოხმაურება პოვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებშიც, რომლებიც თავიანთი კეთხის მადნების დამუშავებით დინტერესდნენ: 1875 წელს გრ. ორბელიანი სამთო სამმართველოს საინალიზოდ მადნის ნიმუშებს უგზავნის; ნ. დლიანი თავისი რწმუნებულის (ლ. ჩატინის) საშუალებით მარგანეის მადნის ექსპლოატაციას იწყებს კითხურაში; მწერალი დავ. კლდიაშვილის მამა, საშსონი, სვიმონთში; გორელი ამირაჯიბები „ქვაშაში“ (ქართლში) აპირებენ იმავე მადნეულების დამუშავებას; მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი ნატროს: „რა კარგი იქნება,

მართლა, რომ იაროს, იაროს მარგანეცა და ჩემს კარმიდამოში ამოყოს თავი“; გ. წერეთელი, რომელიც 80-იანი წლებიდან საქართველოს მრეწველობის სიმღერათა გამოყენების საქმიანობაში ებმება, სამმართველოს უგზავნის ს. კლავსი ნაპოვნი მადნების ნიმუშებს საინალიზოდ; ნ. ნიკოლაძეს სწერს, რომ „მარგანეის საქმე კარგი საქმეა“ და კლავსი სახადოების დამუშავებას ცდილობს; 80-იან წლებში თეთრი წყაროს რაიონში იწყება მარგანეის სახადოების ექსპლოატაცია და ფოთში მადნის გაზიდვა; მწერალი ქალი დომინიკა განდგვილა ბათუმის ოლქში მარგანეის სახადოების დამუშავებაში დახმარებას გ. ზდანიოვის (მაიაშვილს) სთხოვს.

აკაის მიერ დაწყებულმა ამ დიდმა სახალხო საქმემ გაერთიანდა მოწინავე ქართველი მოღვაწენი (ი. ჰაველიანი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვა), რომლებიც ენერგიულად იღვწოდნენ მრეწველობის ამ ახალი დარგის შეზღვევაში განვითარებისათვის.

აკაის შრომამ უკვალოდ არ ჩაიარა: თუ 1879 წელს კითხურაში რამდენიმე ასეულმა მუშამ 51 ათასი ფუთი მადანი ამოიღო, ახლა ამაზე მეტს მხოლოდ 3—4 მუშა ამზადებს წელიწადში. მარტო ეს შედარებით ნათლად გვიჩვენებს ამ დარგში პოეტის დამსახურების სიღაღეს.

აკაის ეს წერილები პირველად გვეყვანება, ავტორის სტილი და მართლწერა უკვე უდავოდ დატოვებულია. ჩასწორებულია მხოლოდ წერის დროს დაშვებული უნებლიე ხასიათის ცდომილებანი და პუნქტუაცია. უთაროლო წერილები დათარიღებულია სხვა წყაროებით. ნებართვები თარიღები, აგრეთვე, ავტორის მიერ გამოტყვეებული და ჩვენ მიერ ჩამატებული სიტყვები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული, ტექსტის ამოუკითხავი ადგილები კი — კვადრატულ ფრჩხილებში კიბვის ნიშნით. ჩვენ მიერ გამოტყვეებული ადგილები აღნიშნულია კვადრატულ ფრჩხილებში მრავალწერტილით. თითოეულ წერილს დართული აქვს ლეგენდა; დაწესებულია, სადაც წერილი იხსნება მდებარე (ფონდის, საქმის ნომერი და ფურცელი).

ქვემოთ ვერთავთ შენიშვნებს ცალკეული წერილების მიხედვით.

II

1.

1. ქუთათელაძე არისტო — საზოგადო მოღვაწე, ქუთაისელი პედაგოგი, აკაის ახლო მეგობარი (ნ. ეურ. „ფსიქენჯი“, 1908 წ. № 5).
2. ნ. ნიკოლაძის და, აკაის მეგობარი.
3. ნ. ნიკოლაძე გახ. „ობზონის“ გამოცემის ნებართვა 1877 წლის აგვისტოში მიიღო.
4. იგულისხმება გ. წერეთლის „Письма с Кавказа“ (ნ. გახ. „გოლისა“, 1877წ., № 257 და № 297).
5. იგულისხმება მარგანეის კომპანიის შედგენა.

6. კაპანაძე ანდრია ივანეს-ძე თბილისელი თერძი, აკაის ახლობელი, რომელიც მას მადნეულების ექსპლუატაციის საქმეში ეხმარებოდა.

2

1. იგულისხმება მარგანეცის კომპანიის შედგენა.

2. სიმონოვიჩი სპირიდონი — ცნობილი გეოლოგი, აკაის დამხმარე სახადოების გეოლოგიურ შესწავლაში.

3. ნიკოლაძე ნიკო.

3.

1. ქვეყნაძე-მარჯანიშვილი ელისაბედი (ლიზა). რევიორს კოტე მარჯანიშვილის დედა. აკაის მეგობარი, რომელსაც ახალგაზრდა ილიამ თავისი ცნობილი ლექსებით—„გახსოვს, ტურქადე“ და „ალაზანს“ მიუძღვნა.

2. სასტუმრო ქუთაისში.

4.

1. შანაბელი ანეშპოდისტე — მომრიგებელი შუამავალი სახეობაში.

2. უძველესი ბერძნული თქმულების გმირები იბონის მეთაურობით, რომლებმაც გემი „არგო“-თი ლეგენდარული ღაშკრაობა მოაწყვეს კოლხიდაში ოქროს საწმისის (ვერძის ოქროს ტყავის) გასაბრუნებლად, ხოლო, ხარაქს პერგამონელის აზრით, ტყავზე კოლხური ოქროთდამწერლობის ტენოლოგიური წესების გასაგებად. ვასელი საუკუნის შიგომ ნახევრიდან საქართველოს ოქროს სახადოებით დაინტერესდა მრავალი ქვეყნის მრეწველი, რომლებიც ცდილობდნენ სახადოების ხელში ჩაგდებას. ამიტომ აკაიმ მრეწველთა ამ მხაკერულ მოქმედებას „არგონავტების ღაშკრაობა“ შეარქვა.

3. იგულისხმება სახადოს დასამუშავებლად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საზღვრებზე ჩასმული სანიშნო ბოძები.

4. ლოლა ღერასაძი — ქუთაისელი გვიწილი ყოფ. ქალაქის თავი, აკაის ახლობელი 1876 წელს აკაისთან ერთად იცავდა აკაიეებში მონაწილე სეანებს.

5.

1. იგულისხმება ის მამული, რომელიც აკაის მამამართლად წერეთელმა ელისაბედ წერეთლის მამამთლად დაფიქრავა და ფული აკაის მოსყოფში გავიზარდა ბოეტის ცოლის ნათესავთა ოქროს სარქველების აღდგენის მიზნით. ნათესავებმა ეს ფული უშედეგოდ დახარჯეს, ხოლო ელისაბედ წერეთელმა დაფიქრებული მამული მისი-კუთარა.

2. 1884 წლის გაზაფხულს ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგში ყოფნისას ვანურსაზას ქართული მწერლების ნაწარმოებთა 15 ტომად გამოცემა და ამ მიზნით აკაისათვის თხოვნით მიუმართავს, რათა ბოეტს გადაეგზავნა მისი დუბეკდავი ლექსები.

6.

1. კაპანაძე ანდრია ივანეს-ძე.

2. ინგლისური მარლის ძველი სახეობა; გამოყენება მედიცინაში.

7.

1. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის-ძე — ექიმი, ცემში პირველი სახაველო სანატორიუმის დამაარსებელი, აკაის პრაქტიკულ საქმიანობაში დამხმარე.

2. აფერიანი — ფოთელი ბერძენი, მარგანეცის მრეწველი.

3. აკაი 90-იან წლებში თურქეთში მცხოვრები იანე რაჰველის დახმარებით ამირბედი თურქეთში მარგანეცის კომპანიის შედგენას. რამდენჯერმე შეეცადა კონსტანტინოპოლში წასვლას, მაგრამ ვერ მოახერხა.

4. რაჰველი იანე — იოსებ მაქსიმილეს-ძე მეზულა. ქართველი მწერალი-ჟურნალისტი. მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისათვის მოკლული პატიმრობა, მაგრამ ვიბარა თურქეთში, საიდანაც 1902 წელს დაბრუნდა, ცხოვრობდა ლაგოდეხში, სადაც გამოსცა გაზ. „პერიტის“ მხოლოდ ხუთი ნომერი (გაზ. „ლენინის დროსა“, 1952 წ., № 106).

5. ნუშო — სოსიკო მერკვილიძის მეუღლე.

6. აკაის უფროსი და ანა.

[მოგონება]

1. მოგონებას აკაი დასაწყისი და ბოლო. დაწერილი უნდა იყოს 1905 — 1910 წ. წ. შუალედში, რადგან მოგონებაში მოხსენებული სიმონოვიჩი 1905 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა, ხოლო დ. ბ. ღამბაშიძე — 1911 წლის 3 იანვარს. აკაის განზრახული ჰქონდა მარგანეცის მრეწველობის თეოლოგისტრია „ჩემ თავდასაჯვალში“ მოეთავსებინა (ეურნ. „ველი“, 1902 წ., № 50). შესაძლოა ეს მოგონება ამ მიზნით დაწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაამთავრა.

2. იგულისხმება ვაშაძე ექვთიმე ბეიენის-ძე (მოგონებაში შეცდომით „ვაშაძეძეთაგანი“ სწერია), რომელსაც, აკაის თხოვნით, მადნის პირველ ნიმუშებში კვანძნარიდან ქიათურაში ჩამოუღებდაც.

3. ინგლისელი ინე. სენინონი, რომელიც ფოთის კაობებისა და ქალაქის კეთილმოწყობას აზრებდა, მაგრამ ბოროტმოქმედი ის 1871 წელს მოკლავთ (გაზ. „დროება“, 1872 წ., № 3).

4. იგულისხმება 1870 — 1871 წ. წ. საფრანგეთ-პრუსიის ომი.

5. პოლკოვნიკ იესე იოსების-ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე, ქიათურის რაიონში მადნისა მამულების დიდი მფლობელი. სალომე წერეთელი უაღრესად განათლებული ქართველი ქალი იყო და ზედმიწევნით სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“. გრ. ორბელიანის თაქმდამარცხებით არსებული კომისია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტების შედარებისას ხშირად მიმართავდნენ სალომე ქიათურის ასულ წერეთელს, ანდრონიკაშვილის ქვრივს (1811 — 1889 წ.).

6. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის 1877 წლის 1 დეკემბერს აკაისადმი გაგზავნილი წერილი.



გრიგოლ ორბელიანის „პეტერბურლი“

დღეს, როდესაც საბჭოთა ხალხი ლენინგრადას 250 წლისთავს აღესასწაულებს, ჩვენ კმაყოფილების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახელოვანმა ქალაქმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარებაში.

საქმიანობა გავისხენით, რომ პეტერბურგში მიიღეს განათლება ს. დოდაშვილმა, ი. ჰავეშეიმმა, ა. წერეთელმა, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ი. შანიბაძემ, ა. ცაგარელმა ი. ჯავახიშვილმა, ს. სავანელმა, მ. ბაღაჩიანიძემ, მოსე თოიძემ და მრავალმა სხვა ქართველმა მწერალმა, მეცნიერმა, ხელოვნების მეშვეობით საზოგადო მოღვაწემ *. რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე პეტერბურგში აღიზარდა თერგდალეულთა მთელი თაობა. იქ გატარებულ ოთხ წელიწადს ილია ჰავეშეიმ აღიარებდა „მთელ სულს“*, რომელშიც „ცხოვრების საბირველი“ შექმნა, ჰავეშეიმის ტვიზნი და გულში „ცხოვრების კვირტი“ გამოკვინა.

წინააღმდეგე ახლა შეიხსებოდა, — სწერდა სახელოვანი ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, — რომ ეს პეტერბურგი ას ქალაქია, ხადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ეპაწილური ოცნების ეშმა გამოცვინა, ხადაც პირველად აყვავებული ჩემი გრძნობა და იმედი, ხადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება აღიარებია ჩემს ტვიზნისა და გულს“.

მოწინავე ქართველი მოღვაწეებისათვის პეტერბურგი, რევოლუციისა და კულტურის ეს უდიდესი კერა, უოველთვის საყვარელი და საამაყო ქალაქი იყო. ამაზე ლაპარაკობს მრავალი ნაწარმოებები.

ქართველი მწერლებიდან ყველაზე სრულად პეტერბურგი გრიგოლ ორბელიანმა აღწერა ჯერ კიდევ 125 წლის წინათ, მაგრამ იგი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. დღეს მას პირველად გეპქდავთ.

ამ ნაწარმოებების ისტორია მოკლედ ასეთია.

1831 წლას იენისში გრიგოლ ორბელიანმა ადგილობრივი სამხედრო ზღვისუფლებების დავალებით რუსეთს წაიყვანა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაკებულ „საგანგებო“ ჭეივით პოლკისათვის“. ვხად მან რამდენიმე დღე დაჰყო მისკოვში, ხოლო 11 ნოემბერს ჩავიდა პეტერბურგში, სა-

დასაყ ნოვგოროდს მხოლოდ ორთვენახევრის შემდეგ გაემგზავრა.

ნოვგოროდში 1833 წლის 11 მარტს გრიგოლ ორბელიანი მოულოდნელად განხრატეს, დაამტარეს და დაკითხვის შემდეგ საქართველოში გამოგზავნეს. მას ბრალად ედებოდა მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში.

შთავრთობის აგენტებს ვრ. ორბელიანის დაამტარების დროს წამოუღიათ მისი წიგნები და ხელნაწერები. ხელნაწერთა შორის ყოფილა პოეტის ვრცელი დღიურიც, რომელიც მას უწერია როგორც გზავრთობის დროს, ისე — დროგამომეგებით — რუსეთში, ამ ნაწარმოების პირველი ნაწილი, რომელიც ავტორს ლატვიატურულად დაუმუშავებია და თვითრად გადაუწერია, გამოაქვეყნა მკვლევარმა პეველ ინგოროვამ „მნათობს“ 1940 წლის თებერვლის ნომერში. იმ ნაწილი — აღწერილია ვრ. ორბელიანის გზავრთობა თბილისიდან წრდილოეთ კავკასიაში 1831 წლის 9 ივნისიდან 7 აგვისტომდე. ნაწარმოების მეორე ნაწილი, რომელიც დაუმუშავებელი დარჩა, პირბობითად სამ ნაწილად შეიძლება გაიყოს: 1. საკუთრივ დღიური, 2. მისკოვის აღწერა და 3. პეტერბურგის აღწერა. აქედან მხოლოდ ერთი ნაწილი — მისკოვის აღწერაა ცნობილი, რომელიც გამოაქვეყნა დოკ. მკოცაქემ გასულ წელს. („მნათობი“, 1956 წ. № 3).

ვრ. ორბელიანის „დღიურიდან“ ჩვენ ებეკდით მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც აღწერილია პეტერბურგად და მისი მიდამოებში. რაც შეეება თვით „პეტერბურდს“, რომელსაც ავტორი ცალკე გამოყოფს, მას შემოიკლებით ვსტამბავთ.

საქმიანო შეენიშნოთ, რომ საბრკოვო სიწვენილი ნაწარმოების ფურცლები ჩაყვრებულია ძალიან არეულად. ვარდა ამისა, ზგლი ვაერკვევილია და ცალკე ადგილები გახუნებული, რაც შეტბად აძწელებს მათ ამოკითხვასა და საერთოდ მასლის დაღაგებას.

ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც შეიძლება, ორიგინალი ზუსტად ვაღმოგვეცა. ტექტი დავიკავით ვრ. ორბელიანის შართლწერა, მაგრამ — შინაარსის ვაგების ვასაადვილებლად — ოდნავ შევასწორეთ სასვენი ნიშნები, ვავხსენით ქარავგები და შევეცაუეთ დღევანდელი სალტვირატურო ქართულიდან ამოღებული ასოები. კავებში ჩასმული სიტყვები და ციფრები ჩვენ გვეკუთვნის.

* დაწერილებით ეს საკითხი განხილულია ჩვენს წიგარში „ლენინგრადალი და ქართული კულტურა“ („მნათობი“, 1943 წ. № 8).



დღეობი [ნაწევრები]

5-სა [ნოემბერს 1831 წ.] გამოეშობოთ ჩემს კამანდოთ ცარსკის სელოსკენ, სადაცა სდგას როტა ჩემი. გზა არის მშვენიერი და მდებარეობა ადგილისა ფრიად საამური. მარცხნისა მხრით გზის სიბლეს არს ლურჯად განვრცულბული ზღვა, რომელზედაც უმარჯუნისი ნაენი, ბარკანი, სედნობები, პარახოდნი მსუერაყდენ სხვადასხვა მხარეს. ზღვის კიდეზე არის დარბები ესე იგი სისახლენი, ბაღნი საზაფხულოდ აშენებულნი მშვენიერად, ეგრეთვე გზისა მარჯვნივ მრავალნი დამანი და სოფელნი ერთმანეთზედა მობმულნი არიან.

დაიქვეითე, რათამცა უმეტესად დასტებე ესრეთითა სახილველითა: გამოვლეთ პეტეროლოგი, სადაცა არს სასახლე ხელმწიფისა და უქვირფასესი და უჯრცელესი ბაღი, რომლისა ქება განთქმულ არს. ამის სახილველს არს სტრუენი, სადაცა არს კვალად სასახლე ხელმწიფისა და ბაღი ანათე ყოველს ვერსზე, არამედ ყოველს ბაჯზე სხვადასხვა ახალი სიგანი წარმოუდგებიან თვალთა: ზოგანი თვით ბუნება, ზოგან ხელოვნება, აქ სიმდიდრე შენობათა, აქ სიგლასავე განგებ დაწვრილად.

დიდ მშვენიერი სანახავე უნდა იყოს ზაფხულში, ასე გამოვლეთ ქვეითა უგრძობლად 18 ვერსი, რომ სრულიად არ დავალდულვარ. დავგლაამეთ სოფელს პუსტიტას.

6-სა დღე იყო მორბეულნი და ცივი. მდებარეობა ადგილისა იყო ეგრეთვე მშვენიერი, ვითარცა გუშინ. აქ, პუსტიტასთან, არს აღმუწებული მონასტერი წმიდის სერაქისა, ფრიად მდიდარი; გზაზე დაიბები იყვნენ ერთმანეთზედა მობმული, და ერთმანეთზედ მდიდრად შემკობილი. დღეს შეიღო ვერსი, რომელიცა გამოვლეთ ქვეითად, ღირს მრავალ მილიონად.

ზაფხულში გამოდიან პეტერბურდით ამა დარბებში და მსცხოვრობენ მუნ ერთს ან ორს თვეს, და ამა მცირეს დროს მზობრულად განტარებიათესს რაოდენი ათასნი თემებები დაუხარავათ თვითელსა. ფრიად შესკიდებიან იგინი, ვინცა მსურენ განცხრომისა ცხოვრებასა აზიასა შინა... დარწმუნებით ვიტყვი, რომ თვით ყვენიცა არ მსცხოვრობს სულანში ეგრეთ შემკობით და ეგრეთ განცხრომით, ვითარცა აქაურნი თავადნი და აზნაურნი; ამისათვის რომელ აზიასა შინა არა უწყიან არცა ზაღისა და არცა საბლასა შემკობა ესრეთ დიდმშვენიერად და ესრეთ გემოვნებით, ვითარცა აქ, და არცა საკვირველ არს, ვინათგან აზიადიან შორს სდგას განათლებასა შინა ევროპისაგან. გამოვლეთ ცხრა ვერსი და მარჯვნივ გავედით შარავნიდამ მოკლეს გზაზე და ამისათვის ვეღარ გავსინჯე სრულიად ესრეთი

ქვირფისა გზა პეტერბურდამდის საღამოზე შევეყარეთ კვალად დიდს გზას ბუღკოვის სოფელთან, სადაცა მსდგას ახალი ჩემი როტა — 25 ვერსი.

7-სა შევისევნეთ და მოველოდი როტნას კომანდირს ჭიქი... წასულს აქედამ ორენბაუმში ჩასახარებლად კამანდისა.

დღეს გავიციან აქ აფიციარი გვიარად დევერევე, რომელმანცა დამატეგა სადილოთ.

11-სა საღამოზე წაველ პეტერბურდს, გზაზედ დამიღამდა, მრავალი ხალხი ირყოდა მშვენიერს გზაზედ, რომელიცა ემზავავებოდა ქალაქის ქუჩას. შორს გამოინდა ცეცხლის ალი, რომელიცა ანათებდა დღისა სიერისა, ესე იყო პირველი ნიშანი პეტერბურდის გამოჩენისა. ქუჩებში ანათებულნი უმარჯუნისი ფარბები გამოაჩენდნენ შორით ესრეთსა ცეცხლსა. შეექმნა საათზე მიველ ღრად სიმონიის სახლში, რომელიცა იღვა ნევსკის პრინსიპატზე, დიდის კანტონის დემეტრის ტრახტირში. დღეს შერტმა წამიფიანა სასურინოდ ნევსკის პრინსიპატზე.

12-სა დილით მოვიდა ღრადის სანახავად ბატონიშვილი ლეიკაბი, რომელთანაც წარმადინა ღრადში. აქედამ წვედით ბატონიშვილს ფარნაოზინ, რომელიცა სდგას ფონტანკაზე, დიან საამოვნებით მიველო ფარნაოზნი, რომელიცა არს დიან ქვეინი კაცი და დაჯვარება შამათს სადილოდ. აქედამ წვედით პრასკოვის ნიკოლაევისთან, რომელიცა განკვირდა ფრიად ჩემს ანაზღველად მისულს. შუა დღიდან შეიღ საათზე წავედით თეატრში, ატალიანსკის ოპერა იყო, სადაც დავვარცხვავა იტალიიდან ახალ მოსულმა ქალმა, გვიარად მორიკონი, მშვენიერის სიმღერითა, სკრიოკაზე უკრავდა სოლუს ბუმი. ოხი ვითარი ძლიერება აქვსთ ჩვენთა გრძნობათა ზედა სიმღერასა და მიუხეცს, სმენა მითი ზოგჯერ აღმავსებდა ვაიმეთქმელითა სიხარულითა და სიძღუმლითა სურვილთა განადღვიებდა გულსა შინა მემსა, და ზოგჯერ წყნარად, ტკილილად დამაფიქრებდა, მიუწებდა და წასრულთა კინილა დაიქვიცბასა შინა დაფლულთა სიამოვნებათა მწუხარებათა აღადგენდა გონებასა შინა ჩემსა და წარმომიდგენდა ცხადით, ხოლო რომელთაზე მზათა იყო დამატევებებელი, რომელიცა ნახად ვარემე მოგებთა გულსა ყოვლითა სიტკიბოებითა, ვითარცა ეპალი და გონება წარადლო შორს, მაშინ ქვეყნიერი აღარა მახსოვდა და არცა ევროპილი თაქსა ჩემსა, სადა, რომელსა მხარის ვიყავ მას ეამს? არ ციცი! გამოვფხიზლდი ანაზღველად და ვიბაღე ფარდა ჩამოშებულ და ყოველნი მხილველნი გროვლებდნენ კა-

რებთან გასასვლელად წუნარი სიამოვნებით აღვსილი (რომელიცა იგრძნობების და ეერა ითქმის). აღსდგ და გამოველ თეატრით. ბეშო და მორიკონო, არ დაგვიწყებთ, ვიდრე ვართ ცოცხალ.

18-სა თინიერ ყოვლისა საგანისა დადგილი და ესპერტდი ნევისკის პრისპეტზე უმრავლესთა ხალხთა, ვითარცა ვანგებ შეყრბილთა ქვევითაღ, დროშით, კალასკით, კარგით სანებით მიმავლთა, სადილი ევამეთ მეთხე საათზე, სანთლები გვენთო სადილზე, ასე ადრე ღამდება აქა; წავედით პატარა თეატრში, სადაცა იყო კარლ შეთორმეტე წარმოდგენა, მგარამ არ იყო მოსაწონი.

18-სა იანვარს 1832 წელს წაველ პეტერბურღს დრავ სიმონიის გამოსასალმებლად, რომელიცა ეგზალდებოდა საქართველოს წასასვლელად და მე ნოდოროვღს.

19-ს ეიყვ ღედოფალიან, ბატონიშვილებთან, ეგრეთვე გამოსასალმებლად. 20-სა საღამოშდის დავაჟე ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომლიღამაც წაველ თეატრში, ეგრეთვე გამოსასალმებლად წარმოდგენა იყო *Горе от ума* საწყალის უღროდ მამკვდარის ღრიბოედოვის მებრ თხზულება.

20-სა ივნისსა 1832 წელსა და სამსა ივლისსა ხელმწიფე ბრძანდებოდა თავის სახლობით. დიდი სეირნობა და შეშუბუნის აშვება იყო. დღესა პეტრეველთაბას წირვა მოვიხიბე მირამი იმერეთის დედოფლისას, სადაღ სადილათ მიმწეიბა ფარნაოზ ბატონიშვილმა; სადილის შემდეგ მე და ლუარსაბ ბატონიშვილი წავედით ელაღინს, სადაცა ფრიაღ მრავალი ხალხი იყო შეყრილი სასეირნოდ გამოსულნი. კენჭელნი ელაღინი, კამენნი და კრესტოვი საესე იყო ჭალით და კაცი და მრავლით მდიდარის ეკიპაჟებით. ფრიაღ ავღრანის ზაფხულის შემდეგ დღე ესე იყო მშვენიერი. კენჭელნი ესე ფრიაღ სასიამოვნო სახლველია. წარმოიდგინეთ სქელი ტუე, რომელსაცა შინა იკლაკნების ღამაზნი ვზები, სადაცა ღამაზნი სახლნი აქა-იქ არიან გაბნეულნი და ამისთანა ნევის მდინარისა ტრტნი, განყოფილნი მრავლად, გარემე უფლიან ამა კენჭელთა, რომელსაცა ზედა მრავლნი განხეულნი ნევი მსუტრევენ მოსეირნენით. აქ იყრის მუზიკა, იმ მამღერლები, ზოგი ცხენით, ზოგი კარბეტებით, ზოგი ქვეითად, ზოგი სხედან, ზოგი სეირნობენ, აქ მოხუცებულნი, იქ კობჯა ყმაწვილი; ყოველივე ესე წარმოდგების თეატრთა მშვენიერსა ცოცხალ კარტანად. ელაღინში არს ღამაზნი

სასხლე ხელმწიფისა, ვარშემორტყმელი მშვენიერის ყვავილებით და ბუნებურად, კამენო ხეყ თეატრი და კრესტოვკის მიხედვე მადლოყურეს სასახლე. კენჭელნი ესე ერთმანეთზედა არიან მობმულნი, სოლო ნევის ტრტნი ვაჟოყენ მათ და ღამაზნი ხიღნი კი შეყრთებენ. ჩვენებურს კაცს უთუოდ ძალიან მოეწონება ამისთვის, რომ წარმოუდგენს ყოვლის მშვენიერებით შემკობილს თვისის მამელის მდებარეობასა. მზე მიედნარა, მისნი სბიენი ძლივს შემადიოდნენ ფოთლესში და ოჭროსტრად შეღებდნენ მდინარესა. დღის სიამოვნებით აღსვლინი დაებრუნდიო შინ..

პეტერბოღს წაველ 1832 წელს, ივლისის 14 დღესა, ევიარაბ. სადილათ ეიყვ ბატონიშვილს თეიმურაზთან. ენახე ეს განსაკუთრებული ბაღი, რომლისა ქება მართლად განთქმულ არს ქვეყანაზე. მისნი შადრეენები გააოცებენ მხილველსა; მათთაგან უპირველესი სასახლის წინ სამელონი ღომისა მხლენს და მის პირიღამ ამოღის ესრეთ ძლიერად წყალი, რომ ით საყენზე უმეტესს ქსეკმს. ორრიგად არს ჩამწყრივებული სხვადასხვა სტატუები — ბრინჯისა ოჭროთ დავარაყებული წყლის მსროლელნი, ეგრეთვე ეახანი და ეამი, შვიდ კიბე-კიბე ჩამოსული წყალი წარმოუდგების სწორედ წმინდა მინდ ვადეკრულად პორტრეტებზე, რომელნიცა არიან გამოსახულნი კიბეზე. ზოგი მიწის ეამად აღმოღის, ზოგი ბურთად, ზოგან უქირავს გველი და მის პირიღამ ესერის მეორესა წყალსა. დიდრონი შადრეენები. მარამა სამფსონზე კი უმცირესნი არიან სხვანი მრავალნიცა ამა ბაღში; მათ შორის არს სახილველი პირამიდა. ვინ არ განაკვირდება, იხილავს რა მუხას და ფეჭეს, რომლისა ყოველს ფოთლის ძარღვიღამ აღმოღის წყალი, ესე არს თუჯისა ასე ხელოვნებით გაყეთებული, რომ ვერ გამოარჩევს სხვათა ხეთ შორის; ცვალდ სოკო დიდი, რომლისა ევერ ვანგებ გაყეთებულს სეამზე დავაჟე და ვარე ჩემსა ჩამოვიდა წყალი, ეგრეთვე მის სახლოვეს ე. ი. მუხასთან მწიფიღამ აღმოღის წვიმა. ერთს იუზში ძალი დამსდგეს ვეფთო მტერავთა მყვიარლთა იხთა, რომელთაცა პირიღამ აღმოღის შადრეენად წყალი. მდიდარს გორაზე თავის ბუდიღან გამოღის ექვამი, რომელსაცა სიმწილად დაუღრკენია პირი, ექეთ და იქით დაბევეღრიან ეგრეთვე დაღრენილის პირით კროკოდილნი და პირიღამ ასხავენ წყალსა შადრეენად. წყალი ესე ჩამოღის სხვადასხვადრად მოკირწყლულს მეთ გორაზე და სრულიად ექენების გადაკრულ მინდ. სხვადასხვა გვარის თევზნი, კენკი, კანენი, ცხენნი ათს რიგად არიან წარმოდგენილნი შადრეენად რომელიცა თეითეულს აღწერა იქმნებოდა გრძელ და თითქმის შეუძლებელ ისრე, რომელ მიასცეს ეს სრულადი ცნობა და



ის სიამოვნებდა, რომელთაცა ჰგონობს თვით მხილველი. ერთი სიტყვით ყოველივე რაიცა შეგზამება გონებასა, ხელოვნებითა შედგება. ერთს დიდ ბუნებას აზიან მრავალნი თევზნი, რომელნიცა ზარის ხმაზე მოვლენ ნაბირას პურის საქმელათ. რა ჩამოვალს პირველს კიბეს სასაზღიდამ, ფრად შშვენიერად არს გაეთვებული გროტი (ანუ ოთახნი) კირის ქვებით, ხავსით და სადაყვებით, რომელნიცა არიან მართლებით ვადაბმულნი, არა თუ ტალახითა აშენებულნი. ვნახე ხელმწიფის საბანებელიცა.

მონაღვნიში არს შემონახული პეტრე ხელმწიფის ტანისამოსი, ჯოხები, მისი ხელსაბანი, ქაპა, ტყა, თევზები თუნქისა (თხაფრინი). საღამოზე მობრძანდა ხელმწიფე და მიხვილ ბელოვანი ცარსთ სელოდა. აქა ვნახე ნიკოლოზ ნიკოლაიძე, წითელის ფერანგი, ძალიან ჰავს ხელმწიფეს.

ბაღი ესე დასრულდება სწორედ ზღვისთან და მით უფრო არს უშვენიერეს სანახავი. მრავალნი დიდოვანი წყნის იანქნებით, პარხოდნი მინდიოდენ პეტერბურლით კრონშტადს და იქილამ პეტერბურლს. საღამოზე მუხიკა უყარავდა სისახლის წინ. პირველად რომ შევა ხალში, მცირეს შადრეგებს ვასილდება და მას უკან წარმოვდგება ნებტუნი ტრეზუნიანი მდგომარე ზღვაზე, რომლის ქვეშე ზღვის კაცნი, ცხენნი, თევზნი, კუბილონი სხვადასხვა რაგად ესვრიან შადრეგებს. საღამოზე წამოველ ისევ პეტერბურლს პირველ საათზე. მშვენიერი გზა არს, 26 ევრსი, სულ დარჩება მშვენიერად შემოვბილი. ღირსი არს პეტერბურლი, რომ რამდენიმე ოთხი ვერსი გამოვლო ვანგებ ამის სანახავად მხოლოდ.

1832 წელს აგვისტოს 30-დღეს აღმართეს დიდი ქვა ალექსანდრე ხელმწიფის პამიტიკა, ძეგლად. ხელმწიფის ძამილია წირვის შემდეგ. რომელიცა მოსმინეს ალექსანდრე წყესკის საყდარში, მობრძანდა სახილველად, პირველად ხელმწიფე ნასლედნიკი, მინაოდ ბელოვინი და მათი სეიტა ცხენით, მათ შემდეგ იმპერატორია თაის ქალებით ოქროს კარეტით, წინ მოუძლოდენ ჩიჩქან ჩაქმლნი ჩერტკოვის ესკადრონი, ხელმწიფე ელოდა კიბესთან, ჩამოსვა კარეტით და ავიდენ მადლა ფიცრულსავით გაეთვებულზე ქვის სიახლოვეს, სადაცა იდგა კარები, კარის კაცნი, ელენი და მრავალი ხალხნი შეგროვდენ საყურებლად. ხელმწიფის ბრძანებით დაეკრეს პარხანი ლოცვისათვის, რომლისა შემდეგ სამჯერ დაუკრეს ზარი და დაიწყეს ქვის აწევა შუა დღილამ ორ საათზე და აღმართეს ოთხი საათის შესრულებამდე.

მამინვე ქვის წყერზე გამოიღეს ხელმწიფის ფლავი (დროშაზე არწივი გამოასხელი), ხელმწიფემ დაიძახა ურა, ჯარმა და მრავალმა ხალხმა მისცა ვერთვე ხმა. დასასრულზე ხელმწიფე და იმპერატორია გამოვდგნენ ხალხისკენ და თავს უკრავდენ. იმავე ცერემონიან წავიდენ სისახლეში. საღამოზე ჩირაღდანი იყო.

31 ველიკო კნიაზმა ვასილჯა ჩეენი ბატალიონი. საღამოზე პირველი თამაშობა იყო ახალს თეატრში წყესკის პროსპექტზე, რომელსაცა დაარქვეს ალექსანდრინსკია. შინი და პოეარსკია.

11

პეტერბურლი

პეტერბურლი ძვეს ორსავე მხარეს მდინარისა წყესკის, რომლისა თერთმეტნი ტრტნი შეადგენენ აოს ქუჩულს. ქალაქსა ამას სიმეტროვლე ექვს 34 და სამუდელი სოგრძე 9 ევრსი. იგი ვანაიუფების 12 დიდ ნაწილად, რომელთაგან თვითთველსა ჰყავს უფროსად ჩასტნის პრისტავი, და 54 კვარტალად, რომელთაცა ვერთვე ჰყავთ თვითთველს ზედა მხედველი პოლიციის ჩინოვნიკიანი. სამი ათასამდეს ქვიხოვრისა და ლუთიათს ხის სახლთა შინა ცხოვრებენ ოთხას ათასამდეს მცხოვრებნი. ესოდენთა უმრავლესთა შენობათა ვანაიუფენ ოთხასოთხმეოდან სამი ქუჩანი და ას სამოცდა შეიდი ხილი, ზოგნი თუჯისა და ზოგნი გრანიტისაგან, შეერთებენ მდინარეთაგან ვანაიუფლთა უმოკრესთა ქალაქის ადგილთა უმთავრესთა მის ნაწილთა თანა.

რუსის ეკლესიანი არიან ეს ჩედიმტნი და სხვათა სარწმუნოებისანი ოცდა რვა. ცხრა ავაღენი და მსწავლელთა საზოგადოება ჰედელობენ განვრცობებასა სწავლათას; დიდი პუმბლიონის ბიბლიოტეკა (თუმცა სხვათა მცხოვრებთაცა აქეთ ჩინებულნი ბიბლიოტეკანი) და

ქვირფასისი ბუნებითის კაბინეტი შეიშებუქვენ შრომათა მსწავლელთა.

ორმოცდაათს ბუბლიონის, სახელმწიფოს ხარჯით, სასწავლებელთა შინა, რომლისა თავი არს უნივერსიტეტი, ყმაწვილნი სწავლობენ უფულოდ. ერთსა შინა მათგანსა ათასზე მეტნი მოწაფენი ირიტებიან და სხვათა შინა სწავლობენ მრავალი ასნი. გარდა ამისა, კვალად არს ორმოცი პანსიონი, რომელნიცა ეკუთვნიან სხვადასხვათა კაცთა.

თორმეტნი ლომიტილი და ბაღნიცა არიან სახელმწიფოს ხარჯზე სადაცა მრავალნი ოთხისი სწავლნი ჰპოებენ უფულოდ განკურნებას და აყურთებენ სახელსა მათ მფარველისას. ორას ორმოცდათქვსმეტი ფაბრიკა და მანუფაქტურა არს აქა, სადაცა გლახაკი ჰპოებს მუშაობასა და საზრდოს თვისსა.

სამი ათასი ფანარი ზამთარი ყოველს ღამეს ანათებს უმთავრესთა ქალაქის ნაწილთა და ორას სამოცდა ექვსი ბუტყანი დაცივისათვის წესისა და უნივერსიტეტის ქუჩათა შინა არიან ვარიგებულნი.

პირველს ნიშანზე რომელსავე სახლში იცე-

ხლის მოკლებიან, მაშინვე მორბიან ურველს ქალაქის ნაწილიდამ მოსაშველელად ათასხუთასამდის კაცი ასის დიდოვანის ცეცხლის გამპრობელის ტრუბებთ.

ვისაცა სურს ხილვა ამა დიდ შემკობილია და უშვენიერებისა ქალაქისა, აღვიდეს ქალაქის კოშკსა ზედა და გადმოხედოს მუნთ, ვითარი დიდებულებითი და საამო სახილველი წარმოდგების წინაშე თვალთა, ერთის შეხედვით იხილავს დიდებულად ნევის მდიანარობასა, მის ტოტებით და ეუნქულებითთორთ, სადაცა არს მშვენიერად გაკეთებულნი ბაღნი და საღებინო სასახლენი მცხოვრებთა. პირველად იხილოს პეტროვისკის ეუნქული, მის ლამაზის ტუითი, რომლისა ახლოს ჩანს ეუნქული კრესტოვსკისა, სადაცა უყვარსთ ლზინი, სეირნობა მჭაუბრთა მოქალაქეთა; მის იქით ეუნქული: ევლინი, კამენნი მშვენიერისა სასახლით, სადაცა ზაფხულ გაბრძანდებიან ხელმწიფის გვარობა, ხოლო მარჯვნივ მის უმორგეს ფრიად შემკობილი ბაღნი ღრავ სტროლინოვსა. პირდაპირ ჩანს ციხე მის ოქროთ დეაბრანკუბულით სამრეკლოთა; მარჯვნივ ანბარები პურისა და პენკისა; დიდოვანი შენობანი ლომიბილთა, მედიკობირულიჩესკის ავადმითურთ; კვლავ მარჯვნივ ჩანს ღრავ ბეზობროდოს ბაღი და სოფელი ობტა; წინ ტავრიჩესკის სასახლე ჩინებულთა თალითა და ბაღითურთ; ახლოს მისა კვალერდარდის და პრეობრაჟენის კაზარმები და ინსტიტუტი კეთილშობილთა ქალთა. მარჯვნივ მის უმორგეს-პატავსკეში მონასტერი აღქსანდრე ნევისკისა. ფრიადვე უმორგეს წარმოუდგებინს თვალთა ღრავად საამურსა ველსა ზედა ტუითა აშენებული ძველებურ გვარად საღებინო ციხე ჩეს-

მა, სახსოვრად ძლევისა ოსმალთა ზედა ღრავ ორლოვისა მიერ; მის იქით სტრეკოვსკის გორაკებნი. კვალად მის მარჯვნივ მწინშენებულ მშვენიერესთა მრავალთა საზაფხულო სახლითა პეტეროვლის გზაზე, მონასტრისა წმილის სტრატისა და საღებინო ციხეს სტრელნის, რომელიცა ეკუთვნოდა განსვენებულს დიდს თავადს კონსტანტინეს; მის უკან დედოფარისკის მთას, რომელიცა არს ამა ფრიად ვრცელსა მინდორსა ზედა მხოლოდ ერთი, და დასასრულნათვის დღეში იხილავთ საღებინოთა ციხეთა პეტეროვსკის, ორანინგნაუმს და მის პირისპირ ეუნქულსა კრონშტადტს.

მდინარენი პეტერბურღისა განმყოფელნი ნაწილ ნაწილად არიან ესენი: 1) დიდი ნევა, 2) პატარა ნევა, 3) დიდი ნევეკა, 4) პატარა ნევეკა, 5) მოკა, 6) ვეატერინსკის არხი, 7) ქონტანეკა, 8) კრუკოვი ანუ ნიკოლსკის არხი, 9) ჭალაქის თბილი, 10) ლილოვის არხი, 11) შავი წყალი, 12) კარპოვეკა, 13) პრიავეკა და 14) ტარანოვეკა.

აღწერა ღირსსახსოვართა სახილველთა ამა ქალაქსა შინა.

აღწერილია: „კაზანსკის სობორი“, პეტერბურგის რაიონები, „მონასტრის წმინდა აღქსანდრე ნეველისა“, პეტრე-პავლეს ციხე, „აღმირალტეისკო“, „იმპერატორის ავადმთა მსუველთა“, პირველი და მეორე „კაიდეტის კორპუსები“, „სამხედრო ობოლთა სახლი“, „ავადმთა ზუდოფესტე ანუ ზელანათა“, იმპერატორის ვისიბიტატელნის სახლი, „სმოლნის მონასტერი“, ეკატერინის ინსტიტუტი, „მარიინის ინსტიტუტი“, „სამშობიარო და საბავთო ინსტიტუტი“, „პოლნოცა ვლახაეთის“ და „მორსკოი კაიდეტის კორპუსი“.

მარმარილოს სასახლე

ესე დიდი მშვენიერი სასახლე აღაშენებინა ეკატერინა მეორემ 1770 ვიღვრე 1783 წლამდის თავადის გრიგოლ ორლოვისათვის ნიშნად მადლობისა მის სამსახურისადმი მამულისათვის. ამისათვის ეწერა მასზე შენობა მადლობისა. მაგრამ ორლოვმან ვეღარ იცოცხლა მის შესრულებამდის და ზელმწიფემ ისევე უყუევდ მისი-ცილა მის შემკვიდრთავან. ქვემო ეტაჟა არს სრულიად თლილის გრანიტისა, ხოლო ორნი ზემოთნი სხვადასხვა ფერისა გარანდულს მარმარილოსი — ფინლიანდელისა და ციმიბრული-

სა. ფანჯრის მინები არს სრულიად ბროლის მინისა, ჩამსხდარნი ბროზის (რამებში) ფრიად სქლად. ოქროთ დაფერილთა მთელს სასახლეში პოლი და მშვენიერნი კარნი არიან მხოლოდ ხისა, სხვა დამთენილი არს მარმარილო, ბროზა და რკინი. ჭებრი არს თითბრის თანაბლით გადაკრული. კოროლი პოლნისა სტანისლავ პონიეტოვსკა აქ სცხოვრობდა სიკვდილამდის. შემდგომად სასახლე ესე ეკუთვნოდა კონსტანტინე ცესარევიჩს და აწ აშაბდებენ შემკვიდრისა აღქსანდრე ნიკოლაევიჩისათვის.

ტავრიჩესკის დეორეცია, ანუ სასახლე

სმოლნის მონასტრის სიხსლოვეს სდვას ესე სასახლე, აღშენებული ეკატერინა მეორისა მიერ ფელდმარშალის კნიაზ პოტემკინისათვის მისანიკებლად, და რადგანაც შემდგომად ყირიმის აღებისა 1788 პოტემკინმა მიიღო ახალი წოდე-

ბა ტავრიჩესკისა, ამისთვის სასახლესაცა ამას უწოდეს სახელითა ამით.

უმოთავრესა შენობას ანუ პანტეონს დიდითა მადლის თალითა აჭებს ორი ფლიდელი, რომელნიცა განგრძელებიან ქუჩამდის და მით

შეადგენენ დიდსა მოედანს, რომელსა ავლია ქუჩიდან დიახ კარგი რკინის ლიხე — მოაჯირა. სასახლე არს ერთ ეტაჟიან და შემდგომად პოტემკინის საცდელისა ყოველ შემოდგომას სტოგრობდა მუდ ეკატერინა მეორე. შიგნით სასახლეში არს ორსავე მხარეს ორ რიგად წაჩვეებული გრძელ დიდრთანთა კოლონებში ანუ სვეტნი, რომელთაც წარმოადგენენ დიდებულებათსა სახილველს. აქდამ იყო ვასივლი საზამთრის ბაღში, რომელიცა თბებოდა შიშის ქვეშ გაკეთებულის პეჩებით და ტრებებით, სადაცა ზამთარში სეირნობდა ხელშეწყვა ეკატერინა აღუყვებულს ხეებს ქვეშ. აქ ამა ზალას შინა არს დაწყობილ ძვირ სანახაი ძველებერი და ხელოსნობა, რომელნიცა რხნე-

ბოდნენ მიხაილოვსკის ზამოკში. ამა უძვირესესთა შორის სხვათა საუნჯეთა არს განსაკვირვებელი მშენიერი ღრუპაა ლოკოინისა და მშენიერი მძინარე კლომატრონივე დიდახოვნად არიან გათლიანი თეთრის კარანის მარმარილოს; მძინარე ენიღიონი და დიანა, ამურ და პსიხე, აპოლონი და ანტიონი, ვითარცა უმაღლესნი იღვალნი კაცის მშენიერებისა უნებლიეთ მიიზიდვენ თვისად თვალთა. ბაღი არს ანგლოთრათ განწყობილი და შემკობილი ფრიად, თუმცა საზოგადოებანიათვის არა არს განღებულ, მარამა ვისაცა სურს, ბილეთს მიიღებს კანტორისაგან და ყოველგვს ძილუმს ბილეთითა მით შესვლა ბაღში. ხსროვ მირზა ამ სასახლეში იღვა 1829 წელსა.

ერმიტაჟი


ტაძარი ესე არს აღმენებულ ეკატერინა მეორისა მიერ 1775 და შეწირულ ხელოვნებათდში და შეერთდების ზომის დეორეცა დაფარულითა გასავალითა. აქ იფიწყებდა თვისსა დიდებულებასა ეკატერინა და განისვენებდა შემდგომად მძივთ ხელშეღობის შრომათა და საამურსა უბნობასა შინა მახვილ ვანებიათა კაცთა თანა თვისისა სასახლისა ეძებდა შექცევასა და კავთოვლებასა სიციხისათვის. განცალკევება (удинение) ზალვაბანა ესე შეამყო ყოვლითა მით, რაიცა იწარმოების ხელოვნებით, ვემოვნებით და მსწავლულობით. მრავალნი ოთახნი აღავსო მხატვრობით. ჩინებულნი საწოლი (ложки) რაფელისა ვადაზატეინა რომში და ვანუშხადა მათ ცალკე გალერეა და დარქო რაფელის საწოლად (ложка). დიდი და ძვირფასნი შეკრებილება (резные) ქვათა შეამყოვენ ფრიად სიმდიდრითა თვისითა.

ჩინებულნი კაბინეტი მონეტებისა და მდელთა განამრავლებს უფრო უმეტეს სიმდიდრესა ამას. აქ არს ფრიად ძვირფასნი ბიბლიოტეკა რომელსაცა შინა აწყვიდა თხულებანი ფილოსოფოსთა დილაშერტისა, ვოლტერისა და დიდეროტისა. მშენიერი ლანდკარტნი ბუშინდისა მისგანვე არიან ნასყიდნი.

ხოლო ილქსანდრე ხელშეიფემ უმეტეს განამშენიერა, შეამყო შინაგანი დაწყობილება და განამრავლა სიმდიდრეცა; ფრანციუკელის შკოლის კარტინებისათვის აღამენებინა მშენიერი დიდურეცა; ოცდაათი ათასი ძვირფასნი (резные) ქვანი და გემი წესისამებრ დაწყობილ არიან ლამაზთა მინის შკაფთა შინა; ფრიად ჩინებულნი ვაჟი კოლფანსკის პორფირისა და яшмы აწყვიან და აკვირვებენ თვალთა. აღქსანდრე ხელშეიფემ პატიუმი 1814 წელს ყოფნის დროს მრავალნი ძვირფასნი ხელოვნებანი იყიდა ამ ერმიტაჟის შესამკობელად. უბნობენ, ვითომცე შაველ პოტერის კარტინისათ-

ვის, რომელზედაც გამოხატულ არს ძროზა, მიცემულ არს 30,000 რუბლ; ესე და სხვანიცა კარტინეანი აწყვიდა განსაკუთრებით ცალკე ოთახში, ზალასთან, სადაცა ძვირფასნი ქვანი აწყვიდა, ესე იგი დღის ოთხი დრო დარჩენის, ვარდამოსხნა რუბენისა, თოფის სროლა მრავალ შეკრებილის ზალბით ანტეკაპენის ტენისისა, ხარებობა ბერლდემისა და მრავალნი კარტინეანი პოტერისა. ამვე ოთახთა შინა სღვანან ოთხნი მშენიერი სტატუანი ლეგეი-ამურ და პსიხე, აპოლონი და შოთამაშე მმოკავ... [გაურკვე] თეთრის მარმარილოსი გათლილნი; ყვალდ ჩაოდენნივე ძველებურნი ღერკულანიდან მოტანილნი, ესე იგი ტრიტონი ვაჟა საყრველის ხელოვნებით გაკეთებულნი ვედრო მშენიერის ბარელეთით. ბლუდო, ჯაპენი, ბეპედნი (колыца), გრგოლნი და სხვანი ამგვარნი. გვერდზე არს ოთახი, რომელსაცა შინა აწყვიდა მშენიერთა მინის შკაფთა შინა ძვირფასნი ქვანი, ბრილიანტი, ალმასნი, ოქრო და ვერცხლი, ეგარეთვე დიდი საათი ლონდონიდან მოტანილი მეზანეის კოქსისა. ამ ერმიტაჟში ირიცხება უმეტეს ოთხი ათასის კარტინა ერთმანეთზედა უმშენებრესნი და უძვირფასესნი, რომელთა ხილვა განაკვირვებს კაცსა.

ვარდა ამისსა, ორნი დიდურეანი არიან ჩინებულნი განსაკუთრებით, რომელთაცა შინა აწყვიდა დიდრონი ოცდა ათი კარტინანი სნიდერისსა და არიან უმირველესნი მცირეს კაბინეტში, რომლითაცა შეერთდების ძველი დიდურეცა ახალთან, არს ლამაზად დახატული შივის კარანდამით ხელშეიფთის სახლობა, ანა პელოფანსაგან. ფრანციუკელს დიდურეცაში უბარველესნი კარტინეანი არიან ღრუკისა, ლოკენისა, ფერნეტისა, პესსენისა, ლიბელისნი, ძუენტისა, ლიდირისა და სხვათა; აქვე არს სტალი,



არი ზოში და მამია მლახიტისა და დასასრულ გამოსავლთან არს კატანა ლებრუნისა ქალისაგან დასატელი რომი ფრიალ მშვენიერად

და ნინარად, რომელიცა სწერს ფარჯ სიტყვათა ამით: Alexandre u mairnina Paris 31 mars 1814 წელს.

იმპერატორის წიწის დგორეცა

ძველი სახამორო სასახლე, რომელსაცა შინა სცხოვრობდენ დიდი პეტრე და მეუღლე მისი ეკატერინა და სადაცა მოიცვალენ, იდგა იმ ადგილს, სადაცა არს აწ სასახლის თეატრი და პირველის პატალიონის პროფორიენის პოლკის კაზარმა. ზოლო აწინდელი სასახლის ადგილს იყო ღენერალ ადმირალის ღრაფ ფეოდორ აბრაქსინის სახლი, რომელმაცა უანდერა სიყვდილის ეპის იმპერატორს პეტრე მეორეს და სცხოვრებდა მას შინა ანა იმპერატრიცა.

იმპერატრიცა ელისაბედმან ღრაფ რასტერის ზედაშედეგლობასა ქვეშე დააწყებინა აღ-

შენება აწინდელისა სასახლისა 1754 წელსა და შეასრულეს 1762. ამა სასახლის სიგრძე არს 450, სიგანე 350 და სიმაღლე 70 ფუტი. ვარეთსა პირსა შეამკობენ იონიქესის და კორინციის სვეტნი და მრავალნი სტატუანი და მამია თავზე და მით ეწვევენბის თვალთა სასახლე ესე როგორღაც მრისახუნდ.

შინაგანი მისი შემოვილობა რაღათქმა უნდა რომ ეჭვნების უძვირფასეს. მუნ სცხოვრებს იმპერატორო. სასახლე ესე არს უდიდეს სხვათა ყოველთა ზელმწიფის სასახლეთა.

ანიკოვის სასახლე

სდგას წეცის პროსპექტზე, ანიკოვის ხიდის ახლოს და არს ერთი უმშვენიერესთა და უდიდებულესთა შენობათაგანი, რომელსაცა შეამკობენ ქალქსა ამას, და უფრო უმეტეს არს დამშვენებულ სასახლე ესე ზალით პავილიონებით-ერთო, რომელიცა არს ვარშემორტყმულ თუჯის

მათჯირით — ფრიალ ღამაზად გაყეთებული და მდიდრად შემკობილი ბრანზითა. სასახლე ესე არს აღმუნებული 1743 წელსა ღრაფ რასტერლისა შერ და ზიდის მიზეზით დაარქვეს ანიკოვად. აწ მას შინა სცხოვრებს მეგვიდრე აღქსანდრე.

გორნის კადეტის კორპუსი

გასილივესკის კუნძულში წეცის კიდესა ზედა მსდგას 21-ის და 22-ს ლინათ შუა და იპყრობს სიგრესსა 6400 კვადრატის საეცნსა. ფრიალ მშვენიერად არს აღებულ და უფრო შორით ეჭვენების დიდებულესობად.

ეკატერინა მეორემ დააფუძნა ესე 1772 წელსა და უწოდა გორნის სასწავლებლად, ხოლო იღქსანდრე ზელმწიფემ უმეტეს განამშვენიერა და დაარქო გორნის კადეტის კორპუსად.

ესე არს გამზადებულ განსაკუთრებით აღსაზრდელად ობოლთათვის, რომელთა მამანი ემხატვრობდენ გორნის ჩისტში: რიცხვი ესრეთა მოწაფეთა არს 110 სახელმწიფო ხარჯზე, ხოლო სხვანი არიან პანსიონერნი, რომელნიცა აძლევენ წელწადში 700 რუბლს; გარდა ამისა, არიან პოლქპანსიონერნი, რომელნიცა აძლევენ კორპუსს 350 რუბლს წელიწადში და შიდაიან მხოლოდ ჰსწავლის დროს.

აქ ასწავლიან ორ გვარად: ობოლთა გორნის მსწავლთა და პანსიონერთა, რაიცა არს საჭირო სამოქალაქოს ანუ სამხედრო საშახტრისითთვის. აქა არს დიხა კარგი ბიბლიოტეკა და მუზეუმი, რომელსა შინა არიან სხვადასხვა გვარნი მოღღლია რაიცა არს ხმარებულ მადანთა შინა. მუზეუმსა ამას შინა არს კვალად შეკრებილება სხვადასხვათა მონებითა მედლებთა რუსულთა და სხვა სახელმწიფოთათა და სხვანი

ამგვარნი ღირსნი ხილვისა ნივინი. ამა კორპუსსა ეკუთვნის კვალდ ღიბრისკის კაბინეთი ზომიჩესის ლაბორატორია და დიხა ვრცელი. მინერალის კაბინეთი, რომელსაცა შინა არს 50,000 და უფრო უმეტეს დიხა ძვირფასნი სხვადასხვათა ძვირფასთა ქვითა ნატესნი; აქ არს განსაკუთრებით საქებლნი ნივინი: 1) მლახიტნი, რომელსაცა აქვს 96 პუდი სიმძიმე და არსად არს ქვეყანაზე მსგავსი ამისი — უფასო არს. ესე არს ნაპოვნი ეკატერინის მეორის დროს ღემეშევის მადანში, რომელიცა ეკუთვნოდა ტრჩინონიეს, 2) ზურმუხტის კრიალოსანი (шестки), რომელსაცა აქვს 22 მსხვილი მარცვალ; 3) საშინი ღიდროანი [გურჯა.] кристаллов самородной серы ღემანის (vont-დამ); 4) მონორებული მარცვალი (слоды), რომელიცა არს სრულყოფილი ექვსმხრიანი პირამიდა, ბუნებით შექმნილი; ესე არს ნაპოვნი ხეხარტელის ტბასთანა. 5) შედუღებულნი მრავალნი მარცვალნი სოსანი (ქიოლეტოვის პლავიკისა), რომელსაცა ეწია თვითონველსა აქვს 48 (плоскости) მხარე და უფრო უმეტეს ზოგათა 6) ვინ არ განკვერდებდა, იხილავს რა პალმოვის ხეს, რომელსა შინა შედუღებულ არს კაცისა ძელები.

დაიხა კარგი სანახავი არს სამავალითოდ გაყეთებულნი მოწყფეთათვის მადანნი, რომელსაცა შინა წარმოადგენილ არს: 1) შინაგანი მდებარეო-

ბა მიწის; 2) სხვადასხვა გვარნი სამადნო ადგილნი, თუ ვით არ იცნობების ფი; 3) სხვადასხვა გვარნი მუშაობა, რომელიცა შეეფერება ადგილის მდებარეობასა და 4) რადგანაც მადნის მუშაობა ზოგჯერ დიან ღრმათ წავა მიწა-

სამიატნიკი პეტრე პირველისა.

ჩინებული ხელისანი ფალკონეტი იყო გამკაცებული ამა ფრიად აღმატებულისა მონუმენტისა, რომელიცა წარმოადგენს პეტრე ხელმწიფეს მკვდომარეს ცხენზე, რომელიცა მსდგას ყალბზე და უკანა ორის ფეხით ჰკლავს გველს, მარჯვენა ხელი აქვს გაშვებული ზღვისაკენ. მონუმენტი ესე არს სპილენძისა. (ვეკობ-თუჯისა), და მსდგას ფრიად დიდს ქვაზედ, რომლითაცა შეადგენს სიმაღლეს 45 ფუტს. ქვა ესე არს ნაბოენი 12 ვერსზე პეტერბურლით — სოფელს ლიაბტოან, და უნბობენ, ვითომც პეტრე ხელმწიფე ფრიად ხშირად აღვიდოდა ამა ქვასა ზედათა. პილესტალზე მსწერია ოქროს ასოებით *Петру первому Екатерина вторая*, ანუ პეტრე პირველმა ეკატერინე მეორე.

გარდა ამისა, პეტერბურლსა შინა არს სამი მონუმენტი. პირველი არს ობელისკი რუმინეცივის ზედუნისკისათვის აღმართული პავლე ხელმწიფისა მიერ 1799 წელს. პირველად იდგა ცარიცინის მინდორში — შეიდანია, ხოლო 1819 წელსა გადმოიტანეს ასპარესზედა პირველის კადეციის კორპუსი და ავადმეის ხელოვნების საშუალო, რათამცა მოწიფენი ანა კორპუსისანი, რომელსაცა შინა მსწავლობდა პირველი მამაკიცი, მიხამაქიფენ მას, ობელისკსა აქვს სიმაღლე 82 1/2 ფუტი და არს მოშუკო გარანდულისა გრანიტისა, შედგენილი სამის ნაჭრით. *Пьедестал*, ანუ რომელზედაც მსდგას, არს მოწიფილი მარმარილოსი. თავსა განამშვენებებს მოოქროვილი ფრთავაშლილი არწივი. შავს მარმარილოს ფიციარზე არს ფრიად მარტივი წვრილი და მით უფრო უმშვენებებს: რუმინეცივის ძლივეთა. ესე მონუმენტი არს გაკეთებული ზედამხედველუბასა ქვეშე სისახლის არხიტექტორის ბრენსისა.

საზოგადო საღმინო ადგილნი.

პირველი საღმინო ადგილი არს თეატრი, რომელიცა გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებობასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა. ყოველთა ბოროტთა საქმეთა, სარწმუნოებითა ჩვენთა, შერაცხილთა ცოდვად, წარმოგვიდგენს თეატრი თვალ წინ ყოველთა მათთა სიბნელეთა, და აძრუნებს გრძნობათა ხილველთასა. წინააღმდეგ ამისა საქმენი კეთილნი გვე-

ში, ამისათვის წარმოდგენილ არიან სხვადასხვანი დასამაგრებელი ბოძნი, რომელნიცა უმარჯუნ მხარებულ მადნებში.

ამა კორპუსის შესანახავად ხაზინილამ ეკლესია ყოველს წელს 135, 924 რუბლს.

მეორე მონუმენტი არს ღრავ სეფოროვის-რიზნიცისა, აღმართული 1801. ესეც უწინ იდგა საზაფხულო ბაღთან, გარნა გადმოიტანეს ნევის ნევის კიდესა ზედა მარმარილოს სასახლის და თავადის სალითოცივის სიხლის შუა. სტატუა არს ჩამოსხმული ბროზისისა და წარმოადგენს მამაცსა ამას რომელიც მხედრის ტანისამოსით, მუზარადი (*мушкетер*) თავზე ხურავს, მარჯვენის ხელით უჭირავს შიშველი მახვილი და მარცხენით ფარი, რომლითაცა მუარავს იტალიის გეორგიანთა, მადლობზე მდებარეთა.

დასასრულ მესამე სტატუა დიდახოვნიად პეტრე პირველისა ცხენზე მხაილოცისკის ზამოკის წინ. იმპერატორი წარმოდგენილ არს მსვავსად ავიესტო კვისრისა მშვიდობიანს ცხენზე, თავზე აქვს დაფხის გვირგვინი, ხოლო მარჯვენის ხელით უჭირა კვერთხი მპრამენლობისა. პავლე ხელმწიფემ დაადგმევინა აქ და ზედ მსწერია: *Правнук правды 1800 წელს*.

